ივ. შაიშმელაშვილი

ქიმია

სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თ ბ ი ლ ი ს ი — 1973

33C5(C41)
308(47922)
შ 185

წიგნში მოთხრობილია ძველი ციხე-ქალაქის — ამჟამად სოციალისტური სიღნაღის დაარსება-ზრდის, მისი გარემოცველი ქიზიყის წარსულისა და აწმყოს შესახებ.

შესავალი

სიღნაღის, როგორც ქალაქის ისტორია დროის ვრცელ პერიოდს არ მოიცავს, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი წარმოშობის ერთი მეტად დამახასიათებელი გარემოება. ირკვევა, რომ მის წარმოქმნამდე გაცილებით ადრე ამ მიდამოებში არსებობდა „ქისიყი“ (ხისიყი, ხისიხი), რომელიც მოიცავდა „ქისიყის გორაზე“ მეტად მჭიდროდ განლაგებულ ქართულ დასახლებათა ჯგუფს.

სწორედ ამ მიდამოებში ჯერ კიდევ IV საუკუნის შუახანებში, ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს დაკრძალვის ადგილზე, დაფუძნდა იბერიის ერთ-ერთი უდიდესი სამლოცველოც — წმინდა ნინოს მონასტერი. ამიტომ თავის დროზე მირიან მეფეს უბრძანებია ამ რაიონის საგანგებოდ გამაგრება და გამშვენიერება, რისთვისაც სამეფო განძის ნახევარი გადაუდვია.

ერთი სიტყვით, არაქართული სახელწოდების მქონე თანამედროვე ქალაქი სიღნაღი (რაც თურქულად თავშესაფარს ნიშნავს) გვევლინება, როგორც უდიდეს და უძველეს ქართულ დასახლებათა პირდაპირი ჩამომავალი.

არის კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება. ძველი კამბეჩოვანის მხარის უდიდესი ნაწილი რამდენჯერმე ძირფესვიანად გაუნადგურებიათ ისეთ მტარვალებს, როგორნიც იყვნენ ბერქა ყაენი და შაჰ-აბას I. ამიტომაა, რომ აქ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება „ნაომარი“, „ნაქალაქარი“, „ქვევრის მიწები“, „ნაციხარ-ნასახლარები“, „ნასაყდრალები“, „ნაკალოვრები“ და სხვ. ქიზიყის დღევანდელი მოსახლეობის დიდი ნაწილი ძირითადად სისხლიან ქარტეხილთა შემდეგ არის ჩასახლებული

მთიანი კახეთიდან, ქართლიდან, ნაწილობრივ იმერეთიდან, გურიიდან და რაჭიდან, ამიტომ მათ არა მარტო უძველესი კამბეჩოვანის, არამედ ძველი ქიზიყის ტრადიციებზეც ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, თუმცა „ლეკიანობაზე“ საკმაოდ ნათელი გადმოცემები შემოუნახავთ.

ეს გარემოება, ცხადია, მნიშვნელოვნად აძნელებს კამბეჩოვან-ქიზიყის წარსულის, განსაკუთრებით იმ უძველეს დასახლებათა სახელწოდებების აღდგენას, რომლებითაც მოფენილი იყო მთელი ეს მხარე მონღოლთა შემოსევამდე.

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს ქალაქ სიღნაღის, განსაკუთრებით კი მისი დიდი „წინაპრების“ „კამბეჩოვანისა“ და „ქიზიყის“ ერთიანი ისტორიის შექმნის პირველ ცდას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცალ-ცალკე სიღნაღის, ბოდბის ან მაღაროს შესახებ, ანდა ზოგადად კამბეჩოვან-ქიზიყის შესახებ ჯერ არსად არაფერი თქმულა. ჩვენს ხელთ იყო „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა შრომები, ი. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, დ. გვრიტიშვილის, ს. მენთეშაშვილის, გ. მელიქიშვილის, შ. მესხიას, დ. მუსხელიშვილის, ნ. ლომოურის, თ. პაპუაშვილის, კ. ფიცხელაურის, ლ. მენაბდის, დ. ხახუტაიშვილის, ლ. ჭილაშვილის, ა. ფირცხალაიშვილის, ნ. ასათიანის გამოკვლევები ამ მხარის წარსულის მთელი რიგი მომენტების შესახებ. სიღნაღისა და ქიზიყის შესახებ ბევრი კონკრეტული საკითხი აქვთ გაშუქებული ე. დემეტრაშვილს, მ. სინაურიძეს, ლ. ტუხაშვილს, დ. დანგაძეს და სხვებს, რაც მითითებულია ნარკვევის სათანადო ადგილებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რაიონული გაზეთების („კოლმეურნე“, „ახალი შირაქი“ და სხვ.) ღვაწლი ადგილობრივი ფოლკლორული მასალების შეგროვება-გამომზეურების საქმეში.

აღნიშნულის გარდა, ფართოდ ვისარგებლეთ საარქივო მასალებში შემონახული მონაცემებით და აგრეთვე პირადი დაკვირვებების შედეგებით.

თანამედროვე სიღნაღის, ნაწილობრივ ქიზიყის დახასიათებისათვის ცნობები ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმაც მოგვაწოდეს.

ბოდბე-მაღარო-ჭოტორი-ნუკრიანი მთიანი ქიზიყის ყველაზე მაღლა განლაგებული სოფლებია. ისინი მდებარეობენ ცივ-გომბორის ქედის მნიშვნელოვანი უღელტეხილის უძველეს და თანამედროვე გზაჯვარედინზე. მათს ჩრდილო მისადგომებზე დღემდე მედიდურადაა აღმართული ერეკლესეული ციხე-გალავანი — „ქიზიყი“ (შემდგომში „სიღნაღის ციხე-გალავანი“), რომლის კედლები მოსკოვის კრემლისოდენა ფართობს მოიცავს; მაღარო-სიღნაღის უღელტეხილის ზოლში უფრო ადრინდელი საფორტიფიკაციო ნაგებობების არსებობას ვვარაუდობთ, ხოლო ზედ ამ უღელტეხილის თხემზე გადმომდგარი ბორცვი, საოცარი სახელი „ზღუდერი“ რომ ჰქვია, უძველესი ქალაქის ნაკვალევზე უნდა მიგვანიშნებდეს.

სიღნაღის მშვენიერების ტილოზე აღბეჭდვა უცდიათ ჰოლანდიელ ფან დოლენს, ფრანგ დიუბუა დე მონპერეს, გერმანელ ვალტერ დენეკს, რუს გ. გაგარინს, სომეხ გ. ბაშინჯაღიანს, ქართველებს: ე. ახვლედიანს, ს. მაისაშვილს, კ. სანაძეს, ს. მირიანაშვილს.

„სიღნაღი ალბათ იმიტომ ააშენეს, რომ ამ სასწაულებრივი ველით დატკბნენ, მართლაც საოცარი მხარე გაქვთ. რა სიერცეებია! ვნანობ, რომ აქამდე არ ვარ ნამყოფი. დანაშაულია არ იცოდე ალაზნის ველის სილამაზე!“ უთქვამს სიღნაღში პირველად ჩასულ მიხეილ შოლოხოვს[1]. შესაძლოა, რომ ასეთი „დანაშაული“ ქართველთაგანაც აქვს ვინმეს ჩადენილი... და თუ მათ მდგომარეობას ეს შრომა შეამსუბუქებს, ჩვენი მიზანიც მიღწეული იქნება.

---

[1] გ. ლეონიძის მოგონებიდან, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 15. 8. 68.

ნაწილი პირველი

1. ქიზიყი — საქართველოს წარსულის ფონზე

(ქიზიყი საქართველოში ერთადერთი მხარეა, რომელსაც შორეულ წარსულში ესოდენ უცნაური სახელით — „კამბეჩოვანით“ მოიხსენიებდნენ.) ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი მას „კამბისენეს“ უწოდებს. ძველ ბერძნებს. მაგალითად, ისტორიკოს დიონ კასიოსს (155-235.), რომაელ პლინიუსს (პირველი საუკუნე ა. წ.) და სხვებს მდინარე იორიც „კამბისად“ აქვთ დასახელებული. ქართულ საისტორიო წყაროებში სახელწოდება „კამბეჩოვანის“ ასეთი ვარიანტებიც გვხვდება: „კამბეჩიანი“, „კამბეჩოანი“.

კამბეჩოვანის მხარე (თანამედროვე სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები) XI საუკუნის ქართველ მემატიანეს — ლეონტი მროველს ჰერეთის შემადგენელ ნაწილად წარმოუდგენია: „ლეგენდურმა თარგამოსმა თავის ერთ-ერთ ვაჟიშვილს — ჰეროსს (ქართლოსის ძმას) „მისცა ქვეყანა მტკურისა ჩრდილოეთ, მცირისა ალაზნისა (ივრის — ი. შ.) შესართავიდგან ტყეტბამდე, რომელსაც აწ ჰქვიან გულგულა (თელავის მახლობლად — ი. შ.) და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა, და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი. და მის გამო ჰქვიან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა“[1]. ერთი სიტყვით, თვით ჰერეთის მხარის ცენტრიც ლეონტი მროველს ზედ კამბეჩოვანის ტერიტორიაზე ეგულება.

---

[1] ლ. მ რ ო ვ ე ლ ი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 5.

ჰერეთის ქვეყანა ძვ. წ. IV-III საუკუნეებისათვის მეზობელი ალბანეთის[1] დასავლეთს შეადგენდა და ძირითადად ქართველთა მონათესავე ტომებით ყოფილა დასახლებული.

სტრაბონი ერთგან შენიშნავს: „ხორზენე და კამბისენე უკიდურესი ჩრდილოეთის მხარეები არიან და განსაკუთრებით თოვლიანი. ესენი ეკვრიან კავკასიის მთებს, იბერიას და კოლხიდას"[2]. იგი იუწყება, რომ აქ, კამბეჩოვანში, „იბერებსა და ალბანელებს ესაზღვრებიან არმენიელები"[3] და მიუთითებს, რომ „შესასვლელი იბერიიდან ალბანეთში არის უწყლო და ოღრო-ჩოღრო კამბისენებზე, რომელიც მდ. ალაზანიოსთან არის"[4].

ჯერ ისევ ალბანელებით დასახლებული ჰერეთის ტერიტორია (თანამედროვე კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი, ალაზანგაღმა მხარე) უკვე ძვ. წ. III საუკუნეში ნაწილობრივ მაინც შესულა იბერთა მძლავრი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფარგლებში; ცოტა ხნის შემდეგ აქ ტერიტორიაზე ქართლის მეფე ფარნაჯომს (ძვ. წ. III საუკ.) ნეკრესის ციხე-სიმაგრის აგებაც დაუწყია[5]. შემდგომი დროის ჰერეთის მოსახლეობაში სულ უფრო და უფრო მატულობს იბერიული ელემენტი და ეს პროცესი წინ უსწრებს ქართლის (იბერიის) მიერ ამ მხარის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური შერწყმის პროცესს.

ჰერეთის პოლიტიკური საზღვრები და საგარეო ვითარება იმთავითვე ცვალებადი ყოფილა. ზოგჯერ მის სახელს მთლიანად ჰფარავდა კახეთი, ნაწილობრივ კუხეთიც. „გაერთიანების ხანის ქართულ წყაროებში (IX-X სს). ტერმინები „კახეთი" და „ჰერეთი" ხშირად ერთმანეთს ენაცვლე-

---

1 თანამედროვე აზერბაიჯანის ჩრდილო ოლქები და დაღესტნის მნიშვნელოვანი ნაწილი უძველეს დროში ალბანეთად იწოდებოდა (ი. შ.).

2 სტრაბონი, IX წიგნი, XIV, 4 (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957 წ. გვ. 188).

3 იქვე, გვ. 130-131.

4 იქვე, გვ. 133.

5 ლ. მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა", ქართლის ცხოვრება, 1, 1955 წ., გვ. 29.

ბა"[1], ვიდრე XI საუკუნეში იგი, როგორც პოლიტიკური ერთეული, საბოლოოდ არ უქმდება და არ ერწყმის ჯერ კახეთის სამეფოს, შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს[2].

ამ დროიდან (XI ს. დასაწყისი) კახეთ-ჰერეთის გამაერთიანებელ კვირიკე დიდს (1009—1031 წლები) თავის სამეფოში შვიდი საერისთავო დაუარსებია, სამი კახეთის მიწა-წყალზე (რუსთავის, კვეტერის, პანკისის), ოთხიც ჰერეთში; ამათგან „პირველი ხორნაბუჯს ანუ ხორანთას და მისცა ქისიყი და გარეთ კახეთი კუხეთის საზღვრამდე ალაზანსა და მტკვარს შიგნით და ჰერეთის მთისა, მეორე ვეჯინს... მესამე მაჭისა... მეოთხე შტორისა"...[3]

ამ აქტით „კვირიკე დიდმა ჰერეთ-კახეთი პოლიტიკურად გააერთიანა, ადმინისტრაციულად მოაწყო ის და ამ ახალი ერთეულის მეფედ იქმნა. ამით ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი დასრულდა"[4].

საერისთავოთა ასეთი სქემა ძალაში რჩება თვით XVI საუკუნემდე.[5]

კახეთის ახალ სახელმწიფოში, როგორც ვხედავთ, კამბეჩოვანის მხარე წარმოდგენილია, რორგორც ხორნაბუჯის საერისთავო. 1040 წლისათვის ხორნაბუჯის ერისთავის ვინაობაც ვიცით. ამ ხანებში კახეთი დაულაშქრავს ბაგრატ IV, რომელიც თურმე „შეება და შეუხდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელსათა[6]. და წყობასა შინა შეიპყრნა: სტეფანოზ ვარჯანის-ძე, პან-

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება", 1963, გვ. 150.

[2] მ. სინაურიძე, „გვიანი ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები კოლოთოდან" (საქ. სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე", 1967 წ., ტ. XXVII, გვ. 112.

[3] ვახუშტი ბაგრატიონი, „საქართველოს ცხოვრება", 1913 წ., გვ. 151.

[4] ნ. ბერძენიშვილი, „მიმომხილველი", 1953 წ., გვ. 68.

[5] Г. Чубинашвили, «Архитектура Кахетии, 1959г., стр. 25.

[6] დ. მუსხელიშვილის ვარაუდით, „სადღაც თბილისსა და თიანეთს შუა" იხ. მისი კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს.-ში (საქართველოს ისტ. გეოგრაფიის კრებული, III, 1967 წ., გვ. 117).

კისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორ-ნაბუჯის ერისთავი“ და სხვ.[1] (ხაზგასმა ყველგან ჩვენია, — ი. შ.).

კამბეჩოვანის მხარის ისტორია, რასაკვირველია, საქართველოს ისტორიის განუყრელი ნაწილია, ამიტომ, რაც კი ვიცით ამ უაღრესად თავისებური კუთხის წარსულიდან, განიხილება საერთოდ საქართველოს წარსულთან კავშირში.

კამბეჩოვანის მხარეში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ადამიანი უხსოვარი დროიდან ცხოვრობს. ამ მხარეში ადამიანის მსგავსი მაიმუნის ნაშთებიცაა ნაპოვნი და სწორედ ამის მიხედვით არის მიჩნეული, რომ საქართველო ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც მაიმუნის გაადამიანების პროცესი მიმდინარეობდა[2]. ეს არქეოლოგიური მონაპოვარი მეცნიერებაში „უდაბნოპითეკის“ სახელწოდებით არის შესული.[3] სოფ. ნუკრიანის მიდამოებში მიკვლეულია სამი ათასი წლის წინანდელი ნაქალაქარი ოთხი ნამოსახლარი ბორცვით. ალაზნის ველი, ლაგოდეხის გზატკეცილიდან ყარაღაჯამდე, მოფენილია გვიანბრინჯაოს და რკინის ფართო გამოყენების ხანის ნამოსახლარებით („ნერგით თეფა“, „ტყის ბოლოს თეფა“, „ხაშალ თეფა“, „პატარა თეფა“, „ჩამადაანთ გორა“ — წითელ წყაროსთან, „თამარის გორა“ სოფ. გამარჯვებასთან, ნამოსახლარი ბორცვები ბოდბისხევთან, მირზაანთან, ფანიანთან, დიდსა და პატარა შირაქში და მრავალი სხვ., მათ შორის ბრინჯაო-რკინისა და კერამიკული სახელოსნოების მნიშვნელოვანი კერები)[4].

კ. ფიცხელაურს მიკვლეული აქვს ზემო ბოდბესთან მდებარე „დაცულ ტყეში“ სამი მიწაყრილიანი ყორღანი. ერთი მათგანი 1966 წ. გაითხარა. იგი დათარიღებულია ძვ. წ. XV

---

[1] ქართლის ცხოვრება 1955, 1, გვ. 298.

[2] გ. მელიქიშვილი, „წინაგვაროვნული საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე“. საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 5.

[3] Народы Кавказа, Москва, 1962 г., стр. 214.

[4] კ. ფიცხელაური, „იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა“, 1965 წ., გვ. 39.

საუკუნით. მან აქვე აღმოაჩინა ადრებრინჯაოს ხანის ე. წ. „დროებით საცხოვრისის“ გორა. სოფ. ჭოტორში, ორმოსამარხში აღმოჩნდა ძვ. წ. IX-VIII ს. ბრინჯაოსტარიანი რკინის მახვილი და სხვ.

ზემოთ მოყვანილი სტრაბონის ცნობა, რომ გეოგრაფიული კამბეჩოვანის ტერიტორიაზე ერთმანეთს ხვდებიან იბერნი, ალბანელნი და სომხები, იმაზე მიუთითებს, რომ კამბეჩოვანის ოლქში ერთმანეთს ესაზღვრებოდა ეს სამი ქვეყანა, ე. ი. თვით ეს მხარეც სამად განაწილებული ჩანს; ყოველ შემთხვევაში ასე აქვს წარმოდგენილი იმ დროის კამბეჩოვანი აკად. ივ. ჯავახიშვილს[1].

როგორი უნდა ყოფილიყო იბერიის კამბეჩოვანის ტერიტორია, საისტორიო წყაროებში არ არის მითითებული. ვარაუდობენ, რომ ეს იყო „კამბეჩოვანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, შირაქის ველიანად, იორ-ალაზნის შორისი“[2] ან, ეყრდნობიან რა დიონ კასიოსის ცნობებს, ფიქრობენ, რომ ქართული კამბეჩოვანის საზღვრებში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე არ შედიოდა მდ. ალაზნის ჩასადევრები, რადგან ეს მდინარე თითქმის მთლიანად ალბანეთში მიედინებოდა“[3].

კამბეჩოვანის მხარე მოხსენებულია ქართლის მეფეების — აზორკ და არმაზელის მოღვაწეობის ხანაში (1 საუკუნის 70-იანი წლები). ამ მეფეებმა მოულოდნელად დალაშქრეს მოსაზღვრე მხარეები შირაკვანი, ვანანდი ბაგრევანამდე და ბასიანამდე, შემდეგ კი ტყვეებითა და მდიდარი ნადავლით უკან გამოემართნენ. ამ უეცარი თავდასხმის საპასუხოდ მოწინააღმდეგის მხედართუფროსი სასწრაფოდ დაედევნა ნადავლით დამძიმებულ ქართველებს, დაეწია კამბეჩოვანთან, სადაც ისინი დაბანაკებულიყვნენ. შემდეგ კი, როგორც მემატიანე ამბობს, ქართველთა ძალები „შემოვიდნენ ქართლად“[4]. აქე-

---

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართველი ერის ისტორია“, 1, 1960 წ., გვ. 430.

2 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, „უჯარმა“, 1966 წ., გვ. 32.

3 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, „დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ“, 1966 წ., გვ. 111.

4 ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, დასახელებული წყარო, გვ. 45.

დან დაასკვნიან, რომ კამბეჩოვანის მხარის მტკვარსა და იორს შუა მდებარე ნაწილი, საიდანაც ქართველთა ძალები „შემოვიდნენ ქართლად“, იმ ხანად ქართლში კი არა, ჰერეთის ფარგლებში იყო[1].

კამბეჩოვანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი კი იბერიის (ქართლის) სამფლობელოში შედიოდა. აქ უკვე დიდი ხნით ადრე იყო დამკვიდრებული იბერიული (ქართველი) მოსახლეობა.

სტრაბონი იცნობს იბერებს, როგორც უაღრესად დაწინაურებულ ტომს და გვაუწყებს, რომ ისინი ცხოვრობდნენ კარგად გამართულ კრამიტისსახურავიან სახლებში. იბერთა ქვეყანაში ყოფილა ბაზრები და საზოგადო დაწესებულებები. სტრაბონი იცნობს იბერიის ორვავარ მოსახლეობას: მეომარ მთიელებს, რომლებიც სკვითებისა და სარმატების მეზობლები და ნათესავები ყოფილან და ბარის მცხოვრებ მიწათმოქმედ იბერებს, რომლებიც შეიარაღებული ყოფილან სომხებისა და მიდიელების მსგავსად. იბერიის მთიულებს საჭიროებისას მრავალი ათეული ათასი მეომრის გამოყვანა შესძლებიათ.

იბერიის მოსახლეობას სტრაბონი ოთხ გვარად ყოფს: „ერთი გვარია და ეს გვარი პირველი გვარია, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო ამავე გვარიდან წარმომადგენელი მოსამართლეობს და მხედართმთავრობს“ (გაბატონებული წრეების ფენა);

„მეორე გვარი არის გვარი ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობელთა სამართალზე“, ე. ი. საკულტო საქმისა და საგარეო ურთიერთობის საქმეთა გამგებელნი.

„მესამე გვარი არის მხედართა და მიწისმოქმედთა“, ე. ი. ქვეყნის შემნახველი და დამცველთა ფენა.

„მეოთხე გვარი არის გვარი ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის

---

[1] დ. მუსხელიშვილი, „კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII საუკუნეებში“ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967, გვ. 119, მისივე „უჯარმა“, გვ. 34-35.

არის საჭირო“ (მესამე ფენას დაქვემდებარებული არათავისუფალი მშრომელები, ანუ მონები)[1].

სტრაბონისდროინდელი იბერია (ქართლი) მონათმფლობელური სახელმწიფო იყო.

იმდროინდელი კამბეჩოვანის მოსაზღვრე სომხეთი და ალბანეთი მონათმფლობელური საზოგადოებრივი ფორმაციის დამკვიდრების გზაზე მდგარან[2].

პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის — მირიანის დროს (IV საუკუნის პირველი ნახევარი) ბოდბე (დაბა ბუდი) ჰერეთს (კერძოდ კამბეჩოვანს) ჩამოცილებული და ქართლის სამეფოსთან შეერთებული ჩანს. მასში დაუკრძალავთ წმ. ნინო, შეუქმნიათ იბერიის ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული სარწმუნოებრივ-კულტურული ცენტრი და, როგორც უკვე აღინიშნა, მისი შემოგარენი საგანგებოდ გაუმშვენიერებიათ და გაუმაგრებიათ.

472-474 წლებში ვახტანგ გორგასალმა კამბეჩოვანის შემოერთებულ ნაწილში, ჩვენი შეხედულებით, დაბა ბუდში, იქ არსებული საყდრის ბაზაზე „დასუა“ თავისიანი (მონოფიზიტობის მიმდევარი[3]) ეპისკოპოსი[4].

ამ სახელოვანმა მეფემ თავისი მოღვაწეობის სულ უკანასკნელ წლებში (იგი გარდაიცვალა 502 წელს) დააარეა დიდი ხნის სანუკვარი საქმე — კამბეჩოვანი მთლიანად შემოუერთა ქართლის (იბერიის) სამეფოს; ამ დროიდან კამბეჩოვანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული თვალსაზრისითაც

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, „რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ“, თბილისი, 1964 წ., გვ. 45, 95-97.

[2] «История Азербайджана“, Баку, 1958 г., стр. 59.

[3] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1960 წ., ტ. 1, გვ. 342.

[4] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 198-199.

ქართლის ორგანული ნაწილი გახდა[1], თუმცა ხელიდან ხელში მისი გადასვლის ფაქტებს კვლავაც ჰქონდა ადგილი.

თავის მეფობის ბოლო წლებშივე ვახტანგ გორგასალმა „მკლავითა წახმული“ ჰერეთი[2] (კამბეჩოვანითურთ) „ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისას, დაჩის, მისცა“ საუფლისწულოდ[3]. ერის შემდეგ სულ მალე „მოვიდა ხუასრო მეფე“ და სასტიკად დაარბია ქართლის (იბერიის) სახელმწიფო; როგორც ცნობილია, ამ ომს შეეწირა თვით ვახტანგ გორგასალიც. ხუასრო მეფის ცეცხლი და მახვილი კამბეჩოვანმაც იგემა[4].

მონათმფლობელური ქართლის (იბერიის) მესვეურთა დაბეჯითებითი ღონისძიებანი, მიმართული ჰერეთისა და კერძოდ კამბეჩოვანის შემოერთებისაკენ, გამომდინარეობდა ამ მხარეების დიდი საზამთრო საძოვრებისა და საქვეყნო გზების ხელში ჩაგდების უდიდესი ეკონომიურ-სტრატეგიული მნიშვნელობის სწორი შეფასებიდან[5].

მირიან მეფისა და ვახტანგ გორგასლის ეპოქის კამბეჩოვანის მხარის მაღალი მატერიალური კულტურის არსებობაზე მიუთითებს 1938—1939 წლებში ქიზიყის ექსპედიციის მიერ ყოღოთოს (ნასოფლარი ძველი ანაგის ახლოს) მიდამოების სამარხებში ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა, რის მიხედვითაც ცხადი ხდება, რომ იმ ხანად „იბერთა მიერ ქიზიყის ჰერეთის კულტურული ასიმილაციის პროცესი დამთავრებულია“. ამასთანავე აღნიშნული არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვით ირკვევა, რომ როგორც საერთოდ იბერიაში, კამ-

---

1 დ. მუსხელიშვილი, „უჯარმა“, გვ. 67, მისივე „კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები“ (საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, კრებული, III, 1967 წ., გვ. 120).

2 იქვე, გვ. 60.

3 ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 199.

4 ჯუანშერი, დასახელებული წყარო, გვ. 201.

5 დ. მუსხელიშვილი, „უჯარმა“, გვ. 48-57.

ბეჩოვანის მხარეშიც შეეჭრილა სასანური კულტურის ძლიერი ნაკადი[1].

523-632 წლებში ქართლში სპარსეთის ბატონობა მყარდება, მათ გამგებლობაში ექცევა ჰერეთი, და მასთან კამბეჩოვანიც. VI საუკუნის უკანასკნელ წლებში სპარსთა ძალადობას ბოლო მღუღო რომაელთა და კავკასიის ხალხთა ერთიანმა დარტყმამ[2]. ამ ამბების შორეულ ანარეკლს წარმოადგენს XI საუკუნის პირველ მესამედში მოღვაწე სუმბატ დავითის ძის ცნობა, რომელიც VI საუკუნის მეორე ნახევრის ამბებს გადმოგვცემს. იგი გვაუწყებს, რომ პირველი ბაგრატიონები „მოვიდეს ქართლს, ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ განაჩინეს ერისმთავრად..: ხოლო ძმა მისი: სახელით საჰაკ წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს. და სხვანი ორნი ძმანი ამათნი სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩოვანს, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი (ვეჟანი — ი. შ.) და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე (ე. ი. სუმბატის მოღვაწეობის დროსაც. ი. შ.) შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“.[3]

დაახლოებით ამ დროიდან ქართველი ხალხის ცხოვრებაში ფეხს იკიდებს ფეოდალური ურთიერთობა, რაც საწარმოო ძალთა ახალ, უფრო მაღალ დონესა და შესაძლებლობათა შესაფერი იყო. ძველმა ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულმა — თემმა დაშლა დაიწყო. ყოფილ მეთემეთა უმცირესობა გამდიდრებისა და აღზევების გზას დაადგა, უმრავლესობა „წვრილი“ რჩებოდა. ეკონომიურად ამაღლებულმა ახალმა კლასმა — ფეოდალებმა ახალი მიზნები დაისახეს, რაც ჯერ კიდევ სასანური ირანის, ხოლო შემდეგ რომაელთა ძალების მოხერხებული გამოყენებით, განახორციელეს კიდეეაც. ქარ-

---

1 მ. სინაურიძე, გვიანი ანტიკური და ადრე ფეოდალური ხანის სამარხები ყოლოთიდან, საქ. სახელმწ. მუზეუმის „მოამბე“, ტ. XXVII 1967 წ., გვ. 125.

2 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, 1, (დამხმარე სახელმძღვანელო) გვ., 104-107.

3 სუმბატ დავითის ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 373.

თლის ძველი მეფის დესპოტური ხელისუფლება შეცვალეს ისეთი წყობილებით, როდესაც სამოხელეო თანამდებობა — საერისთაოთა მართვის უფლება, მემკვიდრეობით გადავიდოდა. ამ მოვლენათა გარეშე, უნდა ვიფიქროთ, არც კამბეჩოვანის მხარე დარჩებოდა.

520-571 წლების საქართველოში დაბრუნებულა ქართველ სასულიერო მოღვაწეთა ცნობილი ჯგუფი — „ათცამმეტი სირიელი მამა". ერთი მათგანი სტეფანე, ხირსაში (ქიზიყში) დამკვიდრებულა და ხირსელის სახელის მატარებელი გამხდარა. მისი დროის ტაძარი, შემდგომში გადაკეთებული, დღემდე დგას სოფ. ტიბაანში.

VII საუკუნის შუა ხანებში არაბებმა დაიპყრეს ალბანეთი და საქართველოშიც შემოიჭრნენ. ხალხმრავალ და ეკონომიურად ძლიერ კახეთსა და, უდავოა, კამბეჩოვანშიც არაბები სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. თვით არაბთა ცნობებით კახელები ყველაზე საშიში მტრები ყოფილან მათთვის ამიერკავკასიაში.[1]

არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო გამძაფრებულ ბრძოლას მოსდევდა არაბთა ახალ-ახალი თავდასხმები; 736-738 წლებში მურვან ყრუმ საქართველო ულმობლად აოხრა.

სავარაუდოა, რომ კამბეჩოვანი ხაზარებმაც დალაშქრეს: „764 წელს ხაზართა ლაშქარმა" გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად: მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყუნეს ჯუანშერ და დაი მისი შუშან... შემუსრნა ქალაქი ტფილისი, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქვეყანა... და წარემართა გზასა დარიალანისასა"[2] — იუწყება „მატიანე ქართლისა"

ამ პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ვითარებაში შემდგომი ახალი ცვლილებები ხდება: წვრილი „აურაცხელი სამთავროების კრებულის" ბაზაზე, რასაც ადრეფეოდალური საქართველო წარმოადგენდა,[3] წარმოიქმნა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი და სხვანი, საქართველოს ისტორია, (დამხმარე სახელმძღვანელო), 1958 წ., გვ. 122.

[2] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 249-250.

[3] ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული წყარო, გვ. 121.

განვითარების ახალი საფეხურის შესატყვისი პოლიტიკური გაერთიანებანი — კახეთის, ჰერეთის, აფხაზეთისა და ტაოკლარჯეთის სამთავროები[1]. კამბეჩოვანის ქვეყანა, როგორც ფიქრობენ, VII-X საუკუნეებში ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ჩანს; ამაზე სომხური და არაბული წყაროებიც მიუთითებენ.[2]

VIII საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს მიწა-წყლის უმეტესი ნაწილი უკვე განთავისუფლებულია არაბთა ბატონობისაგან, მათი ძალა-უფლება ვრცელდება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონებში (არაბთა სამხედრო გარნიზონები დარჩენილა თბილისში, რუსთავში, დმანისში). X საუკუნის შუა ხანებში მათი ხელისუფლება ჩვენში საბოლოოდ ამოიკვეთა[3].

1010 წლის ახლო ხანებში ბაგრატ III კახეთ-ჰერეთი ქართლის სამეფოს შეუერთა, რის საპასუხოდ განძის ამირა ფადლონმა „კახეთ-ჰერეთის განაპირა კუთხეების ბოლომოუღებელი აოხრება წამოიწყო"[4]. ამ განაპირა კუთხეების რიგში უეჭველია კამბეჩოვანის მხარეც იდგა. 1011-12 წლებში ქართველ-სომეხთა შეერთებულმა ლაშქარმა მწარე დარტყმა აგემა ფადლონს, — მისი საამირო სასტიკად დაარბიეს და მოხარკედაც გაიხადეს.

ბაგრატ III გარდაცვალებისთანავე დიდგვარიანმა აზნაურებმა კახეთ-ჰერეთი კვლავ მოსწყვიტეს გაერთიანებულ საქართველოს, თუმცა მისი მეფე კვირიკე საქართველოს საერთო მტრების წინააღმდეგ კვლავ ქართლის სამეფოს მესვეურებს უჭერს მხარს.

კახეთ-ჰერეთის სამეფოს საქართველოსთან შეერთების ცდები, რასაც ბაგრატ IV მიმართავდა, უშედეგო აღმოჩნდა,

---

1 ნ. ბერძენიშვილი, და სხვანი, საქართველოს ისტორია, (დამხმარე სახელმძღვანელო), 1958 წ., გვ. 122—125.

2 დ. მუსხელიშვილი, „კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები", გვ. 120.

3 მ. ლორთქიფანიძე, „სომეხი და ქართველი ხალხების ბრძოლა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ" (ისტ. ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. 1, 1958 წ., გვ. 42).

4 ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული წყარო, გვ. 141.

მიუხედავად მისი სამხედრო ღონისძიებებისა (მაგ., კახეთ-ჰერეთის ერისთავთა დატყვევება „მიქელ-გაბრიელის“ მოსასთან ბრძოლის შემდეგ). მის ზურგს უკან საქართველოს გაერთიანების დაუძინებელი მტერი — ბიზანტია და მისი მძლავრი აგენტურა მოქმედებდა. ბაგრატ IV და მისმა ერთგულმა ძალებმა ბოლოს და ბოლოს გატეხეს ამ აგენტურის მამამთავარი — ლიპარიტ კლდეკარის ერისთავი და მისი ძალებიც გააცამტვერეს, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს: XI საუკუნის 60-იანი წლებიდან თურქების (სელჩუკიანების) შემოსევა დაიწყო. ვერც ბაგრატ IV და ვერც გიორგი II ვერაფერი გააწყეს მათი მრავალრიცხოვანი ძალების წინააღმდეგ. გიორგი II დამარცხებას შეურიგდა. „დიდი თურქობის“ ყველაზე საშინელი გამოვლინება მომთაბარე თურქ ტომთა მოზღვავება და საქართველოში დასახლება იყო. განსაკუთრებული გასაჭირი საქართველოს აღმოსავლეთისა და სამხრეთის ნაწილებს ადგათ. თურქმა მომთაბარეებმა ქართლ-კახეთის ნაყოფიერი ველები საზამთრო სადგომებად, ხოლო ზეგნები თავიანთი ჯოგების საზაფხულო საძოვრებად გადააქციეს[1]. ეს ხვედრი კამბეჩოვანის მხარემაც გაიზიარა.

დავით აღმაშენებელმა შეძლო გაეტეხა ეგოისტური გრძნობებით დაბრმავებული დიდაზნაურების გულგრილობა და საბოტაჟი, რაც შინაური ძალების დეზორგანიზაციას იწვევდა; ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის ამ გადამწყვეტ მომენტში მოსახლეობის მდაბიო ფენებსა და პროგრესულ ძალებზე დაყრდნობით შექმნა მძლავრი არმია, ოსტატურად გამოიყენა თურქთა უზარმაზარი ქვეყნის შიგნით ატეხილი საშინაო ომი, მათ წინააღმდეგ წარმართული „ჯვაროსნული ლაშქრობები“, ბიზანტიის აქტიური ანტითურქული მოქმედება და თურქებზე გადამწყვეტ შეტევას შეუდგა. 1101 წელს დავით აღმაშენებელმა განჯის ათაბაგთან შეკავშირებულ კახეთის მეფეს ზედაზნის ციხე წაართვა, 1104 წელს კახ-ჰერნი აპატიმრებენ მეფე აღსართან II, „რომელსა არა ჰქონდეს

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული წყარო, გვ. 149.

ნიკნი მეფობისანი"[1] და დავით აღმაშენებელს აბარებენ კახეთის მეფესაც და სამეფოსაც.

ჰერეთ-კახეთის შემოერთება ანტითურქული ძალების შეერთებამ ჩნევ გაძლიერებას ნიშნავდა.

დიდგორის გამარჯვება (1121 წელი) დავით აღმაშენებლის საქართველოს უმაგალითო სამხედრო ძლიერებაზე მეტყველებდა, ამავე დროს ამ ბრძოლაში თურქთა უზარმაზარი კოალიციური არმიის განადგურებამ სახელი გაუტეხა თურქთა უძლეველობას. 1122 წელს დავითმა გაათავისუფლა 400 წლის განმავლობაში დამპყრობლების ხელში მყოფი თბილისი, ხოლო 1123 წელს შირვანის მხარე დაიკავა და იქ კახ-ჰერეთელთა გარნიზონები ჩააყენა, რომელთა შორის ქიზიყელი მოლაშქრენიც იყვნენ.

თურქთა განდევნა-განადგურებისათვის წარმოებული ბრძოლები მთელი საუკუნე გაგრძელდა და ეს ბრძოლა ქართველმა სალხმა „ბრწყინვალედ მოიგო". XIII საუკუნის დასაწყისში ამ ბრძოლების სულისჩამდგმელი ქვეყნის, — საქართველოს ირგვლივ შემოკრებილი იყო მთელი კავკასიისა და მისი ახლო მხარეების ფეოდალურ-კულტურული სამყარო[2].

მონღოლთა ბატონობის დამყარების წინ, როგორც ვახუშტი იუწყება, იორ-ალაზნის ხეობები (კამბეჩოვანის ფარგლებში) მჭიდროდ დასახლებულ და მდიდარ ქვეყანას წარმოადგენდა[3].

ჰერეთი ამ დროს საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე იყო. იგი მოიცავდა ალაზანგაღმა მხარის აღმოსავლეთ ნაწილს საინგილოოურთ და დაღესტნის მიმდგომ მთიანეთს[4].

ამ ხანად კამბეჩოვანის ქვეყანა ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ჩანს. ბასილი ეზოსმოძღვარი ჩამოთვლის რა 1195 წლისათვის არსებულ „მონაპირე" საერისთავოებს (გაგი, ძო-

---

1 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 326.

2 ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული წყარო, გვ. 187.

3 ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა...", გვ. 89, 97.

4 დ. მუსხელიშვილი, „ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური გეოგრაფიის ისტორიიდან", გვ. 123.

რაკერტი და ტაშირი, ჯავახეთი, არტაანი, შავშეთი სპერი-თურთ) ამბობს: „ქვემოთ ნაპირის კერძ გრიგოლის-ძენი და უფროსღა ტბელი, და მახატლის-ძენი მონაპირობდეს (ხორ-ნაბუჯის ანუ კამბეჩოვანის ქვეყნის პატრონები, — ი. შ.). რომელთა შიშითა განძას და ბარდავს ყრმა მცირე ვერ აუ-ტირდებოდა დედასა. და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის პირსა საძოვარსა აწყენდეს"-ო[1]. მონაპირე ერისთავ-ნი „მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი გასატეხელი, ანუ ქვეყანა მოსარ-ბეველი"[2] და ასრულებდნენ ასეთ საქმეებს თამარის განკარგუ-ლებებით. ამგვარად ხორნაბუჯის (კამბეჩოვანის) საპატრო-ნო თამარის დროს ცალკე პოლიტიკურ ერთეულად წარმოგ-ვიდგება — „ჰერეთის ერისთავები არ ფლობდნენ კამბეჩო-ვანს"; კამბეჩოვანის შესატყვისი გვიან ხანებში ქიზიყია. რომლის მიკუთვნებაც კახეთ-ჰერეთისადმი ძნელია"[3].

XIII საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს საზღვრებ-თან პირველად ჩნდებიან ხვარაზმელებს დადევნებული შუა-აზიელი მომთაბარე მონღოლები. სასტიკსა და უთანასწორო ბრძოლებში ჯერ ჯალალედინთან, შემდეგ კი მონღოლთა მთავარ ძალებთან ბოლოს და ბოლოს გატყდა ფეოდალური საქართველოს ძლიერება და ამავე საუკუნის 40-იან წლებში ქართველ ხალხს ამ ველურთა ბატონობის მძიმე უღელი და-ედგა. საქართველო დამოუკიდებელ სამეფოებად იშლება, ეკონომიურად ეცემა. მონღოლებმა მთელი საქართველო რვა დუმნად დაყვეს, პირველი დუმნის მთავრად ეგარსლან ბა-კურციხელი დანიშნეს, „რომელსა ვითარცა მეფესა მორჩი-ლებდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი"[4]. და რო-მელსაც „ხელთ უყვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბე-ჩიანისა, ტფილისიდგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა"[5].

---

1 „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", ქართლის ცხოვრება, II, გვ. 120.

2 იქვე, გვ. 130.

3 დ. მუსხელიშვილი, დასახელებული წყარო, გვ. 109, 113.

4 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 222.

5 იქვე, გვ. 207-208.

კამბეჩოვანი აქაც ცალკე პოლიტიკურ ერთეულად მოჩანს და მოქცეულია აღნიშნული პირველი დუმნის ფარგლებში„

1259 წლისათვის კამბეჩოვანს კვლავ ხორნაბუჯელნი ჰფლობენ; მათი უკანასკნელი წარმომადგენელი ბერი ხორნაბუჯელი საქართველოს მეფის სანდო პირი ყოფილა; ბათო-ყაენის ურდოდან საქართველოში დაგვიანებით დაბრუნებული მეფე დავით V გაუგია, რომ მის აქ არ ყოფნაში კახეთის მმართველს თორღვა პანკელს ღალატი ჩაედო გულში. დავითის მოწოდებაზე — გამოცხადებულიყო მასთან, თორღვას უარი უთქვამს. მაშინ ბერი ხორნაბუჯელი გაუგზავნიათ, რათა თორღვა „მას მიენდოს ფიცითა მტკიცითა"[1]. ხორნაბუჯელს თორღვასათვის მიუცია უვნებლობის ფიცი. ჩამოუყვანია იგი დავითთან, მაგრამ „ფიცმინდობილი" თორღვა შეუპყრიათ მეფის დაუკითხავად, დედოფლის შთაგონებით, კლდეკარის ციხიდან გამოუგდიათ და მოუკლავთ[2]. და ვითომც ასეთი ამბის გამო, როგორც ქამთააღმწერელი იუწყება, ხორნაბუჯელები სულ ერთიანად ამოწყვეტილან[3], ვარაუდობენ, რომ ხორნაბუჯელთა მოდგმის გადაშენებაში გარკვეული როლი კამბეჩოვანის მხარეში მოთარეშე მონღოლთა რაზმებმაც შეასრულეს[4].

1265 წელს საქართველოს მიწა-წყალზე ერთმანეთს შეეჯახნენ ბერქა ყაენისა (ვოლგისპირეთის ოქროს ურდო) და ჰულაუ ყაენის (აღმოსავლეთის ყაენი) ვეებერთელა ბრბოები. ბერქა, რომელიც ჰულაუ ყაენს თავისი ქვეყნების მიტაცებას აბრალებდა, სინამდვილეში ესწრაფვოდა ხელთ ეგდო „ამიერკავკასია მისი განვითარებული სოფლის მეურნეობით, ხელოსნური წარმოების მდიდარი ქალაქებით, საგაჭრო გზებით"[5]. ბერქა ყაენის სამასათასიანი არმიის შემოჭ-

---

1 ქამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 230-231.

2 ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", III, გვ. 347.

3 ქამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 231.

4 ლ. ტუხაშვილი, სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის საქ. ისტ. კათედრის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, 1966 წ., სიღნაღი, გვ. 17.

5 ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები", II, 1965 წ., გვ. 58.

რამ „მტკვრის მარცხენა ნაპირი და ორ-ალაზნის ქვემო წელი (ე. ი. კამბეჩოვანის, ანუ ხორნაბუჯის, შემდეგში ქიზიყის დიდი ნაწილი — ი. შ.) ისე ააოხრა, რომ იმ დროიდან მოყოლებული მრავალი ხნის განმავლობაში იქ მოსახლეობა ვეღარ ჰოშენდა"[1].

ქალაქების მოსახლეობის შემცირება, ქალაქების გასოფლება (კამბეჩოვანში — ხორანთისა, ხორნაბუჯისა) მონღოლთა ბატონობის ერთ-ერთი მძიმე შედეგი იყო[2].

XIV საუკუნის შუა ხანებში მონღოლები საქართველოში ვეღარ ბატონობდნენ, მაგრამ ამავე საუკუნის მიწურულს გამოჩნდა ახალი მრისხანე მტერი, თათარ-თურქმანთა ურდოები, რომლებსაც თემურ-ლენგი მოუძღოდა. 17 წლის მანძილზე (1386—1403 წლები) მან რვაჯერ დალაშქრა საქართველო. შეუბრალებლად გაანადგურა ქართული კულტურის ყველა შენამოქმედი: სამხედრო, სამოქალაქო, საკულტო, სასოფლო-სამეურნეო[3]. თათარ-თურქმანთა მძლავრობა სამარეში ჩაიტანა გარდაცვლილმა თემურ-ლენგმა, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური რღვევა, რომლის შეჩერებისათვის ბევრს იღწვოდა საქართველოს მეფე ალექსანდრე I, შორს წავიდა. სამეფო ოჯახის შიგნით და მთავართა შორის ატეხილმა ქიშპმა და შფოთმა თავისი გაიტანა — XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დამდეგისათვის საქართველო საბოლოოდ დაიყო ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ.

ამასობაში სამხრეთიდან ახალი მრისხანე ძალა — ოსმალეთი გამოჩნდა, რომლის სულთანმა 1453 წლისათვის ბიზანტიის იმპერიას ბოლო მოუღო. დასავლეთის ქვეყნებს მოწყვეტილი საქართველოს იმედის თვალი ამიერიდან რუსეთის (მოსკოვის) გაძლიერებული სახელმწიფოსაკენ წარიმართა, რომელთანაც ოფიციალური კავშირის პირველი ძა-

---

1 ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, 1, 1958, გვ. 237.

2 ი. სიხარულიძე — „ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XII-XIV საუკუნეებში", 1967 წ., გვ. 126.

3 ნ. ბერძენიშვილი და სხვ., დასახელებული წყარო, გვ. 255.

ფები კახთა მეფე ალექსანდრე გიორგის ძემ (1476—1511 წლები) გააბა.

კახეთის დამოუკიდებელი სამეფო ეკონომიურად მალე მოლონიერდა და საკუთარი საგარეო და საშინაო პოლიტიკის კურსი გამოიმუშავა. აღორძინდა ქალაქები გრემი, ყარალაჯი. ზაგემი, თელავი; გაცხოველდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა (ღვინო, აბრეშუმი, კაკალი და სხვ.), მომრავლდა შინაური პირუტყვი, განსაკუთრებით ცხვარი, ცხენი.

გაძლიერებული კახეთის მესვეურთ ქართლის დაპყრობაც კი უცდიათ.

XV საუკუნის მეორე ნახევარში მეფე გიორგი VIII (1446—1476 წწ). კახეთში სათავადოები გააუქმა, რადგან მათი მესვეურნი თავს დამოუკიდებლად იჭერდნენ და ამრიგად მხარის ძალთა ერთიანობის საზიანოდ მოქმედებდნენ; საერისთავოთა ნაცვლად აქ უფრო მცირე ერთეულები — სამოურავოები შექმნეს. როგორც ვახუშტი ამბობს: „მაშინ მოისპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა, ვითარცა არიან დღემდე მოურავი ქისიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა"[1]. მოურავი მეფის მოხელე იყო და არა ერისთავი, ამიტომ სამხედრო საქმეებთან მოურავს არაფერი ესაქმებოდა, ეს ფუნქცია ეპისკოპოსებს გადაეცათ. ამ რეფორმამ შეასუსტა ძლიერი ფეოდალები, გაამრავლა მეფის მომხრე საშუალო და წვრილაზნაურთა რიცხვი.

კახეთის საღროშოთაგან მოწინავედ იწოდებოდა ბოდბელის სასარდლო ქიზიყი — კონდოლსა და მანავამდე. მემარჯვენე საღროშო ნეკრესელისა იყო (გაღმა მხარი), მემარცხენე — რუსთველისა (გარე კახეთი და მარტყოფ-საგურამო); მეუკანავე — ალავერდელისა[2].

კახეთის სამეფოს ამგვარი აყვავების პერიოდში ყიზილბა-

---

1 ვახუშტი ბაგრატიონი, „საქართველოს ცხოვრება", 1913 წ., გვ. 158.

2 XIV-XVI საუკუნეების რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი, თბილისი, 1964 წ., გვ. 123-124 (აკ. კლიმიაშვილის ნარკვევი „მასალები საღროშოების ისტორიისათვის").

შურმა ირანმა დაიწყო შემოტევა: 1541—1554 წლებში მან ოთხჯერ დალაშქრა საქართველო. 1555 წელს აღმოსავლეთ საქართველოს იგი უკვე თავის ქვეყნად მიიჩნევს. კახეთმა ირანის ვასალობა იკისრა. ამავე დროს იგი რუსეთთან კავშირს აძლიერებდა. 1564 წელს რუსეთის ხელმწიფემ კახეთს მფარველობაც აღუთქვა და ჯარიც მისცა სიმაგრეებში ჩასაყენებლად. 1587 წელს კახეთის მესვეურებმა ფიცი დადეს მოსკოვის სახელმწიფოს ერთგულებაზე, რაც ყიზილბაშთათვის სრულიად მიუღებელი აქტი იყო. 1578 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ირანელები თურქებმა შეცვალეს; კახეთის მესვეურნი ახლა მათ დაემორჩილნენ და ხარკსაც უხდიდნენ. ამგვარად, XVI საუკუნის ბოლოსათვის კახეთი ერთდროულად ერთიმეორის მოქიშპე სამი სახელმწიფოს ვასალი აღმოჩნდა (ირანის, თურქეთის, რუსეთის).

ამ დროს, კახთა მეფის ალექსანდრე II (1574—1605) მრავალრიცხოვანი და შესანიშნავად აღჭურვილი ლაშქრის „დიდი რაზმი" მეფის ძის დავითისა და ქიზიყელის დროშის ქვეშ იყრიდა თავს.[1].

შაჰ-აბას პირველმა, ირანის პირსისხლიანმა ტირანმა, „მომენტისათვის შესაფერი სიმტკიცით ხელი მოჰკიდა ესოდენ დახლართული პოლიტიკური კვანძის გაკვეთას, რასაც კახეთის სამეფოსათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვა"[2]. მან ოთხჯერ დალაშქრა აღმოსავლეთი საქართველო (1614 წ., 1616 წ. გაზაფხულზე, ამავე წლის ზამთარსა და 1617 წლის გაზაფხულზე.[3]) მისი მახვილი განსაკუთრებული გააფთრებით სცემდა კამბეჩოვანის, იმ დროს უკვე ქიზიყად წოდებული მხარის მოსახლეობას.

აი, რას წერს იმ საზარელი მოვლენების აღმწერი ისქან-

---

1 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართველი ერის ისტორია", IV, 1967 წ., გვ. 292.

2 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „საქართველოს ისტორიის საკითხები", II, გვ. 97.

3 1614 წლის შემოსევა 4-5 თვეს გაგრძელებულა (გ. ჟორდანია, ქართული აბრეშუმის კულტურის განადგურების ერთი ცდის შესახებ, „ცისკარი", 1963 წ., № 5).

დერ მუნში: საქართველოში 1614 წელს შემოჭრილი შაჰ-აბასის მრავალრიცხოვანი ლაშქარი ალაზანზე გადმოსვლისთანავე პირველად „დადგა ერთ ადგილას ქიზიყის ოლქში, რომელიც შერმაზან ქართველის საცხოვრებელი იყო“[1].

როგორც საერთოდ კახეთის, ისე ამ მხარის მონასტერ-ტაძრები ყიზილბაშებმა გაძარცვეს და „ისლამის ჭეშმარიტი სარწმუნოების ხალხის მიზგითებად გადააქციეს“...[2] ქიზიყის მოსახლეობა მაშინ პირწმინდად აყრილა და მათი კარ-მიდამოების ძარცვა-გლეჯაც დაწყებულა. მუნში ირწმუნება, რომ ეს სისაძაგლე ჩაიდინეს შაჰის ლაშქარს მიტმასნილმა მაწანწალა ქურდბაცაცებმა, რომელთაც შაჰის ბრძანებით „მუცლები გამოუფატრეს და უკან გაგზავნეს ბანაკში“.[3] „მუცელგამოფატრულთა“ უკან გაგზავნის შესაძლებლობაზე რა მოგახსენოთ, ის კი უდავოა: შაჰ-აბასს საშინლად სწყენია, რომ მას დაასწრეს ამ ძარცვა-გლეჯაში...

შაჰ-აბასის ველური რისხვა ქიზიყს დაატყდა 1616 წელს. იგი გაცოფებული იყო კახეთის ამბოხებითა და ამ ამბოხების ჩასაქრობად გამოგზავნილ 15-ათასიანი ლაშქრის განადგურებით, რაც მეფე თეიმურაზ I თავისი 6-ათასიანი რაზმით შეძლო. ყიზილბაშებმა კახეთში 70-ათასი კაცი ამოწყვიტეს და 130-ათასი ტყვე გაირეკეს.[4] ასეთ ვითარებაში კახეთს ერთხელ კიდევ აღუმართავს ხმალი „დაუდ ქართველისა და თამაზ ქიზიყელის“ მეთაურობით. ყიზილბაშთა ლაშქარმა „ჯერ ქიზიყის ვილაიეთი გაწმინდა. მამაკაცები კრიალა ხმლის ლუკმად იქცეოდნენ და ქალები და ბავშვები ძლევამოსილი ღაზიების ტყვეები ხდებოდნენ“[5]. ისე თავდადებით ილწვოდნენ ყიზილბაშნი, რომ იმ მხარეში „მოსახლეობის სუნიც აღარსად იყო დარჩენილი“[6]. მუნში დასძენს, რომ „ისეთი ქვეყანა, რომელიც ყოველწლივ ურიცხვ სარგებელსა და შემოსავალს

---

1 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 1969 წ., გვ. 84.
2 ი ქ ვ ე, გვ. 93.
3 ი ქ ვ ე, გვ. 85.
4 ი ქ ვ ე, გვ. 107.
5 ი ქ ვ ე, გვ. 108.
6 ი ქ ვ ე, გვ. 109.

იძლეოდა, დაინგრა და მიწასთან იქნა გასწორებული". შაჰ-აბასი საზამთროდ განჯის სანახებში იდგა, როცა მას კახეთი-დან კვლავ მოესმა ანტიირანული შფოთის მრისხანე ხმა. მისი ბრბოები კვლავ გამოემართნენ და ამ მხარის აოხრებ-ვლავ ქიზიყით დაიწყეს.

ისქანდერ მუნში იუწყება, რომ „იმ დღეებში მომხდარ ბედნიერ ამბებს ეკუთვნის ყორლანყუჯის[1] ციხის დაპყრობა. ურჯულო ქართველების ერთი ჯგუფი შესულიყო იმ მაგარ ციხეში და ჯანყსა და ამბოხს ახდენდა".[2] მუნშის ცნობით, კახელები ვითომც უბრძოლველად დანებდნენ, ზოგ მათგანს „ქართლში წასვლის ნებართვა მიეცა, ზოგი სხვა სამოთხის მსგავს ფარაჰაბადში წავიდა და ყამთა უბედურებისაგან მოისვენა"[3]. მაგრამ ვერც ამან დაამშვიდა კახეთი. იმავე ხანად თურმე შაჰ-აბასის „დიდებულ ყურთ ესმა, რომ მახვილს გადარჩენილი ქართველების ერთი ჯგუფი, რომლებიც ღაზიების ხმლისა და შუბის შიშით ტყეებსა და გამოქვაბულებში იყვნენ შემძვრალი, ქიზიყში წინააღმდეგობას ეწევიან და ურჩობენო. რადგანაც შაჰი განრისხებული იყო იმ ურწმუნოებზე და მისი ბრაზის ცეცხლი ჯერ არ იყო ჩამქრალი, ამიტომ ძლევამოსილი ჯარის ერთი რაზმი გაგზავნეს იმ უბედურ სიკვდილმისჯილებზე და შემდეგ გააყოლეს ღოლამების იუზბაში ზამან-ბეგი ღოლამთა რაზმით, რომელიც მათ (ქართველების) დასარბევად და დასატყვევნად იქნა დანიშნული. სარწმუნოებისათვის მებრძოლთა რაზმი იმ სიკვდილმისჯილებს უეცრად თავს დაესხა, როგორც ცით მოვლენილი უბედურება. მრავალი ცოდვილი ურწმუნო შეიპყრეს. საპატიო აზნაურთაგან ბევრი ბედკრული ქრისტიანი ზოგი ხმლის კერძი შეიქნა, ზოგიც, ვინც მახვილს გადაურჩა, ბავშვებთან და ქალებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს. დაჭრილებს, რომლებიც უავგუსტოეს ურდოში მოიყვანეს, მრავალი ტანჯვითა და წამებით ხოცავდნენ შაჰის ბრძანებით"[4].

---

1 ხორნაბუჯი, თანამედროვე წითელიწყაროსთან.

2 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 1969 წ., გვ. 110.

3 იქვე, გვ. 110—111.

4 იქვე, გვ. 111.

ამის შემდეგ შაჰ-აბასი თბილისზე გავლით, სადაც „ქართლის ვალის—ბაგრატის“ მასპინძლობით ისიამოვნა“, გაემართა სომხეთისაკენ და რამდენიმე დღე ილხენდა მელქ მირმან სომხითარის შვილიშვილის მელიქ ათაბაგის სამყოფელს, რომელიც ირანის შაჰების წმინდა გვარეულობის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა“[1].

კახეთის გაღმა მხარე და სხვა რაიონებიც შაჰ-აბასმა ერთიანად აიკლო; იმ დღიდან წელგატეხილი კახეთის უბედურებას დაღესტნელი ფეოდალებისა და აბრაგების ბოლომოუღებელი თარეში დაემატა.

შაჰ-აბასის „შემოსევებმა ხერხემალში გატეხეს კახეთი და ამდენადვე მთელი საქართველოც“[2].

შაჰის ბრძანებით განჯის ხანმა სელიმმა (კახეთის გამგებელი 1656 წლიდან) კახეთში ძომთაბარე თურქმანთა ტომების მასობრივი შემოსახლება დაიწყო; ამის საპასუხოდ 1659 წელს აქ აჯანყებამ იფეთქა. ბახტრიონთან დამარცხებული მტერი მთელი კახეთიდან განდევნეს. თვით სელიმ ხანმა მიატოვა თავისი რეზიდენციის მშენებლობა ალაზანზე, ურდოს ფონთან (ბელაქან-ჩაის შესართავთან) და გაიქცა. ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ირანი „კახეთს სამმართველოდ კახელებს აღარ აძლევდა, არამედ ან განჯის ბეგლარ-ბეგებს, ან ხანებს“[3]. ერთმა მათგანმა ბეჟან ხანმა (1677—1683), ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, ქიზიყში, სამხედრო-საყრდენი პუნქტი გაიწყო (ყარაღაჯი) „ვითარცა მცირე ქალაქი“[4]. ბეჟან ხანს აბაზ-ყული-ხანი ცვლის (1683), მას ქალბალიხანი (1695 წ.) და სხვ.

1703 — 1722 წლებში კახეთის მეფედ დასვეს ერეკლე პირველის გათათრებული შვილი — დავითი (იმამ-ყული-ხანი), რომლის საზამთრო რეზიდენცია ჯერ ყარაღაჯში იყო, ხო-

---

[1] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 1969 წ., გვ. 111.

[2] თ. ბოცვაძე, „საქართველო-დაღესტანის ურთიერთობის ისტორიიდან“, 1968 წ., გვ. 80.

[3] ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, გვ. 19, 1965 წ.

[4] ბერი ეგნატაშვილი — „ახალი ქართლის ცხოვრება“, ქართლის ცხოვრება II, გვ. 419.

ლო შემდეგ თელავში; მისი საზაფხულო რეზიდენცია კი მაღაროში იყო (მთიანი ქიზიყის შუაგული). გაუკაცრიელებული კახეთი საგრძნობლად მოშენდა ნაწილობრივ ქართლიდან მოსული მოსახლეობით. 1727 წლიდან კახეთი კვლავ ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოექცა; 1735 წელს ყიზილბაშებმა განდევნეს თურქები და კვლავ ყიზილბაშობა დამკვიდრდა. ამ ხანებში თეიმურაზ II „ფრიად მადლიერ ექმნა" ნადირ-შაჰს, რომელმაც „მიუბოძა ქართლის მეფობა თეიმურაზს და კახეთის მეფობა ირაკლის, ძესა მისსა, წელსა 1744". ეს „ჯანასკნელი, მამის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს მესაჭე ხდება (1762 წ.).

თეიმურაზ II და ერეკლე II მრავალჯერ ყოფილან ქიზიყის მხარეში და ერთიანი ძალებით გაუნადგურებიათ დაღისტნელთა და ჭარ-ბელაქნელთა ყაჩაღური ბრბოები; ქიზიყის მხედრობა მათი საყრდენი და ნამდვილი გვარდია იყო.

ერეკლე მეორის მეფობის ხანაში დიდად შეეწყო ხელი ქართლ-კახეთის კულტურულ-ნაციონალური ერთიანობის განმტკიცებას, ეკონომიურ აღმავლობას, სამხედრო საქმის საერთო მოწესრიგებასა და გაძლიერებას.

ერეკლე II მეფობის დროს ერთ ხანს „ლეკიანობა" აღიკვეთა, ხელახლა დასახლდა გავერანებული სოფლები, განსაკუთრებით განვითარდა მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, გაიზარდა სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება, აღორძინდა ქალაქები (თბილისი, გორი, თელავი, ცხინვალი, ახალგორი, დუშეთი); მან 1770 წელს ქალაქთა ოფიციალურ სიაში შეიტანა სიღნაღი, რომელიც თანდათან გაიზარდა და მალე აღმოსავლეთ საქართველოს ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა[2]. ერეკლე მეორემ კიდევ უფრო გააღრმავა და გააძლიერა კავშირი მეფის რუსეთთან, რომელთანაც უკვე 1783 წლის 24 ივლისს დაიდო ე. წ. „მეგობრობის პირობა", რითაც ქართლ-კახეთი უარყოფდა თავის დამოკიდებულებას

---

[1] ომან ხერხეულიძე, „საქართველოს ცხოვრება", მეორე გამოცემა, 1913 წ., გვ. 249.

[2] შ. მესხია, „საქართველოს ეკონომიური და სოციალური ვითარება XVIII ს. მეორე ნახევარში", საქართველოს ისტორია, I, 1956 წ., გვ 362.

ირანზე და სხვა სახელმწიფოებზე; ამიერიდან ის რუსეთის უზენაეს ხელისუფლებას ცნობდა. რუსეთისაკენ შებრუნების ერეკლესეული მტკიცე გადაწყვეტილების გამოძახილი იყო 1795 წლის აღა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელი შემოსევა. 1798 წელს ერეკლე გარდაიცვალა. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. ქართველ ხალხს მონარქიული რუსეთის მხრივ კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მძიმე ამოცანა გაუჩნდა, რომლის საბოლოო გადაწყვეტა მან სწორედ დიდი რუსეთის მშრომელთა ძმური დახმარებით შეძლო.

კამბეჩოვანის მხარის ბუნებრივი საზღვრები, მტკვარ-ალაზან-ივრის ხეობების სახით, უხსოვარი დროიდანვე აკავშირებდა მას იბერიასთან და არა ალბანეთ-სომხეთთან; გარკვეული აზრით ამაშია ახსნა კახეთის აღმოსავლეთის საზღვრების კონფიგურაციისა: ძველი ჰერეთის მიწა-წყალს ბოლოს და ბოლოს ჩამოეცალა ლაკვეთის[1] ციხის იქით მდებარე ვეებერთელა ნახევარი, კამბეჩოვანის სამხრეთითაც მაჰმადიანური სამყარო თითქმის რუსთავის კარამდე დამკვიდრდა; მტკვარ-ალაზან-ივრის ბუნებრივი ზღუდეებით გარემოცული კამბეჩოვანი კი დარჩა როგორც აღმოსავლეთში შეჭრილი დიდი ხომალდის ქიმი. კამბეჩოვანის ქვეყანას ღია ჰქონდა ჩრდილო-დასავლეთის ვეებერთელა ბუნებრივი კარი, რომლითაც მას იბერიასთან საბოლოოდ შერწყმამდე განუწყვეტლად სცემდა ქართული კულტურულ-ეთნიკური ექსპანსიის ტალღები; ისე, რომ ბუნებრივ საზღვართა ეს კონფიგურაცია გუშინდელი როდია, — ამ „მშრალ ნახევარკუნძულზე“ უნდა გადაეარა იბერია-ალბანეთს შორის არსებულ საქვეყნო გზასაც, რაზეც სტრაბონი მიუთითებს და რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

როდის და რატომ ეწოდა ამ მხარეს კამბეჩოვანი, არავინ იცის. ვახუშტი ამას კამეჩთა სიმრავლით ხსნის. კამბეჩოვანში, იორ-ალაზნის ხეობებსა და მათ შორის ზეგნებზე მართ-

[1] ახლანდელი ლაგოდეხი.

ლაც იყო ხელსაყრელი პირობები მომთაბარე მესაქონლეობისათვის, რაც ქართული კამბეჩოვანის მოსახლეობის ძირითად საარსებო წყაროს წარმოადგენდა. გარკვეული ისტორიული პირობების გამო ამ მხარის მოსახლეობას დაუმკვიდრდა ბრძოლასა თუ შრომაში დიდი ამტანიანობისა და კოლექტიური მოქმედების ჩვევები. აკი ამბობს ვახუშტი ბაგრატიონი, რომ აქაური ქართველები „არიან კაცნი ბრძოლნი, მხნენი, ახოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა"[1].

კამბეჩოვანი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, როგორც მოსაზღვრე მხარე, უეჭველია, დიდ როლს ასრულებდა იბერიის სამეფოს აღმოსავლეთის სტრატეგიაში; მაგრამ, სამწუხაროდ, ამისი კონკრეტული ფაქტები ჯერჯერობით ძალიან ცოტა მოგვეპოვება. ვიცით მაგალითად, თუ როგორ გამოიყენა ქიზიყის ასეთი გეოგრაფიული მდებარეობა ერეკლე მეორემ 1755 წელს, როდესაც ყვარლის ციხეს მოსეულ ხუნძახელი ნურსალ ბეგის 20 ათასიან ლაშქარს ქართველები პირდაპირ კი არ შეებნენ, არამედ ქიზიყიდან მათ ზურგში დაარტყეს, ე. ი. ჭარის თემის დარბევა ამჯობინეს; ეს საქმე „გულადი და კარგი ცხენოსანი ქიზიყელების" ხმლით გაკეთდა. ხერხმა გასჭრა: ყვარელში მყოფ ლეკთა ლაშქარს პირველად, ცხადია, ჭარელები ჩამოსცილდნენ და თავიანთი ცოლ-შვილის გადასარჩენად სახლში გაიქცნენ, შემდეგ მათ უკან კაკის სულთანიც მიჰყვა, რადგან ქიზიყელები იმათ ზურგსაც ემუქრებოდნენ. ამათ მიბაძა ნუხის ხანმაც... ყვარლის ციხეს ალყა მოეხსნა. ხოლო ყვარლის დაცემას თეიმურაზ II და ერეკლე II კახეთის დაცემად მიიჩნევდნენ და ამბობდნენ: ეს რომ მოხდეს, „მერე დასუსტებულ ქართლს რითღა შევიმაგრებთო". საბედნიეროდ, ასეთი რამ არ მოხდა; ამიტომ იყო, რომ ჭარის დასარბევად გაგზავნილ ქიზიყელებს დიდი დაპირებანი აღუთქვეს და შეუსრულეს კიდეც[2].

იბერიის წინააღმდეგ ამ მიმართულებით წამოსულ ყველა მტერს კამბეჩოვან-ქიზიყის „ნახევარკუნძული", როგორც

---

1 ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, „აღწერა"... 1941 წ., გვ. 98.

2 მ. დ უ მ ბ ა ძ ე, „თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში" (კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966 წ., გვ. 392—393).

იტყვიან, ყელზე ადგებოდა, რადგან მისი „ჩამოჭრის“ გარეშე სახიფათო იყო შეტევა როგორც ალაზნის ხეობის, ისე მტკვრისა და ივრის ხეობების გასწვრივ. ამიტომ იყო, რომ ხუასრო მეფემ, ვახტანგ გორგასალის დროს რომ შემოიჭრა საქართველოში, თავდაპირველად ქალაქი კამბეჩოვანი ააოხრა, შემდეგ ჭერემი, ველისციხე და მერე მცხეთა-არმაზისაკენ გასწია; გიორგი რუსიც საქართველოს ამ მხრიდან შემოესია — ჯერ სწორედ ხორნაბუჯის საპატრონოს დაეცა და გადამწყვეტი მარცხიც აქ იგემა. შაჰ-აბასმაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ ქიზიყის დაცემის შემდეგ ჩათვალა შესაძლებლად თბილისზე გალაშქრება. კამბეჩოვანის მხარის მოხერხებული მდებარეობის გამოყენებას ცდილობდა თიანეთში მდგარი თეიმურაზ I, როდესაც მის წინააღმდეგ ყიზილბაშთა ჯარითურთ ქართლის მეფე როსტომი წამოვიდა: „წარვალთ ქიზიყსა და ვემტერებით როსტომ მეფეს იქიდამე. უსმინა ბატონმან თეიმურაზ და წარგზავნა ძე თვის დავით“[1].

ყიზილბაშებმა მთავარი ძალებით იერიში ჯერ ბოდბეზე მიიტანეს. თეიმურაზ I ამის შესახებ 1649 წლის 13 აგვისტოს რუსთა მეფისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში წერდა: შაჰის ბრძანებით შემახიდან, განჯიდან კახეთში სპარსელებისა და სხვათა დიდძალი ჯარი შემოვიდა... ქვემო მხრის ჩვენ ჯარს ჩემი შვილი დავითი მეთაურობდა. ზემო მხრის ჯარში მე თვითონ ვიყავიო... ქვემო მხარეს ბრძოლა ბოდბეში მოხდა და იქ 15 მარტს სპარსელებმა დავითი ჩემი შვილი აწამეს და მოკლესო...[2]

რაღა თქმა უნდა, კამბეჩოვან-ქიზიყის მესვეურთ ეს ბუნებრივი ზღუდეები ხელოვნური სათავდაცვო ნაგებობებითაც უნდა გაეძლიერებინათ. ვახუშტი ბაგრატიონი სწორედ იორ-ალაზნის ხეობათა ჩასწვრივ რომ მიუთითებს „დიდ ფრიად შენობა-დაბნებზე“, უეჭველია, მათი უმეტესობა ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდა და მთელი დასახლებების თავდაცვის ინტერესების გათვალისწინებით ეწყობოდა; მაგრამ, რასაკვირველია, მათი ნაკვალევის შესწავლის გარეშე კონკრეტული მსჯელობა შეუძლებელია.

---

1 ბერი ეგნატაშვილი, ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ., გვ. 426.

2 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1967 წ., გვ. 397.

აკად. ნ. ბერძენიშვილი მართალი იყო, როდესაც აღნიშნავდა, რომ „კახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლით ჩვენთვის ხელშესახებად ნათელი იქნებოდა, თუ რა საფუძველზე იყო, რომ საშუალო საუკუნეების კახეთი ასეთი წარმატებით ებრძოდა არაბებს. ისიც ნათელი იქნებოდა, თუ რას ემყარებოდა განთქმული ხორნაბუჯის (კამბეჩოვანის — ი. შ.) საერისთაოს ან საარიშიანოს სიმტკიცე XII-XIII საუკუნეებში. ამ დროის წერილობითი წყაროები იხსენიებენ ხორნაბუჯის ქვეყანას, სადაც მონაპირე ერისთავი იჯდა... დღეს ამ საერისთაოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გაუდაბურებულია. ხორნაბუჯის ციხის ნანგრევები შორს, განაპირად მდებარე განმარტოებული პუნქტია და მისი საერისთაოს პოლიტიკურ ცენტრად წარმოდგენა სრულიად შეუძლებელია. ამავე დროს სავსებით შესაძლებელია დავადგინოთ ამ საერისთაოს საზღვრები, მასში შემავალი დაბა-სოფლებით, ქალაქებით და ჩვენ დავინახავდით, რომ ხორნაბუჯელი მონაპირე-ერისთავი, გადაულახველ კედლად რომ უდგა განჯის ქვეყნიდან მომხდურ მტრებს, საერისთაოს განაპირა კიდეში კი არ იჯდა, არამედ ქვეყნის შუაგულში მდიდარი და მრავალი სოფლებით გარშემოზღუდული“[1].

ჟ. სიღნაღის „წინაპარნი“

ახლანდელი კახეთის გეოგრაფიული ხერხემლის, ცივგომბორის ქედის გადამკვეთი ყველა უღელტეხილი იბერიის მესვეურთა განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანს წარმოადგენდა: მათ მისადგომებსა და თხემებს საგანგებოდ ამაგრებდნენ ფორტიფიკაციული ნაგებობებით, მათ ზონებში ჰქმნიდნენ ადმინისტრაციულსა და სარწმუნოებრივ ცენტრებს. ხშირად მათი რაოდენობა საერისთავოთა რაოდენობას უდრიდა. ახმეტა-თიანეთის გადასასვლელზე დღემდეა შემორჩენილი „ციხე კვეტერისა, ფრიად მაგარი და დიდშენი“[2]. თელავ-გომბორის გადასასვლელს, ერთი მხრით თელა-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, I, 1964 წ., გვ. 357.

2 ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა...“, გვ. 101.

ვი ედგა, მეორე მხრით ბოჭორმა-უჯარმის სისტემა ეფარა; ველისციხე-ჭერმის გადასასვლელს დასაწყისში თვით ველისციხე ედგა, შუა წელზე კი — ჭერემი „ქალაქი მაგარი“[1], ბაკურციხე-მელაანის გადასასვლელს ალაზნის ველის მხრიდან ბაკურციხე და ვეჯინის „ციხე შენი მაგარი და დიდგებული“[2] სდარაჯობდა, შუა წელზე — სოფ. მელაანის მიდამოებში კი „ომის ღმერთის“ ტაძრის არსებობასაც ვარაუდობენ;[3] წითელი წყარო-ყარაღაჯს შორის ჩამავალ კლდეკარშიც დღემდე მრისხანე დარაჯად დგას ჭოეთის „ციხე-სიმაგრე“[4]. მაგრამ ცივგომბორის ქედზე ხომ არის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მაღარო-ბოდბის გადასასვლელი? სად არის მისი მცველი საფორტიფიკაციო ნაგებობანი? მის მიდამოებში ამჟამად მხოლოდ 1762 წელს დასრულებული ერეკლესეული ციხე-გალავანია; ნუთუ 1762 წლამდე ბედის ანაბარად იყო მიტოვებული ეს გადასასვლელი? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ გადასასვლელის შუაგულში მდებარეობდა მთელი იბერიის სამლოცველოდ აღიარებული, წმ. ნინოს საყდრის ახლოს IV საუკუნეში აღმოცენებული, სარწმუნოებრივი ცენტრი, რომელიც დაარსების დღიდან ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილი სამყაროს პირისპირ იდგა და უეჭველია, იგი ქართლის (იბერიის) სამეფოს მესვეურთა ღირსეულ ყურადღებას იმსახურებდა.

ვახუშტი ბატონიშვილმა მოგვცა ქიზიყის („პირველ კამბეჩოვანის“[5]) მხარის გეოგრაფიული საზღვრების უაღრესად საინტერესო და საჭირო სქემა. იგი, უპირველეს ყოვლისა, ასახელებს საკუთრივ ქიზიყის მხარის, ხოლო შემდეგ კი მთელი მისი მიდამოების საზღვრებს; მიუთითებს, რომ „უძეს ქიზიყს აღმოსავლით ველი შირაქი ალაზნამდე; სამხრით უფა-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, „აღწერა...“, გვ. 99.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 99.

[3] კ. ფ ი ცხ ე ლ ა უ რ ი, „იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა“, თბილისი, 1965 წ., გვ. 101—102.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 97, ეს ობიექტს თანამედროვე ქიზიყელებიც „ჭოეთის ციხედ“ მოიხსენიებენ (იხ. მწერალ ს. ფაშალიშვილის ცნობა ვახტანგ რაზიკაშვილის წიგნში „მაშაბაზეში ვაჟა-ფშაველა“, 1966 წ., გვ. 165).

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, „აღწერა...“, გვ. 98.

დარი და წინა-მინდორი ხორანთა — იორამდე, ჩრდილო მთა ჰერეთისა"[1].

გასაგებია, რომ შირაქი, უფადარი და წინა მინდორი ვახუშტის ნახსენები აქვს როგორც საკუთრივ ქიზიყის, ანუ „პირველი კამბეჩოვანის" განმსაზღვრელი ორიენტირები და არა როგორც საკუთრივ ქიზიყის ატრიბუტები. ეს აზრი მისი 1735 წლის რუკითაც დასტურდება. იქაც „საკუთრივ ქიზიყი" მოიცავს დღევანდელ სიღნაღის რაიონს მთლიანად და ნაწილობრივ წითელიწყაროს რაიონსაც (ამ უკანასკნელის დასავლეთით). „საკუთრივ ქიზიყის" ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ვახუშტის რუკაზე წაუწერია „კამბეჩოვანი", ხოლო კამბეჩოვანის შუაგულში აღუნიშნავს სოფ. მაღარო თავისი „სასახლე მეფეთა საზაფხულოთი" და ბოდბის წმ. ნინოს საყდრით[2].

საკუთრივ ქიზიყის, ანუ „პირველი კამბეჩოვანის" ასეთი წესით შემოფარგვლის შემდეგ ვახუშტი იძლევა ქიზიყის საზღვრებს მთელი ზემოაღნიშნული შემოგარენით, თანაც უფრო მეტი სიზუსტით: „ხოლო მზღვრის აღმოსავლით ალაზანი; დასავლით ლაკბის-ხევი და ხაზი მისი იორამდე გასული; სამხრით იორი ანუ მტკვარი; ჩრდილოთ მთა ციცისა კარდანეხსა და ქიზიყს შორისი, და ხაზი ასანურ-საქვაბეს შორის გასული ალაზნამდე"[3]. ერთი სიტყვით, ვახუშტიმ უძველესი კამბეჩოვანის ტერიტორიაზე გამოყო ამ მხარის მთაგორიანი ნაწილი, რომლის ფარგლებში, ეტყობა, ეგულება მჭიდროდ დასახლებული მკვიდრი მოსახლეობა და მისი კუთვნილება — დიდი ველები და ზეგნები, რომლებიც „ქართლის ცხოვრებასაც" წარმოდგენილი აქვს, როგორც „კამბეჩის ვაკენი"[4]. მისი საზამთრო საძოვარ-სადგომებითა და სახნავ-სათესი ფართობებით. როგორც ფიქრობენ თვით გვიანბრინჯაოს და რკინის ფართო ათვისების ხანაშიც კი იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მიწათმოქმედებისა და

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა...", გვ. 93.
[2] ვახუშტი, „აღწერა...". გვ. 97.
[3] იქვე, გვ. 98.
[4] ქამთააღმწერელი ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ., გვ. 274.

მესაქონლეობის რაიონები დაახლოებით ისევე უნდა ყოფილიყო განაწილებული, როგორც ამჟამადაა[1].

ვახუშტის დიდი ყურადღებით აქვს შესწავლილი ცივ-გომბორის ქედის შემადგენელი მონაკვეთები, საიდანაც სრულიად აშკარად ჩანს, რომ ამ ქედის სულ უკანასკნელ ნაწილს, მის ბოლო მონაკვეთს „ცივი“ ანუ „ცივის მთა“ ეწოდება და რომ იგი ქიზიყის ჩრდილოეთში, სადღაც მაღარო-სიღნაღის ხაზამდე მიდის. როგორც იგი ამბობს, ცივ-გომბორის ქედის მონაკვეთებს ეწოდება: „კავკასიის კერძოსაკენ მთა კახეთისა, მერმე გონბორი, შუამთა და ცივი“[2]. ე. ი. ცივ-გომბორის ქედის ბოლო მონაკვეთს „ცივი“ სწოდებია და ეს სახელწოდება მას მისცემია არა რაიმე შემთხვევის გამო, არამედ იმიტომ, რომ მას „აქუს იქით და აქათ ცხელნი ადგილნი“[3]. ვახუშტის მიხედვით ამ ცივის მთიდან იღებს სათავეს ბოდბის ხევი[4], და ყველამ იცის, რომ, ეს სათავე სწორედ მაღარო-ბოდბის მაღლობის აღმოსავლეთის ფერდობებიდან იწყება. შემდეგ, როგორც უკვე ვნახეთ, ვახუშტი გვაუწყებს, რომ ქიზიყს საზღვრავს „ჩრდილოთ მთა ცივისა, კარდენახსა და ქისიყს შორისი“[5]; მესამე ადგილას ვახუშტი უფრო დაბეჯითებით ამბობს, რომ შუამთასა და „გონბორს“ ქვემოთ ცივ-გომბორის ქედის მონაკვეთს ეწოდება „მთა ცივისა კარდანეხის ხევამდე“-ო[6]. რაღა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ვერწმუნოთ მას და ჩვენც ცივ-გომბორის ქედის სულ უკანასკნელ მონაკვეთს „ცივი“, ანუ „ცივის მთა“ ვუწოდოთ, რომელიც თავისი ბოლოთი სადღაც კარდენახი — მაღაროს ხაზზე მოდის („კარდენახის“ ხევის სათავეც ჭოტორი-მაღაროს მაღლობთან მდებარეობს). კარდენახი-მაღაროს ხაზის შემდეგ მართლაც აღარ ჩანს ცივ-გომბორის ქედის ერთიანი წყალგამყოფი ზურგი, — აქედან იწყება ქიზიყის გულის, ანუ „პირველი კამბეჩოვანის“ უსწორმასწორობა, რომელიც წითელი

---

1 კ. ფიცხელაური, დასახელებული წყარო, გვ. 13.
2 ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 87.
3 იქვე, გვ. 100.
4 იქვე, გვ. 97.
5 იქვე, გვ. 98.
6 იქვე, გვ. 100.

წყაროს შემდეგ შირაქის ზეგანში იკარგება. ამ უსწორმასწორობას ვახუშტი განსაკუთრებულ სახელს არ არქმევს, პირდაპირ „ქისიყის ადგილს“ უწოდებს. „ადგილი ქისიყისა მოხვევია მთასა ცივის მთიდამ ჩამოსულსა“-ო[1], ე. ი. საჭიროდ არ მიიჩნევს არც ცივის მთისა და არც ჰერეთის მთის ხსენებას. აი, ამ უსწორმასწორობის დასაწყისში (ცივის მთის ბოლოზე), მდებარეობს მაღარო-ბოდბის უღელტეხილი, ხოლო დასასრულში (სადაც უსწორმასწორობა მთავრდება და შირაქის ზეგანი იწყება) — წითელი წყარო-ყარაღაჯის კლდეკარი ჩადის[2].

ქიზიყის „უსწორმასწორობის“ ფარგლებში სხვა ბუნებრივი გადასასვლელებიც, რასაკვირველია, არის,მაგრამ ყველა გადასასვლელთა „გასაღები“ მაღარო-ბოდბის უღელტეხილს ეკუთვნოდა. საქმე იმაშია, რომ „ქიზიყის ადგილის“ ყველა სხვა გადასასვლელთა უმეტესი ნაწილი ვიწრო ხეობებსა და კლდეკარებში გადიოდა, რის გამოც ადვილი ჩასაკეტი იყო. მაღარო-ბოდბის უღელტეხილს კი მეტად „ნათელი“ და გაშლილი ზურგი აქვს. ამიტომ მასზე გადამსვლელს არჩევანიც ფართო ჰქონდა. საჭიროებისდამიხედვით მას შეეძლო ამ ფართო გადასასვლელის ხეობებითაც და მათ შორის მდებარე ფერდობებითაც ესარგებლა. მაღარო-ბოდბის გადასასვლელის თავისებურებათა ამ რიგს ქართველთათვის ფართო მასშტაბის საფორტიფიკაციო საქმიანობა აუცილებელი უნდა გაეხადა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კამბეჩოვანის მთაგორიანი ნაწილი ამ გადასასვლელიანად მათ ხელში მოექცა (პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის დროიდან)[3], უფრო კი ვახტანგ გორგასალის მეფობის უკანასკნელი ხანებიდან, როდესაც უკვე მთელი კამბეჩოვანის მხარე საბოლოოდ შევიდა იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვრებში[4].

---

[1] ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 98.

[2] ასე აქვთ წარმოდგენილი „ქიზიყის ადგილი“ თვით ამ მხარის მკვიდრთაც. მწერალი ს. ფაშალიშვილი მკაფიოდ გამოთქვამს, რომ მათი ხაგვარეულო უბანი ს. ქვემთ მაჩხაანი გაშლილია „გომბორის კალმომავალ ნაწყვეტების ერთ-ერთი გორის ჩამოსათავარზე“. (ვ. რაზიკაშვილი „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა“, 1966 წ., გვ. 164).

[3] დ. მუსხელიშვილი, „უჯარმა“, გვ. 59.

[4] დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 67.

„მაღარო-ბოდბის მაღლივი გადასასვლელის მფლობელთა კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა ჩალაუბნის გადასასვლელიცა და ჭოეთის კლდეკარით ქიზიყის უკანა მხარში გამომავალი გზებიც; აქედან სწვდებოდა თვალი ბოდბისხევ-ტიბაან-უზუნდარის ხეობებსა და იორ-ალაზნის ფონებსაც.„

უეჭველია, სტრაბონის მიერ მითითებული საერთაშორისო გზაც ამ გადასასვლელს ემთხვეოდა: „გასასვლელი იბერიიდან ალბანეთში მიდის უწყლო და უსწორმასწორო კამბისენეთი მდინარე ალაზნიოზისაკენ“ გვაუწყებს იგი. და ჩვენც ხომ დავრწმუნდით, კამბეჩოვანი ორი დიდი გეოგრაფიული ელემენტისაგან შედგებოდა: უსწორმასწორო „პირველ კანბეჩოვანისა“ და „კამბეჩის ვაკესაგან“. უეჭველია, სტრაბონიც ამიტომ ამბობს ხაზგასმით, რომ ეს გზა კამბეჩოვანის უსწორმასწორო, მჭიდროდ დასახლებულ ნაწილზე გადიოდა. მხედველობაში გვაქვს, არა სალაშქრო გზები, არამედ ნამდვილი საქარავნო-სავაჭრო მაგისტრალები, რომლებიც, ბუნებრივია, მჭიდროდ დასახლებულ რაიონებზე გადიოდა.

სტრაბონის დროს იორ-მტკვარს შუა მდებარე ტერიტორია ნაგებიდან (რუსთავიდან) ყარაიამდე იბერიას არ ეკუთვნოდა[1]. „იბერთა სამფლობელოში ამ დროს არ შედიოდა, როგორც ვარაუდობენ, აგრეთვე ამის ქვემოთ იორ-მტკვრის შესართავამდე მდებარე მიწები“[2]., ხოლო ალაზანი იმ დროს თითქმის მთლიანად ალბანეთში მიედინებოდა[3]. რაკი გეოგრაფიული კამბეჩოვანის უშუალოდ იორ-ალაზნის ხეობები ამ დროს ალბანეთის კონტროლს ექვემდებარებოდა, ქართული კამბეჩოვანის ფარგლებში, ჩანს, შირაქის ზეგანი რჩებოდა. რა აუცილებლობას უნდა გამოეწვია იბერია-ალბანეთის შემაერთებელი გზის (ამ ზეგანზე) ისეთ ადგილზე გავლა, რომლის გადალახვა პომპეუსის მკაცრად გაწვრთნილმა ლაშქარმაც ძლივს მოახერხა? დიონ კასიოსი ამბობს, რომ ამ ველებზე შესული რომაელნი ღამით ლაშქრობისასაც კი „დიდად შეაწუხა სიცხემ“[4]. არც მაშინდელი და არც თანამედრო-

---

[1] დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 12, 32, 35.

[2] ნ. ლომოური, „დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ“, 1965 წ., გვ. 110

[3] იქვე, გვ. 111.

[4] იქვე, გვ. 63.

ვე, მშვიდობიანი მიზნებით მიმავალი არც ერთი მგზავრი ტარიბანა-შირაქის სტეპებს არ დაადგება, რადგან მაშინაც და ახლაც არის აშკარად უმჯობესი ბუნებრივი ტრასა, რომელიც მაღარო-სიღნაღი-ლაგოდეხის ან მაღარო-სიღნაღი-მირზაანი-ყარაღაჯის ხაზს ემთხვევა. განა ცნობილი არ არის, რომ თანამედროვე ძირითადი გზები, მით უმეტეს მთაგორიან მხარეებში, ისევ იმ ბუნებრივად და ტოპოგრაფიულად ხელსაყრელ ტრასებს გასდევენ, რომლებსაც გასდევდნენ უძველესი გზები და მათ შორის აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, ე. წ. „აბრეშუმის გზა"[1]. ამ მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება ნ. ლომოურის ვარაუდი ე. წ. პევტინგერის ტაბულით (IV ს.) მითითებული ერთ-ერთი სავაჭრო გზის მიმართულების შესახებ, რომ მისი ბოლო ნაწილი დაახლოებით ემთხვეოდა მირზაან-სიღნაღ-სართიჭალა-თბილისის ტრაქტს[2].

მეფე-პოეტი არჩილის „გაბაასების" მიხედვით ვიცით, რომ არსებობდა გზა, რომელიც ქიზიყის უკანა მხრიდან-კელმეშურიდან ჭოტორზე გადავლით სოფ. მაღაროში შედიოდა[3]. ვიცით აგრეთვე იმ გზის შესახებ, რომელიც გალმა მხრიდან ყარაღაჯ-„ქიზიყის გორა"-ვეჯინის მიმართულებით შუამთაში მიმავალმა რუსთა საელჩომ გამოიყენა (იხ. ქვემოთ). არჩილის „გაბაასების" მიხედვით, გარკვეული წარმოდგენა გვექმნება ქიზიყიდან გალმა მხარეში მიმავალი უმოკლესი გზის საერთო კონფიგურაციის შესახებ, რომლითაც სპარსეთიდან მომავალი თეიმურაზი გრემს ჩავიდა[4].

თეიმურაზის ამალას თავის გზაზე არა მარტო ქ. ბაზრისა და მთელი ელისენის მხარისათვის, არამედ მის პირისპირ ალაზანგამოღმა მდებარე ქიზიყის ქვემო ნაწილისთვისაც თავიდანვე აუქცევია მხარი: სპარსეთიდან ქიზიყის „ერთ სოფელში" (მაღარო-ბოდბის მიკრორაიონი) უეცრად ჩამოსვ-

---

1 ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან. თბილისი, 1966 წ., გვ. 174 (ვ. გაბაშვილის რედაქციით).

2 იხ. მისი „ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის", ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. I, 1958 წ. გვ. 115.

3 ა რ ჩ ი ლ ი, გაბაასება... გვ. 244 და სხვ. („ჩვენი საუნჯე", ტ. IV). თბილისი, 1960 წ.

4 ი ქ ვ ე, გვ. 161.

ლისა და ხუთდღიანი შესვენების შემდეგ კვლავ უმოკლესი გზით ალაზანგაღმა ჭიაურში გასულა და არბუხი-გავაზის გავლით გრემში ჩასულა. ამრიგად, ასეთია მაღარო-ბოდბის უღელტეხილზე გადამავალი დიდი გზების ერთ-ერთი განშტოება, რომლითაც ასეთი არისტოკრატიული ამალაც კი სარგებლობდა.

ქიზიყიდან გაღმა მხარეში გამავალი გზების რაოდენობა და მიმართულებანი ალაზანზე არსებული ფონებითაც შეიჭ-ლება იქნეს დადგენილი, ესენია: მდ. თალაჩაის შესართავის ფონი — ახლანდელი სოფ. სამთაწყაროდან ამ მდინარის მარცხენა ნაპირის გასწვრივ ზაქათალამდე მიმავალი გზით, ურდოს ფონი — მდ. ბელაქნის შესართავთან, ამ მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ ბელაქნისაკენ მიმავალი გზით: ლაგოდეხის ფონი, ჭიაურის ფონი-მაღარო-სიღნაღის გადასასვლელის გასწვრივ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქიზიყის „ერთი სოფლის“ სახით არჩილს ნაგულისხმევი აქვს არა მხარე, არამედ ამ მხარის მოსახელე ის პუნქტი ან მიკროორაიონი, რომელიც, როგორც ჩანს, მაშინდელ მაღაროსა და შემდგომი დროის ნუკრიან-სიღნაღის მიდამოებს რქმევია. რა საბუთები ადასტურებს ამ დებულებას? აი ისინიც:

„ყარაღაჯიდან შუამთისაკენ (თელავის მახლობლად მდებარე) მიმავალმა რუსთა ელჩებმა, როგორც მათი ხელმძღვანელი მიშეცკი წერს, 1640 წლის 6 აგვისტოს ღამის გასათევად ბანაკი დასცა „ქიზიყის გორასთან“, სახელწოდება „ქიზიყის გორა“, ცხადია, მიშეცკიმ შეიტყო თანმხლები მაღალი მდგომარეობის ქართველებისაგან და სარწმუნოდ უნდა მივიღოთ. აკად. გ. ჩუბინაშვილი მიშეცკის ამ „ქიზიყის გორას“, რომლის ძირშიც ელჩებმა ღამე გაათიეს, დღევანდელი სიღნაღის მაღლობლად მიიჩნევს[1]. ამავე დღეს (1640 წლის 6 აგვისტოს) რუსთა საელჩოს, როგორც ჩანს, შემოფანტვია აქამდე მომცილებელი ადგილობრივი მეურმეები, ამიტომ «Азнаури Магров с товарищами привели послу под государеву казну и под посольскую и государевых людей рухлядь 10 подвод с телеги, а в телегах впряжены быки»[2].

---

[1] «Архитектура Кахетии, 1959, стр. 469.

[2] М. Полиевктов, «Посольство Мышецкого...», 1928, стр. 225.

აქედან კარგად ჩანს, რომ წასულ-წამოსული მეურმე გლეხების ნაცვლად ელჩთა გადასაყვანად და მათი ბარგის გადასაზიდად მაღაროელ აზნაურთ მოუყვანიათ ხარებშებმული ათი ურემი, ე. ი. „ქიზიყის გორის“ მიდამოებში, როგორც მოსალოდნელი იყო, მაღაროელი აზნაურები განაგებდნენ საქმეებს.

შემდეგ, 1711 — 1716 წლებით დათარიღებული წმ. ნინოს მონასტრისადმი მიცემულ ერთ სიგელში აღნიშნულია, რომ ბოდბის საეკლესიო გლეხების მიერ „რიგის ძროხის“ გადახდაზე უარის თქმით გამოწვეული მღელვარების შედეგად ქიზიყის მხარე ლეკებმა დაარბიეს. სიგელში აღნიშნულია, რომ ეს გადასახადი ევალებოდათ თანაბრად ბოდბეს, ხეესა და „ხიზიყს“.

დასასრულ, თავისი მხარის მოსახელე განსაკუთრებული მიკრორაიონის (მთის, დასახლების, ან დასახლებათა მჭიდრო ჯგუფის სახით) „ქიზიყის“ არსებობაზე აშკარად მეტყველებს ბაგრატ ბატონიშვილის მიერ 1800 წლის ნოემბრით დათარიღებული ცნობა: გიორგი XIII განკარგულებით იგი ომარხანისა და მასთან მიკედლებული ალექსანდრე ბატონიშვილის წინააღმდეგ ამხედრებულა და რუსის ჯარის ორი ბატალიონის თანხლებით სალაშქროდ გასული იტყობინება, რომ “წარემართნენ და მივიდნენ წინამხარს, ძველს ანაგად წოდებულსა ადგილსა, რომელიცა შორავს ქიზიყსა ორითა... ფარსანგითა“[1]. ყველამ იცის, რომ ძველი ანაგაც ქიზიყში იყო, მაგრამ ბაგრატი მაინც ამბობს „რომელიც შორავს ქიზიყს ორითა ფარსანგითა“. ლაპარაკი ზედმეტია, რომ „ქიზიყი“, რომლიდანაც ორიენტირებულია ძველი ანაგა, არის ცალკე პუნქტი, რომელიც ამ შემთხვევაშიც თავისი მდებარეობით სიღნაღი-ნუკრიანის მაღლობს გულისხმობს (მიშეცკის „ქიზიყის გორას“[2]).

ეგივე ბაგრატ ბატონიშვილი მიუთითებს ერთ საინტერესო ფაქტზე: „წელსა 1801 მაშინ ძენი მეფისანი იულონ და ვახტანგ წარემართნენ ქიზიყსა კერძ დასაპყრობლად ქიზიყი-

---

1 ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“ (თ ლომოურის კამოცემა, გვ. 73—74).

2 ფარსანგი — დაახლოებით 6,5 კმ-ს უდრიდა

სა, რათა დაიპყრან თვით მეფობა“ (ყურადღება მიაქციეთ: ქიზიყში ქიზიყის დასაპყრობად. — ი. შ.); შემდეგ „რაოდენისამე ზემო ქართლისა თავადითა მისრულთა ქიზიყს მოსცეს რომელთამე ქიზიყელთაცა ფიცი და აგრეთვე ყაზახთაცა, რამეთუ მის ჟამს მოსრულიყო ყარაბაღით ალექსანდრეცა და იყო ყაზახსა შინა. მსმენელმან დავით (ქართ-კახეთის რეგენტი გიორგი XIII გარდაცვალების შემდეგ — ი. შ.) წარავლინა ძმა თვისი იოვანე სპითა რუსეთისათა და აგრეთვე ქართველ-კახითა, რომელნიცა მასთანა იყვნენ მოსულთა მ ა ღ ა რ ო ს. ჰსცნეს მეფის ძეთა მოსვლა იმათი და ივლტოდნენ უკან ქართლადვე“[1].

მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ თავისი მხარის მოსახელე გარკვეული გეოგრაფიული პუნქტი „ქიზიყი“ აქაც ნაგულისხმევია სადღაც მაღარო-სიღნაღის მიდამოებში.

იგივე ბაგრატ ბატონიშვილი 1812 წლის კახეთის ამბოხების მსვლელობასთან დაკავშირებით ერთგან კიდევ ადასტურებს ქიზიყ-სიღნაღის იდენტურობას: „მოკრბნენ კახნი მის თანა, სრულებით მოჰსყვიტნეს რუსთა დიაბეგნი. თელავს და ქიზიყს-სიღნაღს და იასაულნი მათნი და გამოყარეს მხედრობაი რუსთა კახეთით“[2].

პლატონ იოსელიანი თავის შრომაში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, მოჰყავს რა რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ არსებული დოკუმენტები, ერთგან მიუთითებს, რომ ჭარელი ლეკები დაღისტნელებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ კახეთზე თავდასხმებში, განსაკუთრებით კი „სამფლობელოსა ქალაქისა ქიზიყისა“-ზეო[3]. აქ არ არის ნაგულისხმევი ის „ქალაქი ქიზიყი“, რომლის შექმნას მიაწერენ ბეჟან-ხანს და რომელიც XVII საუკუნეშივე უეცრად გაქრა სპარსელი სატრაპების გამოჩენისთანავე;[4] მით უმეტეს, არ იგულისხმება ბერძნული ქალაქი „კიზიკი“ — მარმარილოს ზღვისპირად რომ იყო შორეულ წარსულში. ცხადია, რომ აქ მხედველობაშია ჩვენ მიერ მინიშნებული მიკროუბა-

---

1 ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, „ახალი მოთხრობა“, 1941 წ., გვ. 76.

2 იქვე. გვ. 119.

3 დასახელებული წყარო, გვ. 110.

4 Потто, «История 44 драгунского нижегородского полка», 1893, стб. стр. 124.

ნი ქიზიყი და მის ფარგლებში წარმოდგენილი გვიანდელი დროის ქალაქი სიღნაღი. მიკროორაიონი „ქიზიყი“ უნდა წარმოვიდგინოთ მთელი მხარის დიდმნიშვნელოვან საკვანძო, გამაგრებულ ობიექტად, რომელსაც ყოველთვის ეყრდნობოდნენ ქართველები.

დავუბრუნდეთ მეფე-პოეტი არჩილის ცნობებს, რასაც იგი გვაწვდის ახალგაზრდა თეიმურაზ I სპარსეთიდან დაბრუნების ამბების აღწერისას.

როგორც ვთქვით, თეიმურაზი და მისი მხლებლები კახეთში შემოდიან ქიზიყის მხრიდან „უმეცრად, შეუტყობრათ ქიზიყს მიველ ერთ სოფელს“. ქიზიყის ამ ერთ სოფელს თეიმურაზი I კიდევ არაერთხელ ახსენებს:

„ქ ი ს ი ყ ი თ წამოიყვანდნენ თორმეტჯერათას ოსანსა,
სულ კარგ ულაყზე მჯდომელსა, ვინ ნახავს იქ ჭაკოსანსა?
მარტო ი მ ს ო ფ ლ ი თ იტყოდეს შვიდასსა ჭარმაგოსანსა.
ე რ თ ი ს ო ფ ლ ი თ ეს მოვიდის, ნახე ოუ სხვა რამდენია“.[2]

ასე დაბეჯითებით რამდენჯერმე ნახსენები „ე რ თ ი ს ო ფ ე ლ ი“, რომლის სახელწოდებადაც თავდაპირველად „ქისიყია“ მითითებული, ვფიქრობთ, იმაზე მეტყველებს, რომ არჩილი „ქიზიყით“ იცნობს ცალკე გეოგრაფიულ პუნქტს ან, ყოველ შემთხვევაში მჭიდროდ განლაგებული რამდენიმე დასახლებისაგან შემდგარ მიკროორაიონს, რომელიც უკვე მოყვანილი მოსაზრებებისა და საბუთების მიხედვით მაღარო-სიღნაღის გადასასვლელის ღერძზე მდებარეობდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არჩილი ქიზიყის მხარის კარგ ცოდნას ამჟღავნებს, სადაც საჭიროდ თვლის, იგი პირდაპირ ასახელებს ამ მხარის სოფლებს (კელმეშური, მაღარო, ჭოტორი). ისე, რომ ამ „ერთი სოფლის“ ქვეშაც მას რაიმე ანონიმური პუნქტი კი არ წარმოუდგენია, არამედ „ქისიყი“ აქვს ნაგულისხმევი.

ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ თანამედროვე სიღნაღის ეს წინაპარი (ქიზიყი, ხისიყი) თავის მხრივ უნდა ყოფილიყო მემკვიდრე ამავე არეში ადრე არსებული უძველესი ქალაქი კ ა მ ბ ე ჩ ო ვ ა ნ ი ს ა.

---

[2] ა რ ჩ ი ლ ი, „გაბაასება...“ გვ. 179.

მაღარო-ბოდბე-სიღნაღის გადასასვლელის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს მრავალი ისტორიული მოვლენა, რომელიც ზედ მის ზურგზე და მისადგომებზე მომხდარა.

მაღაროს აღება ორჯერ უცდია გიორგი VI (მცირეს) 1329 წლის ახლო ხანებში. პირველად თურმე „დ ი დ ა დ ე ვ ნ ო“ დამარცხდა. მეორედ მისი იერიში კიდევ უფრო სერიოზული მარცხით დასრულებულა. მხოლოდ მესამე შეტევის დროს გაუჭრია გიორგის ლაშქრის სარდლის სამხედრო ხერხს: განგებ უკანდახევით ჩამოიტყუეს მაღაროს მცველნი თავიანთი ძლიერი პოზიციებიდან და „იძლივნენ მაღაროელნი“[1]. აქ, მაღაროში, 1520 წელს ლევან V დაამარცხა თავისი მამის ტახტის მიმტაცებელი დავით მეფე და გახდა კახეთის სრული მფლობელი[2]. ბოდბეზე იერიშის მიტანის ზემოთ უკვე ხსენებული ფაქტის გარდა, როსტომ მეფე ერთხელ კიდევ დასცემია მაღაროში „სუბათ“ მდგარ, ე. ი. საკმაოდ მოუმზადებელ თეიმურაზს, მაგრამ ამჯერად თურმე „ვერღარა დაუდგა როსტომ მეფე, გაიქცა“[3]. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ამ ბრძოლაში ქიზიყელები მაღაროში არსებულ სიმაგრეებს ეყრდნობოდნენ.

ჰარელ ლეკთაგან დაცვის საჭიროებისათვის კახეთის მეფე იმამ-ყული-ხანმა ჯარი სთხოვა ქართლის მეფეს იესეს. მან „წარმოუვლინა სპასპეტი ლუარსაბ სპითა საბარათიანოთა, მოვიდნენ დ ა დ ა ს დ გ ნ ე ნ მ ა ღ ა რ ო ს კახთა სპითურთ შესვლად ჰარს“ — გვაუწყებს ვახუშტი ბაგრატიონი“[4].

ჰ დაღესტანზე გასალაშქრებლად მომზადებული ვახტანგ VI 1722 წელს თავისი ლაშქრით დიდხანს მდგარა მაღაროში, მაგრამ კახეთის მეფის იმამ-ყული-ხანის გარდაცვალების გამო ეს ლაშქრობა განუხორციელებელი დარჩენილა[5]. „წელსა 1734 უსუფ-ფაშა მოვიდა დიდის ჯარით ქ ი ს ი ყ ს-მ ა ღ ა-

---

1 ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II გვ. 444 (და შენიშვნა, გვ. 671).

2 ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, „საქართველოს ცხოვრება“, 1913 წ. გვ. 207.

3 ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 423.

4 ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 205.

5 П л. И о с е л и а н и, «Путевые заметки по Кахети», стр. 35—37.

რ ო ს და დადგა მუნ, რათა ნებისა-მებრ თვისისა დაიპყრას კახეთი; ხოლო ჰსცნა ზ ა კ უ ლ ე ბ ა მეფე-მან თეიმურაზ შემოიკრიბნა კახნი, მოვიდა ღამე და თავს დაესხა და გაემარჯვა ოსმალთა ზედა". შემდეგ: „წელსა 1735 მოვიდნენ ლეკნი და ქისიყი მოარბიეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა 15"... ერეკლემ იერიში მიიტანა ლეკებზე, სასტიკად დაამარცხა და „მოვიდა მ ა ღ ა რ ო ს გამარჯვებული. რომლისათვის ფრიად ჩხიარულნი იყვნენ კახნი[1].

პაპუნა ორბელიანი წერს, რომ დაღესტნელთ დიდი ლაშქარი შეეყარათ და ქართლ-კახეთზე წამოსვლას ლამობდნენ: „ისმინეს ამბავი მეფეთა ჩვენთა, შეიყარა ქართველთ ბატონმა ჯარი ქართლისა, ყაზახ-ბორჩალური და წაბრძანდა კახეთს, კახეთის ჯარიც იქ შემოეყარა და დ ა დ გ ნ ე ნ მ ა ღ ა რ ო ს; რა ესმა ლეკთა ამბავი ქართლისა და კახეთის შეყრილობა, ვეღარ გაბედეს გარდმოსვლა და უკუდგნენ"[2].

მემატიანეები განაგრძობენ: „პირველ მოუხდნენ ქიზიყს"[3], „გამოვიდა ჯარი ლეკისა ფრიადი.... წაბრძანდა მეფე ერეკლე კახთა და ქართველთ ჯარით, ქისიყის ბოლოს შეებნენ, გააქციეს ლეკი, ამოწყვიტეს მრავალი, რომ ერთი ამისთანა გამარჯვება იმ ცოტა ხანში არ ყოფილიყო"[4]. „გარდმოვიდნენ რაც დაღესტანში ბელადი იყო. დიაღ დიდის ჯარებით... ქისიყს ცემა დაუწყეს. მოეშველა კახი ბატონი, ორჯერ გაიმარჯვა, გააქციეს, ლეკიც ბევრი მოკლეს, დიდად დაუმარცხა მეფემ ერეკლემ და იმ ომებში კაის სარდლად მოიქცა თამაზ მოურავი (ქიზიყისა — ი. შ.), მაგრამ ასეთი ჯარი იყო ლეკისა, რომ ამ დამარცხებით არ გაბრუნდებოდნენ" ლეკები. აქედან „შვიდი ათასი ცხენოსანი" ყაზახს დასცემია. ამის შემტყობი თეიმურაზი (ერეკლე მეორის მამა) „წაბრძანდა საჩქაროდ... ქისიყს, რომ კახი ბატონიც იქა ბრძანდებოდა და კახეთის ჯარიც იქ შემოეყრებოდა, მოეგება კახი ბატონი ბეჟან-ბაღზე (კაჭრეთის მახლობლად — ი. შ.), მიბრძანდნენ მ ა-

---

1 ო მ ა ნ ხ ერ ხ ე უ ლ ი ძ ე, „საქართველოს ცხოვრება", მე-2 გამოცემა, 1913 წ., გვ. 242—243.

2 პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „საქართველოს ცხოვრება", II, გამოცემა, 1913 წ., გვ. 176.

3 ი ქ ვ ე, გვ. 124—125.

4 ი ქ ვ ე, გვ. 132.

ღ ა რ ო ს, დაუძახეს, შემოიყარეს კახეთის ჯარი, მოვიდა ამ-ბავი: ლეკისა ჯარი იორზე ჩამოვიდაო". ქართველებმა შირა-ქის ბოლოებზე, სადაც „ალაზანი და იორი იყრება, დანლიზს" სასტიკ ბრძოლაში გაანადგურეს ლეკთა ლაშქარი. ნადავლში მარტო ცხენი ათასხუთასი აღმოჩნდა. ნაომარზე გადაიხადეს დიდი ზეიმი და „სიხარულით სავსენი მ ო ბ რ ძ ა ნ დ ნ ე ნ ი ს ე ვ კ ა ხ ე თ ს, მ ა ღ ა რ ო ს"[1].

„კვლავად შეიყარა ნურსალ-ბეგმან მხედრობა დიდი ლეკ-თა და შთავიდა შაქი-შირვანსა კერძო, მუნით უეცრად წამო-ვიდა და დაესხა ბოდბეს და იავარჰყო რამოდენიმე უბანი. მაშინ მხნედ იყვნენ ბალაანი, ამოვიდა სიღნაღით მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი მ ა ღ ა რ ო ს, სადაც შეკრებილიყვნენ ქიზიყელნი და მოსწყვიტნეს უმეტეს ათასისა და მუნ ლეკმან ერთმანეთ ჰყო ტყვედ დიაცი ერთი, სწადდა რა დამდაბლება მისი, წააძრო ხანჯალი და მოკლა ლეკი იგი დიაცმან"[2] — იუწ-ყება ომან ხერხეულიძე.

1812 წელს ნაპოლეონის მიერ მოსკოვის აღებით წაქეზე-ბულმა შაბა-ხანმა უბრძანა „ძესა თვისსა აბას მირზასა... წა-რემართოს საქართველოსა ზედა და განჰყაროს მუნით მხედ-რობანი რუსთანი"... ალექსანდრე ბატონიშვილმაც კვლავ მოუწოდა კახეთს რუსთა მმართველობის წინააღმდეგ ამბო-ხებისაკენ. ამბოხებულთა „დასამშვიდებლად" გაიგზავნა რუ-სის ჯარი დიმიტრი ყაფლანიშვილისა და გენერალ სვიმონი-ჩის სარდლობით. ბრძოლა მოხდა მანავში; „იძლია რუსთაგან ალექსანდრე და მ ო ვ ი დ ა ქ ი ზ ი ყ ს, გ ა ნ ა მ ა გ რ ა ქ ი-ზ ი ყ ი და იდგა მუნ"[3]. აქ უკვე სავსებით ცხადია, რომ მეორედ მოხსენებული „ქიზიყი" არის „ქიზიყის გორა", რომელზე-დაც ამ დროს უკვე იყო სიღნაღის უზარმაზარი ციხე-გა-ლავანი.

მთავარმართებელი მარკიზ პაულუჩიც 1812 წელს წერ-და, რომ სიღნაღის მაზრაში სტრატეგიული თვალსაზრისით

---

[1] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „საქართველოს ცხოვრება", 1913 წ., II გამოცემა, გვ. 180.

[2] საქართველოს ცხოვრება, II გამოცემა, 1913 წ., გვ. 289.

[3] ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, „ახალი მოთხრობა" (თ. ლომოურის), 1941, გვ. 131—132.

ორი მნიშვნელოვანი პუნქტია — მაღარო და ყარა-ღაჯი[1].

მაღარო-ნუკრიან-სიღნაღი ხშირად ხდებოდა სისხლიანი შეჯახებების არენად. 1812 წლის ამბოხების დღეებში ჯერ მეამბოხეთა და რუსის რეგულარულ ჯარებს შორის, შემდეგ ირანის მიერ ხელმომართულ ტახტის მაძიებელ ალექსანდრესა და რუსის ჯარს შორის, ბოლოს რუსთაგან წაქეზებულ თათარ-ლეკებსა და მეამბოხე ქიზიყელთა შორის[2].

XVII-XVIII საუკუნეების ჩვენი მტრები ძალიან ხშირად გვერდს უვლიდნენ მაღარო-სიღნაღის სტრატეგიულად მძლავრ რაიონს და დანღიზ-იორის ან ახმეტა-საგურამოს გზით იპარებოდნენ ქართლის სიღრმეში.

* თავისი მხარის მოსახელე „ქიზიყი" თავდაპირველად მაღარო-ნუკრიან-„ქიზიყის გორის" ფარგლებს ემთხვევა, შემდეგ კი მხოლოდ „ქიზიყის გორას" (სიღნაღის მაღლობს) გულისხმობს და ქართლ-კახეთის აღმოსავლეთის კარის ციტადელად გვევლინება. *

ზემოაღნიშნული და სხვა ასეთი მოვლენები, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო ამ მეტისმეტად დიდმნიშვნელოვანი ობიექტის (გადასასვლელი, ადმინისტრაციული ცენტრი) დაპატრონებისაკენ, უნდა მიგვითითებდნენ იმაზეც, რომ აქ არა მარტო ხმალი ტრიალებდა, არამედ მის საგანგებოდ გამაგრებაზეც ზრუნავდნენ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ წარმოქმნათა ხელმძღვანელები.

* მაღარო-ბოდბის გადასასვლელი ამჟამად თითქმის სრულიად „გაწმენდილია" საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაკვალევთაგან, თუმცა ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ასეთი ნაგებობების არსებობაზე ბევრი რამ მეტყველებს; დღევანდელი მაღარო-ბოდბე-სიღნაღის მიდამოების სოფლების საყოფაცხოვრებო ნაგებობებში ჩაკირული რიყის ქვა-ლოდებიც ძველი კამბეჩოვანის მოსახლეობის გადაშენება-მომრავლების განუწყვეტელი

---

[1] Акты КАК (Акты Кавказской Археографической Комиссии), I, стр. 54.

[2] ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები", II, გვ. 468.

პროცესის ბედს იზიარებდა: ხან დღევანდელი ნაგებობების კომპონენტი იყო, ხან მრისხანე ციხე-კოშკების კედლებში ატარებდა საუკუნეებს, ხან კიდევ უთანასწორო ბრძოლებში დაცემულ მეომართა გვამებში ირეოდა.

8. იბერიის უდიდესი სამლოცველო

მაღარო-ბოდბის გადასასვლელის თხემიდან ჩრდილოეთით და ახლანდელი ქ. სიღნაღიდან აღმოსავლეთით სამოოდე კილომეტრზე მდებარეობს იბერიის (ქართლის) სამეფოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლის — წმინდა ნინოს საყდარი, ამის შესახებ აკად. გ. ჩუბინაშვილი წერს: „უძველესი ქართული ქრონიკები, რომლებიც IX საუკუნით არის დათარიღებული, მაგრამ გამომდინარეობენ უფრო ადრინდელი, ნაწილობრივ თვით აღწერილი ამბების დროის წყაროებიდან, გვაუწყებენ, რომ წმინდა ნინოს დაკრძალვის დროსვე მირიან მეფეს ეკლესია აუგია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველ შემთხვევაში, VII-VIII საუკუნეებში აქ იყო ძველი სახელგანთქმული ეკლესია და მთელი იბერიის სამლოცველო, რომლის აგებასაც უკვე მაშინ მიაწერდნენ ნინოს გარდაცვალების დროებას"[1]. ორივ XII საუკუნის მწერალი არსენ ბერიც გვიდასტურებს, წმინდა ნინო „დაჰკრძალეს მასვე დაბასა ბუდეს და ეკლესიაც აღუშენეს და ეპისკოპოზი განაჩინეს მას ზედა"-ო[2]. ამ საწმუნოებრივი ცენტრის უდიდეს ავტორიტეტზე მიუთითებს XIII საუკუნის ერთი ისტორიული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ქიზიყელი ეპისკოპოსი მეფეთა კურთხევის ცერემონიალზე რიგით მეშვიდე ადგილს იკავებდა (35 ეპისკოპოსისა და მამამთავართა შორის[3]). ამასვე ადასტურებს ვახუშტი, როდესაც ამბობს, რომ „ბოდბელი არის პირველი ეპისკოპოზი კახეთისა, პატივისათვის წმიდის ნინოსა"[4] და განმარტავს, რომ კახეთის მეფეებს „გვირგვინსა დაადგამდა... ბოდ-

---

1 Г. Чубинашвили, Архитектура Кахети, 1959, стр. 86.
2 იხ. მისივე „ნინოს ცხოვრება", („ჩვენი საუნჯე", ტ. I, გვ. 433).
3 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1966 წ., გვ. 47—48.
4 „აღწერა...", გვ. 97.

ბელი"[1]. მართლაც, ბოდბის წმინდა ნინოს საყდარში დაადგეს გვირგვინი თეიმურაზ I[2], უფრო ადრე 1514 წელს[3] — კახთა მეფე ლევანს და ა. შ.

წმინდა ნინოს დაკრძალვის ადგილზე, სამეფოს მონაპირე მხარეში, ახალი ქრისტიანული სარწმუნოებრივი ცენტრის დაფუძნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა: აღმოსავლეთისაკენ გამიზნული სარწმუნოებრივი ექსპანსია ქართლის სამეფოს ეთნიკურ-ეროვნული საზღვრების განმტკიცება-გაფართოების საქმეს უმართავდა ხელს. ტყუილად კი არ ამბობდა დიდი ილია, რომ „ქრისტეს სჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებრივი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთანავე ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად"[4]. მართლაც, კახეთის დედოფალმა სუჯიმ ნინოს ქადაგების შემდეგ ქრისტიანობა რომ მიიღო, მცხეთაში ჩამოვიდა და სვეტიცხოველს შესწირა მთელი თავისი ოჯახის ავლადიდება და „დაბაი დიდი ბუდისი"[5].

თავის დროის კახეთის აღორძინების მოსურნე ვაჟა-ფშაველა ამავე დებულებებს პოეტური ენით გამოთქვამდა: „სარძაზარ მხრებიანი კავკასიის მთები „ალავერდს გიორგისა სთხოვს, ბოდბეში წმინდა ნინოსა, რომ იმათ მეოხებითა კახთ ახივი მოეფინოსა"[6].

წმინდა ნინოს საყდრის მიდამოების დაცვა რომ მართლაც ხალხის წმინდათა-წმინდა ვალს შეადგენდა, ამას ხალხური თქმულებებიც გვიდასტურებენ. ერთი მათგანი — „კახეთს მოადგა თარეში" გადმოგვცემს, რომ „ლეკები უახლოვდებოდნენ ბოდბის მონასტერს, უნდა დაუნგრიოთ გურჯებს მონასტერი და გუმბათი სულ მთლად მოუფუშოთო. ქიზიყე-

---

1 აღწერა, გვ. 19.

2 ლ. მენაბდე, „ძველი ქართული მწერლობის ჟანრები", 1962 წ., ტ. I, ნაკვ. 1, გვ. 355.

3 ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება", გვ. 161.

4 იხ. მისი თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1955 წ., გვ. 65—66.

5 ნინოს ცხოვრება, „ჩვენი საუნჯე", ტ. 1, გვ. 432—433.

6 ვაჟა-ფშაველა, კახეთს, თხზულ., II, 1964 წ., გვ. 236.

ლებს, რასაკვირველია, სისხლი ყელში მოსვლიათ — აბა რა-ხან ასეა, ეხლა ჩვენ ვიცითო! ქიზიყელთა შორის ერთი ვაჟ-კაცი, მეტსახელად „მგელკაცა“ ერია, რომელიც „ისე დაერია ლეკებს, როგორც მგელი ცხვრის ფარას“... ლეკების შავბნე-ელი განზრახვა ქიზიყელთა გმირობამ ჩაშალა და ბოდბის მო-ნასტერიც აოხრებას გადარჩენია[1].

ასეთსავე ამბავს გადმოგვცემს მეორე ქიზიყური ხალხური თქმულება: ერთხელ ლეკებს უცდიათ ბოდბის მონასტრის დან-გრევა და აოხრება, მაგრამ ქართველებს ისე შეუვიწროებიათ ლეკები, რომ იძულებული გამხდარან განზრახვაზე ხელი აე-ღოთ და შერცხვენილნი წასულიყვნენ თავიანთ მთებში. ერთი სიტყვით·

„როცა ვერარაკ გახდენონ,
თათრები ისე წახდენონ,
რომ მშიერ კუჭით მთებშია
ძაღლივით მილასლასდნენონ“[2].

სარწმუნოებრივი ცენტრების შავდაცვითი დანიშნულების გამომხატველია მრავალი მათგანის სახელწოდება. მაგალითად, მარტყოფის „ღვთაებას“ ვახუშტი „ციხე-გოდლოსანს“ უწო-დებს და პირდაპირ ამბობს მასზე: „მზგავსი ციხის“-აო. (აღწე-რა... 95).

სარწმუნოებრივი ცენტრების სტრატეგიულ პუნქტებში შექმნა მარტო საქართველოში როდი იყო მიღებული; ფეო-დალურ რუსეთშიც „მრავალი მონასტერი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ საყრდენ პუნქტს“[3]. ამიტომ არა-ფერია გასაკვირი გიორგი მერჩულის 951 წ. ცნობაში იმის შესახებ, რომ გრიგოლ ხანძთელმა „დიდებული აზნაურის“ გაბრიელის დაკვეთით ეკლესიათა საძირკვლების ჩაყრის წინ წარმოსთქვა: „დაე ესე ოთხ კერძო კრებული საღმოთოი წმინ-დათა ყოველთა გარემოდგომილი ზღუდისა სახედ უძრავისა სიმტკიცე ექმნეს წმიდათა შენთა ეკლესიათა“[4], ანდა პირ-

---

1 გ. სვანიძე, „ქართული ხალხური სიმღერები და მასთან დაკავ-შირებული თქმულებები“, 1967 წ., გვ. 71—72.
2 გ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 134—136.
3 Н. Нагтаев, Церковь и феодализм на Руси, 1960, стр. 82.
4 გიორგი მერჩული, ჩვენი საუნჯე, ტ. I, გვ. 164.

დაპირ წმ. ნინოს მონასტრის შესახებ მეცამეტე საუკუნის მწერლის არსენ ბულმაისიმის ძის ნათქვამი: „სოროი (სამარე ი. შ.) ნაწილთა შენთაი სავსე მადლითა უპყრიეს ზღუდედ ქართველთა მეფობასა, ხმობენ შენდამი: უკუნ იქციენ მტერნი, დასცენ ჯვარისა ქრისტესისა მეგობარნი, ჰოი ღირსო ნინო, და სცევდ სამწყსოსა შენსა"[1]. ამიტომ არც ისაა გასაკვირი, რომ ძველი ალბანეთის მხრიდან მომართული ბუნებრივი გზების „ქიზიყის ადგილის" შემოსასვლელებშია აგებული ჩვენამდე მოღწეული უძველესი და უმნიშვნელოვანესი სარწმუნოებრივი ობიექტები:

— ოზაანის ამაღლების ტაძარი (IX-X სს) — ე. წ. უზუნდარის ხეობის თავზე მდგარ მწვერვალზე;

— ხირსის წმ. სტეფანეს ტაძარი (VI ს) — მაღარო-სიღნაღის გადასასვლელის გზათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განტოტებაზე (ხირსა-ტიბაანის მხრიდან);

— ბოდბისხევის ეკლესია (განვითარებული შუასაუკუნეები) — მაღარო-მირზაანი-წნორზე გამიზნული ხეობების სათვალთვალოდ შერჩეულ მწვერვალზე;

— წმ. ნინოს საყდარი (VI-VII სს) — მაღარო-სიღნაღის გადასასვლელის გზათა კვანძში;

— ვაქირისა (განვითარებული შუა საუკუნეები) და ანაგის ტაძრები (კვირაცხოველი და მთავარანგელოზი) — მაღარო-სიღნაღის გადასასვლელის გზათა მეორე უმნიშვნელოვანეს განტოტებაზე და ა. შ.

უდავოა, რომ წმ. ნინოს სარწმუნოებრივი ცენტრის ფასაცავად ასეთივე დარაზმულობით გამოდიოდა ხალხი ადრეულ საუკუნეებშიც. ამგვარად ტაძარი ამართლებდა თავის არა მარტო სარწმუნოებრივი ცენტრის როლს, არამედ მხარის ძალთა მობილიზაციის საქმესაც უმართავდა ხელს[2].

ცოდნის შეძენის დაუოკებელი სურვილისა და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის მთესველი ამ უძველესი კერის მიერ შექმნილი ტრადიციის შუქი სწვდებოდა გვიანდელ ხანის

[1] არსენ ბულმაისიმის ძე, „ვალობაი წმინდისა მოციქულისა ნინოსი" (ჩვენი საუნჯე, ტ. I, გვ. 545).

[2] ძალთა მობილიზაციისა და გაძღოლის ფუნქცია გვიანფეოდალურ ,ახეთში ეპისკოპოსებს ეევალებოდათ („XIV-XVIII საუკ. რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი", 1964 წ., გვ. 123).

მრავალ აქაურ კოლორიტულ ფიგურას. მათ შორის ვიგულისხმ
თავის ეპოქის ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში ღრმად
განსწავლულ იონა ხელაშვილს (1775—1837 წწ.), პირველ
ქართველ განმანათლებელს, ფილოსოფოსს, ჟურნალის-
ტსა და აღმზრდელ-მასწავლებელს სოლომონ დოდაშვილს
(1805—1836 წ.წ.), გენიალურ თვითნასწავლ მხატვარს ნიკ
ფიროსმანაშვილსა და სხვა მრავალ სახელოვან ქართველ მა-
ძულიშვილს.

IX წმ. ნინოს დაკრძალვა მაღარო-ბოდბის გადასასვლელის მი-
დამოში იმაზეც მიგვითითებს, რომ მის დაკრძალვამდე (IV ს.
პირველი ნახევარი) დიდი ხნით ადრე ეს მნიშვნელოვანი პუნ-
ქტი კამბეჩოვანის მესვეურთა ყურადღების ცენტრში იყო და
აქ უკვე არსებობდა მნიშვნელოვანი დასახლება წარმართობის
საკულტო ცენტრით.

წმ. ნინოს ცხოვრებიდან კარგად ჩანს, რომ მას საქართვე-
ლოში მხოლოდ ხალხმრავალი და ძველი სარწმუნოებრივი
ცენტრები აინტერესებდა და თავდაპირველად მათზე მიჰ-
ქონდა ნამდვილი იერიში. ლეონტი მროველი მოგვითხრობს,
რომ საქართველოში მოსული ნინო ჯერ ურბნისში შეჩერდა
(ერთი თვით) „სადა იგი იხილა ერი უცხო თესლთა ღმერთთა
მსახურ"[1]... ყველაზე მეტ ხანს ნინო სამეფო ქალაქ მცხეთაში
შეჩერდა („სამ წელ")[2], შემდეგ კი აღმოსავლეთისაკენ აიღო
გეზი. ამასთან უჯარმა-ბოდბეში გამგზავრების წინ, წმ. ნინოს
რჩევით მეტისმეტად საოცარი ხერხით დაადგინეს ახალი
საყდრების აგებისათვის მიზანშეწონილი პუნქტები: ერთ ღა-
მეს მცხეთის ირგვლივ მდებარე მაღლობებზე მოთვალთვალე-
ები დააყენეს — ვითომც იმ პუნქტების თავზე ვარსკვლავები
უნდა გამოჩენილიყო. და აი, მეორე დილით თითქოს ცათ
მართლაც მოიტანეს ამბავი: ერთი ვარსკვლავი „დაადგრა და-
ბასა ბუდესაო", რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ბოდბეშიც
უნდა აგებულიყო საყდარი. ასეთი ვითარების მიუხედავად,
როგორც მემატიანე ამბობს, ნინოს მაინც სხვა გადაწყვეტი-
ლება მიუღია: „დაბა ბუდის" ნაცვლად ჯვარი „აღიმართოს

---

[1] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა" (ქარ-
თლის ცხოვრება, I, გვ. 87).

[2] იქვე, გვ. 103.

უჯარმას ქალაქსა“, რათა დაბა ბუდი „არა წინააღუდგეს ქალაქ-
სა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მას შინა“[1].

საკითხავია, მაშ, რა საჭირო იყო ვარსკვლავთა მოშველი-
ება? ეტყობა, რომ ამ ხერხით შეატყობინეს ბოდბის მხარის
ნოსახლეობას, თითქოს ქრისტიანობის მიღება მისთვის თვით
ხეცას გადაეწყვიტა. ასე უნდა შენელებულიყო მოსალოდნე-
ლი გართულება, რაც შესაძლოა მოჰყოლოდა ამ ხალხმრავალ
მხარეში ნინოს მოუმზადებლად ჩასვლას („რამეთუ არა წინა-
ააღუდგეს ქალაქსა მეფეთასა“[2]). ნინოს უკვე ჰქონდა გარკვეუ-
ლი გამოცდილება; ასეთი გართულების დროს მას მონაწილეო-
ბა ჰქონდა მიღებული ნამდვილ დამსჯელ ექსპედიციაში მთი-
ულთა წინააღმდეგ, როცა ამ მხარის ხალხმა „არა ინება ნათ-
ლის ღება“[3]. ეს მეორე, უკვე სისხლიანი გაკვეთილის ამბავიც
ბააღწევდა დაბა ბუდეს მხარეში[4] და აი, ბოლოს პირადად
ნინოც „მიეახლა კუხეთს, დაბასა ბუდისასა, დაყენა მუნ დღე-

[1] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქართ-
ლის ცხოვრება) გვ. 121.

[2] ბოდბის შესახებ ორი აუცილებელი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ:

ა) რიგ წყაროებში იგი მოხსენებულია არა მარტო „ბოდე“ და „ბუ-
დის“ სახით, არამედ „ბუდისას“ სახითაც (ქართლის ცხოვრების“
1633—1643, 1703, 1731 და სხვა წლების ნუსხებში), კერძოდ, ე. თაყაიშვი-
ლის მიერ 1890 წელს გამოცემულ წიგნში „მოქცევაი ქართლისა“ (სამი
ისტორიული ქრონიკა, გვ. 20—21); „ბუდის“ სახით იხსენიებს ბოდბეს
არსენ ბერიც, რომლის თხზულების უძველესი ნუსხა XIII საუკუნით თა-
რიღდება (იხ. ჩვენი საუნჯე, ტ. I, გვ. 558) იმდროინდელ ბოდბეს ჩკენც
„ბუდის“ სახით მოვიხსენიებთ.

ბ) ბუდი არც ერთ შემთხვევაში არ ეოიხსენიება ტერმინი „დაბას“
გარეშე; „დაბა“ ყველგან თან ახლავს მას: „დაბა ბუდესა“, „ბუდი, დაბა
კუხეთისა“, „ბუდი, კულა დაბა“. სხვა დასახლებულ პუნქტთა მიმართ ასეთი
„მარადიული“ დანამატი („დაბა“, „ქალაქი“ ან „სოფელი“) წყაროებში
არც ერთი დასახლების მიმართ არ გვხვდება; „უჯარმა“, გვხვდება ხან
პირდაპირ „უჯარმად“, ხან ქალაქ უჯარმად“; ჰერეთიც ხან „ჰერმი. ცი-
ხედ“, ხან „ქალაქ ჰერემად“, ხან პირდაპირ „ჰერემად“; თბილისიც კი
უმეტესად ქალაქად მოიხსენიება, მაგრამ პირდაპირ „თბილისადაც“ ხში-
რად ჩანს, ერთგან იგი „სოფელ ტფილისადაც“ კი არის ნახსენები. „ბუდს“
კი მუდამ ახლავს დაბა, ამიტომ ჩვენს ნარკვევში ბოდბეს ასე დამკვიდრე-
ულ „დ ა ბ ა ბ უ დ ა დ“ წარმოვიდგენთ.

[3] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, ქარ-
თლის ცხოვრება, I. გვ. 125.

[4] არსენ ბერი მართლაც გვიდასტურებს, რომ ბუდის მხარის მოსახლე-
ობა „წინასწარ უწყებულიყო“ (ჩვენი საუნჯე, ტ. I, გვ. 431).

ნი რაოდენიმე და მოვიდოდეს მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიარებდეს სწავლასა მისსა სიმრავლე ერისა"[1], აქ, ერმრავალ დაბაში, რომელსაც თავისი მდებარეობით მეტად სახარბიელო სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა, დასნეულდა და გარდაიცვალა წმინდა ნინო და აქვე, თვით ნინოს ანდერძის მიხედვით, იქნა იგი დაკრძალული. ეჭვს გარეშეა, რომ ნინოს ნებით დაბა ბუდშიც შემუსვრილ იქნა წარმართობის რაღაც მძლავრი კერა[2].

თუ რაოდენ დიდი ანგარიში ეწეოდა დაბა ბუდში ქრისტიანობის ახალბედა საერწმუნოებრივი ცენტრის დაფუძნებას, არაჩვეულებრივი სიცხადით მიგვითითებს მირიან მეფის ანდერძი, რომელიც მან სიკვდილის წინ დედოფალ ნანას დაუტოვა: „შენ ნანა, უკეთუ გეცესღა მოცალება, ცხოვრებისა ჩემისა შემდგომად, განყავ სამეფო განძი ჩვენი ორად, და მიიღე სამარხავსა ნინოსა, განმანათლებლისა ჩვენისა, ყამთა შეცკალებისათვის, რ ა თ ა ა რ ა შ ე ი რ ყ ი ო ს უ კ უ ნ ი ს ა მ დ ე ა დ გ ი ლ ი ი გ ი; რამეთუ მეფეთა საჯდომი არს არამედ მწირ არს"[3].

„წმინდა ნინოს ბოდბის ტაძრის ისტორიულ-არქეოლოგიურ აღწერაში" 1888 წელს დ. ფურცელაძე წერდა: მეფე ბაქარმა, პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის შვილმა, წმინდა ნინოს სამარეზე ააგო მომცრო ეკლესია, რომელიც V საუკუნეში დაიწვა. ამავე საუკუნის ბოლოს მეფე ვახტანგ გორგასალმა აგო ტაძარი და მასთან დააარსა საარქიეპო კათედრა, რომელსაც საეკლესიო მხრივ ემორჩილებოდა მთელი სამხრეთი კახეთი და დღევანდელი ზაქათალის ოლქი"[4].

დ. ფურცელაძე, ცხადია, გამომდინარეობდა ვახუშტი ბაგრატიონის მითითებიდან: „აღაშენა და შეამკო საფლავი მისი (წმ. ნინოსი — ი. შ.) და ეკლესია კ ე მეფემან ბაქარ"[5].

---

1 ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, დასახელებული წყარო, გვ. 126.

2 სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებამდე მემატიანე უკვე მოიხსენიებს „ბუდელთა მღვდელთა" (ქართლის ცხოვრება II, გვ. 98).

3 ი ქ ვ ე, გვ. 129.

4 დ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, დასახელებული შრომა, გვ. 5-6.

5 ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, „აღწერა"... გვ. 97.

პოლიტიკური განზრახვით ქრისტიანობის მონოფიზიტური ბიმდინარეობის მომხრე ვახტანგ გორგასალს, სპარსეთში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისთანავე „თავისიანებით“ შეუცვლია ქართლის კათალიკოსიცა და ქართლის სამეფოს ეპისკოპოსებიც, მათ შორის ბოდბისაც. ეს აქტი 472—474 წლებში შემდგარა[1].

მირიანის ანდერძის არსიდან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ დაბა ბუდი და მისი შემოგარენი ამ ხანად პოლიტიკურად ალბანეთის სელთმყოფ კამბეჩოვანს ახალი ჩამოშორებულია და უკვე ქართლის (იბერიის) სამეფოში შედის[2], მაგრამ მირიან მეფე ბოდბის მიდამოებში თავის პოზიციებს საბოლოდ მაინც არ თვლის[3].

კამბეჩოვანის ის ნაწილი, რომელიც ბოდბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა, ქართლის სამეფოს საბოლოოდ შერწყმია ვახტანგ გორგასალის მეფობის სულ უკანასკნელ წლებში[4].

ყოველივე ეს აქ იმიტომ მოვიტანეთ, რომ მემატიანე ჯუანშერის მიერ ჩამოთვლილ საეპისკოპოსოთა შორის, რომლებიც ვახტანგ გორგასალმა დააარსა, ნახსენები არაა დაბა ბუდის საეპისკოპოსო, მითითებულია მხოლოდ ხორნაბუჯის საეპისკოპოსო; ანტიოქიის პატრიარქის მიერ ვახტანგ გორგასალის შუამდგომლობით ნაკურთხი ქართველი ეპისკოპოსების ჯგუფიდან, როგორც ჯუანშერი ამბობს, ამ სახელოვან მეფეს დაუყოვნებლივ განუწესებია: ერთი „კლარჯეთის ეკლესიასა ახიზისასა; ერთი არტანს ერუშეთს; ერთი ჯავახეთს წუნდას; ერთი მანგლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს; ერთი ნინოწმინდას..., ერთი ჭერემს; ერთი ჩელეთს... ერთი ხორნაბუჯს; ერთი აგარაკს..., შემდგომ ამისა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა... და დასუა ეპისკოპოსი“...[5] აქ არსად ჩანს დაბა ბუდი...

ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ ამ სიაში ჯუანშერს გა-

---

1 ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, I, გვ. 344—345.

2 დ. მუსხელიშვილი, „უჯარმა“, გვ. 59.

3 იქვე, გვ. 61.

4 დ. მუსხელიშვილი, „უჯარმა“, გვ. 67.

5 ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 198—199).

მოტოვებული აქვს ვახტანგ გორგასალის ეპოქაში არსებული ბევრი საეპისკოპოსო. ამასთან, მან ჩამოთვალა კიდეც ეს გაპოტოვებული საეპისკოპოსოები, მაგრამ გამოტოვებულთა რიგში აჯრ ივ. ჯავახიშვილმა მოიხსენია დაბა ბუდის უძველესი საეპისკოპოსო[1]. და არ მოიხსენია ჩანს იმიტომ, რომ, მისი რწმენით, ჯუანშერს ხორნაბუჯის საეპისკოპოსოს სახით დაბა ბუდის საეპისკოპოსო ჰქონდა ნაგულისხმევი. ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უყოყმანოდ ადასტურებს ჯუანშერის ცნობებს გორგასალის მიერ ახალ საეპისკოპოსოთა დაარსების შესახებ, მათი წარმოშობა-დაარსების საკითხებსაც აშუქებს, მაგრამ სწორედ ხორნაბუჯის საეპისკოპოსოს შესახებ სდუმს. ასეთი რამ მას არ აქვს მითითებული არც გორგასალის მოღვაწეობის წინ, არც მოღვაწეობისას, არც მის შემდეგ. და ასე მოიქცა ეს მეცნიერი იმიტომ, რომ კამბეჩოვანის მხარეში მას მხოლოდ ერთი—დაბა ბუდის საეპისკოპოსოს არსებობა სწამდა[2]. მაინც რატომ დატოვა მან საეპისკოპოსო საყდრის გა-

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 229-300.

[2] მოგვყავს ვახუშტი ბატონიშვილის მითითებანი ჯუანშერის მიერ დასახელებული საეპისკოპოსო პუნქტების შესახებ („აღწერა სამეფოსა საქართველოსა"-ს მიხედვით): — ქ. ა რ ტ ა ნ ის აგებას მიაწერს ჯავახსს. საეპისკოპოსოს შესახებ ამბობს: „არს ეკლესია, გუნბათიანი, მშუენიერი და აწ ცალიერი", გარდა ამისა, აღნიშნული აქვს გაუქმებული საეპისკოპოსო ერუშეთისა, ერუშეთის წყალზე (გვ. 132);

— ჯ ა ვ ა ხ ე თ შ ი, წ უ ნ დ ა ს საეპისკოპოსოს შესახებ მითითებული აქვს, რომ იგი ჯერ კიდევ მირიან მეფის დროს იყო დაარსებული (გვ. 130);

— მ ა ნ გ ლ ი ს შ ი ც, მისი ცნობით, „ზის დასმული გორგასალისგან ეპისკოპოზი" (გვ. 46);

— ბ ო ლ ნ ი ს ი ს საეპისკოპოსო ტაძარი ააგო"... მეფემან ფარსმან, და გორგასალ დასვა ეპისკოპოზი" და სხვ.;

— რ უ ს თ ა ვ ი ს შესახებ, რომელიც ძნელბედობითობით ხორნაბუჯის ორეულია, ვახუშტი ამბობს: „აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან. მეფემან თ რ დ ა ტ აღაშენა ეკლესია კეთილი. გორგასალ დასვა აქ ეპისკოპოზი, და იყო მეფის დავითამდმდე, არამედ გამოსვლასა ბერქასა ყენისა მოოხრდა", ამის გამო „შენებური ეპისკოპოზი მოსცვალეს აქა (მარტყოფს გადაიყვანეს ი. შ.) და ზის აწამდე, და არა შეუცვალეს სახელი, არამედ ოგივე რუსთველს უწოდებენ". (გვ. 95);

— ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ი ს საეპისკოპოსოს თაობაზე ვახუშტი გვამცნობს „არს ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, რომელი აღაშენა გორგასალ და დასვა ეპისკოპოზი" (გვ. 90);

რეშე ჯუანშერის მიერ მითითებული ხორნაბუჯი? უნდა ვიფიქროთ, რომ ვახუშტის ამ ხორნაბუჯის სახით მხედველობაში ჰქონდა თვით მის მიერვე ჭოეთის ციხესთან შეწყვილებული ხორნაბუჯი. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ამ უკანასკნელს წაერთო არაფერი ჰქონდა ჯუანშერის მიერ მითითებულ ხორნაბუჯთან. ვახუშტიმ იცოდა, რომ 472-473 წლებში, როდესაც ვახტანგ გორგასალმა ზემოაღნიშნულ პუნქტებში „თავისიანი" ეპისკოპოსები დასვა, ქართლის (იბერიის) სამეფოსთან ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული კამბეჩოვანის მხარის ის ნაწილი, რომლის ფარგლებში ჭოეთის ციხე მდებარეობდა. ასეთი რამ მომხდარა ვახტანგ გორგასალის მეფობის სულ უკანასკნელ წლებში. ვახტანგ გორგასალი კი 502 წელს გარდაიცვალა; მისი მეფობის უკანასკნელ წლებად ერთი ათეული წელიც რომ ვიანგარიშოთ, გამოვა — 492 წელს ჭოეთის ციხის მიდამოები ალბანეთის ხელში იყო და ამიტომ 473-474 წლებში იქ საეპისკოპოსოს დაარსება ვახტანგ გორგასალს არ შეეძლო; მაშასადამე, მემატიანე ჯუანშერსაც მხედველობაში უნდა ჰქონოდა სარწმუნოებრივი ცენტრი დაბა ბუდისა და არა ჭოეთის ციხის მიდამოების მერმინდელი ხორნაბუჯის ციხე-ქალაქი.

მართლაც, საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში, სწორედ IV საუკუნის პირველ ნახევარში, ქართული პოლიტიკური ერთეული — უჯარმის საგამგეო წარმოქმნილა, რომელიც „შედგებოდა კახეთ-კუხეთისაგან და ჰერეთის შემოერთებული ნაწილისაგან ბოდბიანად"[1]. ვახტანგ გორგასალის ეპოქაშიც,

---

— ჰ ე რ ე მ ის შესახებ: „იყო ქალაქი, სადაც აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდშენი და გუნბათიანი და ქალაქი მაგარი, და დასვა ეპისკოპოზი"... (გვ. 99);

— ასევე ადასტურებს ვახუშტი საეპისკოპოსოთა არსებობას ყ ა ლ ე თ-შ ი (გვ. 91), აგარაკში (გვ. 36), ნიქოზის წმ. რაჟდენის ტაძრის აგებას, სადაც „გორგასალ... დასვა ეპისკოპოზი" (გვ. 76);

ხ ო რ ნ ა ბ უ ჯ ის შესახებ კი ვახუშტი მხოლოდ შემდეგს გვაუწყებს: „ყარაღაჯის სამხრით, სადაც დასწყდების ჰერეთის ანუ ციკის მთა, ბუნ არს ხორნაბუჯი და აწ უწოდებენ ჭოეთსა. აქ კლდესა ზედა შენი არის ციხე მაგარი და იყოცა ქალაქი კარგი ესეცა ბერქას გამოსულასა მოოხრდა" (გვ. 97), — ე. ი. არავითარი ეპისკოპოსი მას ამ პუნქტში არ აქვს სახსენები.

[1] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, „უჯარმა", გვ. 59.

„მზგავსად მირიან მეფის დროისა, კახეთ-კუხეთი ერთ ერთეულად გვევლინება. მირიანის დროს ამ პოლიტიკურ ერთეულში ჰერეთის გარკვეულ ნაწილსაც ვვარაუდობდით. გვგონია არ შევცდეთ, თუ ვახტანგის დროსაც იგივე გარემოებას ვიგულისხმებთ"[1], ე. ი. ბოდბის აღმოსავლეთით მდებარე ნაწილი კამბეჩოვანისა ვახტანგის დროსაც კვლავ ალბანეთის ხელში ჩანს, ამიტომ „თუ მოსე კალანკატუელს დავუჯერებთ — V საუკუნის 80-იანი წლებისათვის კამბეჩოვანი (ბოდბის გარდა — ი. შ.) ალბანეთისაა. გამოდის, რომ ვახტანგს კამბეჩოვანი სულ უკანასკნელ წლებში დაუბრუნებია", ამასთან ალბანეთის ხელთმყოფი კამბეჩოვანი „ცალკე ქვეყნადაა მიჩნეული, რომელზედაც ალბანთა მეფის ხელისუფლება ამჯერად ვრცელდება"[2]. და სწორედ ამიტომ შეუსაბამობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს 472-473 წლებში ჯერ კიდევ ალბანეთის ხელთმყოფი ჭოეთის ციხის არეში ვახტანგ გორგასალს „თავისიანი" ეპისკოპოსი დაენიშნა. ვახუშტიმაც ალბათ ამ შეუსაბამობას გაუწია ანგარიში და უყოყმანოდ მხოლოდ ის განაცხადა, რომ კამბეჩოვანის მხარეში იყო ერთად-ერთი საეპისკოპოსო საყდარი, როგორც ეს შეეფერებოდა კამბეჩოვანის მხარის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს[3], და რომ ეს იყო „ბოდბესა ეკლესია გუნბათიანი, დიდშენი, მშვენიერი... აქ მიიცვალა წმინდა ნინო და დაეფლა აქვე... ზის ეპისკოპოზი..."[4].

ამ ცალკე პოლიტიკურ ერთეულში ბოდბეც რომ შედიოდა, ეს ყოველ შემთხვევაში, ვიცით კვირიკე დიდის ღონისძიებიდან კახეთ-ჰერეთის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ[5]. ამ ღონისძიებათა საფუძველში კვირიკეს გათვალისწინებული აქვს ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის ძველი ტრადიცია[6].

„ეპისტოლეთა წიგნში" (506 წ.) ბოდბელი ეპისკოპოსი მოხ-

---

1 დ. მუსხელიშვილი, „უჯარმა", გვ. 65.

2 იქვე, გვ. 67.

3 ნ. ბერძენიშვილი და სხვები, საქართველოს ისტორია, I, 1958 წ., გვ. 90 („საერისთაო ცენტრების რიცხვს ემთხვეოდა საეპისკოპოსო საყდართა სათვალავი").

4 ვახუშტი, „აღწერა..." გვ. 97.

5 ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება", გვ. 151.

6 დ. მუსხელიშვილი, „უჯარმა", 14;

სეწებულია „ფოლდბილის“ სახელწოდებით[1], ამავე წიგნში მოხსენებულია „ერსტგენ ეპისკოპოსი ქორზონისა“[2], რომლის წარმოდგენა „ხორნაბუჯისად“, ანუ „ხორანთისად“ სცადა რამდენიმე მკვლევარმა, და ზოგმა ფაქტადაც მიიჩნია... მაგრამ ასეთი „ცდები“ და „ფაქტები“ ივ. ჯავახიშვილმა არ გაიზიარა, ოან მხოლოდ შესაძლოდ ჩათვალა „ქორზონის“ წაკითხვა „ქორჯანად“, თუმცა ესეც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა[3].

საინტერესოა, რომ ვახუშტი დარწმუნებული არა ჩანს არც ძის მიერ ხორნაბუჯთან შეწყვილებული ჭოეთის ციხის ადგილსამყოფელის სიზუსტეში და როგორღაც გაორებული შეხედულებანი აქვს გამოთქმული; ზემოთ ხომ მან უკვე დაგვარწმუნა, რომ ცივ-გომბორის ქედის ბოლო მონაკვეთს „ცივი“ ან „ცივის მთა“ ეწოდება და რომ ეს ბოლო მაღარო-ბოდბის გადასასვლელთან მდებარეობს; გარდა ამისა, ისიც გვითხრა, რომ ამ გადასასვლელის შემდეგ (სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ) იწყებოდა „ადგილი ქიზიყისა რომელი მოხვევია მთასა ცივის ?თადამ ჩამოსულსა“ და რომ ზუსტად ასე აქვს მას წარმოდგენილი ცივ-გომბორის ქედის „გეოგრაფია“ თავის 1735 წლის რუკაზეც. და ბოლოს, ვახუშტიმ ისიც კი გვითხრა, რომ ცივ-გომბორის ქედის მთავარი მასივი („ცივის“ ბოლოთი) „მივალს მაღარო-ხორნაბუჯამდე“[4]. მაგრამ ათიოდ გვერდის შემდეგ თავის შრომაში იგი ხორნაბუჯის სრულიად ახალ ლოკალიზაციას იძლევა; „სადაცა დასწყდების ჰერეთის ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი“[5]. ეს „გაორება“ იქნება იმით აიხსნას, რომ თავის დროზე არსებობდა ხორნაბუჯი — სარწმუნოებრივი ცენტრი, რომელიც მხოლოდ დაბა ბუდის არეში უნდა ყოფილიყო (წმ. ნინოს დაკრძალვის ადგილზე IV საუკუნის შუა წლებიდან), და რომელსაც პირობითად „ძველ ხორნაბუჯს“ ვუწოდებთ. ხოლო შემდგომ, მთელი კამბეჩოვანის მხარის შეძოერთების შემდეგ, ჭოეთის ციხის მახლობლად წარმოიშვა ხორნაბუჯი — ციხე-ქალაქი, რომელშიც უნდა გადასახლებუ-

---

[1] ეპისკოპოსთა წიგნი, თბილისი, 1968 (ზ. ალექსიძის გამოცემა), (გვ., 97) „ლაზარ ეპისკოპოსი ბოლდბილი“).

[2] იქვე.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I, გვ. 300.

[4] იხ. მისი „აღწერა“... გვ. 87.

[5] იქვე, გვ. 97.

ლიყვნენ არა მარტო მხარის მესვეურნი — ხორნაბუჯელნი, არამედ ძველი ხორნაბუჯის მოსახლეობის მნიშვნელოვანი საწილიც, რომელნიც თავს ხორნაბუჯელებს უწოდებდნენ... მაგრამ მთელი მხარის სარწმუნოებრივი ცენტრი კვლავ „ძველ ხორნაბუჯს“, ანუ დაბა ბუდს დარჩა.

„გაორების“ ნიშნები, ჩვენი რწმენით, მემატიანე ჯუანშერსაც კარგად ეტყობა. იგი ამბობს, რომ ვახტანგ გორგასალმა ერთ-ერთი ეპისკოპოსი ხორნაბუჯს განაწესა: სად მდებარეობდა, ვისი აგებული იყო ეს ხორნაბუჯი ან ამ დასახლებაში არსებული საეპისკოპოსო საყდარი, ამის შესახებ სრულიად ზედმეტად ჩაუთვლია რაიმე განმარტების მიცემა.

სწორედ ასევე მოექცა იგი მანგლისს, ბოლნისსა და რუსთავს, ე. ი. ისეთ საეპისკოპოსო პუნქტებს, რომლებიც მისი აზრით საყოველთაოდ იყო ცნობილი, ხოლო ყველა დანარჩენ საეპისკოპოსო პუნქტებს მან სათანადო განმარტება დაურთო: ახიზის საეპისკოპოსო კლარჯეთშიაო, არტაანისა — ერუშეთშიაო, წუნდისა — ჯავახეთშიაო და ა. შ.[1]. მაინც საიდან მდებარეობდა ესოდენ სახელგანთქმული საყდარი ხორნაბუჯისა, რომლის ხსენების შემდეგ საჭირო არ ყოფილა არავითარი განმარტება?

ჯუანშერი, სხვათა შორის, ამბობს, რომ მის მიერ ჩამოთვლილ პუნქტებში (მათ შორის ხორნაბუჯშიც) ეპისკოპოსთა დანიშვნის „შემდგომად“ (სწორედ ასე — „შემდგომად“) ვახტანგ გორგასალმა ააგო „ნიქოზის ეკლესია“ და იქაც ეპისკოპოსი განაწესა[2]. ასეთი საყდრის აგებას 15-20 წელი სჭირდებოდა...[3] და აი, „შემდგომად ამისა“, ე. ი. ნიქოზის ეკლესიის აგების შემდეგ, ანუ დაახლოებით 490—499 წლებში (ეპისკოპოსთა ზემოაღნიშნული ჯგუფის განწესების თარიღს 472—474 წლებს მიმატებული საეპისკოპოსო საყდრის აგებისათვის საჭირო დრო 15-20 წელი), ჯუანშერის თქმით, „ყო-

---

[1] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 198—199.

[2] იქვე, გვ. 199

[3] სამშვილდის სიონი 18 წელი შენდებოდა, მცხეთის ჯვარი — 18 წელი, ბოლნისის სიონი — 20 წელი, კიკეთი (ალბანი — 26 წელი, სეეტიცხოველი — 19 წელი და სხვ.) (იხ. საქართველოს კულტურის ძეგლები, 1959 წ.).

ველი ქვეყანა მტკვრისა აღმოსავლით“ ვახტანგ გორგასალმა საუფლისწულოდ მისცა „პირმშოსა პირველისა ცოლისასა“ დაჩის. ამ ხანად, ე. ი. ვახტანგ გორგასალის მეფობის უკანასკნელ წლებში (იგი გარდაიცვალა 502 წელს) მთელი კამბეჩოვანის მხარე უკვე შემოერთებული უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფოსთან და ვახტანგს ასეთი გადაწყვეტილების მიღება ამ წლებში მართლაც შეეძლო. ასეთმაც, საუფლისწულოდ ბოძებულ მხარეში ჯუანშერმა კვლავ მოიხსენია ხორნაბუჯი, ოღონდ ამჯერად მან განმარტების გარეშე ვერ დატოვა იგი: საუფლისწულოში შედიოდა „ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი“[1]. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ მას ფიქრადაც არ მოსვლია თავდაპირველად ნახსენები საეპისკოპოსო პუნქტი „ხორნაბუჯის“ ორიენტირება: სად მდებარეობდა, ქალაქი იყო თუ დაბა. საკითხავია, რატომ დასჭირდა ჯუანშერს ასეთი განმარტების მოტანა, მაშინ, როცა მეორედ. ახსენა ხორნაბუჯი? სად გაგონილა, რომ უცნობი პუნქტი, რომელიც არასოდეს გვიხსენებია და პირველად ვახსენებთ, განმარტებისა და ორიენტირების გარეშე დავტოვოთ, შემდგომ კი, როდესაც მეორედ დავასახელებთ, მაშინ მივცეთ მას განმარტება და ორიენტირება. აი, ეს გვავარაუდებინებს, რომ ჯუანშერი განასხვავებს ხორნაბუჯს — განთქმულ სარწმუნოებრივ ცენტრს, რომლის ხსენებისას საჭირო არ იყო არავითარი ორიენტირება, და ხორნაბუჯს, — შედარებით ახალგაზრდა ქალაქს, კამბეჩოვანის მხრისას, რომელიც საუფლისწულოდ მიეცა დაჩის და ეტყობა კიდეც საჭიროებდა განმარტება-ორიენტირებას.

მაგრამ რა იქნა დაბა ბუდი, რომლის სახელიც უკვე IV საუკუნის შუა წლებიდან მთელმა იბერიამ და თვითონ ჯუანშერმაც კარგად იცოდა?! ვახუშტიმაც იცოდა, რომ ოცდამეხუთე „მეფემან ბაქარ მირიანის-ძემ... აღაშენა და შეამკო საფლავი მისი (ნინოსი, ი. შ.) და ეკლესია“[2]. რაშია საქმე, რატომ ამოვარდა დაბა ბუდის ხსენება „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა შრომებიდან, ამასთან, სწორედ იმის შემდეგ, რაც იქ წმ. ნინო დაკრძალეს?

---

[1] ჯუანშერი, დასახელებული შრომა, გვ. 199.

[2] ვახუშტი, „აღწერა...“ გვ. 97.

წმ. ნინოს სახელი და პოპულარობა განუწყვეტლად იზრდებოდა. თვით ჯუანშერის თხრობიდან ჩანს, რომ წმ. ნინოს სახელი ძილშიაც აღარ ასვენებდა გორგასალს: „მირულებასა შინა აჰა, უკვე მოვიდა დედაკაცი იგი, რომელი იყო წმიდა ნინო"[1]. ამ „ბერძნულად მეტყველი" დედაკაცის სახელს იშველიებს ვახტანგ გორგასალი წერილში, რომელსაც იგი უგზავნის ანტიოქიის პატრიარქს ზემოხსენებული თორმეტი აბალი ეპისკოპოსისა და კათალიკოსის დანიშვნის შესახებ (ჯუანშერის გადმოცემით): „რამეთუ უწყით ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან"[2].

მიუხედავად ამისა, სწორედ ნინოს იქ დაკრძალვის შემდეგ დაბა ბუდი აღარც საისტორიო წყაროებში, აღარც ჯუანშერის შრომაში არ იხსენიება; მის მაგიერ ეს „ხორნაბუჯი" იხენს თავს (ზოგჯერ ხორანბუჯი, ხუარნაბუჩი). რით უნდა აიხსნას ეს ამბავი? იქნებ ეს ხორნაბუჯი „დაბა ბუდის" ბერძნული ასლია? ჩვენ დაბეჯითებით ვამბობთ, რომ იმავე ქიზიყში არსებული „ყარაღაჯი" — შავი ხე, „უზუნდარა" — გრძელი ღელე, თვით „სიღნაღიც" ქართულ ტრადიციაში მაჰმადიანური სამყაროდან არის შემოსულიჯშაშ, რატომ უნდა გვეუცხოვოს ქართულ ტოპონიმიკაში ბერძნული ელემენტები? ქრისტიანობის გავრცელებისდროინდელი „აღმოსავლეთ საქაროველოს მთელი გულისყური და თანაგრძნობა დასავლეთის ქრისტიან სახელმწიფოებისაკენ იყო მიპყრობილი... ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოში სწორედ საბერძნეთიდან შემოსულა. ასეთ პირობებში, როგორ შეიძლება, რომ ახალმოქცეულ ქვეყანაში ბერძნების კულტურის გავლენა არ ყოფილიყო?"[3] ბერძენნი არ იყვნენ, რომ მდ. ცხენისწყალს „ჰიპოს" უწოდებდნენ, მდ. ყვირილას — „ბოას" (ბოაო — ვყვირი), — „ვარციხე — „როდოპოლისს" (როდინ-ვარდი, პოლის — ქალაქი) და სხვ. მართალია, ამ ობიექტებს ქართული სახელები შემორჩათ საბოლოოდ, მაგრამ ბერძნული

---

1 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა", ქართლის ცხოვრება, I, გვ. 167.

2 ი ქ ვ ე, გვ. 197.

3 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართველი ერის ისტორია", I, გვ. 295.

საწყისების მქონე ზოგი ტოპონიმი, როგორც ფიქრობენ, დღემდეც არის მოღწეული (მაგ., ქალაქები: ფოთი, ბათუმი[1], სოფ. აიაზმა, თამარის მეფის დროის ტაბახმელა-კიკეთის მიდამოებში არსებული „დასო“ და სხვ.).

პლატონ იოსელიანის რწმენით, ბერძნული წარმოშობისაა ანტიოქია და გეთსიმანია (მცხეთაში), ბეთლემი, იტრია, იკონია[2]; მარტყოფის მონასტერსაც მისი რწმენით უწინ „აკრიანი“ ეწოდებოდა, რაც ბერძნულად მწვერვალს ნიშნავს[3]. ასევე ფიქრობდა, კერძოდ ბეთანიისა და გელათის შესახებ ნიკო ჩუბინაშვილი[4].

გამაგრებულ პუნქტს ბერძნები „ხორიონ“-საც (Chorion), უწოდებდნენ, ხოლო მხარეს, სოფელს — „ხორას“ (Chora) ევიანდელი ბერძნული „ქორა“ ქართული წყაროების „ქორეპისკოპოსის“ (მხარის, სოფლის ეპისკოპოსის) კომპონენტადაც ქცეულა[5]. „დაბა ბუდის“ მარად უცვლელი პირველი ნახევარი („დაბა“), რაც ყოველ შემთხვევაში, სულხან-საბა ორპელიანის განმარტებით არის „მომცრო ქალაქი მოზღუდული“, როგორც აზრობრივად გასაგები, ბერძნებს შეეძლოთ წარმოეთქვათ „ხორად“, ანუ „ხორიონ“-ად, ხოლო მეორე ნახევარი — „ბუდი“, როგორც აზრობრივად გაურკვეველი, უცვლელად დაეტოვათ. და ამგვარად შესაძლოა ვიფიქროთ, რომ „დაბა ბუდი“ ბერძნულად ჯერ „ხორიონ ბუდი“-ს სახეს მიიღებდა; შემდგომ კი ბგერა „დ“ „ჯ“-დ გარდაქმნილა (ამის მაგალითები ქართველურ ენებში ბევრია)[6]. „ხორიონ-ბუჯიდან („ხორა ბუჯიდან“) დიდად აღარც განსხვავდება „ხორნაბუჯი“. შესაძლოა, ამიტომ ჯუანშერმაც თავი აარიდა ამ პუნქტის ძველი სახელწოდების (დაბა ბუდის) ხსნებას, მით უმეტეს, წმ. სი-

---

[1] ს. უ ა ე ბ ჩ ი შ ვ ი ლ ი, „რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ“, 1964 წ., გვ. 35, 55, 57, 66.

[2] Кавказский календарь на 1854 г., стр. 489.

[3] П. И о с е л и а н и, «Описание Марткобского монастыря».

[4] ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, 1961 წ., გვ. 106.

[5] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ტ. 7).

[6] მამითადი—მამითაჯი, ხიდი—ხინჯი და სხვ. (იხ. ა. შანიძე. მეცნიერებათა აკადემიის „საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების“ „მოამბე“ № 2, 1960, გვ. 225—233, აგრეთვე, ს. ჟღენტი — „ქართული ენის გრამატიკა“, 1950 წ., გვ. 65).

ნოს სახელის მქონე ერთი საეპისკოპოსო მას უკვე ეგულებოდა გარე კახეთში — „უჯარმის კარსა". საისტორიო წყაროების „დაბა ბუდი", ვფიქრობთ, „გასპარსებული" სახითაც გვხვდება: შაჰ-აბას II 1660 წლის ერთ ფირმანში მითითებულია სოფელი ბუჯღარი[1], რომელსაც შაჰი სამკვიდროდ უდასტურებს „ისა-ბეგ კახელს". სპარსულში სოფელს Гарие-ს (ღარია) სახით ვხვდებით[2]. ამიტომ „ბუჯღარი" შესაძლოა გავიგოთ როგორც „ბუჯის სოფელი", ან ბუჯსოფელი (ბუჯდაბა, პუდდაბა, ბოდდაბა, ბოდბე)[3]. თუ ეს დასაშვებია, საფუძველი გვეძლევა აქაც გავიმეოროთ ის აზრი, რომ როგორც ბერძნებმა, სპარსელებმაც გადათარგმნეს „დაბა ბუდის" გასაგები ნახევარი — დაბა, სოფელი, ხოლო ბუდი (ბუჯი) ამათაც უცვლელად დატოვეს.

„ხორა ბუდი" უკვე ერთი საუკუნის ხნოვანების იქნებოდა, როცა იქ ვახტანგ გორგასალმა თავისიანი ეპისკოპოსი განაწესა. ჯუანშერის დროს (XI ს.) ამ სარწმუნოებრივი ცენტრის სახელი ქვეყანას იყო მოდებული... ამიტომ აღარც სჭირდებოდა მას რაიმე მინიშნება-ორიენტირება...

შესაძლოდ მიგვაჩნია, ვივარაუდოთ, რომ დაბა ბუდი (ხორა-ბუდი, ხორიონ ბუდი) მირიან მეფის მომდევნო პერიოდში, კამბეჩოვანის მხარის ადრე შემოერთებული ნაწილისა და შემდეგ მთელი კამბეჩოვანის „მონაპირე" მხარის ადმინისტრაციული ცენტრის დაცემისას, „სათადარიგო" ცენტრის როლშიც გამოდიოდა. ერთი ქვეყნის ორი ადმინისტრაციული ცენტრის არსებობის ფაქტი „მონაპირე" მხარეებისათვის მაინც უცხო მოვლენად არ უნდა ითვლებოდეს[4].

IX წმ. ნინოს ქრისტიანული სარწმუნოებრივი ცენტრის არსებობის დიდი მნიშვნელობა არც მომდევნო ხანებში გაუფე-

---

1 სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, ნაკვ. ვლ. ფუთურიძის გამოცემა 1961 წ., 79—80.

2 Русско-персидский словарь И. К. Овчинникова, Г. А. Фуругян, Ш. Д. Бади, Москва, 1965, стр. 828.

3 ბოდდაბა ან „ბოდბეს" წარმოქმნის საკითხი საგანგებოდ აქვს გაშუქებული ივ. ლოლაშვილს.

4 დ. მუსხელიშვილი, „კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები", საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I:I, 1967 წ., გვ. 86.

რებულა; მის სახელს საერთაშორისო მიმოწერაშიც ვხვდებით. მოსკოვის კარზე 1635 წელს თეიმურაზ I მიერ წარგზავნილი ელჩის — ნიკიფორისადმი ბოძეულ სიგელში ეწერა: „თქვენი (მოსკოვის, ი. შ.) ელჩი ნახავს კიდევ წმ. ნინოს „ნაწილებს", ნინოსი, რომელმაც გააქრისტიანა ივერია... მისი წმინდა ნაწილები დაცულია საყდარში, რომელსაც ბოდბე ეწოდება"-ო[1].

ᲒᲣᲚᲓᲔᲜᲨᲢᲔᲓᲢᲛᲐᲪ წმ. ნინოს მონასტრის თაობაზე გახაცხადა: „ეს არის საქართველოს ერთი ყველაზე შესანიშნავი პონასტერთაგანი და მთავარეპისკოპოსის საჯდომი"-ო[2].

1842 წელს, როგორც ითქვა, ეს საყდარი მოინახულა ა. ნ. მურავიოვმა. იგი მოხიბლა „ივერიის უდიდესმა სამლოცველომ". როგორც თვითონ ამბობდა, „შეუძლებელი იყო იმაზე მომხიბვლელი ადგილის შერჩევა ნეტარი ქალწულის დასაკრძალავად. იგი წარმოადგენს მთებს შორის მოქცეულ მდელოს, ყოველთვის უხვად ამწვანებულს... მყუდრო ჯუთხეში, რომელიც აირჩია ნინომ, რათა მთების ოაზისიდან "აიკვდილის შემდეგაც ელოცა მის მიერ განათლებული ქვეყნისათვის, ყველაფერი როგორლაც სამოთხისებური შვენით ჰუნთქავს"[3].

მაღარო-ბოდბის ესოდენ მრავალმხრივი მნიშვნელობის მქონე მიდამოები (მომავალი სიღნაღის კართან) მონაპირე მხარისათვის შესაფერი ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო მოქცეული, და რომ ეს ასეც იყო, ამის საბუთებსა და მათზე დაფუძნებულ მოსაზრებებს მომდევნო თავში გავეცნობით.

4. ᲥᲘᲖᲘᲧᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲝ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲕᲐᲜᲫᲘ

მაინც სად არის წმინდა ნინოს ტაძრის (დაბა ბუდის) დამცველი ნაგებობანი, რომელიც მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა? ქვეყნის შუაგულში მდებარე საკათალიკოსო ცენტრი — მცხეთაც კი ვახტანგ გორგასალის დროს სიმაგრეთა ვრცე-

---

[1] М. Полиевктов, Материалы по истории — Грузинско-русских взаимоотношений в 1625—1640 г., Тбилиси, 1937, стр. 66—77.

[2] იხ. მისი „მოგზაურობა საქართველოში", გვ 23.

ლი და მტკიცე სისტემით იყო შეჯავშნული. თვით სვეტიცხოველსაც საკუთარი ზღუდე ჰქონდა, მაგალითად, XI საუკუნის დასაწყისში[1].

ასეთი სათავდაცვო ნაგებობანი მარტო საყდრების ქონებისა და მის მსახურთა დაცვას არ ითვალისწინებდა. „გალავნების ერთი ნაწილი თუ მეფისა და ფეოდალის რეზიდენციასთან არის დაკავშირებული, ზოგიერთი უშუალოდ ეკლესიის გალავანს წარმოადგენს. ეს გასაგებიცაა, რადგანაც სოფლებში, ჩვეულებრივ, დიდი მასშტაბის მონუმენტური ნაგებობა — ეკლესია იყო; თუ მას ციხის ფუნქციის კედელს შეეოავლებდნენ, ცხადია, თავისთავად ეკლესიაც საიმედო თავშესაფარი იქნებოდა. მთლიანად კი ეკლესია და გალავანი ერთიან სიმაგრეს წარმოადგენდა“[2].

ეს დებულება თუმცა გვიანდელ ვითარებას ეხება, მაგრამ მონაპირე მხარეთა სარწმუნოებრივი ცენტრები ყოველთვის ზრუნავდნენ თავდაცვის საქმეზე.

მაინც რატომ არის „შიშველი“ ნამდვილი „მონაპირე“ წმ. ნინოს საყდარი?

დაბა ბუდის (ხორნაბუჯის) უდიდესი სარწმუნოებრივი ცენტრის სათავდაცვო სისტემა იმავე დროს მაღარო-ბოდბის გადასასვლელის სათავდაცვო სისტემაც უნდა ყოფილიყო. განა ამაზე ნაკლებ ნაყოფს გამოიღებდა მირიან მეფის ნება-სურვილი, რომლის მიხედვითაც სამეფო განძის ნახევარი „სამარხავსა წინოს“ გამაგრება-გამშვენიერებას უნდა მოხმარებოდა.

პროფ. შ. ა. მესხიამ თავის შრომაში «Города и городской строй феодальной Грузии» (1959) აღნიშნა, რომ დიდი ხნის მივიწყებული ძველი ქალაქი ხორნაბუჯის ნანგრევებზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა ახალი ქალაქი სიღნაღი“[3].

---

[1] С. С. Какабадзе — Грузинские документы института народов Азии, Москва, 1967, стр. 330.

[2] ბ. ზაქარაია, „სათავდაცვო ღონისძიებანი XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში“ (საქ. სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“ XVIII — 1967, გვ. 243).

[3] დასახელებული ნაშრომი, გვ. 108.

მაგრამ შოთა მესხიას ეს დასკვნა ჯერჯერობით დაუსაბუთებელი აღმოჩნდა. იგი ეყრდნობოდა ამ მიზნისათვის გამოუსადეგარ ცნობას, რომელიც ამოღებული იყო ცენტრალური სამხედრო-ისტორიული არქივიდან[1] (რუსი მოხელის მიერ 1826—27 წლებში შედგენილი „აღმოსავლეთ საქართველოს სტატისტიკური აღწერილობიდან"). 1967 წელს ჩვენ გამოვითხოვეთ ამ „აღწერილობის" სათანადო ადგილების ფოტოასლები (თორმეტი გვერდი, მთელი „სიღნაღის მაზრა"). ამ „სტატისტიკური აღწერილობის" 106-ე გვერდზე, კერძოდ, ქ. სიღნაღის აღწერის შემდეგ, ქვესათაურით გამოყოფილია „ძველი ნაგებობანი":

1. „ჭოეთის ციხე. ძველად იწოდებოდა ხორნაბუჯად, კედლები ხნოვანების გამო ინგრევა, აგებულია მე-2 საუკუნეში;

2. ციხე მანავის თავზე, აგებულია მეფე ვახტანგ I მიერ ს-ე-5 საუკუნეში". (ეს უკანასკნელი შ. მესხიას ამოწერილი არ ჰქონდა). ზემოთ აღნიშნულ ქვესათაურში („ძველი ნაგებობანი") მანავის ციხის შეტანამ ცხადჰყო, რომ არც ხორნაბუჯის და არც მანავის ციხე აღწერილობის ავტორს არა აქვს წარმოდგენილი, როგორც ქალაქ სიღნაღში მდებარე ობიექტები. ისინი საერთოდ სიღნაღის მაზრის ტერიტორიაზე მდებარეობდნენ. ეს კიდევ უფრო ცხადი ხდება იმით, რომ აღწერილობის დასაწყისში ავტორს საგანგებოდ აქვს მოხსენებული საკუთრივ სიღნაღში არსებული ციხე-სიმაგრე: „სიღნაღის ციხე აგებულია მეფე ერეკლეს მიერ ლეკების თავდასხმებისაგან ბოსახლეობის დასაცავად, ქედებზე გავლებული მისი კედლების სიგრძე დაახლოებით 5 ვერსს უდრის" და სხვ. აქვე ცალკეა მითითებული, რომ ეს ციხე-გალავანი მდებარეობს „ძთის ჩრდილო დაქანებაზე, კვადრატის ფორმისაა, კედლების სიმაღლე 10 ფუტს უდრის". ერთი სიტყვით, ჭოეთის (ხორნაბუჯის) ციხის ნაშთები „აღწერილობის" ავტორს სიღნაღის კუთვნილებად არა აქვს მოცემული, ამიტომ ხორნაბუჯის აღიარება სიღნაღის წინაპრად ა მ ს ა ბ უ თ ი თ არ დასტურდება.

გფიქრობთ, რომ არსებობს სხვა წყაროები, რომლებიც ან პირდაპირ, ან არაპირდაპირ, დაბეჯითებით მიუთითებენ, რომ დღევანდელი სიღნაღის მაღლობზე ნამდვილად არსებობდა სხვა, უფრო ადრინდელი, საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ქვი-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, № 18481.

სა, ხისა), რომლებიც, რასაკვირველია, ხორნაბუჯის ციხის ხაკვალევად არ მიიჩნევა, ისინი თანამედროვე სიღნაღის და მის ციხე-გალავანზე ადრე არსებული ნაგებობების ნაშთებია. აი, გავეცნოთ წყაროებს.

გაზეთ «Кавказ»-ის 1852 წლის 58-ე ნომერში გამოქვეყნებულია ი. ბელკინის სტატია «Очерки Сигнаха»". მასში ნათქვამია, რომ ამ ქალაქში არსებობდა ორი ციხე-სიმაგრე: „რომელთაგან ერთს ძ ვ ე ლ ი, ხოლო მეორეს ა ხ ა ლ ი ეწოდება. არც ისტორია, არც გადმოცემები არაფერს გვაუწყებენ პირველის (ე. ი. ძველის—ი. შ.) აგების შესახებ. მისი დაბალი კედლებისა და მომცრო კოშკების ნანგრევები შესაძლოა იმას მოწმობს, რომ იგი ო რ ი ს ა უ კ უ ნ ი ს წ ი ნ ა თ ა ა გ ე ს. მისი მნიშვნელოვანი მოცულობა გვაფიქრებინებს, რომ იგი შეუქმნიათ ლეკების სისხლისმღვრელი შემოსევებისაგან ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დასაცავად. ახალი ციხე-სიმაგრის დაარსების ამბავი ჯერ კიდევ დაცულია ხალხის მეხსიერებაში, ამიტომ შესაძლებელია ისტორიული სიზუსტით დადგენა... მის სრულ დამთავრებას ჩვეულებრივად 1762 წლით ათარიღებენ"-ო.

ᲮᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ 1863 ᲬᲔᲚᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚ „ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐᲨᲘᲪ“, ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲙᲚᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲪᲘᲮᲔ-ᲒᲐᲚᲐᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲪᲘᲮᲔ-ᲒᲐᲚᲐᲕᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ: „ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲪᲘᲮᲔ-ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲜᲐᲨᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ 36 ᲡᲐᲟᲔᲜᲡ ᲣᲓᲠᲘᲡ, ᲐᲥᲕᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲝᲨᲙᲘ“[1]. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲐᲜ ᲔᲡ ᲛᲝᲛᲪᲠᲝ ᲪᲘᲮᲔ-ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔ, ᲐᲜ Ი. ᲑᲔᲚᲙᲘᲜᲘᲡ — „ᲫᲕᲔᲚᲘ ᲪᲘᲮᲔ-ᲒᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ“. Ხ

ᲮᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲟᲓᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲑᲝᲠᲪᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲣᲐᲠᲘᲐ, 1833 — 1834 ᲬᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲔᲠᲔᲙᲚᲔᲡᲘᲣᲚᲘ Ც Ი Ხ Ე-Გ Ა Ლ Ა Ვ ᲜᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲛᲝᲛᲪᲔᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ ᲤᲠᲔᲓᲔᲠᲘᲙ ᲓᲘᲣᲑᲣᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲞᲔᲠᲔᲡ 1834 ᲬᲔᲚᲡ ᲩᲐᲮᲐᲢᲣᲚ ᲡᲘᲦᲜᲐ-

[1] Документы по истории Грузии, I ნაწ., გვ. 12—14 (საქ. არქივის გამოცემა, 1910 წ.).

ღის ხედზე[1], ამასვე ადასტურებს ცნობა, რომელიც მოყვანილია ნიჟეგოროდელ დრაგუნთა 44 პოლკის ისტორიის II ტომში: „სიღნაღში, ოდესღაც ციხე-გალავნის შიგნით მდგარი ეკლესიის მახლობლად დღესაც შეინიშნება დროთამსვლელობისა და ავდრებისაგან ნახევრად ჩამოშლილი ბორცვი. ეს სამარეებია რუსებისა, რომლებიც დაიღუპნენ აქ კახეთის ამბოხების დღეებში"[2].

ჰოლანდიელი მხატვრის ნ. ფან დოლენის მიერ 1854 წელს შესრულებულ სიღნაღის ხედზე კარგად ჩანს რომელიღაც ციხე-გალავნის ნაშთები, დაბალი კედლებითა და კოშკებით (წმ. სტეფანეს ეკლესიის სამხრეთ დაფერდებაზე)[3].

პ. ზაქარაიამ თავის შრომაში „კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი" გამოაქვეყნა სიღნაღის სქემატური რუკა (XIX ს. დასაწყისისა), რომელზეც, მისი რწმენით, „აშკარად შეინიშნება რომელიღაც ციხის ნაშთი გრძელი კედლითა და კოშკებით"[4].

აღნიშნული ცნობების საფუძველზე, რამდენჯერმე ჩავატარეთ ქალაქის ტერიტორიისა და მიდამოების დაზვერვა. ასეთი წინასწარი და არაკვალიფიციური დათვალიერებითაც კი მოხერხდა დღემდე შემორჩენილ უძველეს ნაგებობათა ნაშთების მიგნება, რომლებიც ზემოაღნიშნული ცნობების სინამდვილეზე უნდა მიუთითებდნენ.

რა ნაშთებია ეს?

1. ერეკლესეული (ამჟამად არსებული) ციხე-გალავნის მაგისტრალური კედელი ერთ ადგილას პერპენდიკულარულად გადადის რომელიღაც ძველი ფორტიფიკაციული კედლის ნაწყვეტზე. თქმა არ უნდა, რომ ეს ნაწყვეტი (დაახლოებით 8 მეტრის სიგრძის), რაკი ახლანდელი ციხე-გალავნის ქვეშ მოექცა, წარმოადგენს ადრინდელი ნაგებობის ნაშთს. თვით ამ ქვეშ მოქცეულ კედელშიც („მეფის, ანუ ჯუგაანის" კოშკის სიახლოვეს, წმ. სტეფანეს ეკლესიასთან) ჩატანებულია

---

[1] დაცულია საქ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფონდებში (იხ. მისი «Путешествия», кг. IV, стр. 204.

[2] დასახელებული წყარო, სანკტ-პეტერბურგი, 1893 წ., გვ. 3.

[3] ინახება საქ. ხელოვნების მუზეუმში.

[4] დასახელებული ნაშრომი, თბილისი, 1962 წ., გვ. 64.

რამდენიმე უჩვეულო სიდიდის აგურის ნატეხი, ე. ი. კედლის ამ ნაწყვეტშიც კიდევ უფრო ადრინდელი ნაგებობის კვალი ჩანს.

2. ერეკლესეული ციხე-გალავნის გარეთ, ქალაქის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული უბნის ტერიტორიაზე (მილიციის განყოფილების ეზოდან კიროვის ქუჩის გადაკვეთამდე) შემონახულია რიყის ქვითა და დუღაბით მტკიცედ ნაგები, დაახლოებით 100 მეტრი სიგრძის გალავნის ნაშთი, რომელსაც სათოფურები არსად ეტყობა. კედლის საბრძოლო ბილიკის ნაკვალევის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ გალავნის ეს ნაწილი უცნობი სიმაგრის სამხრეთ-დასავლეთის ფაზას განეკუთვნება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა რ. რამიშვილმა წინასწარ დაზვერა კედლების ორივე ზემოაღნიშნული ნაშთი და გაიზიარა მოსაზრება, რომ ერთიცა და მეორეც ამჟამად არსებული ერეკლესეული ციხე-გალავნის აგებამდე ადრე არსებულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაკვალევს წარმოადგენს; ეს ნაგებობანი უკაცრიელი არ უნდა ყოფილიყო. მართლაც, სხვა არა იყოს რა, ფერეიდანის ქართულ სოფელთა შორის სოფელ სიღნაღის არსებობაც საკმარისია იმის საბუთად, რომ ყოველ შემთხვევაში შაჰ-აბას I შემოსევების პერიოდში (XVII ს. დასაწყისში) აქ სოფელი სიღნაღი არსებობდა.

რაკი ასეთი წინასწარი შესწავლის შედეგადაც მართლდება ვარაუდი, რომ „ქისიყის გორაზე", ვიდრე აქ ქალაქი სიღნაღი გაჩნდებოდა, არსებობდა ადრინდელი საფორტიფიკაციო ნაგებობანი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სერიოზული არქეოლოგიური კვლევა-ძიება უფრო მდიდარსა და მრავლისმთქმელ მასალას მოგვცემს უძველესი კამბეჩოვანის მხარის ამ მრავალმხრივ საინტერესო სტრატეგიული პუნქტისა და მისი მიდამოების ისტორიის დასადგენად.

როგორ მოხდა, რომ ვახუშტის თვალს შეუმჩნეველი დარჩა სიღნაღის (ქისიყის) გორის უძველესი ნაგებობების ნაშთები და მათი დასახელება?

ასეთი „თეთრი ადგილები" მას მთიანი ქიზიყის მიმართ

შაინც საკმაოდ მოეპოვება: ავიღოთ თუნდაც ჩვენს დრომდე მოღწეული ქვის გალავანშემოვლებული ოზაანის „ამაღლების ტაძარი“, რომელიც X საუკუნით თარიღდება[1]. იგი, რა თქმა უნდა, ვახუშტის მოღვაწეობის დროსაც თავის ადგილზე იყო, მაგრამ ამ უკანასკნელს შეუმჩნეველი დარჩა. მას შეუმჩნეველი დარჩა აგრეთვე ბოდბისხევში მდებარე შუაბაუკუნეების ხანის წმ. ნიკოლოზის ეკლესია[2] და ვაქირის ძველებური კომპოზიციის საყდარიც[3].

ვახუშტისეული რუკაც, კამბეჩოვან-ქიზიყის „თეთრი ადგილების“ გარდა, მრავალ არასიზუსტეს შეიცავს; მაგალითად, მის 1735 წლის რუკაზე ჭოეთის ციხე აღნიშნულია ყარაღაჯის ჩრდილოეთით, ხოლო მისივე „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ პირიქით მიუთითებს: ჭოეთის ციხე ყარაღაჯის სამხრეთით არისო. გარდა ამისა, ქიზიყის დასახლებული პუნქტების უმრავლესობა რუკაზე მათი ფაქტიური მდებარეობის უგულებელყოფითაა აღნიშნული.

ამით, რასაკვირველია, ოდნავადაც არ მცირდება ვახუშტის დასახელებული შრომების დიდი მეცნიერული ღირებულება, მაგრამ ჭეშმარიტებად ვერ ვაღიარებთ მის შრომებში შენიშნულ ასეთ ცალკეულ შეცდომებს და მათში არსებული თეთრი ადგილების გამო სინამდვილიდან ვერ ამოვაგდებთ ისტორიულ ფაქტებს.

ჯერჯერობით ასეთად წარმოგვიდგება მაღარო-ბოდბის გადასასვლელის საფორტიფიკაციო სისტემის ერთ-ერთი კვანძი, რომელიც ამავე დროს დაბა ბუდის სარწმუნოებრივი ცენტრის ჩრდილო-დასავლეთის საფარველად ჩაითვლება.

მეორე, ყველაზე უფრო მძლავრი კვანძი ამ გადასასვლელის საფორტიფიკაციო სისტემისა, თვით მაღარო-ბოდბის გადასასვლელის წყალგამყოფ ზურგზე უნდა ყოფილიყო, რაზეც ორაერთი სარწმუნო წყარო და ადგილობრივი ტრადიციაც მიგითითებს. ვახუშტი ბაგრატიონი პირდაპირ აღნიშნავს, რომ 1729 წლის ახლო ხანებში „ჰყვეს ციხე მაღაროს ქისიყელთა

---

[1] Г. Чубинашвили. «Архитектура Кахетии», 1959, გვ. 359.

[2] საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, 1959 წ., გვ. 106.

[3] გ. ჩუბინაშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 187.

და მეგიდნენ მას შინა"[1]. მაგრამ სათავდაცვო ნაგებობანი მაღაროში ამაზე ოთხმოცი წლით ადრე ყოფილა. ამას უნდა გულისხმობდეს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა: „მოუხდა როსტომ მეფე სპითა დიდითა მაღაროს მყოფ მცირე სპოსანს, თვინიერ ქისიყელთაგან, ბატონს თეიმურაზს და შემოუსია სპანი. მაშინ ეწყუნენ სიმაგრით — გამო კახნი და აოტნეს სპანი როსტომისა"[2].

მაღარო-ბოდბის გადასასვლელის თხემის ცენტრალურ ნაწილში, ზემო მაღაროს სამხრეთ გარეუბანზე ერთი მოხდენილი მომცრო გორაკია, რომელსაც „ზღუდერი" ეწოდება. მასზე ამჟამადაც დგას გვიანფეოდალური ხანის დარბაზული ტიპის დიდი ხნის მიტოვებული ეკლესია — „ზღუდრის წმ. გიორგი". გორაკის სამხრეთისა და დასავლეთის კალთებზე შეინიშნება აბალახებული სამოსახლოების ნაკვალევი. „ზღუდერი", რასაკვირველია, „ზღუდედან არის წარმომდგარი და, როგორც გამორკვეულია, ტერმინი „ქალაქის" შემოსვლამდე ქართველები „ზღუდერით" აღნიშნავდნენ გამაგრებულ დასახლებებს. მართლაც „ზღუდერად" სახელდებული პუნქტების არქეოლოგიურმა შესწავლამ თითქოს ნათელჰყო ამ აზრის სისწორე (ძამის ხეობის „ზღუდერი", ცხინვალის მიდამოების „ზღუდერი"). მათი „დაბადების" თარიღად მიჩნეულია ძველი და ახალი წელთაღრიცხვის საზღვრის ახლო საუკუნეები[3].

ამ გადასასვლელის თხემის ჩრდილო დაქანებაზე დაშვებულ სერს (მაღაროს აღმოსავლეთ უბანში) „ასარ"-ი ეწოდება, რაც არაბულ „ჰისარი"-ის, აგრეთვე სპარსულ „ჰესარი"-ს სახესხვაობად ჩანს. ეს სიტყვა კი ქართულად სიმაგრეს, ზღუდეს (გარშემორტყმა, გარშემოვლება) ნიშნავს. ასარის ზემო ნაწილს ცალკე საკუთარი სახელი „ციხითვეანი" ჰქვია. ადგილობრივი მოსახლენი ირწმუნებიან, რომ ამ 50-60 წლის წინ ციხითვეანში ისევ იყო ციხე-გალავნის ნაშთები (შლიდნენ და საშენ მა-

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, „საქართველოს ცხოვრება", თბილისი, 1913 წ., გვ. 212.

[2] იქვე, გვ. 186.

[3] ლევან ჭილაშვილი, „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში", 1, 1968 წ., გვ. 73—77.

სალად იყენებდნენ). „ზღუდერის“ გორაკის წინ, ბოდბისხევის თავზე ამ უკანასკნელ წლებამდე იდგა მძლავრი ოთხკუთხა კოშკი. მისი საძირკვლიდან უკანასკნელი ლოდების ამოყრის „სამუშაოებს“ პირადად შეეესწარი 1967 წლის ზაფხულში, მას „ნაცვლიანთ კოშკი“ ეწოდებოდა. იგი უნდა ყოფილიყო მაღაროს „სასახლე მეფეთა საზაფხულო“-ს[1] სათავდაცვო სისტემის შემადგენელი ნაწილი. ეს სასახლე, რომელიც გალავანშემორტყმული იყო[2], კახეთის მეფეთა ერთ-ერთ სარეზიდენციო პუნქტად ითვლებოდა[3].

ამგვარად, მაღარო-სიღნაღის გადასასვლელის თხემის ცენტრალურ ნაწილში სამი უაღრესად საინტერესო და მრავალმხრივ საგულისხმო ტოპონიმი „ზღუდური“, „ასარი“ და „ციხითვეანი“ გვაქვს, რომელთა კავშირი საფორტიფიკაციო საქმესთან ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, ხოლო „ხნოვანებით“, ეს ზღუდური მაინც, თუკი უკვე შესწავლილი „ზღუდრების“ მიხედვით ვიმსჯელებთ, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე დგას.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ მაღარო-სიღნაღის ფღელტეხილის ზონაში (4×5 კმ ფართობზე) უმაგალითოდ ბევრი (ოცამდე) ეკლესია-ნასაყდრალი გვხვდება.

რაც შეეხება მაღარო-სიღნაღის გადასასვლელის და ამავე დროს წმ. ნინოს საეპისკოპოსო ცენტრის დაცვის სისტემის მესამე ელემენტს, მის არსებობაზე დღესდღეობით მიუთითებს კვლავაც ფეხზე მდგარი რამდენიმე მძლავრი ოთხკუთხა საფორტიფიკაციო კოშკის ნაშთი და რამდენიმე ასეთი კოშკის ნაფუძარი სოფ. ასანურისა და კვენაკლის გადასახედებში (წმ. ნინოს მონასტრის აღმოსავლეთით).

კვენაკელი ტერმინ „კვერნაქთან“ კავშირში უნდა იყოს. კვერნაქი ეწოდებოდა „გონბორის მთასაცა ქისიყამდე“[4]—ამ-

---

[1] ვახუშტი „აღწერა...“, გვ. 97.

[2] П. Иоселиани, Путевые записки по Кахетии, 1846, გვ. 35—37.

[3] მაგალითად, დავით იმამ ყული ხანის, თეიმურაზ პირველის (იხ. ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრება“, 1913 წ., მეორე გამოცემა, გვ. 202 და 204).

[4] ვახუშტი. „აღწერა...“ გვ. 87.

ბობს ვახუშტი, ე. ი. ქიზიყის ჩრდილოეთში წყდებოდა მეორენაირად (კვერნაქად) სახელდებული ცივ-გომბორის ქედი. სოფელი კვენაკელიც ქიზიყის ჩრდილოეთშია. პოეტ არჩილს კვერნაქი რამდენიმეჯერ აქვს მოხსენებული თავის „გაბაასებაში". სანადიროდ და სანადიმოდ ამხედრებულ თეიმურაზ პირველსა და მის ამალას ალაზანგაღმა მხარეში მორჩილებით ეახლნენ „ლეკები, შუბატონენი კაცები, მოკრძალებითა ვითა ვაცები", ალაზანგამოღმა ნაპირზე კი მათ „კვერნაქელთა" სახით შეეგება თურმე „ვაჟკაცთა სიმრავლე", რომლებიც „ვარსკვლავთა გვანდნენ ციერთა"[1]. შაჰ-აბასის შემოსევის შემდგომი პერიოდის კახეთ-ქიზიყის აღწერისას კი არჩილი სინანულით ამბობს „ვინ იგ მოშალა უწყალოდ, მან ღმერთი აღარ იღმერთა"; ამ უბედურების შემდეგ ეს მხარე თურმე „უკაცო იყო კვერნაქიანათ გაღმართი"[2], ასეთად წარმოგვიდგება დაბა ბუდის სარწმუნეობრივი ცენტრის აღმოსავლეთიდან მომდებარე ხალხმრავალი და გამაგრებული ქიზიყის ერთი კუთხეც.

ამგვარად, სოფ. ზემო მაღაროში გადასასვლელის ცენტრალურ ნაწილში, „უნაგირაზე" გვაქვს უძველეს გამაგრებულ დასახლებაზე მიმნიშნებელი „ზღუდერი" და კიდევ ორი უაღრესად საგულისხმო ტოპონიმი „ასარი" და „ციხითვეანი". ამ დიდიხნის მზეჩასულ ობიექტთა შორის ზემო მაღაროში თავის დროზე არსებობდა ვახუშტის მიერ მითითებული ქვის გალავნიანი მეფეთა საზაფხულო სასახლე. ზემო მაღაროს სიახლოვეს (ჩრდილო-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით) უკვე IV—V საუკუნეებიდან ივარაუდება დაბა ბუდის დამცველი სათავდაცვო სისტემები (სიღნაღის და კვენაკელის მაღლობებზე). მაღარო-ბოდბის გადასასვლელს თავისი შესაფერი „საყარაულოებიც" უნდა ჰქონოდა, რომლის ერთი „წარმომადგენელი" დღემდე იხსენიება და ნანგრევების სახით არსებობს უღელტეხილის თხემის მოთვალთვალე ჭოტორის მთაზე[3]

---

[1] არჩილი, „გაბაასება", („ჩვენი საუნჯე", IV, გვ. 175).

[2] იქვე.

[3] ნ. ხერძენიშვილის აზრით, „საყარაულოები" ყოველთვის ვზასთან ახლოს დაკავშირებული", „მოწყობილი იყო აგრეთვე უღელტეხილებზე, გზაჯვარედინებზე" და როგორც „ციხე-ბურჯი", ე. ი. საბრძოლო დანიშნულების ობიექტი „XIII საუკუნეზე აღრინდელი არ უნდა იყოს" („საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 178—179).

(მის მიდამოებში ამჟამად შენდება ტელევიზიის სარეტრანსლაციო ნაგებობა).

დასკვნა ასეთია: ამ სათავდაცვო ნაგებობათა კვანძების გარემოცვაში ვხედავთ დღესაც ნიშანდებული დაბა ბუდის სარწმუნოებრივ ცენტრს, „ივერიის წმინდა ადგილს". ეს გარემოცვა ამავე დროს მაღარო-ბოდბის უღელტეხილის საფორტიფიკაციო სამოსელს შეადგენდა.

დაბა ბუდი, კამბეჩოვანი, ხორნაბუჯი

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ვის ხელშიც არ უნდა ყოფილიყო იორ-ალაზნის ხეობათა ერთ-ერთი უმოკლესი გზის ყველაზე ვიწრო ადგილში მდგარი ჰოეთის ციხე-სიმაგრე (შემდგომში ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი), იგი უსიტყვოდ ასრულებდა კლდეკარის მრისხანე გუშაგის მოვალეობას.

ისქანდერ მუნში ამ ციხეს ყარლანყუჯს უწოდებს და ასე აგვიწერს მის გარეგნობას: „ის დიდებული ციხე მდებარეობს ერთი მაღალი და მიუვალი მთის წვერზე და არც ერთი მხრიდან არ აკრავს მაღლობი, რომლიდანაც შეიძლებოდეს მასზე თავს დადგომა. მისი სიმაღლე ისეთია, რომ კარის ზღურბლიდან იმ ადგილამდე, სადაც ციხის მცველები დგანან ხუთას საბოცი კიბის საფეხური უნდა აიაროს კაცმა. ერთი სიტყვით, წვიმის წყლით ასავსები ამბრის გარდა ერთი წყაროც რომ ჰქონოდა, ვერც ერთი დიდებული ხელმწიფე ვერ დაიპყრობდა"[1].

ჰოეთის ციხის ფუძეს გოლიათური გოდლის მსგავსი სალი კლდე შეადგენს. მის მწვერვალს არწივის ბუდესავით შეზრდილი საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები განვითარებული შუასაუკუნეებით თარიღდება[2]. მის აღდგენაზე ერეკლე მეორეც ზრუნავდა: „წაბრძანდა მეფე ერეკლე კახეთს, აღაშენა ციხე ჰოეთისა და გაამაგრა ფრიად" — იუწყება მემატიანე[3].

ქართლის სამეფოს (შემდეგ ერთიანი ფეოდალური სა-

---

1 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 110.

2 საქ. კულტურის ძეგლები, 1959 წ., გვ. 127.

3 პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, 1913 წ., მეორე გამოცემა, გვ. 161.

ქართველოს) აღმოსავლეთის კარის სადარაჯოზე IV საუკუნემდე თუ ქალაქი კამბეჩოვანის უძველესი სათავდაცვო კომპლექსი იდგა, საუკუნენახევრის შემდეგ ამ როლში უკვე გამოდიოდა აღმოსავლეთისაკენ გადატანილი სათავდაცვო ნაგებობათა სისტემა, რომლის სულსა და გულს უკვე ეს შედარებით ახალი „დედა ციხე" წარმოადგენდა; აქვე ჭოეთის ტყეში უნდა ვიგულოთ დამარხული „ქალაქი კარგი", რომელსაც ბოლო მოუღეს ბერქას ბრბოებმა.

საქმე იმაშია, რომ ვახტანგ გორგასალის მიერ მთელი კამბეჩოვანის ქართლის სამეფოსთან შემოერთების უმალ (მეხუთე საუკუნის მიწურულში) ამ მხარის მესვეურთა წინაშე ახალი, დიდი ამოცანები და მოქმედების ვრცელი ასპარეზი უნდა გაჩენილიყო (მოსახლეობისა და საზღვართა პერიმეტრის გაზრდა). ამ ვითარებაში „ძველი" ხორნაბუჯიდან თუ ქალაქი კამბეჩოვანის მიდამოებიდან მონაპირე მხარის ხელმძღვანელობა ყოვლად მოუხერხებელი იქნებოდა. ამიტომ აღმოსავლეთისაკენ უნდა გადაეწია სარეზიდენციო პუნქტსაც. ასე ორგანიზებულად ადგილგადანაცვლებულ მოსახლეობას, როგორც წესი, თან მიაქვს ძველი ადგილსამყოფელის სახელწოდებაც, ამ ნიადაგზეა წარმოქმნილი, მაგალითად, სოფელი ხორხელი (სოფ. ხორხიდან), ან კიდევ „ძველი" და „ახალი" დასახლებანი (ძველი სენაკი, ახალი სენაკი, ძველი ანაგა და „ჩვეულებრივი" ანაგა და ა. შ.).

ჩვენს მიერ „ძველ" ხორნაბუჯელებად წოდებული მოსახლეობის გადაადგილებასაც არ უნდა გამოეწვია მათი ზედწოდების შეცვლა. ისტორიას საეპისკოპოსო კათედრალის გადანაცვლების ფაქტიც კი შემოუნახავს (რუსთავიდან მარტყოფში), მიუხედავად ამისა, თავისი ზედწოდება არ შეუცვლია. წმ. ნინოს სამარესთან საუკუნენახევრის წინ დაარსებული საეპისკოპოსოს „ახალ" ხორნაბუჯში გადატანა არც შესაძლებელი იყო და არც საჭირო, იგი ხორნაბუჯის მხარის ფარგლებში რჩებოდა, ჩანს, რომ მხარის აღმინისტრაციული ცენტრის გადანაცვლების შემდეგ წმ. ნინოს სარწმუნოებრივ ცენტრს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კვლავ აღუდგენია ძველი სახელი — ბუდისა (ბოდბისა). ხორნაბუჯის მოსახლეობის აღმოსავლეთში ასეთი ადგილგადანაცვლებაც განიხილება, რო-

გორც აღმოსავლეთისაკენ ქართული ეთნიკური ელემენტის იმ ეპოქაში მიმდინარე ექსპანსიის გამოვლინება. ვფიქრობთ, ჩვენს მოსაზრებას ეთანხმება გიშელთა ზედწოდების ადგილ-გადანაცვლების მაგალითიც: ვარაუდობენ, რომ XII საუკუნის ჰერეთის ნაწილის — გიშის მფლობელებს სააროშიანოც რომ ხელთ უგდიათ, ახალ სარეზიდენციო პუნქტში გადასულან და ზედწოდება „გიშელიც“ თან გაჰყოლიათ[1]. კამბეჩიანის მხარის და ისიც მონაპირე მხარის ადმინისტრაციული ცენტრის „მოგზაურობა“ გამონაკლის მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ. „მოგზაურის“ ბედი არ ასცდენია ქვეყნის სიღრმეში მდებარე საერისთავოებსაც კი. მაგალითად, ქსნის საერისთავოს რეზიდენცია ჯერ ლარგვისში იყო, ხოლო XVI საუკუნიდან ერისთავებმა რეზიდენცია აქედან ახალგორში გადმოიტანეს[2].

განა სულ ერთთავად „მოგზაურობაში“ არ იყო თვით კახეთის სამეფოს ადმინისტრაციული ცენტრიც?

მაგრამ კამბეჩოვანის მხარეს ხორნაბუჯის წარმოქმნამდეც, ცხადია, უნდა ჰქონოდა თავისი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი. და ასეთად ჩვენ შესაძლოა მივიჩნიოთ თავისი მხარის მოსახლე ქ. კამბეჩოვანი, რომელიც შემუსრა „ხუასრო მეფემ“ ვახტანგ გორგასალის მეფობის უკანასკნელ წელს (V საუკუნის მიწურულს).

სად უნდა ყოფილიყო ქალაქი კამბეჩოვანი?

მაღარო-ბოდბის გადასასვლელზე ჩვენს მიერ მითითებულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა ჯგუფისა და ქალაქის ტიპის დასახლებაზე მიმნიშნებელი ობიექტის არსებობა (ზღუდერი) საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ კამბეჩოვანის მხარის უძველესი ადმინისტრაციული ცენტრიც აქ უნდა ყოფილიყო (თავისი მხარის მოსახელე ქალაქი)[3].

---

[1] დ. მუსხელიშვილი, „კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII საუკუნეებში“, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967, გვ. 127.

[2] ეურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1965, კრებული IV, გვ. 7/დ. გვრიტიშვილის სტატია, „ქსნის ერისთავების სასახლე“).

[3] გვიანი ბრინჯაოს, ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ჯერჯერობით ხელთმყოფი კერამიკული, ნუმიზმატიკური და სამხედრო დანიშნულების ნივთების დიდი უმრავლესობა, რაც კი სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განკარგულებაშია, მაღარო-ბოდბე-ჭოტორის მიდამოებშია მოპოვებული.

ამ ვარაუდს ამტკიცებს ამავე გადასასვლელზე „დაბა ბუ-
დის“ არსებობის ფაქტიც: საისტორიო წყაროების მიხედვით
ესეც ერთადერთი დაბაა კამბეჩოვანის მხარეში. და თუ კი
„დაბა“, როგორც წესი, ანტიკური ქალაქების აგრარული ატ-
რიბუტი იყო[1], მაშინ ეს ბუდე, რომელსაც საკუთარი ჩრდი-
ლივით განუშორებლად ახლავს ტერმინი „დაბა“, თავის დრო-
ზე ამ უძველესი ქალაქის — კამბეჩოვანის „კუთვნილებად“
ჩანს. სხვა რამ ქალაქი მის „პატრონად“ რომ ვარგოდეს, ამ
მიდამოებში არსად არსებულა.

ქ. კამბეჩოვანის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, როგორც
ადრე კლასობრივი ხანის გარკვეულ სოციალურ გარემოებათა
ნაყოფი, თავისი არსით უმეტესად, ალბათ, გამაგრებულ სამო-
სახლოთა კომპლექსს წარმოადგენდა. ასეთად უნდა მივიჩნიოთ
იგი პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდშიც, რო-
დესაც მეზობლების (ტომების) ძარცვა და მათი ქონების მო-
ტაცება სამეურნეო საქმიანობის სახედ იქცა[2]. სპეციფიკური
გეოგრაფიულ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო კამბეჩოვა-
ნის მხარეში გამაგრებული სამოსახლოები ნამდვილი ციხე-
სიმაგრეების პარალელურად ფეოდალიზმის განვითარების
ყველა საფეხურზე უნდა ყოფილიყო.

ციხე-სახლები, გასული საუკუნის შუა წლებში შიგნით კა-
ხეთის სოფლებშიც კი ყოფილა. მაგალითად, წინანდალში, ნ. ა.
ვოლკონსკი შენიშნავს, რომ სახლებს „წვრილი და ურიგო
სათოფურები ჰქონდა“[3].

✚ ქალაქი კამბეჩოვანი, როგორც უკვე აღინიშნა, დაულაშქ-
რავს სპარსეთის მეფე „ხუასროს“. „მოვიდა ხუასრო მეფე და
შემუსრნა ქალაქი კამბეჩოვანი“[4]. ამის შემდეგ მისი არსებობის
შესახებ აღარაფერი ვიცით. ამ „ხუასრო“ მეფის შემოსევას
ემსხვერპლა თვით ვახტანგ გორგასალიც. ამავე შემოსევის შე-

---

[1] ლ. ჭილაშვილი, „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში“, 1968 წ., გვ. 90.

[2] Г. А. Меликишвили, «К истории древней Грузии», стр. 196.

[3] „ისტორია... ქართველთა ქვეითი დრუჟინისა“, თბილისი, 1884, გვ. 204.

[4] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, ქართლის ცხოვ-
რება, I, გვ. 200.

დეგად დაეცა ალბათ „ქიზიყის გორისა“ და დაბა ბუდის (ხორნაბუჯის) სათავდაცვო ნაგებობანიც; თუ რა ბედი ეწია ზედ კამბეჩოვანის კარზე არსებულ „დაბა ბუდის“ უკვე დიდი სახელის მქონე სარწმუნოებრივ ცენტრს, მემატიანე არაფერს გვაუწყებს. ოანა შეიძლებოდა, ხუასრო მეფის მტრული ხელი არ შეხებოდა მას, მაშინ, როცა მისი მახვილი არმაზსაც კი მისწვდა? სწორედ ეს გახლავთ საინტერესო? სპარსელებმა, — ამბობს მემატიანე, „არმაზი-ქართლი“ დაიპყრეს, მცხეთაც მოაოხრეს, ოღონდ მხოლოდ ის ნაწილი, „რომელი ზღუდესა გარეგნით იყო“[1]. როგორ უნდა დაიჯეროს კაცმა, რომ არმაზის ამღებს, მცხეთის აღება გასჭირვებოდა, მით უმეტეს, რომ სპარსელთ მტკვარიც გადალახეს (არმაზ-მცხეთის შუა).

ივერიის უდიდესი სარწმუნოებრივი ცენტრების—მცხეთისა და „დაბა-ბუდის“ (ხორნაბუჯის) ხელუხლებლად დატოვება გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ხუასრო მეფის მხრით გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი. საქმე იმაშია, რომ ქართული ეკლესია ვახტანგ გორგასალის დროს ქრისტიანობის იმ მიმდინარეობის პოზიციებზე იდგა, რომელსაც მაშინ სპარსეთის მბრძანებელნი მფარველობას უწევდნენ, რათა ამით საერთოდ ძირი გამოეთხარათ ბიზანტიის გავლენისათვის იბერიის (ქართლის) სამეფოზე[2], ამიტომ „ხუასრო მეფის“ სხვაგვარ საქციელს აზრი არ შეიძლებოდა ჰქონოდა, — მისი ასეთი პოლიტიკური აქცია საფუძველს აცლიდა ვახტანგ გორგასალის განცხადებასაც იმის შესახებ, თითქოს „ხუასრო მეფის“ შემოსევას სხვა არავითარი მიზანი არ ჰქონდა, გარდა ქართველთა მიერ „ქრისტეს დატეობისათვის“[3]. ასე აძლევდა მხარს „ხუასროს“ ეს საქციელი სტრატეგიული წარმატების საქმეს. ალბათ, ამიტომ შეიმუსრნენ ქალაქი კამბეჩოვანი, ჭერმის ციხე და ველისციხე, ხოლო სარწმუნოებრივი ცენტრები გადაურჩნენ ციხეთა საბედისწერო ხვედრს, თუმცა მათ გვერდით მდებარეობდნენ.

---

[1] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 201.

[2] საქართველოს ისტორია, 1, 1958 წ., გვ. 94.

[3] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 201.

საკითხავია, გვაქვს თუ არა ისეთი მაგალითი, როდესაც სპარსელი დამპყრობლები ქრისტიანული სარწმუნოებრივი ცენტრების მიმართ მართლაც იჩენდნენ „თავაზიანობას“, თუკი ასეთი თავაზიანობა-თავშეკავება პოლიტიკურ-სტრატეგიულ „მოგებას იძლეოდა“? შორს რომ არ წავიდეთ, თვითონ მემატიანე ჯუანშერს აქვს დამოწმებული ასეთი ფაქტი: ზემოაღნიშნული სისხლიანი ამბების ახლო ხანად ქართლის სამეფოში ხელახლა შემოჭრილი სპარსელებისათვის ქართლის მეფე ფარსმანს პირდაპირ უთხოვია „სპარსთა მეფისაგან, რათა არა მოაოხრნეს ეკლესიანი“. სპარსთა მეფემ თურმე „ისმინა მისი და დაიცვნა ეკლესიანი“[1].

ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჯუანშერის მიერ ჩამოთვლილი განადგურებული სტრატეგიული ობიექტების გვერდით არა ჩანს „დაბა ბუდი“ (ხორნაბუჯი).

მემატიანემ კარგად იცოდა, რომ დაბა ბუდიც კამბეჩოვანის მხარეში იყო, თანაც იმდენად ახლოს მდებარეობდა ციხე-ქალაქ კამბეჩოვანთან, რომ ზოგი მკვლევარი პირდაპირ აიგივებს ამ უკანასკნელთან[1], მაგრამ რაკი იგი არ იქნა განადგურებული, რატომ უნდა ჩაეწერა განადგურებულ ობიექტთა სიაში?

ქ. კამბეჩოვანის დაცემის შემდეგ მხარის ადმინისტრაციული ცენტრი, შესაძლოა, რომ ერთხანს შეთავსებოდა „ხელუხლებლად“ დარჩენილ დაბა ბუდის (ჩვენი „ძველი“ ხორნაბუჯის) სარწმუნოებრივ ცენტრს, თუკი ამ დროს ჯერ კიდევ ფეხზე არ იყო დამდგარი ჭოეთის მიდამოების ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი.

ქ. კამბეჩოვანის განადგურებას, ჩანს, მისი სრული გადაშენება მოჰყოლია არა მარტო სამხედრო კატასტროფის გამო, არამედ, შესაძლოა, უფრო მეტად ახალი სოციალური ძვრების შედეგად, რამაც ადრეფეოდალური ურთიერთობა მოიტანა და მონათმფლობელური ციხე-ქალაქების ნაცვლად ნამდვილი ფეოდალური ქალაქების წარმოქმნის პროცესს მისცა სათავე, მათი გაცხოველებული ვაჭრობით, განვითარებული სა-

[1] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 206.

[2] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, „კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის ისტორიის საკითხები XII—XIII საუკუნეებში“ (იხ. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, III, 1967 წ. გვ. 119).

სოფლო მეურნეობის რაიონებითა და სახელოსნო წარმოებით[1]. ასეთი ტიპის ქალაქის საარსებოდ გამართლებული პირობები მაღარო-ბოდბის უღელტეხილის თხემს არ გააჩნდა, ბარაქიანი ალაზნის ველის ნაპირები ამ მხრივ გაცილებით მეტ იმედებს იძლეოდა.

შესაძლოა, რომ ტერმინი „კამბეჩიანის“ („კამბეჩოვანი“, ან „კამბეჩანის“) ნაკვალევს შეიცავს ტოპონიმი „კელმეშური“, სახელწოდება სოფლისა, რომელიც ამ რამდენიმე ათეული წლის წინ შეეზარდა სოფ. ქვემო მაღაროს. მის არსებობაზე ამჟამად მხოლოდ ერთი სასმელი წყლის წყარო მიგვითითებს (ქვემო მაღაროსა და ქვემო ბოდბის შუა).

ქვემო მაღარო ზემო მაღაროს გამონაყოფია და მდებარეობს მაღარო-ბოდბის უღელტეხილის სამხრეთ-დასავლეთის კართან, ე. ი. ძველი კამბეჩოვანის მხარის მთიანი ნაწილის ტერიტორიაზე. კამბეჩოვანის მთიანი ნაწილი ყოველთვის ხალხმრავალი იყო და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თითქმის ყველა მტერს გაუნადგურებელი რჩებოდა. თვით ნინოს ჩასვლისას ბოდბის მიდამოებში „ერისა სიმრავლე“ იყო შენიშნული. რუსთა ელჩის მიშეცკის ცნობებიდანაც ჩანს, რომ „ქიზიყის გორის“ მიდამოებში დარჩენილი იყო იმ პირობებისათვის უჩვეულო ხშირი მოსახლეობა; ისქანდერ მუნშიც სწორედ მთიან ქიზიყში აღნიშნავს სპარსელთადმი მძაფრი წინააღმდეგობის გაწევის ფაქტებს. ერეკლე მეორის კარზე მოღვაწე გერმანელი ექიმი რეინეგსიც 1780 წლისათვის შენიშნავდა, რომ მას „ქართლში და კახეთში ყველგან ცარიელი სოფლები, ციხეები და დაბები ხვდებოდა. გრემი და მისი მეზობელი სოფლები ნახევრად ნანგრევებში იყო ჩაფლული, ქ ი ზ ი ყ შ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა მ ხ ო ლ ო დ მთებში ჩარჩენილიყო“[2]. აქ თითქოს მოულოდნელი არაფერია: მთები ყოველთვის იყო თავდაცვაზე გადაძსული ადგილობრივი მოსახლეობის მოკავშირე; სწორედ ამას ეყრდნობა ჩვენი ვარაუდი, რომ ხორნაბუჯის ქვეყნის მონღოლთა მიერ აოხრების შემდეგ „აუღებელი“ მთიანი ქიზიყის ამ მიკრორაიონიდან უნდა დაწყებულიყო

[1] დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, „ივერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები“, 1966 წ., გვ. 60—61.

[2] არტურ ლაისტი, „საქართველოს გული“, 1963 წ., 128.

დაცემული მხარის ნელი აღდგენა-აღორძინება და ამიტომ მთელ მხარესაც ახლა უკვე მისი სახელი („ქიზიყი") უნდა დაპატრონებოდა. მეტად საგულისხმოა, რომ არჩილის მოღვაწეობის პერიოდში (1647—1713) უკვე არსებულა განსაკუთრებული ქიზიყური კილოკავი[1]. ამიტომ, თუ კი სადმე ვიგულებთ უძველესი ქალაქის კამბეჩოვანის ნაკვალევს, იგი მიკრორაიონ „ქიზიყში" უნდა ვეძიოთ.

და აი, ამ „კელმეშურის" შესახებ[2].

ტერმინში „კამბეჩოვანი" კამეჩია გააზრებული. როგორც ცნობილია, ამ ცხოველის სახელწოდება ჩვენში სპარსეთიდან არის შემოსული[3]. სპარსულში ეს ტერმინი წარმოქმნილა „გავ" (ზღვისა) და „მეშ"-ის (ცხვარი) შერწყმის შედეგად და დამკვიდრებულა „გავმეშ"-ის სახით"[4].

ქართულში ამ ტერმინის საწყისი ბგერა „გ" შეცვლილა ბგერა „კ"-ანით („კავმეშ"), შემდეგ კი მას ძლიერი დეფორმაცია განუცდია და ქართულში „კამბეჩი"-ს (კამეჩი) ფორმა მიუღია. მაგრამ პირველად მოვლენილი, „გავმეშ", მერე „კავმეშ"-ი, თითქოს აღარც ისე შორს უნდა იდგეს „კელმეშ-იდან, რომელიც „კელმეშურის" საფუძვლად შეიძლება ქცეულიყო.

დამაჯერებელი არ არის „ქიზიყის" გაგება „მქის იყო"-დ როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გვთავაზობს, არც ამ ტერმინის დაკავშირება მარმარილოს ზღვისპირეთის ისტორიულ „კიზიკ"-თან (უკანასკნელი მოსაზრება ნ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის, რომელმაც თავის მხრივ, სამართლიანად დაიწუნა „ქიზიყის" ვახუშტისეული განმარტება)[5].

„ძველი" ხორნაბუჯის (მთიანი ქიზიყის შუაგულის) მიდამოების თავდაცვითი სისტემის მნიშვნელობა, როგორც ქართლის სამეფოს აღმოსავლეთის ძველი ავანპოსტისა, თანდათან უნდა დაეჩრდილა „ახალი" ხორნაბუჯისა და მის იქით კამბე-

---

[1] არჩილი, „გაბაასება..." (ჩვენი საუნჯე, ტ. IV, გვ. 152).

[2] ამ სახით (კელმეშური) გვთავაზობს მერმინდელი კელმეჩურის სახელწოდებას პოეტი არჩილი („გაბაასება...", ჩვენი საუნჯე, ტ. IV, გვ. 243).

[3] ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ?" 1966 წ., გვ. 103.

[4] ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ", 1966 წ., გვ. 103—107.

[5] შესავალი წერილი „ნიკო ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი". 1961 წ., გვ. 43.

ჩოვანის მხარის ახალი საზღვრების ზოლში წარმოქმნილ სათავდაცვო სისტემათა ახალ ავანპოსტებს. შირაქში (მაგალითად, ვაშლოვანის ნაკრძალის მიდამოებში) და განსაკუთრებით იორის სანაპირო ზოლში დღესაც გვხვდება მძლავრი თავდაცვითი ნაგებობების ნანგრევები[1]. ტყეებით დაბურული ძველი კამბეჩოვანის მთიან ნაწილში კი, სადაც ქვის მასალა მხოლოდ ღრმა ხევებიდან უნდა ეზიდათ, ეტყობა, საჭიროების შემთხვევაში უპირატესად ხის ციხეებსა და ჯებირებს აგებდნენ, რომელთაგან უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ხის ციხეები ისევ და ისევ მაღარო-სიღნაღის გადასასვლელის (დასახლება „ქისიყის") ზოლში უნდა არსებულიყო. ხის ციხეების აგების პრაქტიკა აღმოსავლეთ კახეთსა და კამბეჩოვანის მთიან მხარეში უცხო და გამონაკლის მოვლენად არასოდეს არ ითვლებოდა. შაჰ-აბასის შემოსევების დროს, როგორც უცხოური და ქართული წყაროები იუწყებიან, მთელი მებრძოლი ქართველი მოსახლეობა ხის ციხეებში (სიღნაღებში) ჩამჯდარა[2].

ხის ციხე-სიმაგრეების, თუ ზღუდე-ჯებირების მშენებლობაში კახელები იმდენად გამოცდილი ყოფილან, რომ მათ აგებას მცირე დროში ასწრებდნენ. ვერაგი შაჰ-აბასის შემოჭრის გამო კახელებმა თურმე ერთიანი ჯებირი გააკეთეს ცივ-გომბორისა და კავკასიონის ქედებს შორის; არჩილი ამის შესახებ წერს:

„რა შევიტყეთ მართლა მოსვლა (შაჰ-აბასისა — ი. შ.),
სხვა ველარა გავაწყევით,
მუკუზნიდან გაღმა მხრამდე სულ ჯებირი წავავლევით,
გავჯებირეთ ორ მთას შუა, უკან რაზმი დავაწყევით"[3].

ხის იყო არა მარტო კახეთის თავდაცვითი ნაგებობანი, არამედ თბილისის ციხეებიც. და ვინაიდან ამ ქალაქის უმრავლესი ნაგებობა ხისა იყო, თბილისს ხის ქალაქსაც უწოდებდნენ[4]. ქა-

[1] იხ. ჟურნალი „საქართველოს ბუნება", 1967 წ., № 5 (გ. გოჩიტაშვილის სტატია „ვაშლოვანის ნაკრძალი").

[2] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 103—105. ს. კაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია, 1920, გვ. 24; გ. ჯამბურია, გ. საკაძე, — 1964 წ. გვ. 106—115.

[3] „გაბაასება.." (ჩვენი საუნჯე, ტ. IV, გვ. 195).

[4] შ. მ ე ს ხ ი ა, „თბილისის ისტორია", 1958 წ., გვ 32—33. ხის ციხეში იდგა მე-6 საუკუნის ქუთაისიც (გეორგიკა, 11, 1965, გვ. 203).

ლაქ ახალციხესაც თავის დროზე ხუთადლიანი ძელების გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ამავე მიზეზით ეწოდებოდა ქართულ დასახლებებსა და ობიექტებს „ლაბტის ციხე“, „ფიჩხის ქალაქი“, „თხმელის ციხე“ (ვახუშტი). გამოყენებული სამშენებლო მასალის მიხედვით წარმოქმნილ სახელწოდებას ჩვენი ქვეყნის მეზობელ მხარეებსა და მის გარეთაც ვხვდებით: მაგალითად, სოფელი „მუხისციხე“ (კახეთიდან დიდოეთში გადასასლელ გზაზე)[1], „კრონშტადტი“ (ხის გამაგრებული ადგილი)[2], „მუხის ქალაქი მოსკოვი“[3], ტაშკენტი — „ქვის ციხე“. რაც შეეხება ტერმინს — „ციხე“, იგი ნაირნაირ ვარიაციაში ხშირად შედის დასახლებული პუნქტების სახელწოდებებში; „ციხე“-ს ვარაუდობენ თვით სახელწოდება „მცხეთაშიც“[4], ცნობილია, დასახლებანი „ჯიხა“ (მეგრ. ციხე), „ციხიათა“, „ციხისუბანი“, „ველისციხე“ „ჯიხასკარი“, „ქვაციხე“, „ქვაცხელები“ (ურბნისთან), „ჯიხახორა“[5] და სხვანი.

გასაგები მიზეზების გამო ხის ციხე-ნაგებობებს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა და არც ტოპონიმებში დაუმკვიდრებიათ დიდი ადგილი.

„ხის ციხე“ თითქოს სიტყვა „ქიზიყის“ (ქისიყის“, „ხისიყის“, როგორც ხ შ ი რ ა დ გ ვ ხ ვ დ ე ბ ა) ფუძედ შეინიშნება. შესაძლოა, „ქისიყის“ უკანასკნელი მარცვალი „ყი“, ანუ „ხი“ იყოს. აგრეთვე სპარსული „ყეს“ (ციხე-სიმაგრე)[6] ნაკვალევი და მაშინ ქისიყის (ხისიყის) პირვანდელი სახე ალბათ „ხისიყე“ იყო. ამ შინაარსობლივ მსგავსებათა ნიადაგზე, შესაძლოა, კაცმა ივარაუდოს, რომ დღევანდელი ტოპონიზ-

---

[1] ნ. ა. ვ ო ლ კ ო ნ ს კ ი, „ისტორია... ქართველთ ქვეითის დრუჟინისა“, ქართულ ენაზე, ი. მაჩაბლის რედაქციით (თბილისი, 1884 წ., გვ. 11 (დამატებებში).

[2] გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბილისი, 1965 წ., გვ. 80—82.

[3] А. В е д е н и н, «Кремль, Москва», 1957, стр. 49.

[4] Г. К л и м о в, Этимологический словарь, Москва, 1964, стр. 239.

[5] მე-7 ს. ბიზანტიური წყაროდან, დამოწმებული აქვს. გ. ა. მელიქიშვილს შრომაში «К истории древней Грузии», 1959, стр. 99.

[6] გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბილისი, 1965 წ. გვ. 199.

მი „სიღნაღი“ (ციხე-თავშესაფარი) მართლაც „ქისიყის“ თარგმანია, აქე ვარაუდობდა მოსე ჯანაშვილი[1].

გაშაგრებული პუნქტი, ანუ მიკრორაიონი „ქისიყი“, უეჭველია, ხშირად და დიდი ხნობითაც რჩებოდა მხოლოდ და მსოლოდ სათავდაცვო ნაგებობათა კვანძად, რომელშიც დროდადრო ისევ იჩენდა ხოლმე თავს ქვითკირის ნაგებობანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა გარკვეული მიზეზის გამო ამ მხარეა ადმინისტრაციული ცენტრი კვლავ აქ გადმოდიოდა, ხოლო მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად მასზე უშუალოდ მიმდებარე სოფლებში რჩებოდა (საქობო, მაშნაარი, კვენაკელი, მაღარო, ნუკრიანი). დღევანდელი სიღნაღის მიდამოებში ქალაქის ტიპის დასახლების წარმოქმნის ძირითადი პირობა, რასაკვირველია, მარტო დიდმნიშვნელოვანი გადასასვლელის არსებობით როდი განისაზღვრებოდა. ძირითადი ის იყო, რომ აქ გადასასვლელზე იქმნებოდა გზათა საყურადღებო კვანძი, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის „ა ბ რ ე შ უ მ ი ს გ ზ ი ს ა“ და ჰერეთ-კახეთისათვის დარიალის კარის მნიშვნელობის მქონე „ლეკეთის გზის“ განშტოებათაგან შედგებოდა. ერთი სიტყვით, სიღნაღი და მისი წინაპრები „ქიზიყი“, ხორნაბუჯი (ძველი) და ქალაქი კამბეჩოვანი წარმოქმნილი ჩანს არა მარტო ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარებისათვის საჭირო პირობების შედეგად (მჭიდრო მოსახლეობა, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მაღალი პროდუქტიულობა), აქ ალბათ წინა პლანზე გზათა აღნიშნულ კვანძზე კონტროლის საჭიროება იდგა.

მაღარო-სიღნაღ-წნორის მიდამოებში ციხე-ქალაქის თუ ქალაქის ტიპის დასახლებისათვის უხსოვარი დროიდან დაწყებული ისტორიული პროცესი განუწყვეტელი რომ ყოფილიყო, ამჟამად საქმე გვექნებოდა მრავალსაუკუნოვანი დასახლების არსებობის ფაქტთან და არა მისი ნაკვალევის ძებნის საჭიროებასთან.[1]

ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის უსასტიკესი და უსასრულო ბრძოლების ისტორიაში ამ მხარის მაშინდელი

---

[1] იხ. მისი რედაქციით გამოცემული ვახუშტის საქართველოს გეოგრაფია, 1904 წ., გვ. 155 (შენიშვნები).

მოსახლეობის ყველა ფენიდან გვხვდება მრავალი თავდადებული ადამიანი.

ზემოთ უკვე შევეხეთ თამარის ეპოქის მონაპირე ხორნაბუჯის პატრონის ჩამომავალთა, საღირ მახატლის ძეთა სახელებს, რომელთა ხსენებაზე ბანჯისა და ბარდავის მხარეებშიც კი „მცირე ვერ აუტირდებოდა დედასა“.

მეფე-პოეტ არჩილს დამოწმებული აქვს ქიზიყის „ერთი სოფლის“ მცხოვრების, უბრალო გლეხის მეტისმეტად ამაღელვებელი საქციელი: იგი იყო სპარსეთიდან სამშობლოში მომავალი თეიმურაზ I პირველი მასპინძელი მშობლიურ მიწაზე. ამ გლეხკაცს თეიმურაზისათვის წარუდგენია აკვნებში ჩაკრული თორმეტი ბიჭუნა: ვიცი, რომ ჩემგან შენ არაფერს „შეიძღვნი“, აი, ესენი მიიღე „სულამც თქვენა გენაცვლების დედმამიან თქვენთვის სრული, შენის ჭირის ჩვენს სანაცვლოდ სული გვქონდეს ამოსრული“.[1] ასე გამოხატა ქიზიყის მხარის ქართველმა გლეხმა ერისადმი უსაზღვრო ერთგულება. არაფერი ვიცით, თუ სახელდობრ ვინ იყო ეს გლეხკაცი, მაგრამ მის ამ საქციელში მთელი იმდროინდელი ქიზიყის მშრომელი ხალხის პატრიოტული განწყობილებაა გამოხატული და ამიტომ არჩილს არც უნდა შემოეფარგლა ეს განწყობილება ერთი ადამიანის სახელით.

ერეკლე მეორის დროს მთელ ამიერკავკასიაში ქუხდა სახელი ქიზიყის მოურავის, დიდი მებრძოლის ზაქარია ანდრონიკაშვილისა, რომელსაც დაღესტნელები „მიწის მგელს“ უწოდებდნენ. გრიგოლ ორბელიანმა საგანგებოდ მოიხსენია იგი თავის „სადღეგრძელოში“:

„და ზაქარია მიწისა მგელი
ანაზდეულად იქ აღჩნდებოდა,
სადაცა მტერი გალაღებული,
მისგან შემუსვრას არ მოელოდა“.

ქიზიყის ჯარის საშუალებით დაამარცხა ერეკლე მეორემ აბდულაბეგის 8-ათასიანი მხედრობა თბილისის მიდამოებში: „ქისიყელთ გააქციეს მტრის ჯარი: ასრე რა ნახეს ჯარის გაბრუნება ქართველთა და კახთა“, ერთხმად შეუტიეს უკუქცე-

---

1 არჩილი, დასახელებული წყარო, გვ. 164.

ულ მტერს და განჯამდე კუდით ქვა ასროლინესო[2]. ამ ბრძოლა-ში ქიზიყელებს სარდლობდა მათი მოურავის შვილი პაპუა.

გმირის სახელი ჰქონდა მოპოვებული შემდგომ ქიზიყის მოურავის — პაპუა ანდრონიკაშვილის ქალიშვილს — ქეთევანს, გიორგი XII მეუღლეს, რომელიც პირადად გაუძღვა მცირერიცხოვან მხედრების გუნდს ხუთასკაციან ლეკი ავაზაკების რაზმის წინააღმდეგ ღართისკართან და სასტიკად დაამარცხ. მომხდურები; „მეფემან ირაკლი ესევითარი სიმხნე სძლისა თვისისა, მხიარულ ქმნილმან შეიყვანა ტფილისს დიდებითა დიდითა და ზარბაზნისა სროლითა და ღამეს მას ყოველსა ქალაქსა იყო ჩირაღდანი“ — იუწყება დავით ბაგრატიონი.

ქიზიყელ გლეხ-მოლაშქრეთა გმირობით 1755 წელს განადგურებას გადარჩა ყვარლის ციხის გარნიზონი და დეზორგანიზებულ იქნა ნურსალი-ბეგის 20-ათასიანი ლაშქარი, დარბევით რომ ემუქრებოდა მთელ კახეთს. ლომგული ვაჟკაცის სახელი ჰქონია ქიზიყის ნაცვალს — ჯიმშიტას, მტრის „სისხლში მცურავსა“[2].

მემატიანენი განსაკუთრებით აღნიშნავენ მაჩხაანელი გლეხის ბოსტაშვილის პიროვნებას[3], რომელმაც აჯი-ჩალაბის ლაშქართან ბრძოლისას დაღუპვას გადაარჩინა განსაცდელში ჩავარდნილი მეფე ერეკლე. ასეთივე საქციელით უკვდავყო თავისი სახელი საქობოელმა სინჯია ქვეხამ, მან პირადად მიიღო მონაწილეობა ერეკლე მეფის გადარჩენაში კრწანისის ომის დასასრულს.

ქიზიყის მოურავ თამაზ ანდრონიკაშვილის შესახებ მემატიანე პაპუნა ორბელიანი ამბობდა, რომ მისი საქციელი ბრძოლებში „ერთის კაცისაგან ძნელად შესაძლისი არის“, ისეთი ოსტატობით წარმართავდა თურმე ბრძოლას, რომ „ლეკნი სულ ამოწყვიტეს და ამათ ერთი კაცი მოუკვდათ“. იგი ყოფილა „მხნე, გოლიათი, მიუდრეკელი“, „ამის უკეთესად ერთი მეომარი კაცი აღარ იქნება“.

---

[2] ომან ხერხეულიძე, „საქართველოს ცხოვრება“, 1913 წ., გვ. 142—143.

[1] არჩილი, „გაბაასება...“ გვ. 240 (ჩვენი საუნჯე, I, 1960).

[2] ომან ხერხეულიძე, „საქართველოს ცხოვრება“, 1913 წ., გვ. 280.

[3] პაპუნა ორბელიანი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ 117—124—149.

ნაწილი მეორე

1. სიღნაღის დაბადება

ქ. სიღნაღი ადმინისტრაციული ცენტრია რაიონისა, რომელიც მოიცავს ძველი ქიზიყის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ნაწილს. იგი მდებარეობს ცივ-გომბორის ქედის მთავარი წყალგამყოფი ზურგის დასასრულთან, მკაფიოდ გამოკვეთილსა და მოხდენილ მაღლობზე, რომელსაც ვახუშტის თქმისა არ იყოს, მართლაც, უნდა ვუწოდებდეთ „მთასა, ცივის მთადამ ჩამოსულსა"[1]. მისი კოორდინატებია ჩრდილო განედის 41° 37, და აღმოსავლეთის გრძედის 45°55. ამ მაღლობის უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 800 მეტრზე მაღალია. სიღნაღის ფერხთით, ორიოდე კილომეტრით მის აღმოსავლეთით, კახეთის რკინიგზის მარჯვენა განტოტების ბოლო სადგური და სრულიად ახალგაზრდა ქალაქი წნორია.

(სახელწოდება „სიღნაღი", როგორც ცნობილია, ქართული წარმოშობისა არ არის. იგი თავშესაფარს ნიშნავს (თურქული „სიღინაკ" — თავშესაფარი). შესაძლოა, ამიერკავკასიაში სიღინაკის გამოჩენა მონღოლთა ბატონობის ეპოქას უკავშირდებოდეს. მონღოლთა მძლავრობის ხანაში „სიგინაკ", როგორც მდიდარი ქალაქი, შუა აზიაშიც იყო. იგი სწორედ ჩინგიზ-ხანის ბრბოებმა გაანადგურეს[2]. ამ სახელწოდების დასახლებული და გეოგრაფიული პუნქტები ახლაც არსებობს მთიან ყარაბაღსა[3] და თურქეთის ტერიტორიაზე[4].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა...", გვ. 98.

[2] В. Яп. Батый. М., 1960, стр. 10.

[3] ერთი ასეთი სახელწოდების ადგილი მოხსენებულია, მაგალითად, ყარაბაღის 1695 წლის სპარსულ დოკუმენტში (სპარსული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, თბილისი, 1962. წიგნი I, ნაკვეთი 2, გვ. 48. აგრეთვე, 1762 წლის ერთ დოკუმენტში (ვ. მაჭარაძე, მასალები XXVII ს. შეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 1968, გვ. 432).

[4] ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ?", 1966, გვ. 94.

(სიღნაღი, რომელიც ხუთასი მეტრის სიმაღლიდან გადასაცქერის დიდებულ ალაზნის ველს, ღია ცის ქვეშ დასადგმელი ისტორიულ-ზღაპრული დრამის გრანდიოზულ სცენას მოგაგონებთ. ამ „სცენაზე“ უწინ მართლაც იდგმებოდა სისხლიანი დრამები, როცა ხშირად ერთ ქართველ „მოქმედ ხმალზე“ თითქმის ყოველთვის ათი გადამთიელის ხმალი ელავდა. ამ მხარის მცველებს მტერზე გამარჯვებაც უზეიმიათ და მარცხის სიმწარეც უგემნიათ.) სიღნაღის გარეუბანში განსვენებულ წმინდა ნინოს სამარესთან ხშირად მოდიოდა მამაცი ერეკლე მეორე და წარმოსთქვამდა: „მონასა შენსა და სასოებით თაყვანისმცემელსა, მომეც ძლევა მტერთა ზედა“[1].

სიღნაღის მშვენებაა მისი ქედმაღალი და მეტისმეტად უსწორმასწორო მაღლობი. იგი კახეთის მთელი წინა მხრიდან მოჩანს. 1825 წელს ალაზანგაღმიდან სიღნაღისაკენ მომავალმა გერმანელმა ენტომოლოგმა და ბუნებისმეტყველმა ვ. იეგერმა ჩაწერა თავის შთაბეჭდილებათა წიგნში, რომ სიღნაღის მაღლობი მან 20 ვერსის მანძილიდან შენიშნა[2]. მაშინდელ სიღნაღში ორიოდე ფანარი და ამდენივე შორიდან შესამჩნევი ნაგებობა თუ იყო. ამჟამად სიღნაღის ელექტრონის ბრიალა თვალები და თანამედროვე ნაგებობანი თვით ლეკის მთებიდანაც შეინიშნება.

(სიღნაღი, „ქიზიყის“ მემკვიდრე, საქართველოს ქალაქთა სიაში 1770 წელს შეუტანიათ[3]. სულ მალე თელავთან ერთად, იგი კახეთის ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი გამხდარა.) ეს ქალაქი თავიდანვე ქართველი მეფის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და სათავადო სისტემის არარსებობის გამო მისი მეურნეობის მართვაში მეფის ხელისუფლებას არავინ ჰყავდა მოქიშპე[4]. ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიური ცხოვრების აღორძინებასა და კერძოდ, ვაჭრობა-ხელოს-

---

[1] წმ. ნინოს მონასტრისადმი 1758 წელს მიცემული შეწირულების ერეკლესეული სიგელიდან (საქ. არქივი, ფ., 226, საქმე 1405).

[2] იხ. მისი „მოგზაურობა პეტერბურგიდან ყირიმსა და კავკასიის ქვეყნებში“, ლაიპციგი, 1830 წ., (გერმანულიდან თარგმნა ივ. ლოლაშვილმა).

[3] „კვალი“, 1898 წ., № 11, გვ. 109.

[4] Ш. Месхиа, «Города и городской строй феодальной Грузии», стр. 117.

ნობის გაფართოების მიზნებს ემსახურებოდა ერეკლე მეორის მიერ 1770 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც „დააკანონა ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის ხელსაყრელი საკუთრების ქალაქური წესი: ამიერიდან უშვილოდ გარდაცვალებული მოქალაქის ქონება მეფეს კი არ მიჰქონდა, როგორც ძველად იყო, არამედ ამ მოქალაქის თუნდაც შორეულ მემკვიდრეს რჩებოდა“[1].

ვაჭრები, ანუ „აღებ-მიცემის კაცნი“, „დუქნის პატრონი, ქართველი, სომეხი, ფრანგი, თათარი, ჰურია, თუ რა მილეთის კაცი იყოს „ყველა ესენი 1774 წელს შემოღებულ მორიგე ჯარში სამსახურიდანაც თავისუფლდებოდნენ, თუ ამ ჯარში თავის მაგიერ სხვას (დაქირავებულს) გაგზავნიდნენ, რის ნებართვაც საგანგებოდ იყო აღნიშნული ქართლ-კახეთის სამეფო დარბაზის მიერ შემუშავებულ „მორიგის ლაშქრობის განაჩენში“[2].

აღორძინების გზაზე დამდგარი მხარის განახლებულ ცენტრში, სიღნაღის მაღლობზე 1762 წლისათვის[3] ახალი ციხე-გალავნის აგება დაუმთავრებიათ. მისი ორნახევარ კილომეტრზე მეტი სიგრძის კედლები, 23 კოშკი და ამდენივე კონტრფორსი ორ ათეულ ათასზე მეტ კუბური მეტრის უმტკიცესი ქვითკირის მასას შეიცავს. ამ მასის მესამედი ალბათ უმაღლესი ხარისხის ქვიშა-კირის ხსნარი იქნებოდა. სრული უგზოობისა და უწყლობის პირობებში ამდენი მასალის დამზადება, შშენებლობა, უდავოა, მოითხოვდა ქიზიყის მოსახლეობისა და მთელი სამეფოს დიდ მატერიალურ-ეკონომიურ სახსრებს. არ ვიცით, რამდენი დრო და მუშახელი დასჭირდა ციხე-გალავნის აგებას. დაახლოებით წარმოდგენისათვის ერთი მაგალითი უნდა მოვიყვანოთ: სრულიად ვაკე ადგილზე, უკეთესი გზების, საშენი მასალის, თუ წყლის სიუხვისა და სიახლოვის პირობებ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, გვ. 224.

[2] „ქართული სამართლის ძეგლები“ — გვ. 439, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 373.

[3] Пл. Иоселиани, «Путевые записки по Кахетии», Тифлис, 1849, стр. 39.

ში მუხრანის ციხე-გალავნის აგებას, როგორც იუწყებიან, ექვსასამა მუშამ სამი თვე მოანდომა[1]. ამ ციხის კედლების ჰერიმეტრი ნახევარ კილომეტრამდეა[2], ე. ი. სიღნაღის ციხე-გალავანზე ხუთჯერ პატარაა. მაშასადამე, ამ უკანასკნელის აგებას ალბათ ორი-სამი წელიწადი მაინც დასჭირდა.

ქიზიყის (სიღნაღის) ახალი ციხე-გალავნის უმთავრეს კარს, რომელსაც ორი კოშკი იცავდა, „მ ა ღ ა რ ო ს ჭ ი შ კ ა რ ი“ რქმევია. ამ ჭიშკრიდან თუ დავიწყებთ (საათის ისრის მიყოლებით), ციხე გალავნის ნაწილები შემდეგნაირად არის სახელდებული: მაღაროს ჭიშკარი და მისი ორი კოშკი, სამეფო ანუ ჯუგაანის კოშკი, კახეთის კოშკი, (I), კახეთის კოშკი (II), შილდის კოშკი, შილდის ჭიშკარი, „ნარინგკალე“-ს კოშკი, ზიარ-ფხოველის კოშკი, ზიარ-ფხოველის ჭიშკარი, უსახელო კოშკი (I), უსახელო კოშკი (II), უსახელო კოშკი (ვაქირის ჭიშკართან), ვაქირის ჭიშკარი, კარდენახის კოშკი, ბაკურციხის კოშკი, მაშნაარის ჭიშკარი და მისი მცველი ორი კოშკი, ანაგის კოშკი, საქობოს კოშკი, მაჩხაანის კოშკი (I), მაჩხაანის კოშკი (II), ქიზიყის ანუ გორის კოშკი, ბოდბის ჭიშკარი, ველისციხის კოშკი და ბოდბის კოშკი — სულ 23 კოშკი და 6 ჭიშკარი.

გასაგებია, რომ სიღნაღის ციხე-გალავნის ზემოხსენებული ნაწილების სახელწოდებები მიგვითითებენ იმ სოფლებზე, რომელთა მოსახლეობაც აშენებდა ამ სიმაგრეს საკუთარი სახსრებითა და ძალ-ღონით. მაგრამ მათ გარდა ციხე-გალავნის აგების პერიოდში ქიზიყში სხვა სოფლებიც არსებობდა: ჭოტორი; ასანური, ტიბაანი, ბოდბისხევი, (ანუ „ხევი“), ფანიანი, არბოშიკი, ცლუნკაანი, ოზაანი, ქედელი[3], ნუკრიანი და სხვ. რომელთა არსებობაზე ვახუშტიც მიგვითითებს.

ამბობენ, რომ არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც ციხეები შენდებოდა მოსახლეობის იმ ნაწილის მიერ, ვინც

---

[1] საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 45.

[2] პ. ზაქარაია, თავდაცვითი ღონისძიებანი XVIII ს. ქართლ-კახეთში (ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 27, 1967 წ., გვ. 249—250).

[3] როგორც ქედელის მკვიდრნი ამბობენ, მათი სოფელი ახლანდელთან შედარებით გაცილებით დიდი ყოფილა და თავის დროზე მისი მოსახლეობის უმეტესობა ძველ ანაგაში გადასახლებულა. სოფლის ჩრდილო მაღლობებზე მართლაც შეინიშნება დიდძალი და ძველისძველი ნასახლარები.

მას თავს შეაფარებდა"[1]. მაგრამ თუკი სიღნაღის ციხე-გალავანში თავს შეაფარებდა შილდის, ზიარ-ფხოველისა და ბაკურციხის მოსახლეობა, ამ უფლებას მოკლებული რად იქნებოდა სიღნაღის ციხე-გალავნის კართან მდგომი ასანურის, ჭოტორის, ბოდბისხევისა და ქიზიყის სხვა სოფლების მოსახლეობა? ჩვენი რწმენით, ამ ციხე-გალავნის მშენებლობისაგან თავისუფალი ქიზიყის სოფლების შრომისუნარიანი მამაკაცები (მხედრობა) განსაკუთრებით ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ სწორედ ამ სამუშაოთა შესრულების დროს, რადგან „ქართლ-კახეთში დაღესტნელ ფეოდალთა თავდასხმები განსაკუთრებით ძლიერი იყო 1759—1760 წლებში,[2], ე. ი. სწორედ ამ ციხის მშენებლობის პერიოდში. ასეთი საქმისათვის განწესებული ქიზიყელი მხედრების ოჯახები, ციხე-გალავნის მშენებლობაში მონაწილეობის მიუხედავად, ეჭვს გარეშეა, უფლებამოსილნი იქნებოდნენ მომავალში ესარგებლათ თავის შეფარების უფლებით.

ქიზიყის (სიღნაღის) ციხე-გალავნის გეგმას რომ ვეცნობით, იბადება კითხვა: რატომ არც ერთი მისი კოშკი ან ჭიშკარი არ „მოუნათლიათ" სიღნაღის სახელწოდებით?

ახალბედა ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ვაჭარ-ხელოსნებისაგან შედგებოდა[3], რომლებიც ჭარ-ბელაქნელ ყაჩაღებს ვერ დაედევნებოდნენ, მაგრამ შეეძლოთ გაეღოთ სახსრები, რათა ერთი კოშკი მაინც აეგოთ და ამით მოეპოვებინათ ციხე-გალავნით სარგებლობის უფლება. ისინი თითქოს არც ამ საქმეში ჩანან. მაშ რას აკეთებდა ქიზიყის მოსახლეობის ეს ნაწილი?

უნდა შევნიშნოთ, რომ კახეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებული თუ შემოხიზნული სომეხი მოსახლეობა ისეთ პუნქტებში ბინავდებოდა, სადაც ვაჭრობა-ხელოსნობისათვის სხვა სა-

---

[1] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, „კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი", თბილისი, 1962 წ., გვ. 66.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „საქართველოს ისტორია" — (დამხმარე სახელმძღვანელო), 1858 წ., გვ. 350—351.

[3] მათ შორისაც უკვე ამ დროისათვის მრავალი ქართველი ჩანს (განსაკუთრებით შეგირდები), ქართული გვარებითა და სახელებით (იხ. 1804 წლის კამერალური აღწერის მასალები — საქ. ცსა (თბილისი), ფ. 254, აღწ. 1, საქმე 75).

ჭირო პირობათა გარდა, აუცილებლად იყო სათავ-
დაცვო ნაგებობანიც: თელავში, ველისციხეში, გრემ-
ში, ბაზარში. ყოველ შემთხვევაში, უდაბურ და უკაცრიელ ად-
გილებში, მით უმეტეს „ლეკიანობის“ ხანაში, არაქართველ მო-
სახლეობას ამ მხარეებში არსად არ შეუქმნია რაიმე საკუთარი
დასახლება და სიღნაღის მაღლობზე უძველესი სიმაგრეებისა
თუ მოსახლეობის არსებობის შესახებ სხვა ცნობებიც რომ არ
გაგვაჩნდეს, მოახალშენეთა აქ დაბინავების ფაქტიც გა-
მოდგებოდა იმის საბუთად, რომ ეს გორა-კონცხი მათი გამოჩე-
ნის მომენტისათვის უკაცრიელი და, მით უმეტეს, დაუცველი
ადგილი არ იყო.

მაგრამ ჩანს, ქიზიყის გორაზე ახალი ქალაქის წარმოსახვამ-
დე ჯერ აღდგენილ იქნა, მოწესრიგდა ვრცელი მოცულობის
„ძველი“ ციხე-გალავნის ნაშთები (მისი არსებობის ნიშნებზე
ზემოთ უკვე იყო აღნიშნული), ალბათ ამაზე მეტყველებს ომან
ხერხეულიძის ცნობა, რომ „მეფემ ირაკლიმ განაახლა... გალა-
ვანი სიღნაღისა“...[1]. ამ „მკვდრეთით აღმდგარ“ ძველ ციხე-
გალავანს, რამდენადაც მისი მოწესრიგება ძირითადად მაინც
ახალმოსული მოსახლეობის ხარჯზე უნდა გატარებულიყო,
ჩანს დაერქვა უცხოური სახელი „სიღნაღი“[2]. აი, ამიტომ საჭი-
რო აღარ უნდა ყოფილიყო, რომ ახალი ციხე-გალავნის რომე-
ლიმე ელემენტს კვლავ „სიღნაღი“ სწოდებოდა.

ასე დაიჩრდილა აქ ადრე არსებულ საფორტიფიკაციო ნაგე-
ბობათა ძველი სახელი „ქიზიყი“ (ქისიყი, ხისიყი, ხისიხი).

ახალი ციხე-გალავანი კი, რომელსაც ისტორიული წყაროე-
ბი ხშირად კვლავ „ქიზიყად“ მოიხსენიებენ, გაცილებით ვრცე-
ლი იყო, — მას სათემო მნიშვნელობა ენიჭებოდა; ~~ამ ახალი~~
ციხე-გალავნის აგებაზე უნდა მიუთითებდეს ვახტანგ ბატონი-
შვილი: „მეფემან ირაკლი აღაშენა... ციხე იგი ხისინი-

---

1 „საქართველოს ცხოვრება“, ახალი მოთხრობა... 1913 წ., გვ. 276.

2 „სიღნაღი“, როგორც გამაგრებული ადგილის აღმნიშვნელი ტერმინი, როგორც ქიზიყელთათვის, ისე აღმოსავლეთ კახელთათვის (გღმა მხარე) და ქართველთათვის დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი (გაიხსენეთ ქართველების მიერ „სიღნაღების“ გამართვა მდ. ალაზნის ნაპირების ჩასწერივ შაჰ-აბაზ I შემოსევის პერიოდში).

ს ა (ქიზიყისა — ი. შ.), რომელსაც უწოდებენ სიღნაღს"[1]. და როდესაც სიღნაღელი მოსახლეობის თვალწინ ძველი და მომცრო სიმაგრის გვერდით, ეს გოლიათი წამოიმართა, მაშინ მას, სიღნაღის მოახალშენე მოსახლეობას, ხელი უნდა მიეყო მის მიერვე აღდგენილი ძველი ციხე-თავშესაფრის დაქცევისათვის; ახლა იგი „ფეხებში ედებოდა" თავბრუდამხვევი სისწრაფით მზარდ ქალაქს; მისი მოსახლეობა 1770—1772 წლებში თუ 84—100 კომლს (დაახლოებით 500 სული) უდრიდა, 1802 წელს 1000 სული გახდა[2], 1826—27 წლებში კი უკვე 497 კომლს შეადგენდა (დაახლ. 2670 სულს)[3] და ა. შ. შედეგი ის იყო, რომ მცირე გამონაკლისს გარდა, ძველი ციხე-გალავნის „სხეული" საშენ მასალად გარდაიქმნა. ამ პერიოდში ასეთივე ბედი ეწია თბილისის ციხე-გალავანსაც.

ციხე-სიმაგრეებს ანადგურებდნენ და შლიდნენ არა მარტო მტრები, არამედ „თავისიანებიც". შორს რომ არ წავიდეთ, გასული საუკუნის შუა წლებში, თავადი მელიქიშვილის პირდაპირი ბრძანებით ყვარლის აღმოსავლეთით მდ. შარახევის მარჯვენა ნაპირზე მდებარე „ბეჟანიანის ციხე" დააქციეს ძირიანად და მისი ვარგისი მასალისაგან საყარაულო კოშკი ააშენეს; ასეთივე ბედი ეწვია იმავე მხარეში მელსედეგერის სიმაგრეს[4]

ქიზიყის გორაზე ამ ახალი ქალაქის წარმოშობის პროცესს შესაძლოა სინათლე შემატოს „ნასომხრებმა", რომელთა ნაკვალევი თანამედროვე სიღნაღის გარშემო დღემდე ჩანს: ერთს პირდაპირ „ნასომხარი" ჰქვია, მეორეს „ნაზოკვარი" ეწოდება, ერთს კიდევ „სომხების ნაკალოვარის" სახელით იცნობენ (ჭოტორის ახლოს, „საყარაულოდ" წოდებულ მთის მწვერვალთან). საყურადღებოა ორი რამ: ეს „ნასომხარი", „ნაზოკვარი" და „სომხების ნაკალოვარიც" მაღარო-ბოდბის გადასასვლელის ზონაში, ბუნებრივად მტკიცე, თანაც ქართველთა ძალებით საიმედოდ დაცულსა და მჭიდროდ დასახლებული ქიზიყის

---

[1] ვახტანგ ბატონიშვილი, „ისტორიებრი აღწერა"... ს. კაკაბაძის 6 გამოცემა, 1914 წ., გვ. 34.

[2] Ш. А. Месхиа, «Города и городской строй феодальной Грузии», стр. 142.

[3] Статистическое описание... ЦГВИА, Ф. ВУА, № 18481, стр. 100.

[4] ნ. ა. ვოლკონსკი, „ისტორია.. ქართველთ ქვეითის დრუჟინისა" 1631—1881 წ. (ი. მაჩაბლის რედაქციით), თბილისი, 1884 წ., გვ. 256.

ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული. ნასომხარ-ნაზოკვარ-ნაკალოვართა აქ არსებობა აშკარად მიუთითებს იმაზეც, რომ თავისი სამშობლოდან აყრილი ლტოლვილები ქიზიყის გორს შორიახლო ჯერ შუალედ სადგომებს იკეთებდა, შემდეგ სტოვებდა მას და „ქიზიყის“ ძველი სიმაგრეების მოწესრიგების შემდეგ ხსენებულ „გორაზე“ სახლდებოდა. ამიტომ ნათლავდნენ ქართველები მათ ნადგომებს, „ნასომხარად“, „ნაზოკვარად“, „ნაკალოვარად“.

ეს „ნასომხარი“, 1802 წლის ერთ წყაროში „ახალ სიღნაღადაც იწოდება[1] ალბათ იმიტომ, რომ მისი წარმოშობის წინ, დიდი ხნით ადრე, ქიზიყის გორაზე უკვე არსებობდა „ძველი სიღნაღი“.

ამ ოციოდე წლის წინათ გარდაცვლილი სიღნაღელი შეგდლის იოსებ არაქელოვის ცნობით, რაც ამჟამად ცოცხალ 77 წლის ილია გიორგის ძე მჭედლიშვილს ახსოვს, ნასომხარში შცხოვრები სომხები ერეკლე მეფის წინადადებით ამოსულან „ძველ სიღნაღში“. სომხებს იმ დროს „ძველ სიღნაღში“ ეკლესია არა ჰქონიათ. ერეკლეს მათთვის სიღნაღის ციხის შიგნით ე. წ. „ბოდბის ანუ გორის კოშკთან“ არსებული წმინდა გიორგის ეკლესია შეუთავაზებია. სომხებს ეს წინადადება მიუღიათ. სიღნაღში გადმოსახლებულან და ამ ეკლესიისათვის „სურფ-გეურქი“ უწოდებიათ.

მაღარო-ბოდბის უღელტეხილის ჩრდილოეთის კარობჭეზე აღმართული სიღნაღის ახალი გოლიათური სიმაგრე-თავშესაფარი არა მარტო ქიზიყის მოსახლეობის დაცვის საქმეს ემსახურებოდა, იგი წარმოადგენდა დაღესტნელი ფეოდალების ავაზაკური ბრბოების წინააღმდეგ ბრძოლის ბაზასაც, რომელიც დაღესტანსა და მის ავანპოსტზე — ჭარზე იყო გამიზნული. დაღესტნელი ფეოდალები კი „ყაჩაღური მეურნეობის“ გზას დასდგომოდნენ, თავიანთი ხალხების ძარცვას აღარ სჯერდებოდნენ, წვრილ-წვრილი ბანდების ხელით ნაქურდალ-ნაყაჩაღარითა და იმ ქრთამ-საჩუქრებით არსებობდნენ, რომელსაც ჩვენი ქვეყნის დარბევის საფასურად იღებდნენ ხან თურქეთიდან, ხან ყიზილბაშთაგან.

---

[1] Акты КАК, I, стр. 474.

ამ ბანდების მიერ ქიზიყის მოსახლეობის განუწყვეტელ რბევა-აწიოკების სურათს ავსებს 1772 წელს ქიზიყში მეფე ერეკლესთან ერთად ჩამოსული გულდენშტედტის ჩანაწერები: „მოვედით პატარა მდინარე ოლეს სათავესთან (თანამედროვე ქვემო მაღაროს ბოლოები — ი. შ.). მეფემ ბრძანა შემოეელოთ კედლით ეს ადგილიც მაღლობზე მდებარე, ქიზიყის სოფლების (მაღარო, ბოდბე, ჭოტორი — ი. შ.) უსაფრთხოებისათვის. ამ სოფლებს აქ, თავიანთი საცხოვრებლიდან 10—12 ვერსზე ჰქონდათ ყანები და საძოვრები და ლეკები ხშირად იტაცებდნენ პირუტყვსა და ხალხს ტყვედ ერეკებოდნენ. აქ ჩანდა პატარა მრგვალი და ოთხკუთხა მოედნები და მიწაყრილები, სადაც მცხოვრებნი აფარებდნენ თავს და პირუტყვს, როცა დროზე შეამჩნევდნენ მძარცველებს, და მამაცად იცავდნენ თავს. მკაცრად დადგენილი წესის თანახმად, ქართველი ქიზიყელი მიიჩქარის თავისი თოფით იქით, საიდანაც ესმის სროლის ხმა და ამ ღონისძიების წყალობით, ლეკები მათ უფრო იშვიათად ესხმიან თავს, ვიდრე მათ მეზობლებს ქართლში. არც ისე იშვიათად ცდილობენ ქიზიყელები აინაზღაურონ დანაკლისი ხალხის და პირუტყვისა; ამიტომ ისინიც ესხმიან თავს მათ მეზობლად მდებარე ლეკურ რაიონს — ჭარს და მოაქვთ ყველაფერი, რასაც მოახელებენ. ასე, მაგალითად 1772 წლის ზამთარში მათ ლეკებისაგან გამორეკეს 30 ათასი ცხვარი“[1]. ამავე ავტორის ცნობით, მეფე ერეკლემ თურმე „ბრძანა გალავანი შემოეელოთ გუმბათის წყაროსათვის (სიღნაღის აღმოსავლეთით. —ი. შ.). რათა ლეკების თავდასხმის დროს გალავანში შეეფარებინათ ამ სოფლების პირუტყვი, რომელიც ამ მინდვრებზე სძოვდა“[2]. „როგორც კი ლეკების ყაჩაღთა ბრბოები ალაზანზე გავლენ, ისინი მიცოცავენ ერთი ხევიდან, ბუჩქებიდან, დანგრეული ბინიდან მეორეზე. ასე მიდიან იმერეთამდე და თურქთა ახალციხემდე, სადაც თავიანთ ნადავლს ასაღებენ“[3].

ასეთ ვითარებაში გამუდმებულ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო არა მარტო მხედრობა, რომელსაც სათავეში „მხნე და მოუდრეკელი“ ქიზიყელი მოურავები უდგებოდნენ,

---

[1] გულდენშტედტი, „მოგზაურობა საქართველოში“, 1, 1962 წ., გვ. 27.
[2] იქვე, გვ. 25.
[3] იქვე, გვ. 259.

არამედ „მუდმისად კახნი ომად გამზადებულნი“[1]. „ამდენი ომი და ხმალს ქვეშ ყოფნა... კაცისაგან არ გაიძლება და ამაში ამ ქვეყნის კაცი დიაღ შესჯერდა“, — წერდა დავით II (იმამ-ყული-ხანი) ქართლის მეფე ვახტანგ VI 1719—1722 წლების კახელი მოსახლეობის შესახებ[2].

მტრის ყოველი დიდი შემოსევისას მთელი ქიზიყი წარმოადგენდა ერთიან სიმაგრეს, ალაგ-ალაგ სუსტი უბნებით, ალაგ-ალაგ კი მძლავრი ცალკეული თუ კომპლექსური სათავდაცვო ნაგებობებით. ამათში უმძლავრესი და უპირველესი ბოლოს და ბოლოს ქიზიყის (სიღნაღის) უდიდესი ციხე-გალავანი აღმოჩნდა სწორედ იმ რაიონში, რომელიც სტრატეგიული თვალსაზრისით ქართული უმაღლესი თუ ადგილობრივი სარდლობის ჯეროვან შეფასებასა და ღირსეულ ყურადღებას ძველთაგანვე იმსახურებდა.

„სიღნაღის“ მსგავსი ბაზების შექმნას მოჰყვა ქართული რეგულარული შეიარაღებული ძალების შექმნა, ურომლისოდაც არ ვარგოდა არც ეს სიღნაღი, არც ბოჟორმა და არც გორი. 1773 წელს დარბაზს დაუმტკიცებია „მორიგის ლაშქრობის განაჩენი“; ერეკლეს მეცადინეობით პირველი თოფხანაც გაუწყიათ „მებრ-რუსეთისა კანონთა და განასწავლა თოფჩები, რომელნიცა განაწყო ესენი ქისიყის მოურავის შვილმან — პაატამ: ესე განსწავლულ იყო მოსკოვს და თვითაცა მეფე ძეებითურთ თავისით დაეწერა მორიგედ“, იუწყება მემატიანე[3].

ცნობილია, რომ „მორიგე ჯარის“ სიკეთემ სულ მალე იჩინა თავი: დაღესტანელი „აბრაგების თარეში შეწყდა, ქვეყანა შედარებით მშვიდ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებულმა სოფლებმა კვლავ მოშენება იწყეს, გლეხებმა ციხე-გალავნები დატოვეს, მინდვრად გავიდნენ და მშვიდობიან მიწისმოქმედებას შეუდგნენ“[4], ერთი სიტყვით, ქრთულმა ძალამაც „აღმართის ხვნა დაიწყო“.

---

1 პაპუნა ორბელიანი, დასახელებული წყარო, გვ. 116.

2 დ. მეგრელაძე, მასალები XVII ს. ოცანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკე. 33, თბილისი, 1960, გვ. 164).

3 ომან ხერხეულიძე, დასახელებული წყარო, გვ. 289.

4 შ. მესხია, ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (საქართველოს ისტორია, I, 1958 წ., გვ. 273).

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თავისებურ ქართულ რეგულარულ ლაშქარს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა: ერეკლე მეორის პროგრესულ ღონისძიებებს ამ შემთხვევაშიც წინ აღუდგა თავადური რეაქცია, რომლის გავლენას თვით მეფის ოჯახშიც გაეკაფა გზა.

2. სიღნაღი — ქიზიყის ადმინისტრაციული ცენტრი

ქიზიყის მოურავს, რომელსაც სიღნაღის ქევხაც (მამასახლისი) ემორჩილებოდა, როგორც ირკვევა, ორი სარეზიდენციო პუნქტი ჰქონია. ერთი — საომარი ვითარებისათვის, სიღნაღის ციხე-გალავანში (მის უდიდეს ბურჯში, რუსულ სქემაზე „სამეფო ან ჯუგაანის კოშკად“ რომ არის წოდებული და რომლის არეში შენიშნული გვაქვს ადრინდელი ციხე-სიმაგრის ნაკვალევიც. მასშივეა ჩაშენებული წმინდა სტეფანეს მომცრო ეკლესია); მეორე — „დიდ გორაზე“, როგორც არტემ არარატელი შენიშნავს, სიღნაღის თავზე გადმომდგარი ნუკრიანის მაღლობის ბოლოზე (აქ დღემდეა შემორჩენილი ანდრონიკაშვილების ნასახლარები, წმინდა გიორგის ნასაყდრალი და ძველი სასაფლაო). ამ მაღლობზე გადმოდიოდა მაღარო-ბოდბის უღელტეხილიდან სიღნაღისაკენ ჩამავალი გზაც.

სიღნაღი იმთავითვე ყურადღებას იქცევდა, როგორც სამხედრო მნიშვნელობის უდიდესი ციხე-თავშესაფარი, როგორც ივერიის ერთ-ერთი უდიდესი სარწმუნოებრივი ცენტრის მხარდამხარ მდებარე ქალაქი და, ბოლოს, როგორც ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი კახეთში.

1772 წელს გულდენშტედტი წერდა, რომ „თბილისისა და გორის შემდეგ, რომლებიც მტკვარზე მდებარეობენ, ის (სიღნაღის. — ი. შ.) ციხე, არის უდიდესი და უძლიერესი სიმაგრე მთელ საქართველოში... მეფის საჭიროებისათვის ამ მხარეს შეუძლია გამოიყვანოს 3000 ცხენოსანი და შეიარაღებული კაცი“[1].

1785 წელს სიღნაღში დაჯგუფდა ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი ერეკლე მეფის სარდლობით. რუსთა ჯარის ნაწილს პოლკოვნიკი ბურნაშოვი სარდლობდა. ემზადე-

[1] გ უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, „მოგზაურობა საქართველოში“, წ. 1, გვ. 27. და 259.

ბოდნენ „ხუნძახის ბატონის“ — ომარ-ხანის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ომარ-ხანის 20 ათასიანი ლაშქარი ალაზნის პირას, ურდოს ფონთან, დაჯგუფდა და სიღნაღზე გამოლაშქრებას აპირებდა: „მუნ (სიღნაღში.—ი. შ.) მოელოდა ირაკლი. გარნა აიყარა (ომარ-ხანი. — ი. შ.) უგრძნეულად ამოვლო ჭირხლის ხევს (ალბათ ჭოეთის ციხის გასწვრივ. — ი. შ.), ამოვიდა დედოფლის წყაროზედ და გარდავიდა იორზედ. მცნობელი ამისი მეფე ირაკლი გამოუდგა ჰმსწრაფად რუსის მხედრობით, გარნა ვერღა-რა ეწივა“. ომარ-ხანმა ახტალის საბადოებში ჩაასწრო, ააოხრა, წაასხა დიდძალი ტყვე „ბერძენნი და ქართველ-სომეხნი“ და ახალციხის საფაშოში გადავიდა. დიდხანს დაძრწოდა ომარ-ხანი საქართველოს ტერიტორიაზე, „საბაშიოც“ კი ააოხრა... ბოლოს ყარაბაღზე გავლით ჭარში გაბრუნდა. ერეკლემ ერთხანს დევნა უწყო ომარ-ხანს, მაგრამ მალე მას ბურნაშოვი ჩამოსცილდა. ერეკლე კვლავ ქიზიყს დაბრუნდა. ომარ-ხანიც ჭარს დაბრუნდა, ერთი თვე უთვალთვალა ქიზიყს ომარ ხანმა, მაგრამ ვერც ამჯერად იკადრა მოსვლა ქიზიყზე. „გაბრუნდა და შამახიას დადგა“[1].

1795 წელს სიღნაღში ჩავიდა ზემოთ უკვე მოხსენებული არტემ არარატელი, რომელმაც ცოტა რამ მაინც გადმოგვცა იმდროინდელი სიღნაღის შესახებ: „ეს ქალაქი მდებარეობს დაღესტნის მოსაზღვრე მხარეში, მთაზე დგას, აქვს ბევრი ვენახი და ხეხილის ბაღი... კარგ ღვინოსაც აყენებენ, მასშია ერთი დიდი ქართული მონასტერი წმ. ნინოსი, სასტუმრო სახლი და ციხე-სიმაგრე. ჩემი ჩასვლისას სიღნაღში სრულუფლებიანი გამგებელი იყო ირაკლის მემკვიდრე (გიორგი — ი. შ.)... ბატონიშვილი ცხოვრობდა დიდ გორაზე, მოურავის ანუ მეფის ნაცვლის სახლში, რომელიც იმ ხანად იქ არ იყო“[2].

სიღნაღის ციხე-გალავნის სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელსაც მას ქართული სარდლობა ანიჭებდა, სავსებით გაუ-

---

[1] ომან ხერხეულიძე, საქართველოს ცხოვრება, 1913 წ., მე-2 გამოცემა, გვ. 275-276.

[2] Жизнь Артемия Араратского, СПБ, 1813 г., ч. II, стр. 11-18.

(სიღნაღს საკუთარი მოურავი არ ჰყოლია, როგორც ეს იმ დროს საქართველოს სხვა ქალაქებში შეინიშნება, მას ქალაქის ჭეეხა განაგებდა, რომელიც ქიზიყის მოურავს ემორჩილებოდა).

ზიარებია რუსთა სარდლობასაც. საქართველოში მყოფი რუსთა ჯარის სარდალი გენერალი ი. პ. ლაზარევი, რომელიც შემდგომში გიორგი მეფის მეუღლის მხლებლებმა მოკლეს დედოფლისადმი უტაქტო საქციელისათვის, თავის წერილში „შენიშვნები თანამედროვე საქართველოში არსებული ვითარების შესახებ“ 1800 წელს წერდა: „მეზობელთა თავდასხმისაგან საქართველოს დასაცავად აუცილებლად საჭიროა, რათა ქიზიყის პროვინციის ციხე-სიმაგრე „სიღნაღში“ ვიყოლიოთ ერთი ბატალიონი, რომელიც იდგებოდა ლეკებისა და დაღესტნის მფლობელი ომარ-ხანის საწინააღმდეგოდ“. გარდა ამისა, შენიშნავდა გენერალი, „თათრების მხარეშიც“ ერევნის პირის პირ საჭირო იყო ერთი ბატალიონი, ხოლო ახტალაზე ვერცხლის საბადოების დასაცავად — ორიოდე ასეული. ზემო ქართლშიც (გორში) გენერალი ერთი ბატალიონის საჭიროებაზე მიუთითებდა, ხოლო რეზერვში (თბილისში) ორი ბატალიონი უნდა იდგესო[1]. სიღნაღის ციხე-სიმაგრის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს აგრეთვე ის, რომ თვით ამავე გენერალმა ლაზარევმა გარდაცვლილი მეფეების ერეკლესა და გიორგის შვილების შეიარაღებული გამოსვლების ჩასაქრობად (საქართველოს გამგებლად ბატონიშვილი დავითის დანიშვნას რომ მოჰყვა), ჯარები გაგზავნა მცხეთასა და ქიზიყის (სიღნაღის) ციხე-სიმაგრეებში, რომელთა შენარჩუნებას ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა[2].

ქართლ-კახეთის სამეფოში ირანის არმიის შემოჭრის საშიშროებასთან დაკავშირებით გიორგი XIII კ. ვ. კნორინგს წერდა, რომ სამეფოს მცველი ჯარების მომარაგების ბაზად გამოდგებოდა სიღნაღის ციხე-გალავანი[3]. სწორედ ასე მსჯელობდა ქიზიყის (სიღნაღის) ციხე-გალავნის როლის შესახებ ამ ვითარებაში კოვალენსკიც (სიღნაღის ციხე-გალავანს იგი „კახეთის ციხედ“ იხსენიებს[4]).

---

[1] Акты КАК, I, стр. 189.

[2] Дубровин, «Георгий XIII», 1897, стр. 192.

[3] Акты КАК, 1, გვ. 130 (კნორინგი, გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ქვეითი ჯარის ინსპექტორი, 1801—1802 წლებში კი საქართველოს მთავარმართებელი).

[4] იქვე, გვ. 111 (კოვალენსკი — სამოქალაქო ნაწილის მმართველი, 1801—1802 წლების საქართველოში).

ქართული საისტორიო წყარო იუწყება, რომ ერეკლე მეორის მეცადინეობით შექმნილი მორიგე ჯარის ნაწილებმა დაიკავეს „ლეკთაგან საფიქრო ადგილები, მუნ მდგომარეობდნენ, რომლისა გამო დიდად შეშინდნენ ლეკნი“[1].

რუსული საისტორიო წყაროც იუწყება. რომ მათი „ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარისა განწესებულ იქნა სიღნაღის ციხიდან დაწყებული ქვემოთ, ალაზნის მიყოლებით“ (15 ვერსის სიგრძეზე), ხოლო „ყარაღაჯის ციხიდან მდ. მტკვრამდე... საჭიროდ იქნა ცნობილი განელაგებინათ კაზაკთა · საპატრულო საგუშაგოები“. ამ ხაზის ზურგში სოფ. მარტყოფიდან კაკაბეთამდე მოეწყო ჯარების მეორე ხაზი ერთი ბატალიონის შემადგენლობით, — „ასეთი ძლიერი კორდონი საჭიროდ იქნა აღიარებული, რადგან ლეკები საქართველოში შემოჭრის შემდეგ გადაივლიდნენ ხოლმე გავერანებული ყორაღის (кораго) ციხესთან და იორზე გადასვლის შემდეგ საგურამოს უკაცრიელ ციხეში დგებოდნენ. აქედან ისინი ცალკეული პარტიებით ეცემოდნენ ქართლს, გადაჭრიდნენ ხოლმე მცხეთა-დუშეთის გზას და გაუვალს ხდიდნენ მას“[2]. ჯარების ზემოაღნიშნული ხაზების ცენტრალურ ზონაში იდგა ქიზიყის (სიღნაღის) ციხე-სიმაგრე და მათი სიმტკიცის საფუძველს წარმოადგენდა.

სიღნაღის, როგორც სტრატეგიული პუნქტის როლი რუსთა სარდლობის თვალში განსაკუთრებული სიმკვეთრით მაშინ გამოჩნდა, როდესაც ჭარ-ბელაქნელი და დაღესტნელი ბანდების წვრილ-წვრილი შეიარაღებული თავდასხმების ნაცვლად გასული საუკუნის შუა წლებში მათი ერთიანი ფრონტის წარმოქმნის საშიშროება წამოიჭრა. შამილმა კავშირი-გააბა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულ თურქეთთან და ამ უკანასკნელის სტრატეგიულ გეგმაში ფრიად საყურადღებო ადგილი დაიკავა: მას თავისი მიუვალი პოზიციებიდან კახეთზე გავლით თბილისზე უნდა მიეტანა იერიში, ე. ი. კავკასიის მხრიდან მოქმედი რუსეთის ჯარის ცენტრალური ობიექტის ხელში ჩაგდება ჰქონდა ნაბრძანები. უეჭველია, რომ, სწორედ ამ საქმეზე წასაქეზებლად ავანსად „შამილმა ოფიციალურად მიიღო პორტისაგან ჩერქეზთა და ქართველთა არმიის გენერალისიმუსის

---

[1] ომან ხერხეულიძე, საქართველოს ცხოვრება, 1913 წ. გვ. 271.
[2] Дубровин, «Георгий XIII», 1897, стр. 198.

წოდება"[1], ხოლო სხვა წყაროებით ომერფაშა მას ამიერკავკასიის მეფის ტიტულსაც აღუთქვამდა, თუკი თბილისი მართლაც იქნებოდა აღებული[2]. შამილს ბედი უცდია, მაგრამ ამაოდ. და აი, სწორედ ამ ხანებში (1855 წ.) ჩამოყალიბდა რუსეთა სარდლობის სწორი შეხედულება სიღნაღის მნიშვნელობაზე; ამ ქალაქში უნდა მოწყობილიყო შამილის საწინააღმდეგო ჯრონტის ცენტრალური მართვის პუნქტი და რეზერვებიც (დრაგუნები, არტილერია) აქ უნდა დაეგროვებინათ და არა დედოფლის წყაროზე, რომელიც ჭარ-ბელაქნელთა წინააღმდეგ მცირე მასშტაბის ომებისას თუ ვარგოდა, როგორც ამბობდნენ რუსი მხედრები. ამავე ხანებში დაადგინეს, რომ სიდები ალაზანზე სიღნაღი-ლაგოდეხის გასწვრივ უფრო მეტად იყო საჭირო, ვიდრე მუღანლო-ჭარის ხაზზე[3]. რუსები არა ერთხელ იმეორებდნენ, რომ სიღნაღი, საქართველოს დიდებული სამლოცველო — ბოდბის მონასტრით წარმოადგენდა ერთ-ერთ ცენტრს, სადაც, მართლაც, თავს იყრიდნენ კახეთის დამცველი ძალები, ხოლო საშიშროების დროს მთელი მათი რეზერვები[4].

1801 წლის 16 თებერვალს სიონის ტაძარში გამოცხადდა იმპერატორ პავლეს მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. კათალიკოსმა ანტონმა წირვა გადაიხადა[5]. ათი დღის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XIII, რომელმაც ილია ჭავჭავაძის ენით რომ ვთქვათ, თავისი წინაპრების ანდერძისა და საკუთარი გულის კარნახით „ქრისტეს ჯვარსავე მოსავე ერი მოიწვია საშველად და მფარველად"[6]. მისი სიკვდილის შემდეგ, საქართველოს დროებით მმართველად და არა მეფედ, როგორც მეფე გიორგი ითხოვდა, დავით ბატონიშვილი დაინიშნა. იმპერატორ პავლეს გარდაცვალებისთანავე, 1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. X, стр. 348.

[2] ი. კაჭარავა, „კ. მარქსი და ფ. ენგელსი საქართველოს შესახებ", 1969 წ., 55.

[3] Акты КАК, XI, стр. 957.

[4] Потто. «История 44 драгунского... полка, кн. II, стр. 124.

[5] Дубровин, Георгий XII, стр. 208.

[6] „ივერია", 1889 წ., № 255.

და უკვე ახალი მანიფესტი ალექსანდრე პირველისა, რომლითაც საქართველოს სამეფოს მოჩვენებითი ავტონომიაც გაუქმდა და იგი მეფის რუსეთის პროვინციად გადაიქცა. ამგვარად, როგორც კ. მარქსი შენიშნავდა, რუსეთი — საქართველოს მფარველი, გახდა საქართველოს დამპყრობი[1]. მაგრამ მიუხედავად ცარიზმის ძალადობისა, ისტორიულ ვითარებაში, როდესაც ქართლ-კახეთის სახელმწიფო შიგნიდან ინგრეოდა და ქვეყანა ირანის ან ოსმალეთის ჩამორჩენილ სახელმწიფოებს უნდა დაეპყროთ, შედარებით პროგრესულ რუსეთთან შეერთება წარმოადგენდა ერთადერთ საშუალებას ხალხის ფიზიკურად გადარჩენისათვის[2].

აღმოსავლეთ საქართველოში ხუთი მაზრა შეიქმნა, მათ შორის სიღნაღისაც. მაზრის საქმეებს განაგებდნენ სამაზრო სასამართლო და საერობო პოლიციის სამმართველო. ამ უკანასკნელში შედიოდა კაპიტან-ისპრავნიკი (სამაზრო პოლიციის უფროსი) რუსთაგან და ორი მსაჯული ან იასაული თავადაზნაურთაგან; სიღნაღში პოლიციის სამმართველოს წევრებად დანიშნეს რევაზ ანდრონიკაშვილი და ადამ ნასიძე, პოლიცმეისტერად — გრიგოლ ნაცვლიშვილი. აქედან მოკიდებული ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ყველაფერი პოლიციას ეკითხებოდა. ქალაქთა კეთილმოწყობაზე ზრუნვას არავინ იჩენდა, მთელი ყურადღება თავადაზნაურების პრივილეგიების დაცვაზე იყო მიპყრობილი, ქალაქები კი, როგორც ციხე-სიმაგრეები და ჯარის საარსებო ბაზები, მხედრობასა და პოლიციას მიანდვეს; კოლონიური მმართველობის მოხელეთა მთავარ საზრუნავს სოფლისა და ქალაქის მშრომელთაგან გადასახადთა სრულად და თავის დროზე ამოღება შეადგენდა. ვაჭრობისა და მრეწველობის განუვითარებლობას მეფის მთავრობა ხსნიდა ადგილობრივი მოსახლეობის დაუდევრობითა და უზრუნველი ხასიათით[3]. იგი ამ საქმის გამოცოცხლებას ფიქრობდა მექანიკური ხერხით — მდიდარ სომეხ ვაჭართა დიდი პარტიების გადმოსახლებით წინააზიის ქვეყნებიდან, რაც დავალებული

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. IX, 1957 г., стр. 387.

[2] მ. დუმბაძე, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 387.

[3] Документы по истории Грузии. I, ч. 2, 1960 г., стр. 811—816.

ჰქონდა მთავარსარდალ ციციანოვს და ვერ განხორციელდა ამ უკანასკნელის მოკვლის გამო (1806 წ.).

1801 წლის დასაწყისში სიღნაღში უკვე ჩაუყენებიათ სამი ასეული რუსის ჯარი პოლკოვნიკ კარიაგინის მეთაურობით, რომელიც აქედან უთვალთვალებდა ჭარ-ბელაქნელთა ავაზაკურ ბრბოებს და განდგომილ ალექსანდრე ბატონიშვილს[1].

ყოფილ ქართლ-კახეთის სამეფოში ერთბაშად წმინდა რუსული მმართველობის შემოღებამ, ამის შედეგად კი პოლიტიკური საქმეებიდან ქართველი მეფის ოჯახის წევრთა და თავად-აზნაურთა გადაყენებამ, უკვე 1802 წელს ამ უკანასკნელთა მშფოთვარე რეაქცია გამოიწვია, მათ შეთქმულება წამოიწყეს. ფარული ანტირუსული ფუსფუსი რუს მოხელეებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ამ უკანასკნელთა და ქართველ თავადაზნაურთა შორის უნდობლობა ჩამოვარდა. რამდენიმე ქართველი თავადი და ქიზიყელი ქევხა — მამასახლისი, დააპატიმრეს. დედოფალ დარეჯანის წაქეზებით მოქმედმა თავადებმა: ანდრონიკაშვილებმა, ვაჩნაძეებმა, ჯანდიერიშვილებმა და ქიზიყის ქევხა-მამასახლისებმა 1802 წლის 25 ივლისს მდ. ლაკბის პირას (სოფ. მელაანის ახლო) ბოდბელი მიტროპოლიტი ჩამოიყვანეს და იულონ ბატონიშვილის ერთგულებაზე დააფიცეს. აქედან კახელი თავადები და ქიზიყელი მამასახლისები სოფ. მ ა ღ ა რ ო ს ა კ ე ნ დაიძრნენ და ამ სოფლის მოსახლეობასაც იულონის ერთგულებაზე დაფიცება მოსთხოვეს. ეს წინადადება მაღაროელთა მხოლოდ ერთმა ნაწილმა მიიღო. საქმე იმაში იყო, რომ ქართველი მშრომელი მოსახლეობა ახლადმოსული რუსის ჯარისკაცის საქციელით აფასებდა თავისი ქვეყნის რუსეთთან შეერთების ისტორიული აქტის ავკარგიანობას. სასაზღვრო ზოლში განლაგებულმა რუსის ჯარის რაზმებმა მკვეთრად შეზღუდეს ლეკი ყაჩაღების თარეში, თანაც რუსმა ჯარისკაცებმა იმ ხანად ქართველ გლეხებს სამეურნეო საქმიანობაში ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს. სწორედ ეს იყო ამ შეთქმულების მიმართ ქართველი გლეხობის გულგრილობის მიზეზი; მას ჯერჯერობით ცუდი არაფერი ენახა რუსთა მხრით, „თავისი“ თავადების მხრით განცდილი სიმწარე კი

[1] Акты КАК, V, стр. 101.

ჯერაც კარგად ახსოვდა. ამიტომ ეს წმინდა თავადაზნაურული შეთქმულება უნაყოფო გამოდგა[1]. რუსის ჯარის ქიზიყში გამოჩენამ და მისი სარდლის —გენერალ ლაზარევის ბრძანებამ: ძასთან გამოცხადებულიყვნენ შეთქმული თავადები, ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

1802 წელს სიღნაღის მაზრაში შესულა სოფლები: კოშკი, გურჯაანი, ვეჯინი, ბაკურციხე, კარდანახი, ჩალაუბანი, მელაანი, ქოდალო, ფხოველი, ზიარი (იგი ერთხანს „უკანამხარის უბნის“ ცენტრი იყო), აგრამი, ჯიმითი, ანაგა, ვაქირი, საქობო, მაშნაარი, ჯუგაანი, ტიბაანი, მაჩხაანი, პრასიანი, ოზაანი, სულუკანი (ცლუნკაანი), მირზაანი, ფანიანი, ნუკრიანი, ჭოტორი, ბოდბისხევი, ქედელი (ამ სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ძველ ანაგას გადასახლებულა), მაღარო, ბოდბე (ამ ორი უკანასკნელი სოფლის მოსახლეობის უმეტესობა თავიანთ „კალოებზე“ ჩასახლდა და წარმოქმნა ქვემო მაღარო და ქვემო ბოდბე), ასანური და ნასომხარი, ანუ ახალი სიღნაღი[2].

სასაზღვრო ზოლში მაზრის გასაძლიერებლად ციციანოვის განკარგულებით 1804 წელს ამათ გარდა სიღნაღის მაზრაში ჩაურიცხავთ თელავის მაზრის სოფლები: ჩუმლაყი, ახაშენი, ზეგანი, ველისციხე, მუკუზანი, ხოლო თბილისის მაზრიდან — ყანდაურა, შიბლიანი, კაკაბეთი, ჩაილური, მანავი და ბერდიანი[3].

მწარმოებელი მოსახლეობა ქ. სიღნაღში ამ დროისათვის 1770 წელთან შედარებით ორჯერ გაზრდილა.

1804 წლის კამერალური აღწერის მასალებიდან[4] ჩანს, რომ სიღნაღში 261 ოჯახი ცხოვრობდა (1287 სული), ამასთან, 84 ოჯახი (404 სული) — ვაჭრებისა, 109 ოჯახი (528 სული) —

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები II, გვ. 271, 341.

[2] Акты КАК. 1, 473—474 (ანაგის მომდევნო ყველა სოფელი სახაზინო ან საეკლესიო დაქვემდებარებისა ყოფილა). სოფ. სულუკანი იმ ხანებში მართლაც სულ უკანა (უკანასკნელი) დასახლება იყო; მის აღმოსავლეთით მდებარე ახლანდელი სოფლები ქვემო ქედი, ზემო ქედი და არხილოსკალო, მაგალითად, 1905—1907 წლებში აღმოცენდა (საქ. ცსა, ფონდი 243. ამონაწერი 5, საქმე 713, გვ. 10).

[3] Акты КАК, стр. 45.

[4] საქ. ცსა (თბ) ფ. 254, აღწ. 1, საქმე 75.

ხელოსნების ანუ „მეშჩანებისა“, 60 ოჯახი (300 სული) — სახაზინო გლეხებისა, 8 ოჯახი (55 სული) — მემამულეებისა.

შემდგომში ქალაქ სიღნაღის გარეუბნებად მითვლილი სახაზინო სოფლების — ნუკრიანის, ჭოტორისა და მაღაროს მოსახლეობის სურათი ამავე 1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ასე წარმოგვიდგება:

ა) ნუკრიანში სულ 87 ოჯახი, ანუ 680 სული ცხოვრობს. ამათგან ქართველებია 85 ოჯახი, ორიც სომეხი (ტაბარუკები[1] და ამირხანაშვილები). აქ მოსახლეობენ შალვაშვილები, გურასპაშვილები, ბეჟაშვილები (წერია — ბეზაშვილები), ახალკაციშვილები, გოგინაშვილები, გელაშვილები, გონაშვილები, ღლიღვაშვილები, მჭედლიშვილები, მანჯაფარაშვილები, პატილურიშვილები (?), ტარარიშვილები (?), ალხანაშვილები, გურაშვილები, ჭანიშვილები, ბეგიაშვილები და ნასყიდაშვილები.

ბ) ჭოტორში სულ 28 ოჯახი ანუ 332 სული ცხოვრობს. ყველა ქართველია. აქ მოსახლეობენ კრაწაშვილები, ჯანგულაშვილები, მჭედლიშვილები, მაზიაშვილები, ფირაშვილები, ბახუტაშვილები, შარმიაშვილები და ტაბარუკი (ერთი ოჯახი)

გ) გაცილებით რთულია მაღაროს მოსახლეობის სტრუქტურა. აქ აზნაურთა 6 ოჯახი ცხოვრობს (ნაცვლიშვილები, ნასიძეები) და 6 გლეხის ოჯახი (გულოშვილები, ყირმიზაშვილები, გრძელიძეები, მირზაშვილები, ნადირაშვილები) მათ კუთვნილებას შეადგენს; შვიდი ოჯახი (51 სული) საეკლესიო უწყებისაა (ყველა დონჯაშვილია), ხოლო 200 გლეხის ოჯახი (მათ შორის 3 ოჯახი სომეხი ტაბარუკებისა) — სახაზინო უწყებისა. ამგვარად, აქ სულ 219 ოჯახი (დაახლ. 2000 სული) ცხოვრობს. მოსახლეთა შორის ყველაზე მეტი დოდაშვილები და შაიშმელაშვილები არიან. შემდეგ მოდიან ბაიდოშვილები, ჭერელაშვილები, უსენაშვილები, ბაბაკიშვილები, ვარსიმაშვილები, ნადაშვილები, მჭედლიშვილები, ჩერქეზიშვილები, მახარაშვილები, ღუღუნაშვილები, ბახტურიძეები, ჯანაშვილები, ქუფარაშვილები, ელიზბარაშვილები, ქურდაშვილები, ხმალაძიშვილები, ჯაფინაშვილები, ყანდაშვილები, ნანდაშვილები, ქადაგიშვილები, როსტიაშვილები, ყარალაშვილები, ბანდურაშვი-

---

[1] ტ ა ბ ა რ უ კ ი — ახალმოსული გლეხი (ხაბა).

ლები, გულაშვილები, დარჩიაშკილები, ჯუჯუნაშვილები (ჟუჟუ-ნაშვილები?), ბესაშვილები, მაისურაშვილები, ბეროშვილები, ძნელაშვილები, ლაზარაშვილები. სახელთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ზურაბ, დავით, მირზა, მამუკა, ზაზა, ომან, იასე, ვანო, ფარსადან, ტეტია და სხვ.

ნუკრიანის, ჭოტორისა და მაღაროს სოფლების აღწერას ბოლოში გაკეთებული აქვს ერთნაირი მინაწერები: ქართველები მისდევენ ხვნა-თესვასა და მებაღეობას, სომხები ქსოვილების მეღებვისა და დაჩითვის საქმეს ეწევიანო. სახნავ-სათესი და საბალახე მიწები ნუკრიან-ჭოტორს საერთო ჰქონია, 10 ვერსის სიგრძე-სიგანის, მაღაროს კი — 12 ვერსის სიგრძე-სიგანის. დაწესებული გადასახადების საქმეს მართავდნენ ქევხა-მამასახლისები, გლეხთა ოჯახების შეძლების მიხედვით.

მონაპირე ქალაქები, მათ შორის სიღნაღიც, გასული საუკუნის პირველ მეოთხედში მეფის მოხელეთა ყურადღებას იქცევენ არა როგორც აღორძინება-წინსვლის ობიექტები, არამედ როგორც რუსის ჯარის ყაზარმები.

რუსეთთან შეერთების პირველსავე წლებში ღრმა სოციალურ-ეროვნულ-პოლიტიკური საფუძვლის მქონე შეხლა-შემოხლებისა (რომელშიც ალექსანდრე ბატონიშვილის ხელიც იყო გარეული) და აგრეთვე, 1812 წლის კახეთის ამბოხებასთან დაკავშირებული სისხლისმღვრელი საომარი მოქმედების გარდა, დაღესტნელი და ჭარ-ბელაქნელი ბანდების პარპაშიც ჯერ კიდევ გრძელდებოდა: მაგალითად, 1802 წლის იანვარში ლეკები მაღაროს დაესხნენ: 1600 ცხვარი, 30 ძროხა, და 6 ცხენი, ხოლო ბოდბელის სამწყსოს — 80 ცხვარი მოსტაცეს[1]. ჭარელი ლეკების ბრბოებთან ბრძოლაში 1804 წლის 15 იანვარს მოკლეს გენერალი გულიაკოვი, რომელიც პოდპოლკოვნიკ ერისთავთან ერთად რუს-ქართველთა შეერთებულ ლაშქარს მიუძღოდა.[2] ეს ის გულიაკოვია, რომელმაც 1803 წელს ყარაღაჯში ბეჟან-ხანის სასახლის ნანგრევებზე (ახლანდელ წითელ

---

[1] Акты КАК, I, стр. 655.

[2] ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები" II, გვ. 299.

წყაროსთან) ააგო პირველი რუსული სიმაგრეები და იქ ყაბარდოელთა ქვეითით პოლკი დააბინავა[1].

1815 წლის ივლისში ლეკების სამასკაციანი რაზმი ალაზანზე გადმოვიდა და ქიზიყის სიღრმეში შემოიპარა. მხოლოდ წმ. ნინოს მონასტრის ახლოს გაანადგურა იგი 44 დრაგუნთა პოლკის ქვეგანაყოფებმა[2]. რუსის ჯარის გამოჩენის შემდეგ ლეკების ბანდების წინააღმდეგ ბრძოლას უფრო მტკიცე, ორგანიზებული, გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა. თუმცა ჩვენი „მამა-პაპათა სისხლისათვის“ პასუხისგება ამ ბანდების სულისჩამდგმელებს — დაღესტნელ ფეოდალებს შედარებით გვიან, გასული საუკუნის შუახანებში მოუწიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი დაღესტნის მშრომელ მოსახლეობას კანონად როდი ჰქონდა გადაქცეული ქართლ-კახეთის სოფლების ძარცვა. პირიქით, ამ ქვეყნის არაერთ თემში იყო ადათი, რომლის მიხედვითაც, ნაანდერძევ მამულსა და ქონებას მიიღებდა მხოლოდ ის მემკვიდრე, ვისაც ქართლ-კახეთის სოფლების დარბევაში არასოდეს არ მიეღო მონაწილეობა. ასეთ დარბევა-ლაშქრობებში მონაწილე თვისტომებს ჰკიცხავდნენ დაღესტნის სწავლულები, პოეტები, ღვთისმსახურნი[3]. მიუხედავად ამისა, დაღესტნელი ავაზაკი ფეოდალების დროშის ქვეშ მაინც იყრიდნენ თავს მნიშვნელოვანი ბრბოები, ალბათ იმათი რიცხვიდან, ვისაც სამემკვიდრეოდ მამული და ქონება უკვე განაღდებული ჰქონდა.

ქალაქი სიღნაღი განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ.

გასული საუკუნის პირველი მეოთხედის სიღნაღის შესახებ ზოგი რამ უცხოელმა მოგზაურებმაც დაგვიტოვეს.

1820 წლის ივლისში სიღნაღში იყო საფრანგეთის ელჩი — გამბა, 1825 წელს — გერმანელი ენტომოლოგი და ბუნებისმეტყველი იეგერი, 1826 წელს — გერმანელი ბიოლოგი და მინერალოგი აიხვალდი. იეგერის ცნობით, ქალაქში 1112 სახ-

---

[1] П о т т о, «История 44 драгунского... полка», II, стр. 124.

[2] იქვე, გვ. 130—141.

[3] გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, „შემოთენება მთაწმინდაზე“, 1968 წ. გვ. 101—102.

ლი და ძველი ციხე-სიმაგრე ყოფილა, რომლის კედლის საერთო სიგრძე შვიდ ვერსს უდრიდა.

აიხვალდი შემდეგს გვაუწყებს: „სიღნაღი მდებარეობს... მთაგრეხილის ერთ მაღალ გორაზე, ამ გორის ჩრდილოეთ ფრიალო კლდეზე. წარმოადგენს ციხე-სიმაგრეს, რომელიც შორიდან მშვენივრად მოჩანს... ციხის შიგნით არის ეკლესია და 150-ზე მეტი სახლი. ამის გარდა ქალაქში (გალავნის გარეთ) მიმოფანტულია 400-მდე სახლი, რომელთა უმრავლესობა ნახევრად მიწაშია ჩაფლული, როგორც მიწური ქოხი. აქ მდებარეობა ერთნაირად ოღროჩოღროა, სახლები მიყუდებულა ფერდობებზედ და ამიტომაც მათი ნახევარი მიწაშია ჩადგმული, ამათგან მიწის მაღლა აგებულია მხოლოდ რვა სახლი. სიღნაღიდან რამდენიმე ვერსის მოშორებით დაქანებული კლდეებია, ხოლო უფრო შორს, გზიდან დაცილებით, ფერდობზე დგას ძველი ტაძარი სტეფან წმინდა, სადაც ნახავთ მშვენიერ ეკლესიას. ამ ეკლესიაში მოსვლა ძლიერ უყვარდა ერეკლე მეფეს"[1].

როგორც ვხედავთ, იეგერისა და აიხვალდის მონაცემთა შორის დიდი განსხვავებაა: იეგერის ცნობით ქალაქში 1112 სახლი იყო, ერთი წლით გვიან ჩასულმა აიხვალდმა კი მხოლოდ 550 სახლი დაგვიდასტურა, ამათგან 150 ციხე-გალავანს შიგნით ყოფილა. 1834 წლის შემდეგ სიღნაღში ჩასულმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ კი, რომელმაც სიღნაღის მშვენიერი ხედი შექმნა, ციხე-გალავნის შიგნითა სივრცე სრულიად უკაცრიელად წარმოგვიდგინა: „სიღნაღი კახეთის სატახტო ქალაქია საქართველოში. დიდი ხნის წინათ კახეთი იყო უძველესი ალბანეთის ნაწილი, რომელსაც სტრაბონი მოიხსენიებს იმ უაღრესად ნაყოფიერი ვენახების გამო, რომლის უხვი მოსავლის აღებას ვერც კი ასწრებდნენ. მოგვიანებით კახეთი შეუერთდა საქართველოს სამეფოს. ამ სამეფოს ხშირად აოხრებდნენ სპარსელები. ამ მხარის მეფის რეზიდენცია ხშირად იცვლებოდა. ამჟამად რუსმა ხელისუფლებმა სიღნაღი გამოაცხადეს პროვინციის ცენტრად. იგი აშენებულია კონცხზე, რომელიც გადასცქერის ვენახებითა და ბაღებით მოფენილ

[1] ე. აიხვალდი, „მოგზაურობა კასპიის ზღვაზე და კავკასიაში, ტ. I, 1837 წ., შტუტგარტი, გვ. 405—406 (გერმანულიდან გადმოთარგმნა ივ. ლოლაშვილმა).

ალაზნის ველს. ერეკლე II ხედავდა რა, თუ როგორ აოხრებ-დნენ ამ მხარეს მთებიდან გადმოსული ველური ლეკები, რათა გაეტაცებინათ მშვიდობიანი მცხოვრებლები და ახალციხეში გაეყიდათ, — გადასწყვიტა აეგო გრძელი გალავანი, რომელიც აგვირგვინებს კონცხს. ამ კედლით გარემოცულია ვრცელი სივრცე, რომელსაც საფრთხის დროს თავს აფარებდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამჟამად ეს სივრცე სრულიად უკაცრიელია. სიღნაღს აქვს ორი ვიწრო ქუჩისაგან შემდგარი ბაზარი. ბაზარს დაჰყურებს მთავრობის სახლი, ხოლო მის გვერდით გუბერნატორის სახლია". დიუბუა სიღნაღის ხედის შესახებ ამბობს: „თოვლიანი სარტყელი, რომელიც გადავლებია ლეკის მთის ქედს, აღბეჭდილია ისე, როგორც მოჩანდა იგი 1834 წლის 23 მაისს"[1]. სიზუსტე დიუბუას ცნობებსაც აკლია, მაგრამ, ეს ალბათ მაშინდელი სიღნაღელი მოხელეების ინფორმაციის უზუსტობას მიეწერება. „სიღნაღის ციხე უკაცრიელიაო" — იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ გრანდიოზულ ნაგებობას, ძველი ქიზიყის ციტადელს, მით უფრო ეკარგებოდა მნიშვნელობა, რაც ფართოვდებოდა რუსთა სამფლობელოს საზღვრები ამიერკავკასიაში, —მუდმივი გარნიზონის შენახვა აქ საჭირო აღარ იყო.

საქართველოს მთავარმართებელს 1812 წლის კახეთის ამბოხების შემდეგ (1813 წელს) წარედგინა „მოსაზრება-წინადადება" სიღნაღისა და თელავის მაზრებში დროებითი საოლქო სასამართლოების გახსნის შესახებ იქაური კომენდანტების თავმჯდომარეობით. დროებითი სასამართლოების წევრებად და ხაზინადრებად გათვალისწინებული იყვნენ ადგილობრივი თავად-აზნაურთა წარმომადგენლები, მაგრამ, ვინაიდან მათ რუსული ენა არ ესმოდათ და ამის გამო საქმეების განხილვისას დამახინჯებები იყო მოსალოდნელი, დროებით სასამართლოებში ორ-ორი რუსი მსაჯული უნდა შეეყვანათ.[2]

პასკევიჩის 1827 წლის 11 ნოემბრის მოხსენებიდან იუსტიციის მინისტრის სახელზე ჩანს, რომ კახეთის 1812 წლის ამბოხების შემდეგ სიღნაღსა და თელავში გააუქმეს სამაზრო სა-

---

[1] იხ. მისი «Путешествия», т. IV, გვ. 204.

[2] საქ. ცსა, (ობ), ფ. 2, აღწ. 1, საქმე 269, გვ. 22-23.

სამართლოები, სამაზრო და საერობო პოლიცია, მათ ნაცვლად აქ მოქმედებდნენ დროებითი საოლქო სასამართლოები, რომლებშიც ერთმანეთს შერწყმია სასამართლო და საპოლიციო საქმეები. თვით პასკევიჩი ამბობს, რომ ამას მოჰყოლია მრავალი ბოროტება — დარღვევები, რადგან ასეთ პირობებში მოსამართლეების როლი თვით გამომძიებლებს უნდა შეესრულებინათ; პასკევიჩი ითხოვდა აღედგინათ ცალ-ცალკე მოქმედი სასამართლოები და პოლიციის სამმართველოები, ამასთან, იგი საჭიროდ თვლიდა სამაზრო სასამართლოში დამატებით თითო რუსი მოხელე შეეყვანათ, რადგან ქართველი თავადები დაუდევარი და უდარდელნი არიან და საქმეების გარჩევაში სიზუსტეს ვერ იჩენენო".[1]

1826—27 წლების სიღნაღისა და მისი მაზრის შესახებ რამდენიმე კონკრეტულ ცნობას ვხვდებით „აღმოსავლეთ საქართველოს სტატისტიკურ აღწერილობაში".[2] სიღნაღის ციხე-გალავნის კედლების სიგრძე აქ მიჩნეულია 5 ვერსად, მასში ჩაშენებულია 43 კოშკი, ვითომც იმ სოფლების რიცხვის მიხედვით, რომლებიც ციხე-გალავნის აგებაში მონაწილეობდნენ. გალავნის შიგნითა სივრცე „აღწერილობაში" ცარიელად არის წარმოდგენილი. ქალაქის მოსახლეობა სარგებლობდა წყაროებით, რომლებიც სასამართლოს, ოლქის უფროსისა და საყარაულო შენობებთან ყოფილა გამოყვანილი[3]. „აღწერილობის" მიხედვით ოლქის უფროსი საერობო პოლიციასაც განაგებდა და სასამართლოსაც თავმჯდომარეობდა. სასამართლოს შეთავსებული ჰქონია სასამართლო და საპოლიციო საქმეები. სისხლის სამართლის საქმეები განიხილებოდა რუსული კანონმდებლობით, ხოლო სამოქალაქო — ვახტანგ მეფის კანონების მიხედვით... მაზრის უფროსის გამგებლობაში ყოფილა საფოსტო სამმართველო, მაზრის ექიმი და მაზრის ხაზინა. ქიზიყი მთაგორიანი და უწყლოა — ნათქვამია „აღწერილობაში", —

---

[1] Акты КАК, VII, стр. 4—5, 24.

[2] ЦГВИА, Ф. ВУА, № 18481, стр. 100—106.

[3] თიხის მილებით გაწყობილი წყალსადენის არსებობის კვალი მართლაც არსებობს; მის სათავედ „პაპიანთ წყარო" ყოფილა (სიღნაღისაკენ დაშვებული ნუკრიანის მთის ფერდობზე). თიხის მილებით გაყვანილი წყალსადენის ნაკვალევი შენიშნულია ბოდბის წმ. ნინოს მიდამოებიდან სოფ. საქობოს მიმართულებაზეც, მაგრამ ეს გაცილებით ძველი უნდა იყოს.

ნიადაგი ნაყოფიერია. წყალს ეზიდებიან წყაროებიდან, რომ-ლებიც ზოგჯერ რამდენიმე ვერსითაა სოფლებს დაშორებული. წყაროებს ძალზე უფრთხილდებიან ქიზიყელები.

კარდანახიდან ყარაღაჯამდე გაშლილი ქიზიყის სოფლები სახაზინო და საეკლესიო უწყებას ეკუთვნის. მაზრაში 1826—1827 წლებში 56 სოფელი ყოფილა 1965 ოჯახით.

იმ ხანად მაზრაში ითესებოდა საშემოდგომო 7000, საგაზაფხულო 5000 ჩეტვერტზე[1] მეტი პური. იღებდნენ საშემოდგომოს — 60 000, საგაზაფხულოს — 50.000 ჩეტვერტზე მეტს; ქიზიყში მიწას ამუშავებდნენ ზედიზედ ოთხი წლის განმავლობაში, შემდეგ 4—5 წლით ასვენებდნენ. მიწას ასუქებდნენ ნამჯის დაწვით... თუ რამდენიმე წლის წინათ მოსახლეობა ვერ ამუშავებდა მიწას, რომელიც 3—4 ვერსით იყო დაშორებული სოფლებს, ახლა ყოველგვარი შიშის გარეშე ხნავდნენ მიწებს, რომლებიც სოფლებიდან 20 ვერსის მანძილზე მდებარეობდა, ხოლო სამხედროები ალაზანგაღმაც იღებდნენ თივას. პურს მიყიდიდნენ ხაზინას თბილისში.

მაშინ მაზრაში ყოფილა:

ცხენი	4000,
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	24 ათასზე მეტი.
ცხვარი	40 ათასი,
სახედარი	7 ათასი,
ღორი	8 ათასი,
ფუტკარი	800 თვალი,

ღვინო მზადდებოდა 200 ათასი ვედრო,
არაყი იხდებოდა 3 ათასი ვედრო.

აღწერილობაში მითითებულია, რომ „1826-1827 წლებში ლიტრი თაფლი ღირდა 10 კაპიკი, აბრეშუმი გამოჰყავდათ 50 ფუთამდე და იყიდებოდა ფუთი 50—60 მანეთად, ვერცხლით. ძაოილი შემოაქვთ ყარსის საფაშოდან... იყიდება ლიტრი 10—15 კაპიკად. ცხვრის მატყლს სცვლიან თათრების დისტანციებში მარილზე, ნოხებზე, საცალოებზე (ტომრებზე) და სხვ. ოჯახებში ქსოვენ წინდებს.. პურის გადასახადი შეადგენს 3400.

---

[1] ჩეტვერტი — დაახლ. 7 ფუთი (110 კგ).

ქერისა 900 ჩეტვერტს, ბამბა ცოტა ითესება ივრის ვაკეებში და წელიწადში 1000 მანეთის მოსავალს იღებენ.

ალაზანზე მნიშვნელოვანი რაოდენობით იჭერენ თევზს, ამარილებენ და ყიდიან წელიწადში 5000 მანეთისას ვერცხლით. ერთი დღის სახნავ მიწაზე თესავენ 1,5-2 კოდ ხორბალს, 1,5 კოდ ქერს, იღებენ ხორბალს — 35, ქერს კი 25 კოდს. შვრიას იღებენ 0,5 კოდი თესლიდან 40 კოდს"... აღწერილობაში მოხსენებულია მაზრის მოსახლეობის ბეგარა-გადასახადები: „1. სურსათის გადაზიდვა საწყობებამდე («в магазины») ...თივისა და სამშენებლო მასალებისა ნიჟეგოროდელ დრაგუნთა, ხოლო შეშისა — შირვანის ქვეითთა პოლკისათვის; 2. ფოსტის საგუშაგოების შენახვა: მუკუზანში 10 ცხენი, სიღნაღში 10 ცხენი, ივრისგალმისა 10 ცხენი, სულ 30 ცხენი; 3. მაზრა გამოყოფს 60 მესაზღვრე მოყარაულეს. ქვეითებს — 2 კაცს. ამ მოვალეობას ასრულებენ რიგრიგობით: შორი სოფლების მოსახლეები მოყარაულეებს ქირაობენ — ცხენოსნებს 10 მანეთად, ქვეითებს 7 მანეთად თვეში; 4. ხუთი ცხენის შენახვა მაზრის ტერიტორიაზე მოხელეთა სამგზავროდ".

„ლეკიანობისას ქიზიყის მოსახლეობა გამოჰყოფდა სათვალთვალოდ პოსტებს (სულ 15 პუნქტში), ხოლო ნიჟეგოროდელთა პოლკის შტაბთან — ერთი ათისთავის, 12 ცხენოსნისა და 100-მდე ქვეითის შემადგენლობით. მაზრას შეძლებია დამბაჩებით, ხმლებით, ხანჯლებით, ზოგიც თოფით შეიარაღებული 6000 მეომრის გამოყვანა".

ქიზიყელები, — ამბობს „აღწერილობის" ავტორი, — არიან გულადნი, თავდადებულნი სარწმუნოებისადმი[1]. სომხობა უმეტესად ვაჭრობას მისდევს. ქიზიყის სახაზინო სოფლებს მართავენ ქევხები და მამასახლისები, ხოლო კახეთში ნაცვლები; ამათი არჩევა მოსახლეობაზეა დამოკიდებული, ხოლო ამტკიცებს გუბერნატორი[2]. ...მოსახლეობა ვალდებულია, ემსახუროს

---

[1] ქიზიყელთა ეს თავისუფლებისმოყვარე შეუდრეკელი ხასიათი ხაზგასმული აქვს კოვალენსკის თავის 1802 წლის პატაკში ციციანოვისადმი: „მე ვურჩიე ქართველ თავადებს მშვიდად იყოლიონ მოსახლეობა განსაკუთრებით ქიზიყელნი და გაღმამხრელნი, რადგან თავიანთი მეომრული სულის გამო ამბოხებისაკენ აქვთ მიდრეკილება".

[2] ქევხა-მამასახლისების დანიშვნა-მოხსნის საკითხებს საქართველოს ცენ-

ქევხა-მამასახლისებს მინდვრებისა და ბაღ-ვენახების დამუშავებაში, ოღონდ ამ შემთხვევაში მამასახლისმა მათ უნდა აკმამოს და ღვინო ასვას, ამასთან, ეს „დამხმარენი" თავისუფლდებიან გადასახადებისაგან და ვალდებულებებისაგან... ტყეები უმეტესად მთებში და ალაზნის მარცხენა სანაპიროზეა" — გვამცნობს „აღწერა".

ამის შემდეგ „აღწერილობაში" მოყვანილია ცნობები თვით ქალაქ სიღნაღის შესახებ. მისი მოსახლეობა ამ წლებში 497 კომლს (2670 სულს) შეადგენდა. ქალაქში 370 სახლი ყოფილა. მოქმედებდა ორი ქართული და ორიც სომხური ეკლესია.

როგორც ქალაქისთავის ანგარიშიდან ჩანს, 1839 წლისათვის სიღნაღში იყო ერთი ვიწრო და უსწორმასწორო ქუჩა (ბაზრის გარდა), ქალაქს არ ჰქონდა მოედნები და პარკები: სახლთა რიცხვი 514-მდე გაზრდილა, რომელთა შორის ერთი მთავრობისა ყოფილა, ერთიც საეკლესიო.

1840 წელს სიღნაღის ოლქში 7252 კომლი მოსახლეობს (თელავის ოლქში თუშ-ფშავ-ხევსურეთიანად 9751 კომლია). 1843 წლისათვის შექმნილი ყოფილა თელავ-სიღნაღის ერთიანი მაზრა, რომელიც დაუყვანიათ 6 უბნად: 4—ყოფილი თელავის მაზრის ტერიტორიაზე, 2—სიღნაღის („სიღნაღის" და „შირაქის უბნები). 1843 წლისათვის შირაქის უბანი სიღნაღის უბნისათვის შეუერთებიათ, ხოლო სიღნაღის უბნის ჩრდილო-დასავლეთი სოფლებისაგან შეუქმნიათ — „უკანა მხარის უბანი". სიღნაღის უბანში 4819 კომლია (აქედან თვით სიღნაღში 551 კომლი), უკანა მხარის უბანში — 2369 კომლი. სიღნაღი

ტრალური (რუსული) მთავრობა განიხილავდა. მაგალითად, 1845 წელს სახაზინო სოფლებს — ნუკრიანისა და ჭოტორის მოსახლეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა; მათ საერთო -მამასახლისი ჰყოლიათ (ჭოტორელი ბეჟია ჯანგულაშვილი). ნუკრიანელებს საკუთარი მამასახლისის გაჩენა განუზრახავთ და კანდიდატურაც წარუდგენიათ (გიორგი თარალაშვილის). ცენტრალურ მთავრობას (ცერძოდ საქართველო-იმერეთის სახელმწიფო ქონებათა პალატას) უარყოფითი გადაწყვეტილება მიუღია: ნუკრიანელებს ვიღაც აშფოთებს, ჯანგულაშვილი უნდა დარჩეს თავისი ვადის გასვლამდე მით უმეტეს, რომ მაგ ორ სოფელს საერთო სახნავ-საბალახო მიწები აქვსო (საქ. ცსა, ფ. 2, აღწ 1, საქმე 12508, გვ. 1—14).

„შტატგარეშე“ ქალაქი ყოფილა.[1] მთავარმართებლის თხოვნის საფუძველზე 1844 წლის ნოემბერში გამოცხადდა იმპერატორის განკარგულება სიღნაღის მაზრის ჩამოყალიბების შესახებ, რომელშიც შესულა სიღნაღის, უკანა მხარის და შირაქის (ამ დროისათვის კვლავ აღდგენილი) უბნები, ხოლო ქალაქი სიღნაღი სამაზრო ქალაქთა სიაში შეუტანიათ.

1846 წელს გამოცემულ წიგნში «Путевые записки по Кахетии» პლატონ იოსელიანი წერდა, რომ „სიღნაღის ციხე-გალავნის კედლების საერთო სიგრძე 7,5 ვერსს უდრის...[2].

თუ კი პლატონ იოსელიანმა თავისი თვალით ნახა სიღნაღის ის ციხე-გალავანი, რომელიც დღემდეა შემონახული, მისი კედლების საერთო სიგრძის დადგენაში მას შეცდომა არ უნდა მოსვლოდა (სინამდვილესთან შედარებით გაორკეცებულია). ან პ. იოსელიანიც სცოდავს (როგორც ზემოაღნიშნული იეგერი), ან მას ჩათვლილი აქვს სიღნაღის ძველი ციხე-გალავნის გადაშენების გზაზე მდგარი ნაფუძარი, რომელიც 1854 წელს ი. ბელკინსაც უნახავს (იხ. ზემოთ).

1861 წელს ჟურნალ „ცისკრის“ სექტემბრის ნომერში ივ. კერესელიძემ გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებანი სიღნაღის შესახებ. იგი იუწყება, რომ თბილისის ბაზრის მსგავსად სიღნაღის ბაზარიც დახურულია, „ერთი ნაწილი ქალაქისა არის ახალი ქალაქი ე. ი. ირაკლის გნითა აღშენებული არის დასავლეთის მხრივ მაღალ გორაზედ, რომლის გარშემო შვიდ ვერსზედ ისეთი ქვითკირის გალავანი ავლია, რომ კაცი იფიქრებს ახლახან აგებულიაო“... აქედან „მოჩანს ჭარი და ბელაქანი“ და სხვ. ამ ხანად სიღნაღის მაზრის სამმართველოც ჯერჯერობით დაქირავებულ შენობაში ყოფილა მოთავსებული.

სიღნაღის ქალაქისთავის ანდრონიკაშვილის მიერ 1863 წელს შედგენილ „სიღნაღისა და მისი გარეუბნების აღწერაში“ ნათქვამია, რომ გარეუბნების სახით იმ ხანად ქალაქში შედიოდა სოფლები: ნუკრიანი, ჭოტორი და მაღარო.

1863 წლიდან ცდილან შეედგინათ სიღნაღის კეთილმოწყობის გეგმა. კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე საერთო საქმე-

---

1 Акты КАК. IX, стр. 630.

2 ციტირებული წყარო, გვ. 38, 39.

თა დეპარტამენტის წარდგინებაში მითითებულია, რომ საერთოდ საქართველოს ქალაქების, მათ შორის სიღნაღის კეთილმოწყობის გარეშე ქუჩებში მოძრაობა ეტლით შეუძლებელიაო. ამავე მიზეზით ქალაქებში დიდი იყო ხანძრის საშიშროება, ძნელდებოდა სავაჭრო ქსელის განვითარება, კლიმატიც აუტანელი იყო, მაგრამ, როგორც აღნიშნულია წარდგინებაში, სიღნაღისა და მასთან მიერთებული გარეუბნების კეთილმოწყობის გეგმას ამ ხანად ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოო სახე[1]. მოსახლეობის სიმცირის გამო ვერ ხერხდებოდა მისი უბნებად დაყოფა; ქალაქის საქმეებს განაგებდა პოლიციის სამმართველო, რომელიც შედგებოდა ქალაქის თავისა და ერთი უბნის ზედამხედველისაგან. აქვე არსებობდა მაზრისა და ქალაქის სასამართლოები. ქალაქის შემოსავალი 1863 წელს 12,970 მანეთს შეადგენდა. 1854 წლიდან აქ დაწესებული იყო ერთთვიანი „იარმუკობა", ხოლო ყოველდღე ბაზრობა[2].

კავკასიის მეფისნაცვლის ძმის, მწერლისა და მოგზაურის ა. ნ. მურავიოვის 1888 წელს გამოცემულ წიგნში ნათქვამია. „სიღნაღისაკენ მიმავალი გზა მისდევს უკვე არა ბოდბის ხეობას, არამედ დიდებული ალაზნის ველის ნაპირებს, უხვად მსხმოიარე ვენახებით დამშვენებული ბორცვების ფერდობებს. ძნელი ასასვლელი გველოდა სიღნაღის მაღალ გორაზე ჯერ ხევის კალაპოტით (ალბათ ანაგის ხევზეა ლაპარაკი.—ი. შ.), შემდეგ კი ტყიან ალმართზე; და მე მაოცებდა მოსახლეთა მოთმინება, ვინაიდან მათ განუწყვეტლად უნდა ევლოთ ამ ჩასავალზე წყლის ამოსატანად, ან იმ. გორის ძირში მდებარე თავიანთ ვენახებში სამუშაოდ, რომელსაც არწივის ბუდესავით მიტმასნოდა მათი ქალაქი"[3].

ოთხმოცდაათიან წლებში სიღნაღში ჩასულა აკაკი წერეთელი. ქალაქის მოსახლეობას ღირსეული პატივისცემით მიუღია დიდებული სტუმარი. აკაკი დიდხანს განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებდა თურმე ამ გულთბილ შეხვედრასა და პატივისცემას[4].

---

[1] Документы по истории Грузии, I, ч. 2, стр. 7.

[2] იქვე, გვ. 12–14

[3] დასახელებული წყარო, გვ. 143—144.

[4] თ. სახოკია, „ჩემი საუკუნის ადამიანები", 1969 წ., გვ. 38-39.

1895 წელს სიღნაღს ესტუმრა „ჩვენი ენა-ლიტერატურის მოყვარული ქალი მარჯორი უორდროპი (რომელმაც ინგლისურად გადათარგმნა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“, „წმ. ნინოს ცხოვრება“). სიღნაღ-ქიზიყის ინტელიგენციამ დიდი პატივით მიიღო ძვირფასი სტუმრები (მარჯორი უორდროპის ოჯახი. — ი. შ). ქალაქის დათვალიერების შემდეგ სტუმრები წაბრძანდნენ წმინდა ნინოს მონასტერში, იქიდან ქვემო მაჩხაანში და ინახულეს დეპოც. სიღნაღის მაღალი მთის კორწოხის ბაღში, რომელიც ამაყად გადმოჰყურებს დიდებულ სურათს — ალაზნის ველს, ქ-ნ უორდროპის პატივსაცემად გამართული იყო სადილი, რომელზეც დაესწრო მთელი სიღნაღის შეგნებული ქართველობა, ქალი და კაცი. სადილზე შესაფერი და საგულისხმო სიტყვები წარმოთქვეს დ. მაჩხანელმა, მ. ნასიძემ და სხვებმა. მომღერალთა გუნდი სანაქებოდ მღეროდა: „თამარის დროშა გაშალეს“, „აღსდექ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, და ტკბილ-დუდუკიც მწარე კვნესით ბანს აძლევდა მათ ტკბილ-მწარე ხმას. საღამოზე გაიმართა ლეკური ცეკვა“[1]. თბილისისაკენ გამომგზავრებულმა მარჯორი უორდროპმა „მინდორში, ერთი მუხის ქვეშ შეკრიბა ახლო-მახლო ყანებიდან ქართველი მუშამომკელები, გადაიღო ფოტოგრაფიული აპარატით მათი სურათი, დაპატიჟა მუშები პურ-ღვინოზე, უთხრა რამდენიმე ძმური სიტყვა... მუშებმა რომ გაიგეს ქ-ნ უორდროპის ვინაობა, გმირულ ხმაზე უმღერეს „მუშური“ და აღტაცებული „გაუმარჯოს“ ძახილითა და ხელების ქნევით გააცილეს ძვირფასი სტუმარი“[2]. მარჯორი უორდროპმა სიღნაღელები იმითაც გაახარა, რომ ერთი მათგანის შვილის ნათლია გახდა.

1904 წლისათვის ქალაქის ტერიტორია 440 დესიატინას შეადგენდა. ამ დროისათვის იქ უკვე 20 ქუჩა და 10 შესახვევია, რომელთა საერთო სიგრძე 20 ვერსი ყოფილა, აქედან 4 ვერსი მოკირწყლული იყო. შენობათა რაოდენობა 2898 აღწევდა, ამათგან 88 ხისა ყოფილა. ქუჩებს ანათებდა 120 ფანა-

---

1 „კვალი“, 1896, № 30.

2 იქვე.

რი. ქალაქში იყო ერთი ბიბლიოთეკა, არ იყო გაყვანილი წყალსადენი. ჰქონდათ ერთი სტამბა, ერთიც სატუსაღო. ქალაქს ქუჩებში სულ ორი ეტლი დადიოდა[1].

ქალაქ სიღნაღს არ შეეხო რუსეთის იმპერიის ქალაქებში გაცილებით ადრე დაწყებული საქალაქო მმართველობის რეფორმა. იგი თბილისშიც ნელოდ 1874 წელს გატარდა, ხოლო ქუთაისში ,ბათუმში, ფოთსა და სოხუმში — 90-იანი წლებიდან. სხვა ქალაქებში და მათ შორის სიღნაღშიც მმართველობა მთლიანად მაზრის უფროსის ხელში დარჩა და ქალაქის მთელ მეურნეობას პოლიცია განაგებდა[2].

სიღნაღის წყალსადენის აგება-მოწყობის საქმისათვის 1907 წელს ხელი მოუკიდია გერმანელ იანცენს. ამის თაობაზე სიღნაღის სტაროსტა ენიკოლოფოვი სწერდა: „ქალაქს არასოდეს არ ექნება საშუალება თავისი სახსრებით გააკეთოს წყალსადენი. მსხვილი საქმოსნები ხელს არ ჰკიდებენ პატარა წყალსადენის მოწყობას, რადგან დიდ ხეირს არ ელიან წყალსადენის ექსპლუატაციისაგან. ეს იანცენი კი, როგორც პატარა წყალსადენების კარგი მოხელე, ჩვენს ნდობას იმსახურებს“. იანცენის წამოწყებას განხორციელება არ ღირსებია. 1911 წელს გამოჩნდა თბილისელი მოქალაქე ვინმე მორდუხ სალმანი, რომელმაც ხელი მოჰკიდა სიღნაღის წყალსადენის გამართვის საქმეს. სალმანის ამ წამოწყების შესახებ სპეციალური ცნობა გამოქვეყნდა «Тифлисские ведомости»-ის ფურცლებზე (1911 წლის 21 დეკემბერს). მეფისნაცვლის კანცელარიამ, რატომღაც ამ ცნობის დადასტურება გამოსთხოვა თბილისის გუბერნატორს. სალმანს სიღნაღის წყალსადენზე 25-წლიანი კონცესია აუღია. შემდეგ კი 1913 წელს, როდესაც გადაწყვეტილა წყალსადენის გაფართოება (მაღარო-ჭოტორი-ნუკრიანის მოსახლეობის გათვალისწინებით), კონცესიის ვადა 35 წლამდე გაუზრდიათ[3].

ეს წყალსადენი ამოქმედდა; მაგრამ სიღნაღის მოსახლეობა უფრო მეტად ისევ და ისევ ძველი წყაროს წყლებით (ხევის წყარო, მერუბნის წყარო, თავგატეხილას წყარო და სხვ.) იკლავდა წყურვილს. განაკუთრებით ნაქებია თავგატეხილას

---

1 საქ. არქივი, ფონდი 414, აღწ. 2. საქმე 33. გვ. 30—32.

2 ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, მე-19—20 ს., 11, გვ. 34.

3 საქართ. არქივი, ფონდი 29, საქმე 443, გვ. 50—53.

წყარო, რომელიც დასნეულებულ ვანო სარაჯიშვილს სიკვდილს წინა საათებში მონატრებია. „მან ,სიღნაღიდან თავგატეხილას წყაროს წყალი ჩამოატანინა, სასთუმალთან დოქით ედგა და სულს იბრუნებდა"[1].

3. ძველი სიღნაღისა და მისი ვაზრის სახე

მოსახლეობა

სიღნაღის მოსახლეობას შეადგენდნენ ე. წ. მოქალაქენი. (ვაჭრები, ხელოსნები, მოხელეები) და გლეხები (სახაზინო და საეკლესიო), რომლებიც ქალაქზე მიწერილნი იყვნენ.

შემდგომ გვერდზე მოყვანილი ცხრილიდან ჩანს სიღნაღის მოსახლეობის აღმავალი ხაზი 1862—1868 წლებიდან; 1770 წელს ამ ქალაქის მოსახლეობა სულ რაღაც 500—600 სულს უდრიდა, 1908 წლისათვის იგი თითქმის ოცჯერ გაზრდილა. პირველი საგრძნობი ნახტომი სიღნაღის მოსახლეობის ზრდისა 1862 წლიდან იწყება: აქამდე თუ ქალაქის მოსახლეობა წელიწადში საშუალოდ 50—60 სულით იზრდებოდა, რაც ძირითადად ალბათ ბუნებრივი ნამატის ხარჯზე ხდებოდა, 1845 წლიდან 1862 წლამდე მისმა მოსახლეობამ 9008 სული შეადგინა, ე. ი. 17 წლის მანძილზე ყოველწლიური ზრდა 320 სულს აღწევდა.

მოსახლეობის ზრდის ამგვარი ტემპი გასული საუკუნის 60-იანი წლების ყველა ჩვენი ქალაქისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ქალაქისაკენ „მიისწრაფის ყველა — ფულის საშოვნელად თუ საქონლის შესაძენად... ზოგი ვაჭრობით ცდილობს ფულის შეძენას, ზოგი მესარეწაობას ეწევა, უფრო ბევრი კი საქირაო შრომაში ებმება... შეიცვალა ხალხის მიდრეკილება, რომ ის მხოლოდ მიწათმოქმედი ყოფილიყო ან მეომარი. გარდა კუდაბზიკა თავად-აზნაურებისა ახლა აღარავინ თაკილობს ვაჭრობასა და საქირაო შრომას, წვრილი და მსხვილი მოვაჭრენი, მოიჯარადრენი, საერთოდ, მრეწველები, ქარხნის მუშები, მტვირთავები, ბარგის მზიდველნი და სხვა რიგის შა-

---

1 შ. კაშაძე, „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი", ტ. II, 1955 წ., გვ. 94.

ცნობები რევოლუციამდელი და თანამედროვე სიღნაღის, ნაწილობრივ

№№	წლები	სულ მოსახ-ლეობა	ქ. სიღნაღი (ქ. კომლი,		
			° ქ ვ		
			ვაჭრები	ხელოსნები	მემამულენი
1	1770	100 ქ.	—	—	—
2	1772	84 ქ.	—	—	—
3	1602	1000 ქ.	—	—	—
4	1804	1287 ს.	404 ს.	528 ს.	—
5	1811	1346 ს.	—	—	—
6	1817	248 ქ.	55 ქ.	117 ქ.	—
7	1825	3338 ს.	—	—	—
8	1826—27	497 ქ.	—	—	2 ქ.
9	1843	551 ქ.	—	—	—
10	1845	3500 ს.	—	—	—
11	1862	9008 ს.	—	—	—
12	1863	9151 ს.	—	—	—
13	1868	9217 ს.	—	—	—
14	1886	10604 ს.	—	—	—
15	1902	11374 ს,	—	—	—
16	1904	11030 ს.	—	—	—
17	1906	11418 ს.	—	—	—
18	190-	14457 ს.	—	—	—
19	1917	8080 ს.	—	—	—
20	1925	4194 ს.	—	—	—

წყაროები: 1. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 420;
2. გულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, 1. გვ. 27, 259;
3. Ш. А. Месхиа, Города и городской строй..., стр. 142;
4. საქ. ცსა ფ. 254, აღწ. 1, საქმე 75;
5. Акты КАК, V, стр. 199;
6. საქ. ცსა, ფ. 254, აღწ. I, საქმე 732, გვ. 26—27;
7. მეცნ. აკად. ისტ. ინსტ. შრომები V, I, 1960, გვ. 67; აგრეთვე საქ. ცსა;
8. ფ. 255, აღწ. I, საქმე 2327, გვ. 1—2;
9. ЦГВИА, фонд ВУА, № 18481, стр. 100—106;
10. Акты КАК, IX, стр. 601;
აგრეთვე საქ. ცსა, ფ. 255, აღწ. I, საქმე 2327, გვ. 1-2;

ქიზიყის (ან სიღნაღის მაზრის) მოსახლეობის შესახებ!

ს. სული)			სახლთა რაოდენობა ქ. სიღნაღში	მოსახლეობა მაზრაში	შენიშვნები
დინ					
სახაზინო	საეკლესიო	მემამულეური			
—	—	—	—	—	
—	—	—	—	—	
—	—	—	—	—	
300 ს.	—	55 ს.	—	—	
300 ს.	35 ს.	55 ს.	—	30660 ს.	შედარების.თვის: მოსახლეობა 1863 წელს უდრიდა: ქ. ბათუმის 1000 ს., ფოთის 1096 ს., გორის 5051 ს., თელავის 7240 ს.
62 ქ	1 ქ.	18 ქ.	—	—	
—	—	—	289	—	
—	—	—	870	17890 ს.	
—	—	—	—	7252 ქ.	
—	10 ქ.	—	—	—	
—	—	—	—	63121 ს.	
—	—	—	—	—	
—	—	—	—	—	
—	—	—	—	—	
—	—	—	—	—	
—	—	—	2898	—	
—	—	—	—	109017 ს.	
—	—	—	—	—	
—	—	—	—	—	
—	—	—	—	—	

11. გეოგრ. ინსტ. შრომები, VII, 1955 (ვ. ჯაოშვილის სტატიით),
12. Документы по истории Грузии, 1960 г., т. I, ч. 2, стр. 811;
13. ა. კიკვიძე, საქ. ისტორია, XIX—XX სს. 1959, გვ. 55;
14. გეოგრ. ინსტ. შრომები, VII, 1955;
15. ა. კიკვიძე, დას. შრომა, გვ. 55;
16. გეოგრ. ინსტ. შრომები, VII, 1955 წ.
17. საქ. ცსა, ფ. 414, საქმე 38, გვ. 30—32;
18. საქ. ცსა, ფ. 504, საქმე 1653, გვ. 1;
19. Н. Г. Гехтман, Экономическая география Грузии, 1924.
20. იქვე, გვ. 38—39.

ვი მუშები ახლა უმეტესად სოფლიდან ჩამოსულნი არიან. ეს არის მესამე წოდება, როგორც მაშინ იტყოდნენ, „მშრომელი ხალხი“, რომელსაც სოციალურმა რეფორმამ აჰყარა ყმობის სალტე და ახალი ცხოვრების გზა გაეხსნა“[1]. სიღნაღშიც ყოფილა ამქართა გაერთიანებები, რომლებიც იცავდნენ ხელოსანშეგირდთა ინტერესებს, მიღებული ტრადიციის მიხედვით მხარს უჭერდნენ დაღუპულ წევრთა ქვრივ-ობლებს, ხოლო მათი უსტაბაშების მეშვეობით მთავრობას ურთიერთობა ჰქონდა „ხალხის მასებთან“[2].

1825 წელს 3332 სულიდან უკვე 1447 მართლმადიდებელი სარწმუნოებისა ყოფილა, რომელთა შორის, მცირეოდენი რუსების გარდა, ყველა ქართველი უნდა ყოფილიყო.

ბატონყმობის გადავარდნის, სოფლად და ქალაქად კაპიტალისტური ურთიერთობის თანდათანობით განვითარების შედეგად საფაბრიკო ნაწარმმა დაიწყო ბაზრებიდან მანუფაქტურული წარმოების პროდუქციის დაუნდობელი განდევნა, რასაც მალე მოჰყვა წვრილ ვაჭარ-ხელოსანთა გაკოტრება და შედარებით მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ობიექტების წარმოქმნა. 1865 წლის თბილისის ამქართა გამოსვლები „ფეოდალურ-ამქრული წარმოების წესის უკანასკნელი გაბრძოლება იყო“. ამ „უკანასკნელი გაბრძოლების“ დღეებში სიღნაღელ მოქალაქეს ალექსი საბაშვილს დაბრალდა ბაკბეუკ მელიქოვის მოკვლა, რომელიც თბილისის მმართველობას აერჩია ქალაქში ახალი გადასახადების აკრეფის ორგანიზატორად. იგივე საბაშვილი ყოფილა იმ დღეებში ამქართა მიერ ქალაქის თავისა და აღნიშნულ ბაკბეუკ-მელიქოვის სახლ-კარის დარბევის მონაწილე[3]. არ შეიძლებოდა ეს ისტორიული პროცესი სიღნაღსაც არ შეხებოდა. სიღნაღის, როგორც ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრის, მომავალზე უთუოდ დიდი გავლენა იქონია ახალი დროის დიდი სავაჭრო-გზებისა და რკინიგზის ქსელის გარეთ დარჩენამ. გასული საუკუნის შუა წლებში დაუწყიათ

---

[1] ა. კიკვიძე, საქ. ისტორია, XIX—XX სს., II, გვ. 53—54.

[2] Документы по истории Грузии, т. I, ч. 2, стр. 813.

[3] იქვე, გვ. 180, 243.

საბუე-ახმეტა-თიანეთი-დუშეთის გზის გაყვანა, რათა როგორც რუსი მოხელეები წერდნენ, კახეთს პირდაპირი გამოსასვლელი გასჩენოდა საქართველოს სამხედრო გზისაკენ და შორი გზით, სიღნაღზე გავლით აღარ დაბრკოლებულიყვნენ[1].

თბილისი-ბაქოს რკინიგზაც, თავდაპირველი პროექტით სიღნაღზე რომ უნდა გასულიყო, მას მნიშვნელოვანი მანძილით ასცდა. თვით კახეთის რკინიგზაც მხოლოდ 1915 წელს გაიხსნა[2].

გზების მშენებლობა თუმცა გალმა მხარისა და ლაგოდეხის მიმართულებებითაც წავიდა, მაგრამ მას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

უგზოობამ დიდი ხნით შეაჩერა 1871 წელს მირზაანში მოქმედი ნავთის ოთხი ჭაბურღილისა და 55 ჭის მოქმედება[3], უგზოობამ დასცა კახეთში მიწისა და ხე-ტყის ფასები: რკინიგზაზე მდებარე გორის მაზრაში დესეტინა მიწა 50—80 მანეთამდე ფასობდა, ხოლო კახეთში 15—40 მანეთამდე, შესაბამისად, ტყეები გორის მაზრაში ღირდა 80—120 მანეთამდე, კახეთში კი — 14—40 მანეთამდე[4]. „კავკასიაში პირველი რკინიგზის გაყვანამდე, კახეთი სხვა რაიონებთან შედარებით ასე თუ ისე ერთნაირ, ხშირ შემთხვევაში უკეთეს პირობებშიც იმყოფებოდა და წარმატებით უწევდა მათ კონკურენციას თბილისის ბაზარზე. მაგრამ რკინიგზების გაყვანის შემდეგ თბილისის ბაზრის საკმაოდ დიდი ნაწილი მთელი სიღნაღის, თელავისა და აგრეთვე თიანეთის მაზრები და ზაქათალის ოლქი, ე. ი. მთელი რაიონი, რომელიც ერთ დროს არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს ბეღელს წარმოადგენდა, სავსებით მოწყვეტილი აღმოჩნდა რკინიგზის ხაზისაგან და ძველისძველი მდგომარეობა, რომელშიც უხდებოდა პროდუქტების გასაღება ამ ხალხს, უეცრად შეიცვალა ვათთვის არახელსაყრელად“, —

---

[1] Акты КАК, X. стр. 861.

[2] ჟურნალი „მაცნე“, 1967 წ., № 2 (ნ. შველიძის სტატია).

[3] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახელებული შრომა. გვ. 47.

[4] ჟურნ. „მაცნე“, 1967 წ., № 2, გვ. 83 (ნ. შველიძის სტატია, კახეთის რკინიგზის მშენებლობის ისტორიისათვის).

ნათქვამია თავადაზნაურობის საგანგებო მოხსენებაში კახეთში რკინიგზის გაყვანის საკითხზე[1].

სიღნაღის მოსახლეობამ (14457 სული) განსაკუთრებით. მკვეთრად იკლო 1908 წლის შემდეგ. 1917 წლისათვის იე მაცხოვრებელი მხოლოდ 8030 სულს შეადგენდა, 1922 წლისათვის კი — 4191-მდე შემცირდა. კახეთის რკინიგზის გახსნამ სიღნაღისა და ქიზიყის მოსახლეობის დიდი ნაწილი თბილისის ბაზრისაკენ მიაბრუნა. ამავე დროს, ქიზიყის მთიანი სოფლების მოსახლეობამაც დაიწყო ბარში, — შარაგზისა და რკინიგზის მახლობელ ადგილებში ჩამოსახლება.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როდესაც საბჭოთა რუსეთს მოწყვეტილი მენშევიკური საქართველოს მეურნეობამ კატასტროფული დაცემა იწყო, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც სოციალისტური მეურნეობის კანონზომიერმა წინსვლამ კერძო ვაჭრობა-მრეწველობის შევიწროება-განდევნა დაიწყო, სიღნაღელი ვაჭარ-ხელოსნების უმეტესობამ თბილისისა და სხვა ქალაქებისაკენ გასწია, მცირე ნაწილმა კი ადგილზე დარჩენა და სოციალისტური მეურნეობის სამსახური არჩია.

სიღნაღის მოსახლეობა 1922-1939 წლებში კვლავ შნიშვნელოვნად გაიზარდა და 6700 სული შეადგინა: იგი გაიზარდა ძირითადად მაზრის ქართული მოსახლეობის ხარჯზე. მაგრამ სიღნაღის მოსახლეობის შემცირების პროცესი კვლავ განახლდა მას შემდეგ, რაც კახეთის რკინიგზის აღმოსავლეთი განშტოების ბოლო სადგურთან, სიღნაღიდან სულ რაღაც 4 კილომეტრის დაშორებით წარმოიქმნა სრულიად ახალი დასახლება— წნორი თავისი მზარდი მეურნეობით. 1926 წელს აქ სულ 90 კომლი ცხოვრობდა, 1960 წელს მისი მოსახლეობა უკვე 6213 სულს აღწევს და ამგვარად, თვით სიღნაღზე დიდი ხდება. ამჟამად წნორი უკვე ქალაქია (იხ. მე-2 ცხრილი).

---

[1] ჟურნ. „მაცნე", 1967, № 2, გვ. 83 (ნ. შველიძის სტატია, „კახეთის რკინიგზის მშენებლობის ისტორიისათვის"), საქ. ცსა, ფ. 214, № 2537, 83. 4).

ქიზიყის სოფლების მოსახლეობა 1817 და 1860 წლებისათვის[1]

№№	სოფლები	1817 წ. ხელ	ამათგან უწყვეტების მიხედვით			1860 წელს
			სახლინო	ოჯახ-ური	მეგობ-ლური	
1	ანაგა .	222	215	4	3	389
2	ვაქირი . . .	327	323	—	4	512
3	დიდი საქობო . .	143	138	5	—	267
4	პატარა საქობო .	100	93	7	—	242
5	ნუკრიანი .	98	95	2	1	—
6	ჭოტორი .	37	37	—	—	—
7	მაღარო .	262	242	7	13	350
8	ზემო მაჩხაანი . .	185	171	1	13	361
9	ქვემო მაჩხაანი .	111	109	-	2	195
10	მირზაანი .	148	142	2	4	263
11	არბოშიკი	56	56	—	—	89
12	ცლუნკაანი	31	31		—	54
13	ოზაანი .	32	28	4	—	92
14	ბრასიანი .	23	14	2	7	96
15	ტიბაანი .	51	47	4	—	251
16	ჯუგაანი .	138	118	—	20	266
17	ფანიანი .	40	40	—	—	94
18	ბოდბისხევი .	209	7	194	6	587
19	ბოდბე	264	4	259	1	565
20	ნასომხარი	7	3	4	—	—4
21	ასანური .	38	—	38	—	87
22	მაშნაარი . .	54	—	54	—	125
23	ქედელი	—	—	—	—	10 9

[1] ცნობები ამოკრეფილია: საქ. ცსა 25, აღწ. 1, საქმე 732, გვ. 26—27; საქ. ცსა ფ. 255, აღწ. 1, საქმე 275, გვ. 163—168.

№	სახელოსნოებისა და საკერავ-ის დასახელება	1802 წ.	1826—1827 წ.	1859 წ.
1	სამრეწველო საქონლის დუქნები	—	—	—
2	მეწვრილმანეთა დუქნები	4—5 კაცით	—	—
3	ფირთლით საეკრო დუქნები	32	—	—
4	საოკრომჭედლო .	9	8	—
5	დაბახანა (მეტყეველთა) .	2	1	—
6	ძაფსართავი . .	—	—	1
7	საფეიქრო სახელოსნო .	83	—	38
8	სამღებრო .	4	3	—
9	ხაზეინკლო	2	—	—
10	სამკედლო .	5	11	10
11	მეთუნუქენი .	1	—	—
12	მეუნაგირეები .	—	9	—
13	სახარაზო . .	11	16	21
14	მექვაბეები	3	—	—
15	ძკალავნი . .	—	—	3
16	ტანსაცმლის მკერავნი	3	44	39
17	მვექუდენი .	—	15	—
18	ნაბდის მთელავნი .	3	—	—
19	ნალბახდები . . .	2	—	—
20	ღვინის სარდაფი . .	—	—	—
21	საპნის სახარშე	—	—	—
22	არყის სახდელი .	—	9	—
23	სადალაქო .	2	—	—
24	საყასბო .	2	—	—
25	იარაღის მკეთებელნი .	—	—	—
26	აგურის ქარხანა .	—	—	—
27	არყის სახდელი	—	—	—
28	დუქნები სულ	—	127	—
29	სახელოსნო-საწარმოებში სულ იყო (ოსტატი, შეგირდი) .	დაახლ. 200	—	—
30	მეპურეები .	კაცი	—	14 ქალაქ-გარეთ

1863 წ.	1865 წ.		1904	ცნობათა წყაროები
	სიღნაღში	იქედან ქალაქგარეთ მაზრაში		
—	—	—	31	1802 г. Ш. Месхиа. Города и городской строй..., стр. 130
—	—	—	—	1826—1827 гг. ЦТВИА, ВУА, ф. 18481, стр. 100—106.
—	—	—	—	—
—	2	—	—	1889 სცა ფ. 16, საქმე 6106, ვ. 51.
—	2	—	3	—
—	—	—	—	
—	—	—	—	
3	8	—	4	Документы по истории Грузии, I, ч. 2, стр. 13.
—	—	—	—	Документы..., стр. 311—312, 528—529.
—	22 კ.	—	—	6) 1904 წ. ცსა, ფ. 414. აღწ. 2, საქმე 38, ვ. 30—32.
—	7	—	—	
—	—	—	—	
—	28 კაცი	—	—	—
—	18 კაცი	—	—	7) 1862 წელს მთელ სიღნაღის მაზრაში 500 საეკლესიო დუქანი ყოფილა (საქ ცსა, ფ. 17 8957, ვ. 253—274.
—	—	—	—	
—	17 კაცი	—	—	
—	27 კაცი	—	—	
—	—	—	—	
—	—	—	—	
—	—	—	22	
1	2	2	—	
—	—	—	—	
—	36 კაცი	—	-	
—	22 „	-	—	
—	16 „	—	—	
13	13 „	5	—	
51 ქალაქგარეთ 871	25 „	25	—	
	—	—	—	
—	283 კაცი	—	—	
—	—	—	—	

ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ სიღნაღში გასულ საუკუნეში არავითარი სერიოზული სამანქანო წარმოება არ ყოფილა.

მრეწველობის ასეთ ჩამორჩენას არა მარტო სიღნაღში, არამედ მთელ საქართველოში, რუსი მოხელეები ხსნიდნენ ქართველთა დაუდევრობითა და სათანადო კაპიტალის უქონლობით[1]. ეს, რასაკვირველია, სრულიად უსაფუძვლო „მიზეზი" იყო. ცარიზმის ისეთი ერთგული ადამიანიც კი, როგორც ლუკა ისარლიშვილი იყო ამის გამო ერთ თავის წერილში აღიარებდა, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ მთელი 27 წლის განმავლობაში ქართველ ხალხს უღვთოდ ძარცვავდნენ მეფის მოხელენი, რის შედეგადაც ქვეყანა უკიდურესად გაჩანაგდა. შინაური ფრინველი, ღვინო, ბაღები, ცხენი, ურემი, მოსახლეობის მთელი ქონება სალდათების სრულ განკარგულებაში იყო გადასული, რამაც სისხლისმღვრელი ამბოხებანიც გამოიწვია. განა შეიძლება ამის შემდეგ ქართველთა უდარდელობაზე და გულგრილობაზე ილაპარაკო თავისი მეურნეობის აღორძინება-გაუმჯობესების მიმართო?[2] — წერდა იგი.

სიღნაღსა და მის მაზრაში არსებული აგურის, ტყავის, საქსოვი და საპნის ქარხნები თუ საწარმოები ერთობ პრიმიტიულ დონეზე იდგა და უმნიშვნელო პროდუქციას იძლეოდა როგორც რაოდენობის, ისე ღირებულების მხრივ. 1000 ცალი აგური 1858-1863 წლებში 8-10 მანეთად იყიდებოდა[3]; ამავე წლებში ქალაქში არსებულმა 13 აგურის ქარხანამ 3680 მანეთის, ორმა დაბახანამ 3828 მანეთის, სიღნაღში და ანაგაში არსებულმა საპნის ორმა ქარხანამ 14.000 მანეთის პროდუქცია გამოიმუშავა.[4] სახელოსნო-საწარმოთაგან, რომლებსაც რაიმე მნიშვნელოვანი პროდუქციის გამოშვება შეეძლოთ, მთელ სიღნაღის მაზრაში სულ 50 იყო. ამავე წლებში თელავსა და მის მაზრაში 36, გორსა და მის მაზრაში 35 ასეთი სახელოსნო-საწარმო არსებობდა[5].

ამგვარი მანუფაქტურული წარმოების ერთი ნაწილი (სამ-

---

[1] Документы по истории Грузии, т. I, ч. 2, стр. 844.
[2] Исарлов Л. «Письма о Грузии», 1899, стр. 311, 320.
[3] Документы по истории Грузии, т. I, ч. 2, стр. 10, 13.
[4] იქვე, გვ. 815-816.
[5] Документы по истории Грузии, т. I, ч. 2, стр. 528-529.

ღებროები) მარიამ დედოფლისა იყო (გორგი XIII მეუღლე). იგი აქედან ყოველწლიურად მნიშვნელოვან თანხას იღებდა (სიღნაღის სამღებროებიდან 200 მან., მაღაროს სამღებროებიდან 120 მან., მაჩხაანის სამღებროებიდან 100 მან. და ა. შ.)[1]

ქალაქის შემოსავალში, რომელიც ძირითადად მოხელეთა შენახვას, გზა-ხიდების შეკეთებას და წვრილმან სამეურნეო საქმეებს ხმარდებოდა, მნიშვნელოვან როლს კახურ სასმელებზე სააქციზო გადასახადები ასრულებდა. გადასახადის ეს სახე დაწესებულა 1834 წლიდან; გასაყიდად აქ შემოტანილი ღვინის გადასახადი ერთ ვედროზე 12 კაპიკი იყო.

სააქციზო შემოსავალმა 1842 წელს შეადგინა ღვინოზე 3090 მანეთი, არაყზე — 57 მანეთი (შესაბამისად ქ. თელავში — 1723 და 153 მანეთი, ახალციხეში — 977 და 785 მან.[2]). 1841 წლის 1 იანვრიდან 1846 წლის 1 იანვრამდე სააქციზო გადასახადმა შეადგინა (ღვინოზე და არაყზე ერთად) 16268 მან. (შესაბამისად — თელავში — 7658, ახალციხეში — 10446, დუშეთში — 8643, გორში — 28610 მანეთი). სააქციზო ზედამხედველობა სიღნაღში რომ სარფიანი საქმე ყოფილა, ამაზე მეტყველებს ის, რომ ამ თანამდებობას თავადიშვილებიც ეტანებოდნენ: „ერთმა მსურველმა თავადიშვილმა, გადამდგარმა პოდპორუჩიკმა ვაჩნაძემ, უარიც კი მიიღო ადგილობრივ ხელისუფალთაგან: ამ თანამდებობას ჯერჯერობით „კარგად ასრულებს მე-12 კლასის ბეგიევიო“[3].

გასული საუკუნის 30-იან წლებში სიღნაღში მინის ქარხნის აგება განუზრახავთ. ადგილიც შეურჩევიათ (ქალაქიდან 10 კმ მოშორებით, ტყეში), მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ: ნედლეული არ იშოვება, თანაც ლეკები ხეირს არ დააყრიან ქარხანასო[4]. ამ დროისათვის სიღნაღში ერთი ძაფსაღები ქარხანა ყოფილა ძმების — ამირან და არტემ შავერდოვებისა, რომელთაც მცირე წყალსადენიც გაუყვანიათ. მათივე თაოსნობით აგებულა სიღნაღში სასამართლოს, ჰაუპტვახტისა და საპყრობილის შენობები, რაც მანამდე არ ჰქონია ქალაქს. 1837

---

[1] Акты КАК, стр. 82.

[2] Акты КАК, IX, стр. 620-621.

[3] საქ. ცსა, ფ. 2. აღწ. 1, საქმე 10705, გვ. 1-2.

[4] Акты КАК, VIII, стр. 187.

წელს ქ. სილნაღში ხახაზინო გლეხებმა შავერდოვებმა მოაწყეს ბამბის ძაფსახვევი საწარმო, სადაც 25 დაქირავებული მუშა ითვლებოდა[1].

1852 წელს თურქეთიდან თბილისში ჩამოსახლებულ ვინმე მარტიროს საფაროვს მეფისნაცვალ ვორონცოვის წინაშე დაუყენებია საკითხი სილნაღის მაზრაში გავრცელებული რაღაც მცენარის („ალაჯერი"?) დამზადებისა და მის ბაზაზე ლურჯი ფერის საღებავის წარმოების შესახებ. ასეთი წამოწყების შემდეგო, — ამტკიცებდა საფაროვი, აღარ იქნებოდა საჭიროება მსგავსი საღებავის თურქეთიდან შემოზიდვისა. მცენარის დასამზადებლად მას უთხოვია 70 ჯარისკაცი, რომელთა შენახვას თვით კისრულობდა, მაგრამ თხოვნაზე უარი მიუღია და საქმისათვის თავი გაუნებებია[2].

1812 წლისათვის სილნაღში შეზიდული ან იქიდან გატანილი საქონლის ღირებულების ყოველ 100 მანეთზე 20 კაპ. გადასახადი იყო დაწესებული. აქედან ორ მესამედს ხაზინა იღებდა, ერთ მესამედს — მოურავი. ასევე, შემოტანილ ერთ ბათმან აბრეშუმზეც 40 კაპ. იხდიდნენ და შემოსავალი აღნიშნული წესით ნაწილდებოდა. იმ ხანად აბრეშუმი გაჰქონდათ სპარსეთში, თურქეთში, თბილისის ან რუსეთის ბაზრებზე. ყოველი ერთი ცხენის საპალნეზე 10 მანეთი უნდა გადაეხადათ. აქედან 8 მან. ხაზინაში შედიოდა, 2 მანეთი მოურავისა იყო. გასაყიდად მოტანილ ერთ ურემ თევზზე ხაზინისათვის უნდა მიეცათ 1 მანეთი .ნარმის საქსოვ ყოველ დაზგაზე წელიწადში 40 კაპ. ხაზინას ეძლეოდა, 20 კაპ. — მოურავს. რქიანი პირუტყვის ყოველ საკლავზე 10 კაპ. ხაზინას მიჰქონდა, 5 კაპ. — მოურავს. მეპურეკლენი თითო გამოწვაზე 40 კაპ. ხაზინას, 20 კაპ. მოურავს უხდიდნენ. ელისავეტოპოლისა და შულავერის საწარმოთა რკინეულის ნაწარმზე პროდუქციის ერთი ცხენის საპალნეზე 40 კაპ. ხაზინას ეძლეოდა, 10 კაპ. — მოურავს, ხოლო რუსეთის

---

[1] ვ. დუმბაძე, ნატურალური მეურნეობის რღვევა და ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა XIX ს. 30-50-იან წლებში (საქართველოს ისტორია, I, 1958 წ. გვ. 457).

[2] საქ. ცხა, ფ. 4, აღწ. 4, საქმე 173, გვ. 4-5.

რკინის ნაწარმზე საპალნეზე ხაზინას უხდიდნენ 1 მან და 33 კაპ. მოურავს — 66 კაპ., ყოველი სამღებროდან მოურავიც წელიწადში 1 მანეთს იღებდა[1].

სიღნაღის შემოსავალი შედგებოდა გადასახადებისაგან, რომლებიც იკრიბებოდა საზოგადოებრივი ქონებისაგან, მოქალაქეთა უძრავი ქონების პროცენტული ღირებულებისაგან, მეწარმეთა და საწარმოთაგან (ვაჭრობის უფლებისათვის), ოსტატთა და შეგირდთაგან, საქირაო და საღალო გადასახადებისა და სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლისაგან. გადასახადებს უწოდებდნენ სახაზინოსა და სამოქალაქოს. შემოსავალ-გასავალთა რიგში ყოველთვის ჩანდა ორი ნახევარი: მიმდინარე გადასახადები და წინა წლებში ამოუღებელი თანხების შემოსავალი.

ქალაქის შემოსავლის ზოგიერთი წლის მაჩვენებელი ასეთია:

1842 წელი — 2824 მანეთი[2],
1845 წელი — 3630 მანეთი[3],
1862 წელი — 7541 მანეთი[4],
1863 წელი — 12930 მანეთი[5],
1865 წელი — 9380 მანეთი[6] და ა. შ.

ქალაქის შემოსავლის წყაროებისა და მისი გამოყენების დაახლოებით სურათს იძლევა 1865 წლის მაგალითი. შემოსავალი განისაზღვრებოდა 9380 მანეთით. აქედან ჩვეულებრივი (მიმდინარე) გადასახადების ხარჯზე 7595 მანეთის ამოღება იყო ნავარაუდევი, 1785 მანეთი გასული წლების ამოუღებელი გადასახადების მიღების გზით შემოვიდოდა. გასავლის კატეგორიებს შეადგენდა: მიმდინარე — 6039 მან. და ერთდროული — 2825 მან. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა: წინა წლებში დაწყებული სამაზრო სასწავლებლის შენობის დასამთავრებლად—2000

[1] Акты КАК, VIII, გვ. 969.

[2] Акты КАК, IX, стр. 611 (ახალციხის შემოსავალი ამ წელს უდრიდა 5390 მან., თელავისა — 4144 მან.).

[3] Акты КАК, X, стр. 844 (თელავის შემოსავალი ამ წელს უდრიდა 3036 მან., გორის — 4632 მან.).

[4] Документы по истории Грузии, I, ч. 2, стр. 13.

[5] იქვე, გვ. 823.

[6] იქვე, გვ. 111-112.

მანეთს, დამატებით გამოყოფილ 800 მანეთს, ხოლო 25 მანეთი გადადებული ყოფილა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულარის გასამრავლებლად (ეხებოდა ქალაქებში საზოგადოებრივი მმართველობის გაუმჯობესების საკითხს). ამგვარად, ორივე კატეგორიის შემოსავალი (9380 მან) ფარავდა ყველა გასავალს და თანაც 516 მანეთი რჩებოდა, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ წინა წლების დავალიანებას ამოიღებდნენ (1785 მან.). 1866 წელს ქალაქის საერთო შემოსავალმა შეადგინა 8926 მან., გასავალიც ოდნავ შემცირებულა — 6187 მან. ამ წელსაც შემოსავალი თითქოს სჭარბობდა გასავალს, მაგრამ კვლავ იმ შენიშვნით, თუკი სრულად ამოიღებდნენ გადასახადთა გასული წლის დავალიანებას (3278 მან.). მაგრამ როგორც ამავე მაგალითიდან ჩანს, ასეთი დავალიანება ყოველწლიურად იზრდებოდა (1865 წელს 1785 მან., 1866 წელს — 3278 მან.), ამიტომ შემოსავლის ამ ნაწილს უიმედოდ უცქერდნენ[1]. ფულად გადასახადებს ვერც გლეხობა აუდიოდა: 1864 წლის 1 იანვრისათვის წინა წლის ვალი ემართა სახელმწიფო გლეხებს — 3007 მან., საეკლესიო გლეხებს — 482 მან.[2].

სიღნაღელ ვაჭრებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ თავისი მხარის, მთელი საქართველოს, ამიერკავკასიისა და რუსეთის მთელ რიგ ბაზრებთან და თავის ქალაქში საქონლის საკმაო მარაგსაც ჰქმნიდნენ (1863 წლისათვის ასეთი მარაგის საერთო ღირებულებას 70 ათას მანეთად აფასებდნენ)[3].

1845 წელს შემოზიდული საქონლის გამოსასყიდი ღირებულება 4350 მანეთს შეადგენდა (თელავში — 1000 მან., დუშეთში 2500 მან., ახალციხეში — 9500 მანეთს), რომლის 20 პროცენტი შედიოდა ქალაქის შემოსავალში[4].

სიღნაღელ ვაჭრებს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ სპარსეთისა და თურქეთის ბაზრებთანაც, საიდანაც, მაგალითად, 1826-1927 წლებში შემოჰქონდათ ტილო, ჩაი, შაქარი, მაუდი. ვაჭრობდნენ აგრეთვე ლეკეთში, საიდანაც გამოჰქონდათ

---

[1] Документы по истории Грузии, стр. 111-112.

[2] იქვე, 358—361.

[3] იქვე, 14

[4] Акты КАК, XI, გვ. 664.

ნაბდები, შალეული, თბილი ჩექმები, ნოხები, ბეწვეული[1]. უფრო გვიან, ამ ასორტიმენტს ემატება აბრეშუმის ქსოვილები, ფაიფურის ჭურჭელი, საგალანტერიო ნაწარმი, უცხოეთის სასმელები. ხე-ტყის მასალა ძირითადად თბილისიდან შემოჰქონდათ.

სიღნაღის ამქრებს თავიანთი დროშა ჰქონიათ. ბაირახტარი აუცილებლად ქართულ ტანსაცმელში უნდა ყოფილიყო გამოწყობილი[2], მიუხედავად ამქართა ეროვნული სიჭრელისა. ამქრის წევრები წელიწადში 6 მანეთს უხდიდნენ თავიანთი ორგანიზაციის სალაროს, სამაგიეროდ ისინი ერთგვარ მხარდაჭერასა და დახმარებას იღებდნენ განსაკუთრებული გაჭირვების შემთხვევაში.

ქართული აბრეშუმი, რომელიც სიღნაღელ ვაჭართა აღებმიცემობაში შედიოდა, როგორც რუსი მოხელენი აღნიშნავდნენ, არაფრით ჩამოუვარდებოდა ინგლისურს; აბრეშუმის სახელმწიფო ქარხნების შექმნაზეც კი ფიქრობდნენ ისინი, მაგრამ ეს განზრახვაც — განზრახვად დარჩა[3].

მაშინდელ სიღნაღში პროდუქტების ფასები მერყეობდა იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მხარის საშინაო მდგომარეობა, რა პოლიტიკურ ამოცანებს ისახავდა მეფის მთავრობა. მაგალითად, კახეთის აშბოხების წინა პერიოდში, საშინელი მოუსავლიანობის დროს, თბილისში მეტისმეტად მდარე პურის ფქვილი ჩეტვერტი 20-30 მანეთი ღირდა (ვერცხლით)[4], ასევე რთულდებოდა საქმე ეპიდემიების დროს.

1811 წლის ქოლერის ეპიდემიის დროს ჭარის და შემახიის მხრიდან სიღნაღზე მომავალი აბრეშუმი აქ 24 საათში უნდა „გაწმენდილიყო". ქარავნის გამყოლს ხელზე ცნობა უნდა მისცემოდა ამის შესახებ, რომ მცხეთის საკარანტინო პუნქტის გავლისას არ შეეჩერებინათ[5]. აღნიშნავენ აგრეთვე, რომ 1830 წლის ქოლერის ეპიდემიის დროს მოსახლეობამ მიატოვა ქა-

---

[1] ЦГВИЯ, ВУА. ф. 18481, стр. 1200—1206.

[2] ლ. ბოჭორიშვილი, მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 8, 1956 (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის), გვ. 158.

[3] Акты КАК, V, გვ. 930.

[4] Исарлов. Л. «Письма о Грузии», стр. 313.

[5] Акты КАК, V, стр. 34.

ლაქები, მათ შორის სიღნაღიც. სრულიად შეფერხდა ისედაც უძლური მრეწველობა, მოიშალა ვაჭრობა,[1] ყოველივე ამას, ცხადია, მოსდევდა სიძვირე და ეკონომიური ცხოვრების სრული დეზორგანიზაცია. სიძვირისა და შიმშილის ნამდვილი ეპიდემიები განსაკუთრებით გაჰძაფრდა მენშევიკების ხანმოკლე ბატონობის პერიოდში.

განათლება

ისტორიულ ქიზიყში ჯერჯერობით ცნობილია ძველთაგანვე წმ. ნინოს მონასტერთან არსებული სასწავლებელი, რომელშიც თავისი დროის შესაფერ ცოდნას იძენდნენ მომავალი საეკლესიო და კულტურული ფრონტის მუშაკები[2], ძირითადად სასულიერო და ფეოდალური წრეების წარმომადგენლები. ეკვს გარეშეა, რომ ძველ ქიზიყში წერა-კითხვისა და იმ დროის შესაფერისი ცოდნის გავრცელებაში სათანადო როლს ასრულებდნენ ამ მხარეში ცნობილი სხვა უძველესი სარწმუნოებრივი ცენტრები, რომლებიც კამბეჩოვანის მხარის ავბედითობით სრულიად განადგურებული სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო.

სამშობლოსადმი სიყვარულის კეთილშობილური გრძნობების გაღვივებისა და თავისი შესაძლებლობის კვალობაზე ცოდნის გავრცელების საქმეს ემსახურებოდნენ ქართველი დედებიც. ეს მომენტი ახლად მოსულმა რუსმა მოხელეებმაც შენიშნეს: ქიზიყში დედები თვითონ სწავლობდნენ და შვილებსაც სახლში ასწავლიანო"[3].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცოდნის შეძენისა და თანამემამულეებში მისი გავრცელების საქმეს, როგორც ძველ, ისე გვიანფეოდალურ საქართველოში შეუნელებელი ყურადღება ექცეოდა. რუსეთის მეფის მთავრობის მოხელეებმა სწორედ ამ ტრადიციის უარყოფით და აღმოფხვრით დაიწყო სახალხო განათლების საქმის „მოწყობა" ახლადშეერთებულ სა-

---

[1] Акты КАК, VII, ч. I, стр. 228.

[2] ლ. მენაბდე, „ძველი ქართული მწერლობის კერები", 1, 1962, გვ. 355-358.

[3] ЦГВИЯ, ф. ВУА, № 18481, стр. 100-106.

ქართველოში: 1782 წლიდან 1795 წლამდე მარტო თბილისში თუ ოცზე მეტი ქართული წიგნი გამოიცა, 1801 წლიდან 1815 წლამდე არც ერთი ქართული წიგნი არ გამოსულა[1].

გასული საუკუნის შუახანებშიც, კი, რაკი სოფლებში სკოლები არ იყო, ხოლო 50-60 ვერსით დაშორებული მაზრის ცენტრში ბავშვების გაგზავნისა და შენახვის საქმეს შშობლების უშრავლესობა ვერ ახერხებდა, წერა-კითხვას ასწავლიდნენ ეკლესიის მსახურნი, რომელთაც ამ დროის შესაფერი არც ცოდნა და არც რაიმე სახელმძღვანელოები გააჩნდათ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების მომდევნო დროის სახალხო განათლების სისტემის ამოცანა მოურიდებლად გამოხატა ამ სისტემის მაშინდელმა ოფიციალურმა მოთავემ ბარონმა ნიკოლაიმ თავის მოხსენებაში მეფის ნაცვლისადმი: „განათლება ყოველგვარ იარაღზე უკეთ ემსახურება ამ მხარის რუსეთთან შერწყმას (ე. ი. გარუსების ი. შ.) საქმეს"[2].

დაწყებითი და საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელის გაფართოვება საქართველოში 70-იანი წლებიდან დაიწყო. ამ სკოლების შენახვა დაეკისრა ფრიად ღარიბ სოფლის საზოგადოებებსა და საეკლესიო უწყებას. 1884 წლიდან მომეტებულად საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელმა იწყო გაფართოება.

დაწყებითი სკოლები ორი ტიპისა ყოფილა: წერა-კითხვის შემსწავლელი და საეკლესიო-სამრევლო, რომლებიც განათლების სამინისტროს დაწყებითი სკოლების მსგავსად ორსაფეხურიანი იყო: ერთკლასიანი, ოთხწლიანი სწავლების ვადით და ორკლასიანი, ექვსწლიანი სწავლებით ვადით.[3]

სკოლების ძირითადი მიზანი იყო „თავისუფალი მდგომარეობის წოდების" ახალგაზრდობაში რუსული ენის გავრცელება. გარდა ამისა, ახალგაზრდებს ეძლეოდათ იმ დროის მეცნიერების შესაფერისი ცოდნა. საღვთო სჯული, რასაკვირველია, აუცილებელ საგანს შეადგენდა.

---

[1] მ. დუმბაძე. საქ ისტორია, დამხ. სახელმძღვანელო, 1958, გვ. 467.

[2] Документы по истории Грузии, I, ч. 2, стр. 711.

[3] უ. ობოლაძე, დასახელებული შრომა, გვ. 50.

თუ რას ნიშნავდა „თავისუფალი მდგომარეობის წოდება“, ამას ნათლად ვხედავთ 1834 წელს სიღნაღის სამაზრო დაწყებითი სასწავლებლის შემადგენლობიდან: იქ სწავლობდა 89 მოსწავლე, რომელთაგან 43 თავადაზნაურთა წოდებიდან იყო, 45 — ვაჭართა წრიდან, ხოლო ერთი „სხვა წოდებას“ ეკუთვნოდა.[1]

საეკლესიო დაწყებითი სკოლების მიზანი იყო განემტკიცებინა ხალხში მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენა და ხნეობა და პირველდაწყებითი სასარგებლო ცოდნა მიეცა ახალგაზრდობისათვის.[2]

საერობო სკოლები უკეთ გამოხატავდნენ ხალხის ინტერესებს, ერთგვარად მაინც უპასუხებდნენ სამოციანი წლების მოწინავე ადამიანთა თვალსაზრისს, ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს.[3]

საეკლესიო სკოლის ქსელს მეფის ხელისუფლება განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა და აფართოებდა. 1893 წლიდან 1914 წლამდე მათში მოსწავლეთა რაოდენობა 9607-დან 46025-მდე გაიზარდა, ამის მიხედვით იზრდებოდა მათი შენახვისათვის საჭირო სუბსიდიებიც[4].

საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლა-აღზრდის მდგომარეობის შესახებ მეტად მკაფიო სურათს გვაძლევს ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსი მირიანაშვილი (1860—1925 წ.); „6—7 წლისა ვიქნებოდი, როცა მამამ ვაქირის (სიღნაღის ახლო. ი. შ.) დაწყებით სკოლაში მიმაბარა, სადაც მასწავლებლობდა იქაური მღვდელი-ბლაღოჩინი ხატიაშვილი, რომელსაც სკოლა ღვთის ანაბრად ჰქონდა მიტოვებული. ბავშვები მოდიოდნენ ადრე და მხოლოდ მზის ჩასვლისას მიდიოდნენ შინ. აქ ყოველგვარ საძაგლობას ჰქონდა ადგილი, არ იყო მხოლოდ წიგნის სწავლა. მღვდელ ხატიაშვილს თვალს მოვკრავდით მხოლოდ ხანდახან და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი სკოლის მოსწავლეებისათვის, რომელთა რიცხვი 50—60

---

[1] უ. ობოლაძე, „ზოგად საგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში“, გვ. 53.

[2] Акты КАК, VIII, стр. 97.

[3] უ. ობოლაძე, დასახელებული შრომა; გვ. 53.

[4] იქვე, გვ. 55.

ალწევდა, ებრძანებინა მინდორ-ვენახში წასვლა და მისი სადილისათვის სატაცურის მოკრეფა, ან კალო-საბძელში მუშაობა, ან მისი ეზოს დასუფთავება, ან მატყლის წეწვა, ქათმის ბუმბულის რჩევა და სხვა ამგვარი"[1].

1818 წლის 17 იანვარს სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში შეუყვანიათ მომავალი ფილოსოფოსი და დიდი ქართველი განმანათლებელი, მაღაროელი მღვდლის შვილი სოლომონ დოდაშვილი; (1822-1823 წლებში იგი აქვე მასწავლებლად ყოფილა განწესებული)[2].

სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში 1839 წელს—41, ხოლო 1862 წლის 90 მოსწავლე ითვლებოდა.[3] ამასთან, როგორც იმ დროის წყაროებიდან ჩანს, იგი თბილისის გუბერნიის ასეთ სკოლათა შორის ერთ-ერთი უკეთესთაგანი ყოფილა[4].

თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ორლოვსკის მოხსენებაში ნათქვამია, რომ 1862 წელს დამდგარა საკითხი სოფელ ადგილებში დაწყებითი სკოლების გახსნის შესახებ. საგანგებოდ შექმნილი კომისიის აზრიც მოუსმენიათ, რაც იმაში მდგომარეობდა, ვითომც უხეშსა და უმეცარ ქართველ ახალგაზრდობას განათლება ზედმეტ საქმედ ეჩვენებოდა და ამიტომ ამ პრობლემის გადაწყვეტა „ძნელ საქმედ" წარმოუდგენიათ.[5] კომისიის „აზრი" საფუძვლიანად უარყო თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველმა და მაგალითისათვის სწორედ თბილისისა და სიღნაღის მაზრის სინამდვილეს მიმართა, სადაც თვით მოსახლეობის სურვილითა და სახსრებით ამ დროს უკვე მოქმედებდა არა ერთი სოფლის პირველდაწყებითი სკოლა[6].

სიღნაღის სამაზრო სასწავლებელი ორკლასიანი იყო. იგი თავისი პროგრამით თბილისის გიმნაზიის სათანადო კლასებზე

---

1 ალ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, იგავ-არაკები, შესავალი წერილი, 1958 წ.

2 ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, ბიბლიოგრაფია, საქ. სსრ მა, 1967 წ., გვ. 8.

3 საქ. ცსა, ფ. 17, საქმე 8957, გვ. 233-274.

4 Документы по истории Грузии, I, ч. 2, стр. 827, 831.

5 ი ქ ვ ე, 558.

6 იქვე, გვ. 559—560.

დაბლა იდგა, ამიტომ მისი კურსდამთავრებულნი თბილისის გიმნაზიაში ვერ ახერხებდნენ შესვლას. ადგილობრივ მოსახლეობას დაუყენებია საკითხი ამ სასწავლებლის სამკლასიანად გარდაქმნის შესახებ, მაგრამ თელავისა და სიღნაღის სამაზრო სასწავლებლების ასეთი გარდაქმნისათვის სათანადო შენობების უქონლობას შეუშლია ხელი. ამათგან, სადაც ადრე გამონახავენ შენობას იქ გაიხსნება სამწლიანი სასწავლებელიო.[1] სამაზრო სასწავლებელთა შორის ყველაზე ცუდი შენობა სიღნაღში ყოფილა. ქალაქის მოსახლეობას გამოუთქვამს სურვილი თავისი ხარჯით აეგო სასწავლებლის შენობა, რომელსაც დიდი ხნით მიაქირავებდა სასწავლო უწყებას. შენობის პროექტიც შეუდგენიათ. იგი დაუმტკიცებია მეფისნაცვალს. „ამგვარად, ამბობდა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი, ქალაქი შეიძენს ბრწყინვალე ნაგებობას და შემოსავლის უტყუარ წყაროს, ხოლო სასწავლო უწყება საკუთარ დამაკმაყოფილებელ შენობას".[2] მაგრამ სამაზრო სასწავლებლის შენობა 1865 წელსაც დაუმთავრებელი ჩანს[3]. ამ წლისათვის ქალაქში არ ყოფილა ბიბლიოთეკა, 1862 წლისათვის გათვალისწინებული ყოფილა მისი გახსნა მხოლოდ გორის სამაზრო სასწავლებელთან[4].

70-იან წლებში სიღნაღის მაზრაში მონასტერ-ეკლესიებთან იხსნება სამრევლო სკოლები, რომლებშიც წერა-კითხვისა და პირველდაწყებითი ცოდნის მიღების გარდა, ასწავლიდნენ ლოცვა-გალობას, რელიგიურ თქმულებებს და მოსწავლეებს დაბეჯითებით უნერგავდნენ მეფისა და ღვთისადმი უსიტყვო მორჩილებას.

1872 წლისათვის სიღნაღში ორი სასწავლებელი ყოფილა: ვაჟთა, რომელიც გვიან (1912 წ.) გადაკეთებულა უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლად და მარიინის ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი. ვაჟთა სასწავლებელი ახალგაზრდობას აძლევდა სახელმწიფო სამსახურში (ფოსტაში, ხაზინაში, სამაზრო სამმართველოში და სხვ.) შესვლის უფლებას, და აგრეთვე,

---

[1] Документы по истории Грузии, стр. 555.

[2] იქვე, 832-833.

[3] იქვე, გვ. 112.

[4] იქვე, გვ. 834.

განსაკუთრებული გამოცდის ჩაბარების შემდეგ, სოფლის სკოლის მასწავლებლად მუშაობის უფლებას. ქალთა სასწავლებლის კურსდამთავრებულნიც, ასეთივე წესით, სოფლის სკოლების მასწავლებლად ინიშნებოდნენ.

1881 წელს საქართველოს სასწავლო ოლქის მზრუნველის — იანოვსკის მოთხოვნით დამტკიცებულ იქნა ახალი სასწავლო გეგმა, რომლითაც აიკრძალა ეროვნულ სკოლებში დედაენაზე სწავლა და დაიწყო გარუსების პოლიტიკის ძალდატანებით დანერგვა. რუსული ენის სწავლება პირველი კლასიდან შემოიღეს. ამ ბარბაროსული აქტით აღშფოთებული საზოგადოების, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის თავგამოდებული და შეუნელებელი ბრძოლის შედეგად, ხელისუფალნი იძულებული გამხდარან ქართული ენა როგორც საგანი, სახალხო სკოლებში დაეტოვებინათ[1].

დაწყებითი სასწავლებლის გარდა სიღნაღში ამ ხანად არსებულა აგრეთვე ე. წ. „დაბალი სასწავლებელი" («Низшая школа») „თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი, შეზღუდული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მქონე სკოლა, საგანგებოდ შექმნილი „უაზნო" მოქალაქეთა შვილებისათვის". ასეთი სკოლების ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა შეეზღუდა წვრილბურჟუაზიულ ფენებიდან გამოსული ბავშვების ლტოლვა გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლებისაკენ".[2] 1880 წლისათვის საქართველოში 8 დაბალი სასწავლებელი იყო.

1888 წელს რუსეთის მეფე ალექსანდრე III უნახავს სიღნაღის გარეუბანში მდებარე წმ. ნინოს სრულიად დაკარიელებული მონასტერი; მისი ნება-სურვილით აღუდგენიათ წირვა-ლოცვა, ხოლო მომდევნო წელს მონასტერში ჩამოსულა წინამძღვარი იუვენალია შვიდი მონაზნით, სამღვდელოებისათვის შენობები აუგიათ და იქვე „სანიმუშო" სამრევლო და ქალთა ორკლასიანი სამასწავლებლო სკოლაც გაუხსნიათ: ამ უკანასკნელმა თავისი არსებობის მანძილზე მოამზადა 175 სამრევლო სკოლისა და წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების მასწავლებელი, ამათგან 125 ქართველი, დანარჩენნი ოყვ-

---

1 პ. ინგოროყვა, შესავალი ნარკვევი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში, 1957 წ., გვ. 11.

2 უ. ობოლაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66.

ნენ რუსები, ოსები, უდინები, აისორები[1]. ეს იყო ერთადერთი ასეთი ტიპის სკოლა მთელ საქართველოს ეპარქიაში, რომელიც მოიცავდა ამიერკავკასიის ყველა ოლქსა და გუბერნიას.

1904 წელს სიღნაღში მოქმედებდა სამი ქართული დაწყებითი სკოლა 587 მოსწავლით.[2]

1913 წელს სიღნაღში არსებულ ვაჟთა სასწავლებელში 196, ხოლო ქალთა სასწავლებელში 156 მოწაფე ითვლებოდა. ამათ გარდა, არსებობდა ორი სამრევლო სკოლა (ქართული და სომხური). ბოდბის წმ. ნინოს მონასტერთანაც ქალთა სამრევლო (ექვსწლიანი) სკოლა ყოფილა.[3]

მეწშევიკების ბატონობის დროს, სახალხო განათლების დარგში შექმნილი მდგომარეობის დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ გამოჩენილი პედაგოგის ივანე გომელაურის სიტყვები: „მე მგონია, რომ ჩვენი სკოლა არასდროს არ ყოფილა ისე დამცირებული და უნაყოფო, როგორც ამ ნგრევა-შენების ხანაში. მეტიც შეიძლება ითქვას, ჩვენ სრულებით არა გვაქვს სახალხო სკოლა... ვინც ოდნავ მაინც იცნობს ეხლანდელ ქართულ სახალხო სკოლებს, უეჭველად დაგვეთანხმება, რომ ჩემს ნათქვამში გადაჭარბებული არაფერია. სკოლების ყოფილი ავადმოსახსენებლის მზრუნველის იანოვსკისა და მისი მიმდევარი ჩინოვნიკების მიერ შექმნილი სახალხო სკოლა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ახალი თაობის გადაგვარებას, სულიან-ხორციანად დამახინჯებას და ვითომ გარუსებას, — სამუდამოდ დაიფუშა, დაიშალა და ჩაბარდა პატრონს: მაგრამ იმის ალაგზე ახალი, ჩვენს ცხოვრებასთან შეხამებული და ჭეშმარიტად პედაგოგიურ პრინციპებზე დამყარებული სკოლის ჭაჭანება არსად არის... ქართული სახალხო სკოლა მინგრეულ-მონგრეულია, უპატრონოდ არის მიგდებული, არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ შიგნეულადაც... სკოლის სულის

---

1 სახალხო გაზეთი, 1910, № 37. ბოდბის ქალთა ამ სასწავლებლისა და მარნის სკოლის არსი, პროგრამები და მათში გაბატონებული რეჟიმი კარგად შეუსწავლია საქ. სსრ დამსახურებულ მასწავლებელს ა. ნონეზოვს (იხ. მისი ნარკვევის დედანი სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

2 საქ. არქ. ფ. 414, აღწ. 2, საქმე 38, გვ. 30-32.

3 ი ქ ვ ე, ფ. 17, საქმე 7884, გვ. 54-58.

ჩამდგმელი მასწავლებელი აღარსად ჩანს... ჩვენი ცხოვრების დედაბოძი — ხალხის სწავლა-განათლების საქმე უნუგეშო მდგომარეობაშია და თუ მას დროზე პატრონი არ გაუჩნდება, მაშინ ჩვენი ბედიცა და მთელი ჩვენი კულტურაც საფრთხეში იქნება ჩავარდნილი".[1]

სიღნაღის ერთადერთ ოთხკლასიან შერეულ გიმნაზიაში შექმნილი სავალალო მდგომარეობა აღწერილია ქალაქის თვითმართველობის 1920 წლის 20 აპრილის მიმართვაში მენშევიკური განათლების სამინისტროსადმი[2]. სამღვთო სჯულს, რომელიც ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში თვით მოწინავე მასწავლებელთა ინიციატივით განიდევნა, მენშევიკების დროს სკოლებში კვლავ ასწავლიდნენ.[3]

1918-1920 წლებში საქართველოში არსებული 51 საშუალო სასწავლებლიდან 23 კერძო პირთა ხელში იყო.[4] 1920 წელს სიღნაღშიც იყო კერძო კურსები, რომელიც დასრულებულ საშუალო განათლებას არ იძლეოდა.[5] სკოლებში კვლავ ბევრი სასულიერო პირი იყო მასწავლებლად.

1921 წლის თებერვალში ქართველმა მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხეს მენშევიკების ბატონობა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახალხო განათლების საქმეც ნამდვილი აყვავების გზაზე დააყენეს. განადგურებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების გზაზე ახალმა დიდმა წარმატებებმა მალე შექმნეს მტკიცე ბაზა ხალხის მასების კულტურული დონის აღმავლობისათვის, მეცნიერული ცოდნის შეძენისათვის, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო ახალი, სოციალისტური კულტურის შექმნა, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა. პარტიამ დააყენა და წარმატებით გადაჭრა არარუს ხალხთა ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლების საკითხი, რომ ამ ხალხებს თავის ქვეყნებში დედაენაზე

---

1 უ. ობოლაძე, „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში", 1961 წ., 1, გვ. 94.

2 საქ. ცსა ფ. 1935, 1, საქმე 47, გვ. 4.

3 უ. ობოლაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 64.

4 იქვე, გვ. 90.

5 იქვე, გვ. 144.

განევითარებინათ პრესა, სკოლა, თეატრი, საზოგადოებრივი დაწესებულებანი, შეექმნათ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური კურსებისა და სკოლების ფართო ქსელი, კულტურული ფრონტის, კერძოდ, საბჭოთა პედაგოგიური კადრების მძლავრი არმია.

1931-1932 წლიდან, როდესაც ლიკვიდირებულ იქნა წერა-კითხვის უცოდინარობა, დაიწყო დაწყებითი განათლების საყალდებულო და საყოველთაო წესით განხორციელება. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე წლებში სიღნაღში გაიხსნა პირველი საშუალო სკოლა[1]. აქვე (ბოდბეში) ქალთა ყოფილი საოსტატო სემინარიის ბაზაზე შეიქმნა პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელმაც სულ ორი სასწავლო წელი იარსება. 1923 წელს იგი დაიხურა და შეიქმნა ახალი ტიპის პედაგოგიური ტექნიკუმი (ორწლიანი კურსით), შემდგომში, 1925 წელს მას სიღნაღის 25 თებერვლის სახელობის პედაგოგიური ტექნიკუმი ეწოდა, რომელთანაც არსებობდა ოთხწლიანი სანიმუშო შრომის სკოლა. ტექნიკუმი ამზადებდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს, სკოლამდელი ასაკის, სკოლის გარეშე და საბიბლიოთეკო-მასობრივი მუშაობის კადრებს. 1937 წელს სიღნაღის პედაგოგიური ტექნიკუმი გადაკეთდა „პედაგოგიურ სასწავლებლად" (ოთხწლიანი კურსით). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სიღნაღში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ცნობილი ქართველი მგოსანი ბაჩანა (ნიკო რაზიკაშვილი).

სახალხო განათლების დღევანდელი სურათი სიღნაღისა და მის რაიონში შესანიშნავი საბუთია ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებისა. მშრომელ ხალხს უსაზღვრო შესაძლებლობათა გზა გაეხსნა არა მარტო თანამედროვე მეცნიერულ ცოდნათა ათვისებისაკენ, არამედ თვით ამ მეცნიერებათა პროგრესში უშუალო მონაწილეობის მისაღებად. ამის უტყუარი მაჩვენებელია ქიზიყის მხარის მშრომელი მასების წიაღიდან გამოსული სახელმოხვეჭილი ადამიანების მთელი პლეადა ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგში.

---

[1] უ. ობოლაძე, დასახელებული ნაშრომი, 145.

4. ჯანმრთელობის დაცვა

რუსეთთან შეერთების შემდეგაც, როგორც ყველგან, სიღნალსა და მის მაზრაშიც მშრომელი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმე დიდხანს რჩებოდა მოუწყობელი; ჟურნალობდნენ ხალხური საშუალებებით, თუმცა ეს საშუალებები და ძველი „აქიმების“ მკურნალობის საქმიანობა ოფიციალურად აიკრძალა. ქართულ ხალხურ მედიცინას კი მრავალ საუკუნოვანი მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდა და მისი საქმიანობის შედეგები ძირითადად დადებითი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. რუსეთთან შეერთების შემდეგაც ჩვენი დასტაქრები ხშირად აოცებდნენ ევროპულ სამედიცინო განათლების მქონე სპეციალისტებს: საჭიროების შემთხვევაში აკეთებდნენ თავის ქალის ტრეპანაციას, საშარდე სისტემიდან ქვებს იღებდნენ, დიდი წარმატებით მკურნალობდნენ სიდამწვრეს, მოტეხილობებს, სხვადასხვაგვარ ჭრილობას. ყავილის საწინააღმდეგო იმუნიტეტის გამოსამუშავებელი პრეპარატიც არსებობდა და თვით ყავილის აცრაც იცოდნენ საქართველოში ჯერ კიდევ 1770 წელს, ე. ი. მეოთხედი საუკუნით ადრე, სანამ ასეთ პრაქტიკას წამოიწყებდა ინგლისელი ჯენერი.[1] „აქიმები“ აუცილებლად უნდა ჰყოლოდათ და ჰყავდათ კიდეც ქართულ ლაშქარში.[2]

1801–1804 წწ., ე. ი. მთელი სამი წელიწადი მეფის რუსეთის მოხელეებს იმისათვის დასჭირდათ, რომ საქართველოს საექიმო მმართველობა შეექმნათ. აქამდე და პრაქტიკულად ამის შემდეგაც, დიდხანს სამედიცინო საქმეებზე თვალყურის დევნება ქალაქების პოლიციას ეკისრებოდა. საქართველოს მთავარმმართებლის გენერალ-ლეიტენანტის კნორინგის მიერ 1802 წელს დამტკიცებული ინსტრუქციით პოლიციას ევალებოდა სისუფთავის დაცვა. მას უნდა სცოდნოდა ვინ რით და-

---

[1] მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, „გარდამავალი პერიოდის ქართული მედიცინა“. 1968, გვ. 180. ვ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე, „ვინ იყო პირველი ამცრელი“ (გაზ. „სახალგაზრდა კომუნისტი“, 5. 7. 69).

[2] „ქართული სამართლის ძეგლები“, II, გვ. 127.

ვადდა, ვინ გარდაიცვალა ყოველდღიურად. ეს ცნობები ძაბ უნდა მოეხსენებინა ქალაქის კომენდანტისათვის[1]. მოსახლეობის სამედიცინო სამსახურში გარკვეულ დადებით როლს ასრულებდა რუსეთის ჯარის ნაწილებთან არსებული ლაზარეთები და აფთიაქები. 1804 წლისათვის თითო მაზრაზე შტატით გათვალისწინებული იყო თითო ექიმი, რომელიც ძირითადად სასამართლო-საექიმო ექსპერტიზასა და ეპიდემიების საწინააღმდეგო ღონისძიებებს ასრულებდა და, ცხადია, ვერ აუდიოდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს.[2]

1817 წლისათვის მაზრაში შტატით შეუყვანიათ თითო მკურნალი, თითოც უფროსი და უმცროსი მოწაფე. შემდეგ მათ მიემატა თითო უფროსი და უმცროსი ბებიაქალი. 1839 წლიდან, ამას გარდა, სამაზრო ქალაქებს ნება მიეცათ თავის ხარჯზე აეყვანათ შტატგარეშე ექიმები. მაგრამ მისი განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სამედიცინო კადრების უყოლობის გამო. ამ უფლების მიცემასთან დაკავშირებით მითითებული იყო, რომ ეს შტატგარეშე მკურნალები უნდა აეყვანათ ქალაქების სიდიდისა და მათში სავაჭრო საქმის სიმძლავრის მიხედვით, ე. ი., სადაც მეტი იყო თავადაზნაურობა და მდიდარი ვაჭრები, ან სადაც გაივლიდა ხოლმე ჯარის ნაწილი და პატიმართა გუნდები გამცილებელი ჯარის თანხლებით[3].

ამ დროს მარტო სიღნაღში კი არა, მთელ ამიერკავკასიაშიც არ იყო საავადმყოფო. პირველად იგი გაიხსნა თბილისში 1820 წელს, მხოლოდ 20 საწოლით. 1838 წლისათვის საწოლთა რაოდენობა გაიზარდა 50-მდე, 1862 წელს კი — 60-მდე[4].

1826 წლამდე არამც თუ რომელიმე მაზრაში, არც ერთ საგუბერნიო სამმართველოშიც არ იყო ქირურგიული ინსტრუ-

---

[1] Акты КАК, I, стр. 494.

[2] მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახელებული შრომა, გვ. 37-39.

[3] მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახელებული წყარო, 35.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 46 და 100.

მენტების კომპლექტი და გარდა სამეანო მანიპულაციებისა, არავითარი ოპერაციები არ კეთდებოდა.

1848 წელს სიღნაღის მაზრაში შტატით გათვალისწინებული იყო ერთი ექიმი (მუშაობდა ტ. ლისიცევი), ორი მოწაფე და ერთიც ბებიაქალი (მუშაობდა ც. კატკოვსკაია). მხოლოდ ამ წლიდან მოუწყვიათ აქ სტაციონარული მომსახურება (ლაზარეთით), რომელშიც 188 ავადმყოფს უმკურნალია[1].

1845-1854 წლებში სიღნაღის სამაზრო ექიმი ყოფილა მ. ჩიგიანი, უფროსი ფერშალი კი — ე. ენიკოლოფაშვილი[2].

1863 წელს სიღნაღის მაზრაში იყო ერთი აფთიაქი (დედოფლის წყაროში მდგარ სამხედრო ნაწილთან). შტატით კვლავ ერთი ექიმი და ერთი ბებიაქალი იყო გათვალისწინებული, მაზრის მოსახლეობა კი 72 ათას სულს აღწევდა.[3]

1904 წელს სიღნაღში უკვე არის ერთი აფთიაქი და ორი კერძო საფთიაქო მაღაზია.[4]

სამედიცინო მომსახურების ამგვარი მოუწყობლობა განსაკუთრებით საგრძნობი ხდებოდა ეპიდემიების გავრცელებისას, რომლებიც ნამდვილ უბედურებად ევლინებოდა ხოლმე იმდროინდელ საქართველოსა და კერძოდ, სიღნაღის მაზრას.

1811 წელს სიღნაღის მაზრაში შავი ჭირით დაავადებულა 142 კაცი და ყველა მათგანი გარდაცვლილა,[5] 1857 წელს ქოლერას გაუნადგურებია ყარაღაჯი[6]. ამავე წელს ქოლერას სიღნაღის მაზრაში 55 კაცი უმსხვერპლია.[7] მეორე ცნობით მსხვერპლი 154 სულს შეადგენდა[8].

ამ დროისათვის თითზე ჩამოითვლებოდა ვაქცინატორები. ვაქცინაც მდარე ხარისხისა ყოფილა, 1857 წელს მაზრაში შეიჭრა ყვავილის ეპიდემია. მართალია, მან ამჯერად მხოლოდ 1 სი-

---

[1] მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, „გარდამავალი პერიოდის ქართული მედიცინა 1967. გვ. 60.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 195—196.

[3] Документы по истории Грузии, стр. 12—14.

[4] საქ. ცსა, ფ. 414, აღწ. 2, საქმე 38, გვ. 30-32.

[5] მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახელებული შრომა, გვ. 120.

[6] Поттo, История 44 Драгунского полка, II, стр. 144.

[7] მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახ. შრომა, გვ. 138-139.

[8] Акты КАК, V, стр. 34.

ცოცხლე შეიწირა, მაგრამ მის პარალელურად წითელას ეპიდემიამ გადაიარა და 25 ავადმყოფი იმსხვერპლა.

ჯანმრთელობის დაცვის საქმეს გაუმჯობესება დაეტყო ძას შემდეგ, რაც ადგილობრივი სამედიცინო კადრების მომზადებამ პრაქტიკული ხასიათი მიიღო: 1843 წლიდან მეფის მთავრობამ, რუსეთთან ამ მხარის დაახლოების მიზნით, ანუ რუსიფიკაციისათვის ხელის შესაწყობად, ნება უბოძა „ტუზემკებს" სახელმწიფო ხარჯზე ესწავლათ იმპერიის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ეს უფლება ჰქონდა მხოლოდ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც „უმწიკვლონი იყვნენ თავიანთი აზროვნებით"[1].

1855-1865 წლებში რუსეთის უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულთა შორის ორ ათეულზე მეტი სამედიცინო დარგის სპეციალისტი იყო,[2] მათში ქართველებიც უნდა ყოფილიყვნენ. მომდევნო წლებში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში წასვლის საქმე გაურთულებიათ: ხაზინა აღარ იძლეოდა გზის ფულს — მშობლებმა გაიღონო, გააუქმეს სხვა შეღავათებიც, რაც ადრე იყო გათვალისწინებული რუსეთიდან დაბრუნებული ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის, ვიდრე ისინი საშუშაოზე მოეწყობოდნენ.

ამ დროისათვის სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების დაბალ დონეზე მეტყველებს ტიფის, დიზენტერიის, ყვავილისა და სხვა სნეულებათა ეპიდემიები, რომლებიც არ შორდებოდა სიღნაღის მაზრას არც ამ საუკუნის დასაწყისში: 1915 წელს მაზრაში ავად იყო დიზენტერიით 144, მუცლის ტიფით — 32, ციებ-ცხელებით — 3207 და სხვ.[3]

1916 წელს მთელ მაზრას მოედო პარტახტიანი და მუცლის ტიფი, წითელა, ყვავილი. მაზრის ექიმი დ. ჯახდიერი, რომლის ყველა თხოვნას დახმარების შესახებ უარით უპასუხეს, თვითონაც დაავადდა პარტახტიანი ტიფით[4].

მეოცე საუკუნის ბატონობის წლებში უცვლელი დარჩა ცარიზმისდროინდელი სამედიცინო-სანიტარული აპარატი, მისი

---

[1] Документы по истории Грузии, стр. 687.

[2] იქვე, გვ. 686.

[3] საქ. ცსა, ფ. 504, საქმე 1999, გვ. 2.

[4] საქ. ცსა, ფ. 504, 1, საქმე 2514, გვ. 1, 15, 17, 18, 23, 78, 96.

წყობა, უწყებრივობა და დაქსაქსულობა. 1918 წელს ძლიერ გავრცელდა პარტახტიანი ტიფი, მძვინვარებდა მალარია; შავი ჭირი და ქოლერა ერთმანეთს რიგრიგობით ცვლიდა, ჯაგრამ ჯანდაცვის სისტემა პრაქტიკულად სულ უფრო და უფრო ღატაკდებოდა: 1913 წელთან შედარებით საქართველოში საავადმყოფოთა რიცხვი 22-ით, ხოლო საწოლთა რიცხვი 300-ზე მეტით შემცირებულა.

მოსახლეობის ფართო მასების სამედიცინო მომსახურების საქმე მეცნიერულად მოწესრიგდა და ჯეროვან სიმაღლეზე დადგა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც უმაგალითო გასაქანი მიეცა სამედიცინო სამსახურის ეროვნული კადრების მომზადებას და შეიქმნა სათანადო სიმძლავრის მატერიალური ბაზა.

უკვე 1925 წელს სიღნაღის მაზრაში მუშაობდა 21 ექიმი და 19 ექთანი, 22 ბებიაქალი და მოწყალების და. მოქმედებდა ერთი საავადმყოფო და 19 სასოფლო საბჭოსთან არსებული სამკურნალო დაწესებულება".[1]

1927 წელს სიღნაღის მაზრაში 17 საექიმო-საფერშლო პუნქტია, 1 საავადმყოფო 50 საწოლითა და ამბულატორიით. ერთ საექიმო და ერთ საფერშლო პუნქტზე საშუალოდ მოდიოდა 7501 მცხოვრები.[2]

ჯანმრთელობის დაცვის კეთილმოწყობა მალე დაეტყო მოსახლეობის ზრდას. ყოველ ათას კაცზე საქართველოში დაიბადა: 1924 წელს — 19 ბავშვი, 1927 წელს — 23; გარდაიცვალა 1924 წელს — 9 კაცი, 1927 წელს — 8, მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 10 კაცი შეადგინა[3].

მომდევნო წლებში, განსაკუთრებით კი დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, სიღნაღის რაიონის მოსახლეობის სამედიცინო-სანიტარული მომსახურების საქმე შეუნელებლად უმჯობესდება და მატერიალური ბაზაც ვითარდება.

---

[1] ნ. შაშიკაშვილი, „სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია საქართველოში", 1959 წ., გვ. 14-16, 228.

[2] იქვე, გვ. 101-102.

[3] იქვე, გვ. 315-16, 328.

4. თავისუფლებისათვის მებრძოლი მხარე

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, საგლეხო რეფორმამდელი ქიზიყი ბედხიერი მხარე იყო, რადგან იქ ბატონყმობა არ არსებობდაო. ფორმალურად ეს ასეც იყო: „თავისუფალი“ გლეხობა აქ დიდად სჭარბობდა მემამულეთა კუთვნილი გლეხობის რაოდენობას. ასე იყო XVI-XVII საუკუნეებშიაც, როდესაც „კახეთის მეფეს თითქმის მთლიანად ექვემდებარებოდა კახეთის მთიანეთი (თუშ-ფშავ-ხევსურეთი), სამეფო სახასოს წარმოადგენდა ქიზიყი და გალმა მხარის დიდი ნაწილი (შემდეგდროინდელი საინგილო)“[1].

ქიზიყის სოფლების უმრავლესობა მხოლოდ სამეფო ხელისუფლებას სცნობდა სახელმწიფო ვალდებულებებითა და გადასახადებით (ქართველი მეფის მორჩილი ᲐᲮᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘ, მისი ხელქვეითი მამასახლისი — ქევხა-ტარუღები); მეურნეობის რიგ პროდუქტებს აქ თავისუფლად აწარმოებდნენ, როგორც პირად მოსახმარად, ისე გასაყიდად (მატყლი, თაფლი, აბრეშუმი, ხე-ტყე და სხვ.)[2].

ქალაქი თელავი და სიღნაღიც მეფისა იყო და ქალაქის მეურნეობის წარმოებაში მეფის ხელისუფლებას მეტოქე არავინ ჰყავდა[3].

მაგრამ კლასობრივი ჩაგვრის მძიმე უღელს ქიზიყში კიდევ უფრო ამძიმებდა გარეშე მტრების წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლის აუცილებლობა. ამ ბრძოლებში განსაკუთრებული გმირობის გამოჩენისათვის ბევრი ქიზიყელი მოლაშქრე თავისი ოჯახიანად სრულიად თავისუფალი გახდა „ყოველგვარი სახელმწიფო და საბატონო გადასახადისაგან“, რაც დასტურდებოდა მეფეთა სიგელ-გუჯრებით. ამ საფუძველზე განთავისუფლებული გლეხობა ქართლ-კახეთის სამეფოს სხვა

---

[1] ნ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 77, 1959 წ., გვ. 35.

[2] ᲐᲠ. ᲠᲝᲒᲐᲕᲐ, „კაპიტალიზმის ჩანასახი საქართველოში და ერეკლე მეორის პოლიტიკა“ („მაცნე“, 1964 წ., № 6).

[3] Ш. Месхия, «Города и городской строй», стр. 117.

მხარეებშიც იყო, მაგრამ ყველაზე მეტი, განსაკუთრებით XVIII საუკუნეში, ქიზიყის მოსახლეობაში გვხვდებოდა[1].

„თავისუფალი“ ქიზიყის მშრომელები არაერთხელ ცდ-ლან თავიდან მოეცილებინათ კლასობრივი ჩაგვრის უღელი და ზურგი უქცევიათ არა მარტო მეფისნაცვლებისა და მოურავებისათვის, არამედ ბოდბელი ეპისკოპოსისათვისაც კი და სასტიკადაც დაუსჯიათ მათი თავგასული ხელქვეითი მოხელეები. ისეთი შემთხვევაც კი იყო, როდესაც კლასობრივი ჩაგვრის სისასტიკისადმი პროტესტის ნიშნად ერთხანს ქიზიყელებს მხარი მიუციათ ჰარის „უბატონო თემის“ მოსახლეობისათვის. ბოდბელ ეპისკოპოსს ქიზიყელი ყმა-გლეხები ორჯერ აუჯანყდნენ — ერთხელ 1700 წლის წინა წლებში, მეორედ დაახლოებით 1711—1716 წლებში; ბოდბელი ეპისკოპოსის მოხელეები დაურბევიათ და „რიგის ძროხის“ გადასახადისაგან განთავისუფლების დოკუმენტებიც კი გამოუძალავთ: „ბოდბელის ყმამ იჯანყა, — აღნიშნულია თეიმურაზ II წიგნში, — მოხელეები დაარბივა — რიგის ძროხა[2] არ გვაძევსო. ბოდბელისთვისაც მოეხსენებინათ, თუ არ ამოგვიკვეთავთო, ავიყრებითო. ბოდბელს ჩვენც უბრძანეთ, ცოტახანს დააცალეთ ქვეყნის აშლის გულისათვის. ლეკიც სცემდა. ბოდბელმა ცოტა ხანს აპატია. ერთმანეთს არბევდნენ. მოხელეები შეხვეწნოდნენ ბოდბელს, დრომდინ ნულარ სთხოვო. უწინაც ექნათ რიგის ძროხაზე ჯანღი. წიგნებიც მიეცა ბოდბელს, მაგრამ მამაჩვენს (ერეკლე 1. — ი. შ.) არ ეპატიებინა, ჯანღის თავები დაეჭირა, ჯარიმაც ბარე წაერთმია, გუჯრით შეეწირა. რაც ხიზიხს სდებია, ისე წმინდა ნინოს ყმას ადევსო.

თუ ღმერთი ჩვენი ძმის (დავით იმამ-ყული-ხანის. — ი. შ.) მოსვლას გვაღირსებს, ის ისევ გაარიგებს და გადაახდევინებს, როგორც მამაჩვენმა უყო, თუ არა და ცოტა ხანს უკან ჩვენ

---

[1] „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1966 წ., გვ. 390—396) მ. დუმბაძის სტატია „თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხი XVIII საუკუნის საქართველოში“).

[2] საბატონო გადასახადი: ორ წელიწადში ერთხელ ორი წლის ძროხა. აღნიშნულია ერეკლე მეორის „განჩინებაში“ — „ქიზიყში სამეფო და სამოურავო სარგოს შესახებ“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 411).

გადავახდევინებთ... როგორც გუჯარში სწერია, რაც ხიზიხს ედვას, ის ბოდბელის ყმას ედვას".[1]

ზოგიერთი გათავხედებული თავადი კახეთში ამ „თავისუფალ" გლეხებსაც ეტანებოდა და ძალით ცდილობდა ეყმო: „თავადმა აფხაზმა დაიჭირა რამდენიმე საეკლესიო „უპატრონო გლეხნი და ძალის-ძალით იყმო. გლეხები ბატონს აუჯანყდნენ... საჩივარმა მთავრობამდის მიაღწია, მთავრობამ საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა. ამ მიზეზის გამო აფხაზმა გლეხები კევრში შეაბა და თვითონ კევრზედ დაჯდა.

მაგრამ ქიზიყელი გლეხკაცი სიკვდილამდე იმეორებდა:

„არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო
წლიდან წლამდე გამყოლია".[2]

რუსეთთან შეერთების შემდგომი დროის ქიზიყში ერთ ხანს გადასახადებს ძველი ქართული კანონების მიხედვით იხდიდნენ. სიღნაღის კაპიტან-ისპრავნიკი სოკოლოვსკი 1802 წელს საქართველოს სამოქალაქო ნაწილის მმართველს კოვალენსკის მოახსენებდა, რომ მოურავი იოსებ ანდრონიკაშვილი 18 ქიზიყელთან ერთად გალმა მხარეში გაიქცა და თხოულობდა განმარტებას როგორ მოქცეულიყო გადასახადთა აკრეფის საქმეში, რომელსაც დღემდე ქართველი მეფის დადგენილი წესით იღებდნენ. ეს წესი მდგომარეობდა შემდეგში: ქურდობის ჩამდენს ნაქურდალის შვიდმაგი ფასი გადახდებოდა. აქედან ორი ნაწილი დაზარალებულს უბრუნდებოდა, დანარჩენი ხუთი ნაწილი სამად იყოფოდა, ერთი ნაწილი მოურავს, ორი ნაწილი ხაზინას ეძლეოდა. გასაყიდად უცხოეთში გატანილი ან იქიდან შემოტანილი საქონლის ღირებულების ყოველ 100 მანეთზე ორი მანეთი გადახდებოდა; ამისაც ორი მესამედი ხაზინას, ერთი მესამედი მოურავს მიჰქონდა. ნადავლის ხუთი მეექვსედი ხაზინისა იყო, ერთი მეექვსედი სამად იყოფოდა, — ორი მესა-

---

1 ნ. ასათიანი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, 1959 წ., „საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVII სს კახეთის სამეფოში", გვ. 27-56.

2 ზ. ჭიჭინაძე, „ბატონყმობის ფაქტიური მასალები", ტ. 6, 1925 წ. გვ. 403.

მედი მოურავისა, ერთი მესამედი ხაზინისა იყო. ომში დაღუ-
პულთა დასამარხი და მათი ქვრივობლების შესანახი სახსრები
მოურავის, წარჩინებული და უხუცესი პირების საქმე ყოფი-
ლა"[1]. შემდგომში ქიზიყელები იხდიდნენ ე. წ. „სურსათის" გა-
დასახადს (პური, შეშა და „პროვიანტი" რუსის ჯარის შესანა-
ხად) და „კოდის პურს" (4 კოდი ოჯახზე, „სურსათის" გადასა-
ხადის გარდა). ამას ემატებოდა გადასახადები „სახუცო", „საქ-
ვრივო" (1810 წლამდე), „ნიშანი", „დრამა" და „თავის საგამ-
ტეხლო"; იოანე ბოდბელის განმარტებით, პირველი ოთხი სა-
ხეობა ეკლესიისა იყო, უკანასკნელი („თავის საგამტეხლო")
— მოურავისა ან საეკლესიო გლეხთა განმგებლისა. საბოდბე-
ლოში „დრამას" სახით თითოეულ კომლს ახდევინებდნენ 10
კაპიკს, სახუცოს 60 კაპიკს, აქედან 10 კაპიკი „ბლაღოჩინისა"
იყო, 50 კაპიკი — ეკლესიისა (ორ წელიწადში ერთხელ)[2]. „საქ-
ვრივოს" უხდიდნენ ვაჩნაძეებსა და ანდრონიკაშვილებს[3].

გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა მოურავების შენახვა, რო-
მლებიც ბოლო დროს ყველა სოფელში გაჩენილან (სოფლის
მოურავთა ინსტიტუტი ფორმალურად 1804 წელს გააუქმეს,
მაგრამ ფაქტიურად 1813 წლამდე არსებულა[4].

თითქმის მთელი ქიზიყის მოსახლეობა ხახაზინო უწყებისა-
გან და მას შემდეგ, რაც მეფის მთავრობამ ქართველი მეფის
საგვარეულოსა და ეკლესიას ჩამოართვა მამულები და სახაზი-
ნოდ ჩარიცხა, თუმცა გლეხობის გარკვეული ნაწილი კვლავ
ეკლესიას დარჩა, უმეტესად — ბოდბის წმ. ნინოს მონასტერს.
თვით სიღნაღში არსებულ პატარა წმ. სტეფანეს ეკლესიასაც
ჰქონდა თავისი მამული და ვინც მას გამოიყენებდა, სათანადო
გადასახადი უნდა მიეცა ეკლესიისათვის.

კოდი პური 1802 წლის დადგენილი ფასით 1 მან. და 35 კა-
პიკად, ხოლო ქერი — 70 კაპიკად შეისყიდებოდა. 1811 წლი-
სათვის ახალი, უფრო დაბალი ფასი — 1 მან. და 20 კაპიკი და-

---

[1] Акты КАК, II, стр. 30.

[2] Акты КАК, V, стр. 414—415 (ვისაც „კოდის პურის" გადახდა არ შე-
ეძლო, იხდიდა ფულად გადასახადს 1 მანეთს, იქვე, გვ. 930).

[3] იქვე, VI, ნაწ. I, გვ. 369.

[4] Акты КАК, V, стр. 464-465.

წესდა. რუსი მოხელეების აზრით, 1811 წელს სიღნაღის მაზრაში 40 ათასი კოდი პურის ამოღება შეიძლებოდა, მაგრამ ამას მხოლოდ მძლავრი ეკზეკუციით მოვახერხებთო, — წერდა მთავარმართებელ ტორმასოვს რუსეთის ჯარის სარდალი პოლკოვნიკი სტალი და გადაკვრით დასძენდა: ქიზიყელებს ლაპარაკიც არ სურთ ასეთი ოდენობის პურის გამოღებაზე, რადგან იქ, უწინდელი სამი პოლკის ნაცვლად ახლა სულ სამი ასეული ჯარი დავტოვეთო[1]. ეკზეკუცია მართლაც ჩაუყენებიათ. 1812 წლის მარტში მიტროპოლიტი ბოდბელი წერდა მთავარმართებელ პაულიჩის, რომ აუწერელი უბედურება მოჰყვება ამ ღონისძიებას, პურის მოსავალი მცირე იყო. თქვენ კოდი პური 1 მან. 20 კაპიკად მიგაქვთ, მერე აქაური გლეხი თვითონ ყიდულობს მას 4 მანეთად; რუსმა მოხელეობამ კი მექრთამეობა და ხალხის ძარცვა-გლეჯა ხელობად გაიხადაო[2].

ამავე დროს ირანთან ომში ჩაბმული რუსეთის ჯარის საჭიროებისათვის მეფის მოხელეები ფრონტისაკენ ერეკებოდნენ წართმეული სურსათით დატვირთულ ასობით ურემს. შავი ჭირის ეპიდემიაც მოედო სოფლებს.[3] ზემოაღნიშნულ აღალს დიდი ხნით თან მისდევდა შრომისუნარიანი მოსახლეობა, უკან აღარ ბრუნდებოდა მუშა-საქონელი, ტრანსპორტი. გლეხობას ამბოხების გზაღა დარჩა. საერთო საბაბმა გარეგნულად გააერთიანა გლეხკაცობა და მებატონენი, თუმცა ამ უკანასკნელთ უფრო მეტად რუსეთთან შეერთების შემდეგ თავისი დაკარგული უფლებების აღდგენის წყურვილი ამოძრავებდა: კახელ „ფეოდალებს სურდათ, რომ გლეხთა ბრძოლის გამოყენებით განეზორციელებინათ თავიანთი რეაქციული მიზანი: ძველი თავადური, პოლიტიკურად დაშლილი საქართველოსა და გლეხობის ექსპლუატაციის მონოპოლიურ უფლებათა აღდგენა; გლეხთა შეუგნებელი, სტიქიური, მაგრამ სამართლიანი ბრძოლა კი მიმართული იყო არსებული კოლონიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ“[4].

ქიზიყის მშრომელი მოსახლეობა ერთობლივად და შეუ-

---

[1] Акты КАК, IV, стр. 101.

[2] იქვე, გვ. 82—83.

[3] იქვე, გვ. 34.

[4] ვ. დუმბაძე, საქართველოს ისტორია, 1, 1958 წ., გვ. 410.

პოვრად მოქმედებდა 1812 წლის კახეთის ამბოხების დღეებში, რაც გამოწვეული იყო მეფის რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების სასტიკი რეპრესიებით, მოსახლეობის პირდაპირი ძარცვით, დამცირებითა და შეურაცხყოფით.

რეფორმის შემდგომი დროის რუსი კოლონიზატორების აზრით, „აჯანყების მიზეზი" ამიერკავკასიის რუსული მმართველობის არასრულყოფაში" მდგომარეობდა, თუმცა ისინიც იძულებულნი იყვნენ ეთქვათ, რომ ქართველი ხალხი „დიდ გასაჭირში ჩააგდო რუსი მოხელეების თვითნებობამ", რის გამო „ყოველი მხრიდან ისმოდა ჩივილი სალდათებზე, რომლებიც ისე ექცეოდნენ ქართველებს, როგორც გამარჯვებულნი დამარცხებულებს. ამ გარემოებით ოსტატურად სარგებლობდნენ რუსეთის მტრები და ადრე თუ გვიან, განსაკუთრებით კი გადახვეწილი ბატონიშვილების წაქეზებით, რომლებსაც ბევრი ქართველი თავადი მხარს უჭერდა, კატასტროფა უნდა მომხდარიყო. მის უკანასკნელ საბაბად იქცა სამხედრო ეკზეკუციები პურის გადასახადის ასაღებად, რაც თვით მოსახლეობასაც არ ჰყოფნიდა"[1].

აჯანყების მახვილი, ბუნებრივია, მიმართული იყო სწორედ ამ „კოლონიური და სოციალური ჩაგვრის" ორგანიზატორების წინააღმდეგ. აჯანყება ახმეტიდან დაიწყო და პირველი თებერვლისათვის უკვე მთელ კახეთს მოედო. ქიზიყისა და კერძოდ, სიღნაღის მოსახლეობა ჯეროვნად უსწორდებოდა კოლონიზატორებს.

„თუ თბილისის ბურჟუაზიამ (მოქალაქეებმა) კახეთის აჯანყების დროს მხარი დაუჭირა რუსეთის მთავრობას, გლეხობასთან ახლო მდგომი სხვა ქალაქების მოსახლეობა უთუოდ ემხრობოდა გლეხებს და მონაწილეობდა ყველა მათ გამოსვლაში. ასე, მოიქცნენ, მაგალითად, სიღნაღში, სადაც კახეთის აჯანყების დროს ამოწყვიტეს 70 კაცისაგან შემდგარი რაზმი და მათი მეთაური მაიორი ჰაინე"[2].

გენერალმა პორტნიაგინმა ძლივს ჩამოასწრო კახეთიდან

---

[1] Потто, История 44 Драгунского полка, т. III, стр. 110.

[2] ა. ფირცხალაიშვილი, „საქართველოს ქალაქების ისტორიიდან," XIX საუკუნის პირველ მესამედში (ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტ. ინსტ. შრომები, V, ნაკვ. I, 1960 წ., გვ. 71).

თბილისში, რის გამო მეფის მოხელეები ჩიოდნენ „კახეთი უუფროსოდ დარჩაო“.

6 თებერვალს სისხლისმღვრელი შეჯახება მოხდა აჯანყებულ ქიზიყელთა და ყაბარდოელთა პოლკის ასეულს შორის, რომელსაც პოდპოლკოვნიკი სტეპანოვი მეთაურობდა. ამ ნამდვილ ბრძოლაში, რომელიც სოფ. ბოდბისხევთან მოხდა (სიღნაღის ახლოს), აღნიშნულმა ასეულმა 200 ჯარისკაცი და რამდენიმე ოფიცერი დაკარგა. აქვე დაიწვა პოლკის მთელი კანცელარია და ამ პოლკისათვის დროშის „გადაცემის თაობაზე გაცემული იმპერატორ პავლეს რესკრიპტის ასლი[1].

აჯანყების ჩაქრობის საქმეს ხელმძღვანელობდა ჯერ კავკასიის მთავარმართველი გენერალ-ლეიტენანტი პაულუჩი, რომელმაც ნაადრევად, უკვე 20 მარტს ახარა ნუხის მმართველს ჯაფარ-ყული-ხანს — ქიზიყი დავამშვიდე, იქ ახლა გენერალი ორბელიანი იცავს მყუდროებას, ნუღარაფრის გეფიქრებაო[2]. მის შემდეგ ამბოხებული კახეთის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო მისმა შემცვლელმა გენერალ-ლეიტენანტმა რტიშჩევმა, რომელმაც აამოქმედა მთელი თავისი შეიარაღებული ძალები. რტიშჩევმა მიზანში ველისციხე ამოიღო: ამ მომენტისათვის აქ მოეყარა თავი ამბოხებულთა მთავარ ძალებს. რუსებმა ადვილად შეირიგეს აჯანყების ხელმძღვანელები თავადები — ჯორჯაძე და ერისთავი, რომლებმაც დაუყოვნებლივ დაშალეს თავიანთი რაზმები. რიგით მეამბოხეებს — გლეხებს კი სასტიკად გაუსწორდნენ: 13 მათგანი ჩამოაღრჩეს, მოკლული იყო 620 კაცი, ბევრი გააციმბირეს, მათ შორის „მღვდელნი ქიზიყისა და კახეთისა რიცხვით ოცნი... გაკრიჭეს და დაჰკარგეს“[3]. დამსჯელებმაც საკმაო ზარალი ნახეს (1546 კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით). აჯანყების დროშის ქვეშ დარაზმულმა ქიზიყის მოსახლეობამ ერთი დარტყმით ძირფესვიანად შეძრა მეფის რუსეთის ინტერესების დამცველი უმთავრესი საყრდენი პუნქტები — სიღნაღი, ყარაღაჯი, ბოდბისხევი. აჯანყების მიზნებისადმი ერთგული მშრომელი მოსახლეობა ოფიციალური

---

[1] Потто «История 44 драгунского полка», т. II, стр. 112.

[2] Акты КАК, V, стр. 125-126.

[3] ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“, გვ. 135.

„დამშვიდების“ შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას, თუმცა მას უკვე ზურგი აქცია თავისი ხალხის მტრებთან შერიგებულმა არისტოკრატმა ხელმძღვანელობამ.

კახეთის აჯანყების შემდეგ რუსთა სარდლობამ ახალი გადაწყვეტილება მიიღო: ჯარების დაქსაქსული განლაგების ნაცვლად დადგინდა, რომ: „პოლკი ერთი იდგეს თელავის ციხესა შინა ღიანარლითა და მეორე ქიზიყსა (სიღნაღს. — ი. შ.) და ამათ მართონ საქმენი კახეთისანი“[1].

ამბოხების დღეებში სიღნაღის (ქიზიყის) ციხე-გალავანი ერთხანს ალექსანდრე ბატონიშვილს ჩაუგდია ხელში. რუსის ჯარმა მიიტანა მასზე იერიში, მაგრამ ამაოდ, ალექსანდრეს მხედრობამ თურმე „მოსწყუიტნა მრავალი რუსნი და უკუ აქცივნა, ხოლო რუსთა დაუტევეს გზა ქიზიყისა“, ე. ი. მაღაროსიღნაღის გადასასვლელი მათთვის ამჯერად გადაულახავი აღმოჩნდა, ამიტომაც მათ „გარდავლეს გზა ჩალაუბნისა და ჩავიდნენ ველისციხეს“[2].

1853 წელს მეფის მთავრობის განკარგულებით სიღნაღის მაზრაში საეკლესიო უწყებას ჩამოერთვა და სახაზინო უწყებას გადაეცა 1826 კომლი გლეხი (14573 სული), აქედან სიღნაღის უბანში (საკუთრივ ქიზიყის სოფლებში)—1167 კომლი (9500 სული), ზიარის უბანში (სიღნაღის მაზრაში შემავალი კახეთის სოფლები)—659 კომლი (5100 სული). ყველაზე მეტი საეკლესიო უწყებამ დაკარგა სოფ. ბოდბეში (419 კომლი) და ბოდბისხევში (428 კომლი).[3]

1860 წელს სიღნაღის მაზრის გლეხობა განეკუთვნებოდა[4]

უწყებები	ქიზიყის 23 სოფლიდან (47.5 კომლი)	კახეთის 20 სოფლიდან (3886 კომლი)
სახაზინოს .	3487(74%)	470(14%)
საეკლესიოს .	1.81(25%)	594(17,5%)
მემამულეებს .	57(1%)	2562(70%)

[1] ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“..., გვ. 131-132.
[2] ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“..., გვ. 120.
[3] საქ. ცსა (თბ.) ფ. 255; აღწ: ს, საქმე, 2127, გვ. 1—7.
[4] ი ქ ვ ე, ფ. 258, აღწ. I, საქმე 275, გვ. 163—168.

ბატონყმობის გადავარდნის ამბავმა ქიზიყში მცხოვრებ ორიოდე მემამულესაც დასცა თავზარი: გლეხთა მიწიანად განთავისუფლება რომ მოვახდინოთ, უპატრონოდ დაგვრჩება არა მარტო ხოდაბუნები — ქიზიყის წინა მხარისა და უკანა მხრის ჩვენი კონტროლის ქვეშ მყოფ სათემო მიწებსაც არც ერთი ქიზიყელი სახაზინო თუ საეკლესიო გლეხი ღალის ფასადაც ხელს არ მოჰკიდებსო, რადგან მათ თავიანთი „საკომლო“ მიწები ჰყოფნითო. რაც შეეხება სიღნაღის მაზრაში შემავალ კახეთის სოფლებს, ისინი გაუდაბურდება, რადგან გლეხობა აქედან იმ თავისუფალ მიწებს მიაშურებსო[1], — ამბობდა ერეკლე მეორის შვილიშვილი კავალერიის გენერალ-ლეიტენანტი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი[2]. თავადმა ივანე მუხრან-ბატონმა კი ასეთი აზრი გამოთქვა: უნდა დავიცვათ ვახტანგის კანონის მოთხოვნა, რომლითაც დადგენილია, რომ „სულის გარდა გლეხისა ყველაფერი მემამულეს ეკუთვნის“ და აქედან ცხადად ჩანს, რომ ქართული ფეოდალიზმი არასოდეს არ ავიწროებდა ყმების პიროვნებასო[3]. ერთი სიტყვით, თავადაზნაურობას გლეხობა უმიწოდ სურდა გაეთავისუფლებინა და ხიზნების მდგომარეობაზე გადაეყვანა[4]. ფაქტიურად ასეც გამოვიდა: მთავრობის მიერ საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით მიწა კვლავ მემამულეს დარჩა. გლეხობას კი, რათა თავი ერჩინა და სახელმწიფო გადასახადების გაღების უნარიც შერჩენოდა, მცირე ნაკვეთები მისცეს გარკვეული ვადით, რათა მძიმე გადასახადების გაღებით გამოესყიდა ეს ნაკვეთი და ბოლოს მესაკუთრედ ქცეულიყო.

---

[1] «Документы истории Грузии», стр. 251—253.

[2] რუ-ეთ-თურქეთის ომში 1854 წელს თავისი ხუთიათასიანი რაზმით მან გაანადგურა სელიმ-ფაშას არმია (საქ. არქივის საისტ. მოამბე № 17-18., გვ. 387, ა. იოვიძის, და შ. ჩხეტიას სტატია); ამ გადამწყვეტ გამარჯვებას აღნიშნულ ომში ფ. ენგელსიც კი გამოეხმაურა (იხ. ი. კაჭარავა, კ. მარქსი და ენგელსი საქართველოს შესახებ, გვ. 53).

[3] Документы..., стр. 688.

[4] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, საქ. ისტორია, I, 1958 წ., გვ. 489. ხიზანი: პირადად თავისუფალი, მემამულის მიწაზე მოსახლე გლეხი, რომელიც პირადი მესაკუთრე იყო (სახლ-კარის პატრონი).

გლეხს კი „დროებით ვალდებული“ უწოდეს. ასე მოატყუეს, გაძარცვეს, დასცინეს დაბეჩავებულ გლეხობას.

1862 წელს თბილისის საგუბერნიო სამმართველომ გამოაცხადა, რომ ამიერიდან საძოვრები იჯარით აღარ გაიცემოდა, ვისაც სურდა, საქონელს აძოვებდა საეკლესიო ან სახაზინო უწყების საძოვრებზე. ჯოგების (ფარების) პატრონებს გადასახადი უნდა შეეტანათ. გადასახადი კი ასეთი დაწესებულა: თითო ცხვარსა და თხაზე 1 კაპ., თითო ძროხაზე, კამეჩზე და ცხენზე 10 კაპ. (მთელი ზაფხულის პერიოდში). ასეთივე გადასახადი დაწესდა ზამთრის საძოვრებით სარგებლობისათვის. ასე, რომ, წელიწადში ყოველ ცხვარსა და თხაზე 2 კაპ., ხოლო მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე და ცხენზე 20 კაპიკი მოდიოდა. ვინც ამ წესს დაარღვევდა, ორმაგი გადასახადი უნდა გადაეხადა. ამ ახალი წესის დაცვაზე სათვალთვალოდ შეიქმნა სპეციალური საპოლიციოები შირაქის, თრიალეთისა და ლორის მხარეებში[2].

ამ წელს სიღნაღის მაზრის მოსახლეობას აწვა მარტო საერობო გადასახადის სახით 23082 მანეთი, 825 მეურმისა და 1500 საგზაო მუშის გამოყვანა[3].

თუ როგორი იყო რეფორმის შემდგომი პერიოდის „თავისუფალი“ ქიზიყის მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა, ამის შესახებ მჭევრმეტყველურად მიგვითითებს შემდეგი ცნობები: 1886 წლისათვის ერთ აქაურ ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა მუშა პირუტყვი—2,9, ძროხა—3,3. ცხვარი 27,8 სული. მაგრამ ეს მხოლოდ საშუალოდ; ამავე მოსახლეობის 41 პროცენტს არ გააჩნდა არავითარი პირუტყვი, 48 პროცენტს არ ჰყავდა მუშა საქონელი, მეცხვარეობით სახელგანთქმული მხარის მოსახლეობის 80 პროცენტს არც ერთი ცხვარი არ ჰყავდა[4]. ამიტომ მართალი იყო ანტონ ნატროშვილი, რომელიც 1893 წელს ქიზიყელთა შესახებ წერდა: „ღარიბ-ღატაკ

---

[1] Документы..., стр. 317—318.

[2] იქვე, გვ. 821.

[3] ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, VII, 1955 წ., გვ. 18.

გლეხს გასაჭირი ისევე არ ანებებს თავს, როგორც უერთგულესი მეუღლე"[1].

ქიზიყელი მშრომელი გლეხობის ამ სავალალო მდგომარეობის შესახებ გაზეთი „დროების" 1872 წლის მე-9 ნომერში „კაცი ვინმე" იუწყებოდა: სიღნაღის მაზრის მოსახლეობისათვის „ლუკმა-პურის მოპოების ფიქრს დაუხშვია გონივრული მსჯელობა... მდიდარი ღარიბს ებრძვის, ღარიბი მდიდარს არჩობს და სუყველაზე ღარიბი ხდება. ერთი სიტყვით ჩვენს სოფლელ ხალხს ისეთი გარემოებები არტყია გარს, რომ სიღარიბისაგან სიღატაკეში შედის... ჩვენ ცრემლები მოგვდის, როდესაც უცხო ხალხის უბედურებას ვტყობულობთ. რატომ არ უნდა ვიგრძნოთ, რატომ არ უნდა ჩავუფიქრდეთ, როდესაც ამნაირ მდგომარეობაში ვხედავთ ჩვენს ხალხს?". აქაური მშრომელი ხალხის უკიდურესი დაბეჩავების შესახებ ჟურნ. ივერიის 1882 წლის მე-11 ნომერში კიდევ უფრო ნათლად არის ნათქვამი: „ზოგიერთი ქიზიყელი ყელამდის სარჩოთია ამოვსებული, ზოგს კი ნატისუსალი ასდის სიღარიბისა და სიღატაკისაგან".

ამ გასაჭირში ჩავარდნილი გლეხობის მრისხანე პროტესტის გამომხატველები იყვნენ ქიზიყელი სახალხო გმირები: „ქიზიყელი არსენა" მიხა ჭუჭულაშვილი, ლადო ოზაშვილი, შაქრო ბასილაშვილი, მათი მიმდევარი „ტყის ძმები"... ქიზიყელი მშრომელების დეპუტაცია 1905 წლის ორ ნოემბერს კავკასიის მეფის ნაცვალსაც წარუდგა გურიიდან დამსჯელი ჯარის გაყვანის მოთხოვნით.

მრავალსაუკუნოვანი სპეციფიკური მძიმე ისტორიული პირობების წყალობით ქიზიყის მშრომელ მოსახლეობაში იმთავითვე დამკვიდრდა ჭირსა და ლხინში ერთიანი მოქმედების მტკიცე ტრადიცია, რაც ვახუშტიმაც შენიშნა და მომდევნო ხანებშიც არაერთხელ აღუნიშნავთ: „ქიზიყელები განსხვავდებიან განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, ენერგიულობით, მტკიცე ხასიათით, სიამაყის გრძნობით... მათში მეტისმე-

---

[1] А. Натроев, «Положение сельского хозяйства Кахети-Кизики (Труды императорского Кавказского общества с/х, 1893 г., № 8-9, стр. 428).

ტად განვითარებულია ერთიანობისა და ურთიერთმხარდაჭერის სულისკვეთება, მათი სოფლებიც მჭიდროდ შეკრულია, რაც აგრეთვე აიხსნება კახეთის ამ ნაწილის ისტორიული ბედით"-ო.

5. ბედნიერების გზაზე

1921 წლის თებერვლამდე ქალაქი სიღნაღი რჩებოდა ხელოსნობისა და ვაჭრობის კერად. ოფიციალურად ქალაქად გამოცხადებიდან უკვე საუკუნენახევარი იყო გასული. დროს თავისი გაეტანა, მისი პირვანდელი სახე მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი: მიწურებისა და ციხე-სახლების მსგავსი საცხოვრებლები ძირითადად უკვე შეცვლილიყო აგურნარევი რიყის ქვით ნაგები, ქართული კრამიტით გადახურული საკმაოდ მოხდენილი სახლებით. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ორსართულიანი იყო. ბევრი მათგანი თაღებიანი, ღია, ხალვათი აივნებით, რომლებიც ხის ჩუქურთმებით ირთვებოდა, ნაწილობრივ იმეორებდა ძველი თბილისისა და თელავის არქიტექტურულ მოტივებს და არაჩვეულებრივი მოხდენილობით ეხამებოდა ქალაქის მეტისმეტად რთულსა და განუმეორებელ რელიეფს.

როგორც მთელი ეს ციხე-ქალაქი, ისე მისი ძველი ნაგებობანი, დღესაც გარკვეულ არქიტექტურულ ინტერესს იწვევს.

ქალაქის თითქმის ყველა ქუჩას, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში რიყის ქვით იყო მოკირწყლული, უწყვეტ მწკრივებად მიჰყვებოდა მეწვრილმანეთა და ხელოსანთა დუქნები და ფარდულები. ქალაქი ძალზე ადრე იღვიძებდა მჭედლების, მეთუნუქეების, მექვაბეების სახელოსნოებში ატეხილი ხმაურით. ხელისგულისოდენა მისი ზემო და ქვემო მოედნები დილიდანვე ივსებოდა ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული ხალხით. გასაყიდად შემოჰქონდათ გამომცხვარი პური, ღვინო, ნახშირი, ხილი, ხორცი, ფრინველი; შემოდგომით ხშირად მოდიოდნენ ლეკები თავიანთი უზარმაზარბორბლებიანი ურმებით, რომლითაც ბოსტნეული, საზამთრო, თხილი, წაბლი შემოჰქონდათ. ყოველივე ამას, განსაკუთრებით მენშევიკების ბატონობის

წლებში, „ცეცხლი ეკიდებოდა“, მაგრამ სიღნაღელი გაჭირვებული მუშა-მოსამსახურეები, მოჯამაგირე-შეგირდები და გაკოტრების გზაზე მდგარი ხელოსნები იძულებულნი იყვნენ ამ ცეცხლში ჩავარდნილიყვნენ, სხვა გზა მათ არ ჰქონდათ.

სახელოსნოებში ფუსფუსებდნენ დურგლები, მექუდეები, თერძები, ხარაზები, ფართოდ იღებოდა შედარებით მსხვილ საქმოსანთა „სავაჭრო სახლების“ კარები, მეწვრილმანეთა პატარა დარაბა-ფარდულები მეტისშეტად ჭრელი და მდარე საქონლის ასორტიმენტით: იყიდებოდა კევი, ლილა, საპონი, ჯანთი, შაქარყინული, ქიშმიში, მარილი, ნავთი, კოჭის ძაფი, ნემსი და მახათი, ფქვილი და ღერღილი, სიმინდი და ფეტვი. ქუჩებს ეფინებოდა საჩაიეებიდან გამოსული ნავთისსუნნარევი მჟუთავი გაზი. დილიდანვე იღვიძებდნენ დაბაღები და თრიმლსა და კირში გამოყვანილი ხელ-ფეხით განაგრძობდნენ ტყავის დამუშავებას. ქალაქში წამდაუწუმ გაისმოდა ხამი ქართული და ორი სომხური ეკლესიის ზარის რეკვა, მეექვსე ეკლესიის — წმ. ნინოს სამრეკლოს ზარის ხმა თითქმის მთელ მაზრას ეფინებოდა.

ერთადერთი საზოგადოებრივი გასართობი ადგილი ხელისგულისოდენა ბულვარი იყო. ზაფხულში საღამოდან შუაღამემდე, ვიდრე ჩაქრებოდა სინათლე (ელსადგური ღამის 12 საათზე წყვეტდა მუშაობას), დასეირნობდა დიდი და პატარა, იმართებოდა კარნავალები. შეძლებული ოჯახიშვილები ერეკლესეული ციხე-გალავნის შიდა სივრცეს მიაშურებდნენ ხოლმე, სადაც ფანრების, სანთლის ან პირდაპირ მთვარის შუქზე იმართებოდა პიკნიკები, ღრეობანი, ისმოდა ძველი ქართული სიმღერები, დუდუკსა და თარზე დამღერებული ბაიათები.

ბულვარის ერთ თავში იყო კაფეს მსგავსი მცირეეზოიანი სასაუზმე, რომელსაც პოტსდამის საქვეყნოდ განთქმული სასახლე-პარკის მქუხარე სახელი „სან-სუსი“ ერქვა. ძველმა სიღნაღელებმა ეტყობა გაითვალისწინეს, რომ ფეოდალური და სამონასტრო ბაღები უმეტესად დიდი ციხე-სიმაგრეების კართან და მათ ირგვლივ მდებარეობდა[1], ხოლო რაკი სიღნაღის სასაუზმე ერეკლესეული ციხე-გალავნის კარიდან ასოდე

---

[1] შ. ი ს ა კ ა ძ ე, სან-სუსის ბაღი. 1966, გვ. 6—7.

მეტრით იყო დაშორებული, ეს სრულიად საკმარისად ჩათვალეს მისთვის ასეთი სახელის მისანიჭებლად, თუმც სიღნაღის „სან-სუსს“ სხვა არაფერი ჰქონდა საერთო ნამდვილთან. ცოტა მოგვიანებით მის მახლობლად გაიხსნა სასადილო „ფანტაზია“; იგი ნახევარი კილომეტრის სიმაღლიდან გადასცქეროდა დიდი ალაზნის ჭალას, რომლის ბუნებრივ მშვენიერებასთან პოტსდამის „სან-სუსიც“ კი უფერულდება.

ამჟამად სიღნაღის „სან-სუსის“ ადგილზე აღმართულია თანამედროვე სტილის 52 ადგილიანი შესანიშნავი სასტუმრო „ცისკარი“, ხოლო ერეკლესეული ციხე-გალავნის შიგნითა სივრცე გადაქცეულია კულტურისა და დასვენების დიდებულ პარკად. იმ ძველი „ფანტაზიის“ ადგილზეც საუცხოო რესტორანია გამართული და სწორედ აქედან იწყება საქართველოში ყველაზე დიდი საბაგირო გზა — უძველესი „ქიზიყის გორიდან“ ახალგაზრდა ქალაქი წნორის გულამდე.

უცხო მხრიდან მოსულის თვალში ამ დროის სიღნაღი სტოვებდა სამყაროს მოწყვეტილი მყუდრო და ბედნიერი კუთხის შთაბეჭდილებას, რომლითაც თითქოს ერთნაირად ტკბებოდა მისი საზოგადოების ყველა წევრი. მაგრამ დიდი ხანია ეს ქალაქიც კაპიტალისტური ყოფის მკაფიოდ გამოხატული კანონებით ცხოვრობდა: ის, ვინც გრძნობდა ქალაქის გარემოს უბადლო მშვენიერებას და კარგადაც სარგებლობდა მისით, მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენდა, უმრავლესობა კი იყო მათხოვრობის კარამდე მისული, მუშები, შეგირდები, მოჯამაგირეები, წვრილი მოხელეობა და ინტელიგენცია, რომლებიც თვეობით არ იღებდნენ ისედაც გაუფასურებულ ხელფასს. ასევე ძლიერად იყო გამოხატული სოციალური დიფერენციაცია მთელ ქიზიყში. 1906 წლის ივნისში სიღნაღში იფეთქა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მოჯამაგირეების, შეგირდებისა და ნოქრების გაფიცვამ.. ისინი ითხოვდნენ სამუშაო დღის 10 საათამდე შემცირებას. მემამულეთა გაუთავებელი თავხედობით შევიწროებული ღარიბი გლეხობის მღელვარება ხშირად შეიარაღებულ ფამოსვლებში გადაიზრდებოდა ხოლმე.

სიღნაღში არ იყო მოწესრიგებული განათება, პურის ცხობა, სასმელი წყლით მომარაგება. მის ქუჩებს სავალალო შესახედაობა ჰქონდა. კულტურულ დაწესებულებებზე, მშრომელ-

თათვის ცოტათ თუ ბევრად ხელმისაწვდომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. მენშევიკების ბატონობისას კატასტროფულად მოიშალა მეურნეობა. სიძვირე, შიმშილი, სიღატაკე, პირველყოვლისა, მოსახლეობის ეკონომიურად ხელმოკლე ფენებს ავიწროებდა. მომრავლდა მათხოვრობა, შიმშილისა და ეპიდემიების მსხვერპლნი დღითიდღე მატულობდნენ. მაგრამ ამ ვითარებაშიც მშრომელთა გულში ღვიოდა მჩაგვრელთა უკანასკნელი მოდგმის—მენშევიკთა დამხობისა და თავისი ბედის საკუთარ ხელში აღების იმედი. ამ ხალხის მოწინავე ნაწილი ღირსეული იდეებითა და მიზნებით ცხოვრობდა და მოქმედებდა.

1912 წლის სექტემბრიდან სიღნაღში დაიწყო გამოსვლა კახეთის პირველმა ნაბეჭდმა გაზეთმა „ხმა კახეთისა" (კ. ტყავაძის რედაქტორობით). ეს „სამეურნეო და სალიტერატურო სახალხო გაზეთი" იბეჭდებოდა სიღნაღში არსებულ კერძო სტამბაში 1917 წლამდე. იგი ძირითადად მშრომელი გლეხობის საჭირბოროტო საკითხებს აშუქებდა და მათ ინტერესებს ექომაგებოდა. 1919 წელს გამოსვლას იწყებს სიღნაღის გიმნაზიის მოწაფეთა ხელის მანქანაზე ნაბეჭდი ჟურნალი — „იმედი", რომელიც 1920 წლიდან უკვე სტამბურად იბეჭდებოდა. მის დანიშნულებას, თვით რედაქციის განმარტებით, შეადგენდა გიმნაზიელთა თვითგანვითარება, გონებრივი თვითმოქმედება. მას რედაქტორობდნენ ილია ქადაგიშვილი (მაღაროდან) და სტეფანე ფურცელაძე (ვეჯინიდან). „იმედი" იყო მოსწავლე ახალგაზრდობის პირველი ნაბეჭდი ჟურნალი საქართველოში[1].

გაცილებით ადრე, 1902 წელს, სიღნაღში შექმნილა პირველი სოციალ-დემოკრატიული წრე, ხოლო 1903 წლიდან — რსდმპ პირველი ორგანიზაცია. მისი ჩამოყალიბება უკავშირდება მასწავლებელ ალ. უზუნაშვილის სახელს (იგი 1905 წელს გადასახლებაში დაიღუპა). 1905 წლის სექტემბერში მოეწყო სიღნაღელ მშრომელთა პირველი საყოველთაო გაფიცვა (1905 წლის 29 აგვისტოს თბილისში უიარაღო მუშების დახვრეტის საპროტესტოდ), ამავე წლის 17 ოქტომბერს აქ მოეწყო ცა-

---

1 შ. გოზალიშვილი, სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 1966 წლის სამეცნიერო სესიის ანგარიშიდან, გვ. 27—28.

ლენინის ძეგლი ქ. სოღნაღში

ქ. სიღნაღი (ჩრდილო-აღმოსავლეთის ძველი უბანი)

სოციალ[illegible] შრომის გმირი
[illegible] ხეკერაული

სოციალისტური შრომის გმირი
მიხეილ ღვედაშვილი

ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი სოფ. მირზაანში
(წითელი წყაროს რაიონი)

მ. შოლოხოვი სიღნაღში

ელენე ნატრიშვილი

მართა ტყეშაძე

სან

აელიპ ზერაბაშვილი

ეაბტანგ გომელაური

ვასო გოძიაშვილი

სპ ტ შვ

ფორე მოსულიშვ ლი

სასენაჟე მასის დამზადება წითელი წყაროს რაიონის
ს. არბოშიკის კოლმეურნეობაში

ღვინის ქარხანაში (წითელი წყარო)

რიზმის საწინააღმდეგო პირველი ლეგალური დემონსტრაცია. რევოლუციის აღმავლობით დამონებული რუსეთის მეფის 17 ოქტომბრის ე. წ. დემოკრატიულ თავისუფლებათა აღთქმული მანიფესტის გამოქვეყნების გამო[1].

სიღნაღიდან ორიოდე კილომეტრით დაშორებულ სოფ. ანაგაში ი. ბასანიშვილის ბინაზე მოწყობილ რსდმპ სიღნაღის კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს მიმართული ჩაგრული ხალხისადმი და რევოლუციური პროპაგანდის. 1908 წლისათვის კონტრრევოლუციამ შეახერხა სიღნაღის საბაზრო კომიტეტის ლიკვიდაცია. მაგრამ ძალა არ დასრულებულა ეროვნულ ბოლშევიკთა რევოლუციური საქმიანობა: 1917 წლისათვის სიღნაღის მაზრაში იყო 5 პარტორგანიზაცია 66 წევრით. ამ წელს მოეწყო ბოლშევიკთა წინააღმდეგ სიღნაღის მაზრის ჩაგრულთა შეიარაღებული აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მ. ვარაბაშვილი და მისი თანამებრძოლნი გ. მირიანაშვილი, გ. მეხაბლიშვილი, ვ. ბაბალაშვილი, ე. ნონეშვილი, ნ. ქიტიაშვილი, გ. ბოგოლიუბოვი, ი. მშვილდიშვილი, ნ. ივანოვი და სხვები. აჯანყებას მთავრობის ჯარის ნაწილიც მიემხრო, მაგრამ მათ სასტიკად ჩაახშრეს მენშევიკები[2]. 1920 წელს სიღნაღში მოეწყო ბოლშევიკთა პირველი ლეგალური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 55 დელეგატი 16 პარტორგანიზაციიდან[3].

ბოლშევიკთა თაოსნობით აჯანყებული ქართველი მშრომელი ხალხის ულასხმარებლად აზერბაიჯანის მხრიდან დაძრული წითელი არმიის მე-18 ცხენოსანი დივიზია 27 წლის ბ. კურიშკოს ხელმძღვანელობით თებერვლის შუა რიცხვებში ქიზიყის მიწაწყალზე გადმოვიდა და მსაზში ამოუდგა მენშევიკი ჭიაგვრელების წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსულ ხალხს: კურიშკო მოკლეს დედოფლის წყაროში მენშევიკური ჯარის გამაგ-

---

[1] ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია. XIX—XX საუკუნეებისა.— II, გვ. 257.

[2] გ. ყაჯრიშვილი. „მეგზური", სიღნაღი, 1969 წ.

[3] სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 1966 და 1967 წლების სამეცნიერო სესიების მასალები (შ. შალვაშვილი, „რევოლუციური მოძრაობა სიღნაღის მაზრაში 1905—1907 წლებში", ა. ჩინჩალაძე. „რსდმპ პირველი ორგანიზაციები სიღნაღის რაიონში").

რებულ ყაზარმებზე იერიშის მიტანისას, რის საპასუხოდ წინელი არმიის მწყობრში დაუყოვნებლივ ჩადგა 150 ჭაბუკი ადგილობრივი მოსახლეობიდან და იარაღით ხელში ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლებში ჩაება[1]. ქართველი მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის ხანგრძლივი და დაძაბული ბრძოლა ცარიზმისა და მენშევიკი მჩაგვრელების წინააღმდეგ, რომელსაც იგი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებდა, 1921 წლის 19 თებერვალს გამარჯვებით დაგვირგვინდა. საბჭოთა ხელისუფლება სიღნაღის მაზრაში 1921 წლის 19 თებერვალს დამყარდა.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეს ბევრმა ქიზიყელმა მშრომელმა შესწირა სიცოცხლე. სიღნაღის ცენტრალურ სკვერში ორი საძმო საფლავია, ერთ მათგანში განისვენებენ თავადაზნაურულ-მენშევიკურ-კონტრრევოლუციურ ბანდებთან ბრძოლაში დაღუპული ამხანაგები: გიორგი გოგოლაშვილი, ვასო გომელაური, დათა ტუხაშვილი, ლადო ბეჟაშვილი, იოსებ მესტიაშვილი (1922 წ.); ხოლო მეორეში — კულაკურ ბანდასთან და კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში დაღუპული ქარუმა ნადირაშვილი, გიორგი კრაწაშვილი, ივანე ბელიკოვი (1930 წ.); კულაკური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცნენ ქიზიყელი მეცხვარეები: ვ. ფხოველიშვილი, ი. ჯავაშვილი, ა. ბაგაშვილი, გ. ჯავაშვილი, ნ. ჯიბღაშვილი, თ. მოლაშვილი, რომლებიც ქ. წნორის საძმო საფლავში განისვენებენ.

ქიზიყის მიწა-წყალზეა დაბადებული მშრომელი ხალხის მებრძოლი ავანგარდის მრავალი სახელოვანი წარმომადგენელი. მათ შორის ღრმა, განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენებიან მიხა ჩოდრიშვილი (1853—1929), ზაქარია ჩოდრიშვილი (1869—1916 წწ.), რომელიც ჯერ კიდევ 1898—1900 წლებში რსდმ პარტიის თბილისის კომიტეტის წევრი იყო, ალექსანდრე ჩოდრიშვილი (1861—1942), რომელმაც თავის ძმებთან — მიხა და ზაქარიასთან ერთად მონაწილეობა მიიღო პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის ცნობილი არალეგალური სტამბის მოწყობაში; ანდრო ლეჟავა

---

[1] Краснознаменный Закавказский, Москва, стр. 77.

(1870—1937 წწ.) ბოლშევიკური პარტიის წევრი 1904 წლიდან; მოსე ვარამაშვილი (1891—1940). პარტიის წევრი 1917 წლიდან, სიღნაღის მაზრის რევკომის თავმჯდომარე, რომელიც სხვადასხვა დროს მუშაობდა კახეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარედ და სხვა პასუხსაგებ პოსტებზე; ძმები ნიკოლოზ (1889—1938) და სერგო აივაზოვები (1891—1926). ორივე რევოლუციამდელი პარტიული სტაჟით; კოტე გოგოლაშვილი (1888—1960). პარტიის წევრი 1919 წლიდან. სიღნაღის მაზრის მენშევიკური ბატონობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების შტაბის წევრი და სამხედრო კომისარი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი მუშაობდა სიღნაღის მაზრის პროკურორისა და სხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე; გიორგი მირიანაშვილი (დაიბ. 1897 წ.). პარტიის წევრი 1919 წლიდან. მენშევიკების წინააღმდეგ გლეხთა აჯანყების აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი, მუშაობდა სიღნაღის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე; ნიკოლოზ ქიტიაშვილი (1888—1921). პარტიის წევრი 1918 წლიდან. მენშევიკების ბატონობის პირობებში იყო კომუნისტური პარტიის სიღნაღის სამაზრო კომიტეტის წევრი, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პარტიის ლაგოდეხის რაიკომის მდივანი. 1921 წელს იგი ვერაგულად მოკლა მენშევიკთა დაქირავებულმა აგენტმა; გიორგი დუღაშვილი (დაიბ. 1896 წ.), პარტიის წევრი 1918 წლიდან. მენშევიკების წინააღმდეგ ლაგოდეხის მხარის მშრომელთა შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. ნიკოლოზ ნადიკაშვილი, რომელიც 1917 წელში მენშევიკთა მიერ მოსყიდულმა ჯალათმა გამოასალმა სიცოცხლეს.

სულ სხვაა თანამედროვე ქალაქი სიღნაღი, მისი ტყუპის ცალი — ქალაქი წნორი. მთელი სოციალისტური ქიზიყი დღევანდელი ეკონომიკითა და საერთო კულტურით, კეთილდღეობის მარად მზარდი მაჩვენებლით და, რასაკვირველია, ადამიანებით.

სიღნაღის რაიონში ორი საქალაქო და თორმეტი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მოსახლე მშრომელთა სამსახურშია 25

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ამათგან 18 საშუალო, 3 რვაწლიანი, 4 დაწყებითი. შენდება ოთხი ახალი საშუალო სკოლის შენობა. გარდა ამისა, რაიონში არსებობს ორი მუსიკალური სკოლა, ვანო სარაჯიშვილის სახელობის საშუალო მუსიკალური სასწავლებელი, ზოოვეტერინარული ტექნიკუმი, 3 სკოლა-ინტერნატი. ამ სასწავლო დაწესებულებებში 1970/71 სასწავლო წელს ათასამდე პედაგოგი მუშაობდა, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობამ ცხრაათასს გადააჭარბა. თვით ქ. სიღნაღში მოქმედებს ერთი სრული საშუალო სკოლა და სკოლა-ინტერნატი. ჯერ კიდევ 1959 წლის მონაცემებით ქალაქ სიღნაღის მოსახლეობის 10%-ს უმაღლესი, ხოლო 18%-ს საშუალო საერთო და სპეციალური განათლება ჰქონდა. სიღნაღისა და წნორის მოსახლეობის მეხუთედი სხვადასხვა სასწავლებელში იღებს განათლებას. სიღნაღის რაიონის მოსახლეობის ყოველ ათას მცხოვრებზე 200 მოსწავლე მოდის. 1920—21 სასწავლო წლისათვის ეს მაჩვენებელი (საშუალოდ საქართველოში) 77-ს უდრიდა[1]. ასეთივე სურათი წარმოგვესახება წითელი წყაროს რაიონის სინამდვილეში, სადაც 1969 წელს 10 საშუალო, 5 რვაწლიანი, 6 დაწყებითი სკოლა და ერთიც სკოლა-ინტერნატი იყო.

სიღნაღის რაიონში მუშაობს სამი კულტურის სახლი, ორიც გაცხოველებით შენდება; მოქმედებაშია 16 სასოფლო კლუბი, 16 კინოდანადგარი, ორმოცზე მეტი ბიბლიოთეკა 323 ათასი წიგნით, 6 სახალხო უნივერსიტეტი. ამ წელს რაიონის მშრომელთათვის 2600-ზე მეტი ლექცია მარტო საზოგადოება „ცოდნის" ლექტორთა ჯგუფმა წაიკითხა, იგი 40.390 კაცმა მოისმინა (რაიონის მთელი მოსახლეობის 80%). კულტურის სახლებში, კლუბებთან, სიღნაღის კულტურისა და დასვენების პარკთან 127 მხატვრული თვითმოქმედების წრე მუშაობს, მათ შორის ერთი სახალხო თეატრი, 16 დრამატული წრე, 14 მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდი. კულტურის ეს არმია 1884 კაცს ითვლის. მარტო ქ. წნორის კულტურის სახლთან არსებობს ორი დრამატული წრე და ერთი მომღერალთა გუნდი. კულტურის სახლის ბიბლიოთეკაში 40 ათასამდე წიგნია, რო-

---

[1] უ. ობოლაძე, დასახელებული წყარო, გვ. 125.

მელსაც ათასობით მკითხველი ჰყავს. ქალაქ სიღნაღში არსებობს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ცალკე შენობაში გამოტანილი ფერწერითი ნამუშევრების ექსპონატებით. ქალაქის მშრომელთა სამსახურშია კულტურისა და დასვენების შესანიშნავი პარკი, ორი კინოთეატრი 565 ადგილით, ხუთი ბიბლიოთეკა; სიღნაღში მთავრდება 250 ადგილიანი ტურისტული და კომპლექსური სპორტული ბაზების მშენებლობა.

სატელეფონო აბონენტების რიცხვი სიღნაღის რაიონში 1960 წელს 1000-მდე ავიდა, ხოლო 1971 წლის დასაწყისისათვის ეს მაჩვენებელი ხუთჯერ გადიდდა. 1960 წელს ამ რაიონში რადიოსატრანსლაციო ქსელით სარგებლობდა 5500 ოჯახი, 1970 წლის ბოლოსათვის ქსელი ათჯერ წერტილით გაიზარდა. ეს ზრდა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა სიღნაღისა და წნორის პირობებში, სადაც რადიოსატრანსლაციო წერტილების რაოდენობა 1960—1970 წლებში გაორკეცდა. გასაგებია, რომ მასობრივი ინფორმაციის ამ შლიერი ტექნიკური ბაზის შემწეობით ყოველდღიურად მაღლდება მშრომელთა პოლიტიკური განვითარების და კულტურის დონე, რაც ბუნებრივია, კეთილ გავლენას ახდენს რაიონის წინაშე მდგარი სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაზე. ამავე საქმეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სატელეფონო კავშირის შეუჩერებელი განვითარება: 1960 წელს კავშირგაბმულობის ქსელით სარგებლობდა 908, 1971 წლის დასაწყისისათვის კი 1830 ორგანიზაცია, საწარმო და ოჯახი. დამახასიათებელია, რომ 1960 წელს, მაგალითად, სოფ. ბოდბისხევში სულ 9 სატელეფონო წერტილი იყო, 1970 წელს კი — 255. სატელეფონო აბონენტთა რაოდენობა ამავე პერიოდში გაიზარდა ქ. სიღნაღში ერთნახევარჯერ, წნორში — ორჯერ.

ხახელმწიფო მართვის ადგილობრივი ორგანოების (რაიონის, ქალაქებისა და სასოფლო საბჭოების) დეპუტატთა საერთო რიცხვი სიღნაღის რაიონში რვაას კაცს აღემატება, რომელთაგან დიდი უმეტესობა მუშები და კოლმეურნეები არიან.

სიღნაღის რაიონში, სადაც 1921 წლის თებერვლამდე სამანქანო წარმოების ნასახიც არ იყო, ახლა მწყობრშია ჩამდგარი საკონსერვო, მექანიკური, ლუდის, უალკოჰოლო სასმელებისა და სამშენებლო მასალების ქარხნები, სამკერვალო

ფაბრიკა, ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა, პურ-პროდუქტების ბაზა, სამრეწველო კომბინატი, ყველისა და კარაქის ქარხნები, ღვინის ქარხნები, რომლებიც ამზადებენ ოქროსმედალოსანი ღვინოების — „ტიბაანისა“ და „ხირსინ“ მახალებს. რაიონის სამრეწველო ობიექტების მიერ გამოშვებული წლიური პროდუქციის ღირებულება რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს შეადგენს. სოფ. ტიბაანში შენდება ვეტსანიტარული ქარხანა, მიმდინარეობს ალაზნისა და ივრის ველებზე მდებარე მეცხოველეობის ფერმების ელექტრიფიკაცია. ქ. სიღნაღის მახლობლად დაიწყო მშენებლობა მთელ საბჭოთა კავშირში ერთერთი უდიდესი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელი კომპლექსისა, რომელმაც რესპუბლიკის მშრომელებს წელიწადში 3000 ტონა ძროხის ხორცი უნდა მიაწოდოს.

მაგრამ სიღნაღის რაიონი და საერთოდ ქიზიყი, პირველ ყოვლისა მძლავრი სასოფლო-სამეურნეო მხარეა. სიღნაღის რაიონის მშრომელთა საქმიანობის უძველესი და უმთავრესი დარგებია მარცვლეულის, ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება, თუმცა ბოლო ხანებში აქ წინა პლანზე წამოვიდა მევენახეობა-მეღვინეობის საქმეებიც.

რაიონში 14 კოლმეურნეობა და 4 საბჭოთა მეურნეობაა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 116 ათას ჰექტარს აღემატება. აქედან 37 ათასი ჰექტარი სახნავია, 4 ათასი ჰექტარზე მეტი მრავალწლიან ნარგავებს უკავია. რაიონი ყოველწლიურად აწარმოებს 35—40 ათას ტონამდე მარცვლეულს, 20—25 ათას ტონამდე ყურძენს, 5 ათას ტონა მზესუმზირას, 3 ათას ტონამდე ხორცს, ექვსი ათას ტონამდე რძეს, სამ მილიონამდე კვერცხს, 400 ტონამდე მატყლს, ათასობით ტონა ხილს, ბოსტნეულს, აბრეშუმის პარკს. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება მერვე ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით 7 მილიონი მანეთით გაიზარდა. მოპოვებული წარმატებებისათვის რაიონი რამდენჯერმე მონაწილეობდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და საგამოფენო კომიტეტის მიერ დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. 1966—1970 წლებში მარტო გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა 4416 ტონა მარ-

ცვალი, 17528 ტონა ყურძენი, 870 ტონა ხორცი, 1800 ტონამდე რძე, 1 მილიონზე მეტი კვერცხი.

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის დამთავრების შემდეგ— ქიზიყს მოეხსნება „უწყლო“ მხარის ძველისძველი სახელი.

ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. 1960 წელს რაიონში სულ 397 ტრაქტორი იყო. 1970 წელს კი მისი რაოდენობა 1014-მდე გაიზარდა. რაიონის სახალხო მეურნეობის სამსახურშია 432 სატვირთო ავტომანქანა, მშრომელთა პირად განკარგულებაში კი — 1310 მსუბუქი ავტომობილი. რაიონის მშრომელთა სამეურნეო საქმიანობის განვითარებას დიდად უწყობს ხელს გზებისა და ხიდების მშენებლობა. 1960 წელს მოასფალტებული გზების საერთო სიგრძე 22 კილომეტრს უდრიდა, 1970 წელს კი—37 კილომეტრს; მოხრეშილი გზების საერთო სიგრძე 1960 წელს 49 კილომეტრი იყო, 1970 წელს კი — 154,6 კმ. ყამირ-გაუმჯობესებული გზების საერთო სიგრძე ამავე პერიოდში 11-ჯერ გაიზარდა. უმაგალითოდ რთული რელიეფის მქონე სიღნაღის 21 კილომეტრის სიგრძის ქუჩებიდან 15 კილომეტრი ასფალტით არის დაფარული. წნორშიც უკვე მოასფალტებულია 16 კილომეტრი საერთო სიგრძის ქუჩები. ამ ორ ქალაქს შორის არსებულ პატარა მანძილზეც მალე მოეწყობა საბაგირო გზა, რომლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ვინ იცის, ამის შემდეგ მათი ერთ ქალაქად გარდაქმნის საკითხიც მომწიფებული აღმოჩნდეს.

სამეურნეო წარმატებებისა და საერთო პროგრესის შედეგად განუხრელად მაღლდება ქ. სიღნაღისა და მისი რაიონის მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობა. ამ მიზანს ემსახურება რაიონის ჯანმრთელობის დაცვის მძლავრი სისტემა. მარტო სიღნაღსა და წნორში მუშაობს 46 ექიმი, 111 ექთანი, 16 ბებიაქალი, რაიონის სოფლებში მუშაობს 64 ექიმი, 175 ექთანი, 14 ბებიაქალი, მოქმედებს სამი საავადმყოფო, 13 აფთიაქი, ორი სპეციალური დისპანსერი. ქ. სიღნაღში ორი საავადმყოფოა (185 საწოლით), აფთიაქი და პოლიკლინიკა. რაიონის ცენტრში დაწყებულია ახალი საავადმყოფოს მშენებლობა, იგი გაცილებით დიდი და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი იქ-

ნება. ჯანმრთელობის დაცვის ასეთივე ფართო ქსელი მოქმედებს ქიზიყის მეორე რაიონის წითელი წყაროს ტერიტორიაზე. აქ არის 4 საავადმყოფო (230 საწოლით), ერთი საბავშვო საავადმყოფო, მუშაობს 55 ექიმი და სხვა.

ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება შვიდი სამრეწველო, სამი სასურსათო, ორი ავეჯის, ორი პურისა და სხვა მრავალი კეთილმოწყობილი მაღაზია. ამათ გარდა, სოფელ ადგილებში მუშაობს 15 სამრეწველო საქონლისა და 9 სასურსათო მაღაზია. რაიონის ყველა სოფელში არსებობს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. სიღნაღსა და წნორში დღეს ორიათას ორასამდე ერთიმეორეზე უკეთესი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლია. ფართო ფრონტით გრძელდება საბინაო მშენებლობა. მარტო 1970 წელს სიღნაღის რაიონში აშენდა 258 საცხოვრებელი სახლი. კიდევ უკეთესი მომავალი აქვს ამ საქმეს მიმდინარე ხუთწლედში.

თანამედროვე ქიზიყის მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობის დონის წარმოსადგენად სულაც არაა საჭირო ციფრების მოტანა. საკმარისია გადავხედოთ აქაურ სოფლებს, ვესტუმროთ მშრომელთა ნებისმიერ ოჯახს და ყველაფერი ნათელი გახდება. ახლა აქ ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება მოხდენილი საცხოვრებელი სახლები ნათელი და ხალვათი ოთახებით, რომლებსაც კარგი გემოვნების ავეჯი ამშვენებს. ქიზიყელი მშრომელის ოჯახს არ აკლია მუსიკალური ინსტრუმენტი, მხატვრული, პოლიტიკური და სასწავლო ხასიათის ლიტერატურა, განათება, ტელეფონი, რადიო, ტელევიზორი. 1970 წლისათვის სიღნაღის რაიონის ყოველი 1000 ოჯახი ღებულობდა 1500-მდე ჟურნალ-გაზეთს. გაესაუბრებით აქაურ მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენტს და დარწმუნდებით მათს მაღალ პოლიტიკურ და საერთო განვითარებაში. მათ შეუძლიათ თანაბარი წარმატებით შეგყვნენ საუბარში როგორც თავიანთი მრავალფეროვანი მეურნეობის ყველა დარგის ავკარგიანობაზე, ისე პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის თემებზე, ომზე, მშვიდობაზე, პირად და სახალხო გეგმებზე. ათობით და ასობით შეხვდებით ოჯახს, რომლის 3—4 წევრი უმაღლესდამთავრებულია.

სიღნაღის რაიონის მშრომელთა ერთი მოწინავე ნაწილია სოციალისტური შრომის გმირები: ვლადიმერ ხუციურაული (სოფ. ტიბაანის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადირი), მიხეილ ღვედაშვილი (კოლმეურნეობის ბრიგადირი სოფ. ძველი ანაგიდან), ივანე ბაიდოშვილი (რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი სოფ. მაღაროდან), ზაქარია ჭუჭულაშვილი (ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა), ერთ-ერთი პირველი ქართველი ტრაქტორისტი ქალი, რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი, ლენინის ორდენოსანი ელენე ნატროშვილი, რომელსაც ახლახანს დიდი ზეიმით აღუნიშნეს დაბადების სამოცდაათი წლისთავი; საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანები — ნიკა ჩალაბაშვილი (საკოლმეურნეო მოძრაობის თაოსანი სოფ. ძველ ანაგაში), თურმან ტარყაშვილი (სოფ. ბოდბის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე), ოლია პაპუაშვილი (დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატი სოფ. ქვემო მაჩხაანიდან), ნინო ბეგიაშვილი, ზენო ჭაბაშვილი, ნინო ღვინიაშვილი, გიორგი შაიშმელაშვილი; სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პიონერები: ელიზბარ ტუხაშვილი, გიორგი ყაჯრიშვილი, გოგია ხოსიტაშვილი, ილო გელაშვილი, ბორის ჭუჭულაშვილი (ლენინის ორდენოსანი), ნიკო კანაშვილი, მიხეილ ლაზარიაშვილი (ლენინის ორდენოსანი), სოლომონ ნადირაშვილი; საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომები: თინათინ ნანობაშვილი და გიორგი აბრამიშვილი, კასუმა მაზიაშვილი (კოლმეურნეობის ბრიგადირი), მარიამ მამაიაშვილი (კომკავშირელი კოლმეურნე).

ორ ათეულზე მეტ თავგამოჩენილ მშრომელს აქვს მინიჭებული სოციალისტური შრომის გმირის წოდება წითელ წყაროს რაიონში.

ქართული მიწა-წყლის ამ მადლიანი კუთხის სოფელ ზემო მაღაროში დაიბადა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და პედაგოგი გაიოზ რექტორი (გარდ. XIX-ს დამდეგს); ამავე სოფელში დაირწა აკვანი დიდი ქართველი მოსაზროვნის, პედაგოგისა და ჟურნალისტის — სოლომონ დოდაშვილისა

(1805—1836 წწ.), რომლის შესახებ. სხვათა შორის ვახტანგ ორბელიანს უთქვამს: „თუ სოლომონ დოდაშვილი არ ყოფილიყო, მაშინ შეიძლებოდა არც ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოფილიყოსო“[1]. სოლომონ დოდაშვილი იყო პირველი ქართული გაზეთისა და ლიტერატურული ჟურნალის პირველი რედაქტორი.

ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია ქართველ ჟურნალისტთა და პრესის მუშაკთა მთელი პლეადა, რომელიც თავისი წარმოშობით ქიზიყის მიწასთანაა დაკავშირებული. ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი, პროფესორი დიმიტრი ბენაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა მაღრაძე.

1862 წელს სოფელ მირზაანში დაიბადა გენიალური თვითნასწავლი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი, რომლის ჯადოსნური ფუნჯის ნამოქმედარმა მთელი კულტურული სამყარო გააოცა. სიღნაღის წარმტაც პუნებას უნდა მიეცა სულიერი საზრდო სომხური რეალისტური ფერწერის მამამთავრის გ. ბაშინჯაღიანისათვის, რომელიც ამ ქალაქში დაიბადა და პირველი ნაბიჯები დიდი ხელოვნებისაკენ ქართველმა კეთილშობილმა ადამიანებმა გადაადგმევინეს.

1876 წელს სიღნაღში დაიბადა ქართული ისტორიული მეცნიერების კორიფე ივანე ჯავახიშვილი.

სიღნაღის ღვიძლი შვილი იყო საქართველოს ბულბული, ვანო სარაჯიშვილი (1879—1924 წწ.). იგი იყო პირველი ქართველი მსახიობი, რომელსაც საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.[2] ამავე ქალაქშია დაბადებული საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, მომღერალი — მერი ნაკაშიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ლოლაშვილი. სოფელ ვაქირიდან იყო ცნობილი საზოგადო და სასულიერო მოღვაწე

---

1 ნიკოლოზ ბარათაშვილი, ფოტოალბომი, თბილისი, 1968 წ. (მინაწერი ხ. დოდაშვილის პორტრეტზე).

1 შ. კაშმაძე, „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“, 11, 1955 წ. გვ. 53—54.

ონა ხელაშვილი, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი თავის ულიერ მამად სთვლიდა. ამ სოფელთანაა დაკავშირებული სახელები: პოეტის, დრამატურგის და თეატრალური მოღვაწის — ილო მოსაშვილისა (1896—1954 წწ.); ქართული ოპერის ერთ-ერთი პირველი მედროშის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, პროფესორ სანდრო ინაშვილისა (1887—1958 წწ.), მისი ძმების, ქართული ოპერის თვალსაჩინო მსახიობების — საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გრიგოლ ვენაძისა და ანტონ ინოველის, ქართული თეატრალური ხელოვნების სიამაყის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვასო გოძიაშვილისა; დასავლეთ ევროპის მუსიკალურ ცენტრებში განთქმული მომღერლის მიხეილ ნანობაშვილისა (მიშელ-დარიალი); მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე გზირიშვილისა, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ელენე ნანობაშვილისა; ცნობილი ბოლშევიკ-რევოლუციონერების — ჩოდრიშვილების ოჯახისა, რომლის შესახებ ზემოთ უკვე აღინიშნა.

სიღნაღის სამხრეთ-აღმოსავლეთის კარის სიახლოვეს მდებარეობს სოფელი ბოდბისხევი, რომლის მოსახლეობა 1812 წლის კახეთის ამბოხების დღეებში თავგანწირვით შეებრძოლა ცარიზმის შეიარაღებულ ძალებს. აქ არის დაბადებული მგზნებარე პოეტი-რევოლუციონერი, ი. ბ. სტალინის „კაი მეგობარი"[1] იროდიონ ევდოშვილი (1873-1915 წწ.). ბოდბისხევიდან არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საკავშირო სამედიცინო აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — ავლიპი ზურაბაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვიორგი გოზალიშვილი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლენა ობოლაშვილი.

სოფელი ანაგა ქართული საბჭოთა თეატრის ერთერთი ფუძემდებლის სანდრო ახმეტელის (1887—1937 წწ). სამშობლოა. ამავე სოფლის შვილები არიან სოციალისტური შრომის გმირი

---

1 პ. დვალისადმი მიწერილი ი. ბ. სტალინის პირადი ბარათიდან (ამ ბარათის ფოტოპირი იხ. სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

ვახტანგ მირიანაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი.

ქიზიყიდან იყვნენ სახელგანთქმული ექიმი-კლინიცისტი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი ალექსანდრე ალადაშვილი (1876—1950 წწ.), რომლის სახელს ატარებს ქ. თბილისის მეორე კლინიკური საავადმყოფო; ფსიქიატრიის სახელოვანი ქართული სკოლის ფუძემდებელი მიხეილ ასათიანი (1881—1938 წწ.) რომლის სახელი აქვს მინიჭებული საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი დიმიტრი მაჩხანელი (1861—1903 წწ.), მწერლები: ალექსი მირიანაშვილი (1860—1925) და სიკო ფაშალიშვილი (1895—1970 წწ.), ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოთა ცნობილი შემდგენელი, საქართველოს სსრ შრომის გმირი, სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ივანე გომელაური (1967—1951 წწ.), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები ირაკლი მენთეშაშვილი, გიორგი მესტიაშვილი, სახელგანთქმული ექიმი, დიდი ილიას მკურნალი ნიკოლოზ ჯანდიერი და მრავალი სხვ.

თავისი დიდი წინაპრების ღირსეული მემკვიდრეები არიან ქართული მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, პოეტი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი სანდრო შანშიაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ გომელაური, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები სპარტაკ ბაღაშვილი და ალექსანდრე გომელაური, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მხატვარი ფარნაოზ ლაპიაშვილი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწენი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, ალექსანდრე გოცირიძე, ვახტანგ ალადაშვილი, ილია ახმეტელაშვილი, მირიან მესტიაშვილი, ნიკოლოზ ტურიაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ტალიაშვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი პაპალაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი სოსო

მებურიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ჰამლეტ გონაშვილი და სხვები.

ლენინური პარტიის აღზრდილი, ქიზიყის მშრომელთა რიგებიდან დიდ სამამულო ომში ათეულ ათასზე მეტი ვაუკაცი მონაწილეობდა. ამათგან ბევრმა თავი განაცვალა ჩვენი დიდი სამშობლოს დაცვის ინტერესებს. მათ შორის იყო აგ საყოველთაოდ ცნობილი იტალიის სახალხო გმირი, ქვემო მაჩხანელი ფორე მოსულიშვილი, სახელოვანი პარტიზანი მიხეილ ერიაშვილი, საარტილერიო დივიზიონის მეთაური ალექსანდრე ვანიძე და მრავალი სხვა, რომლებიც ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში ვაუკაცურად მიუძღოდნენ საბჭოთა არმიის ნაწილებსა და განაყოფებს.

სიღნაღის რაიონის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის რიგებში 5675 წევრია გაერთიანებული. კომკავშირის 96 პირველადი ორგანიზაციის მდივანთაგან 49 პროცენტს სკკპ წევრები შეადგენენ, 50 პროცენტს — ქალიშვილები. ჭაბუკებისა და ქალიშვილების ეს არმია, რომელიც თავის მხრივ ოთხიათასიან პიონერულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, მხურვალე მონაწილეობას იღებს რაიონის სამეურნეო და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები თავდადებული შრომის საუცხოო მაგალითებს იძლევიან სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის, სოფელ ნუკრიანის პარიზის კომუნის სახელობის, სოფლების საქობოს, მაღაროს და სხვა კოლმეურნეობებში. ისინი იღებენ მოსავალს, მონაწილეობენ პირუტყვისათვის საკვების დამზადებაში, ნამჯის გამოტანაში, ნაწვერალის ხვნაში, ჰქმნიან მეფრინველეობის ახალგაზრდულ ბრიგადებს, მექანიზატორთა ახალგაზრდულ ბრიგადებს. მათი რიგებიდან არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარიამ მაჭაიაშვილი, ადგილობრივი საბჭოების 126 დეპუტატი, რომელთაგან ᲐᲛ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲔᲑᲨᲘᲐ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ. ახალგაზრდა დეპუტატებს დიდ დახმარებას უწევს რაიკომთან არსებული ე. წ. ახალგაზრდა დეპუტატთა საბჭო.

კომკავშირის რაიკომთან მოქმედებს აგრეთვე ლექტორ-მომხსენებელთა ჯგუფი და პროპაგანდისტთა სემინარი, რამ-

დენიმე ათეული წრე, რომლებშიაც შეისწავლიან პოლიტიკურ ეკონომიას, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს და სხვ.

ასე იზრდება და იწრთობა ახალი თაობა, რომელიც ღირსეული გამგრძელებელი იქნება კომუნიზმის შენების უკვდავი საქმისა, ხოლო საჭიროებისას — ამ საქმის უკომპრომისო დამცველი.

ქ. სიღნაღს საკმაოდ მდიდარი კულტურული წარსული და ტრადიციები აქვს. თეატრის მოყვარულთა პირველი წრე აქ 1872 წელს შექმნილა და პირველი წარმოდგენაც ამ წელს გამართულა. 1912 წელს სიღნაღში ოფიციალურად დაარსებულა ქართული კლუბი, რომელიც იჯარით აღებულ შენობაში დამკვიდრებულა. მისი პირველი ხელმძღვანელები იყვნენ ექიმი ნ. ჯანდიერი და ამავე წელს აქ დაარსებული გაზეთის „კახეთის ხმის" რედაქტორი კ. ტყავაძე. 1914 წლიდან მთელი ათი წლის მანძილზე თეატრს თავს დასტრიალებდა პოეტი და დრამატურგი ილო მოსაშვილი. აღსანიშნავია, რომ ამ თეატრის რევოლუციამდელი დადგმების უმეტესობა საქველმოქმედო მიზნებით ეწყობოდა. 1928 წელს სიღნაღის თეატრს ეწოდა „მიხა ცხაკაიას სახელობის ქართული დრამატული თეატრი". მის მუშაობაში თავის დროზე მონაწილეობა მიუღიათ შალვა დადიანს, ა. იმედაშვილს, ელენე, თამარ და მაკა ანდრონიკაშვილებს, ახოსპირელს, მაკა ქართველიშვილს; მის ხელმძღვანელებად და რეჟისორებად უმუშავიათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ვახტანგ მატარაძეს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტებს ვიქტორ მატარაძეს, რობერტ ქართველიშვილს, მიხეილ იარალის.

თეატრს მუდამ ჰყავდა სცენის მოყვარულთა შესანიშნავი ადგილობრივი ძალები: მართა ტყავაძე (ლენინის ორდენოსანი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი), გ. ფხოველიშვილი, მ. ნაცვლიშვილი, ს. ბაშინჯაღოვი, კ. ჭრელაშვილი, ი. მენთეშაშვილი და სხვები.

სიღნაღის თეატრის კოლექტივი ღირსეულად აგრძელებს თავის კარგ ტრადიციებს, მთელი ძალ-ღონით ემსახურება მშრომელთა მხატვრული აღზრდისა და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეს. უკანასკნელი დადგმა

„ქარიშხალი ალაზანზე“ „ქიზიყელი არსენას“ — ძიხეილ ჭუ-ჭულაშვილის ცხოვრებას მიეძღვნა.

ქ. სიღნაღში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაუარსებიათ სტამბა, რომელშიც 1892 წელს დაბეჭდილა მ. ნ. მ-ძე უჯარმელის (ნიკოლოზ მაღალდაძის) პოემა „გულთმისანი სარკე და ხელმწიფის ქალი ახრასია“.[1] აქ მუდამ ჩქეფდა ლიტერატურული წრის საქმიანობა, რომელშიც თავის დროზე აქტიური მონაწილეობა მიუღიათ შალვა დადიანს, ბაჩანას, სანდრო შანშიაშვილს, გიორგი ქუჩიშვილს, ილო მოსაშვილს, სიკო ფაშალიშვილს, ნოე ზომლეთელს, ბაბილინას (ეროდიონ ევდოშვილის და), მუშა-პოეტს გიორგი ხეჩუაშვილს, ხალხურ მთქმელს გიო კანანელს, ისაკო მირიანაშვილს. ლიტერატურულ წრეებს დიდ დახმარებას უწევდა ადგილობრივი გაზეთები (პარტიის სიღნაღის სამაზრო კომიტეტისა და ალმასკომის ორგანო „სიმართლე“, შემდგომ რაიონის გაზეთი „კოლმეურნე“), რომელთა ფურცლებზეც სისტემატურად ქვეყნდებოდა დამწყები მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები. 1967 წელს სიღნაღის ლიტერატურულმა წრემ გამოაქვეყნა თავისი პირველი კრებული „ალაზანი“. ლიტერატურული წრის საქმიანობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რაიონის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

სიღნაღი იყო და რჩება პოეტების, მხატვრების, კომპოზიტორების შემოქმედებითი აღფრთოვანების წყაროდ, ჩვეულებრივ მნახველთა აღტაცების ობიექტად. უკვდავი ვაჟა მას კახეთის ღვიძლად მიიჩნევდა; სულის სიღრმიდან ამოსული სტრიქონები მიუძღვნეს მას გიორგი ქუჩიშვილმა, იოსებ ნონეშვილმა... მას დაუწერეს სიმღერები კომპოზიტორებმა: რევაზ ლაღიძემ, სანდრო მირიანაშვილმა, რევაზ გაბიჩვაძემ.

სსრკ სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ სიღნაღის მნახველთა წიგნში 1966 წ. ჩაწერა: „ჩვენ დიდ ვალში ვართ ამ სილამაზისადმი, რომელიც უნდა ღირსეულად აისახოს ქართულ მხატვრობაში“. 1957 წელს სიღნაღში იყო საბჭოთა კავშირის

---

1 გ. იარილოვის სტატია „ლექსის ახალი დაბადება“, 1971 წ., გაზეთი „საფლის ცხოვრება“, № 180.

მარშალი კ. როკოსოვსკი, რომელმაც თავისი აღფრთოვანება ასე გამოთქვა: „რა მომხიბვლელი ბუნება ყოფილა, სულ მინდა ვუცქირო“.

ქალაქი — წალკოტი! — აი, როგორია დღევანდელი სიღნაღი.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობის შედეგად, რაც გათვალისწინებულია პარტიის 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებებით, კერძოდ, სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლედის გეგმით, არნახულ სიმაღლეებზე ავა კომუნიზმის მშენებელი ხალხის, მათ შორის ამ უძველესი ქართული თემის — ქიზიყის მშრომელთა კეთილდღეობა, მისი კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება.

შინაარსი

შესავალი 3

ნაწილი პირველი

1. ქიზიყი — საქართველოს წარსულის ფონზე 6
2. ქ. სიღნაღის „წინაპარნი“ 31
3. იბერიის უდიდესი სამლოცველო . 46
4. ქიზიყის სათავდაცვო ნაგებობათა კვანძი 63
5. დაბა ბუდი, კამბეჩოვანი. ხორნაბუჯი 73

ნაწილი მეორე

1. სიღნაღის დაბადება . . . 86
2. სიღნაღი — ქიზიყის ადმინისტრაციული ცენტრი 96
3. ძველი სიღნაღისა და მისი მაზრის სახე
   - მოსახლეობა 117
   - ვაპრობა, ხელოსნობა, მრეწველობა ქ. სიღნაღსა და მის მაზრაში 124
   - განათლება . 132
   - ჯანმრთელობის დაცვა 141
4. თავისუფლებისათვის მებრძოლი მხარე 146
5. ბედნიერების გზაზე 157

რედაქტორი ზ. კილაძე
მხატვარი ო. ვარვარიძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი
ტექრედაქტორი ვ. ჭიკინაძე
კორექტორი თ. მაჩაბელი
გამომშვები ნ. მანაგაძე

გადაეცა წარმოებას 11. IV. 72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. V 73 წ. ქაღალდის ზომა 84×108 1/32. პირობ. ნაბეჭდი თაბახი 9.45+0.84 ჩაკვრა სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.4, უე 01027, ტირ. 5.000 შეკვ. 1589, ფასი 60 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14

**Типография издательства ЦК КП Грузии,
г. Тбилиси, ул. Ленина, 14.**

Шаишмелашвили Иван Дмитриевич
Кизики
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5

1 9 7 3.